# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 46 (507) ◆ 15 – 21 ნოემბერი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## დიდ პოლიტიკაში ჯერ ინტერესებია, შემდეგ სამართალი?!



„რუსეთი საბოლოოდ იმასაც განაცხადებს, ჩემს მოქალაქეებს აფხაზეთში იმის მიუხედავად დავიცავ, ენდომებათ თუ არა ეს თვითონო“

გვ.3

## „კოკოევს ყველა გზა მოჭრილი აქვს და ისვრის, აბა, რას იზამს?“

გვ.6



თვითმარქვია რესპუბლიკის ლიდერს მოსკოველი კრიმინალები ემტერებიან...

რამე რომ მოხდეს, კოკოითს გასაქცევი არსად ექნება, აქ ქართველები უტირებენ დედას, რუსეთში იქაური მტრები — ლაპარაკია რაღაც მილიონებზე, რომელიც კოკოითს მათი მართებს, ამიტომ ყველაფერს გააკეთებს, რომ დღევანდელი მდგომარეობა შეინარჩუნოს.

## ფრთხილად — „ეკოს“ ქვებს ესვრიან!..

კიდევ ერთი თავ-სატეხი?!




### ბერძნული ბენზინი და ქართული „კენჭები“

როგორც გაირკვა, ქვები ციდან კი არ ცვივა, არამედ ვერის ბაღიდან ისვრიან(!), რომელიც ავტოგასამართ სადგურს 40-50 მეტრის სიმაღლიდან გადმოჰყურებს...

„მხოლოდ ამ კვირაში ორი ავტომობილი დაზიანდა...“

გვ.6,13

## ვის სეიფში ინახება კომპრომატებით სავსე დღიური?!

გვ.7,11



„ვინ დაუდო წინ ეკლესიის დაშლის სქემა სააკაშვილს“

იმ პირთა ვინაობა, რომელთაც ხალხი გაძარცვეს, ცნობილია — მათი გვარები იყო მოხსენიებული დვალიშვილის დღიურში, რომელიც პროკურატურაში გაქრა.

...მე პროკურორი ვიყავი, არსენა კი ირაკლი ოქრუაშვილი...

## „მზად ვარ, პასუხი ვაგო და ტალახის სროლაც ავიტანო“

**თემის გაგრძელება**

„პრეზიდენტის ჯიბეში არასოდეს ჩავმძვრალვარ“

ზვიადს დასავლეთ საქართველოში უნდოდა წასვლა, მაგრამ გვერდით მყოფმა არაპროფესიონალებმა უთხრეს, გზებია გადაკეტილიო და სომხეთში ამოაყოფინეს თავი.

გვ.5,27



თავისი საქციელით ზვიადმა გვითხრა, — თქვე უნამუსოებო, ეს რა ჩაიდინეთო...



„საქართველოს პრეზიდენტი წერილს მხოლოდ ქართველებს თუ დაუწერდა, მაგრამ ვიმსახურებდით ამას?“



## „შეგაგონებთ, ძმანო“

ეს ჩვენი ისტორიაა, ისტორია — „ცრემლთა ღაღადისისა“ და უმაგალითო თავგანწირვისა... და ეს ისტორია შემთხვევით არ გვიხსენებია...

„...არ იყოს თქვენში განხეთქილება, არამედ გაერთიანებულნი იყოთ გონებითა და აზრით“.

გვ.12

## ზოგჯერ, როცა უგუნებოდ ვარ, შემიძლია ენით „დავჭრა“ კაცი

ქართველი კაცი შინაგანად წინააღმდეგობებითაა სავსე. ის თვლის, რომ ყველაზე მეტი იცის, ერთადერთია ამ სამყაროში. ორიოდ წიგნი თუ წაიკითხა, ჰგონია, ძალიან ნაკითხია. შეუძლია სხვას უქადაგოს, ასწავლოს. თუკი გამოჩნდება ვინმე, ვისაც სჭირდება ეს კაცი თავისი ზუსტი ფუნქციით და ეტყვის, — შენ ამის მეტი არ შეგიძლიაო, იწყება ჯანყი... ეს ანგრევს ქვეყანას.

გვ.18

**რობერტ სტურუა**

## ვერსია: ცრანგელა

### იმ წუთიდან დაიწყო

რუსებმა ფანჯრებსა და აივნებზე დააყენეს ტყვიამფრქვევები... ხელთ ავტომატები ჰქონდათ. ჩვენ კი ამ დროს ვიღებთ გუმბარიძის ბრძანებას იარაღის ჩაბარებაზე...

გვ.10

## „ჩვენ გვინდა ევროპული სტილის, მაგრამ ამავდროულად ეროვნული უნივერსიტეტი“

გვ.5,27



„ვისაც პოლიტიკური კარიერიზმი აწუხებს, მისი ადგილი აქ არ არის“



**თქვენ გვემოვნებიანი მკითხველი გრძანდებით!**

## ევრობანკს საქართველო აინტერესებს?!

„ინვესტირება საქართველოში“ — ამ დევიზით წარიმართა ლონდონში საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტი ჟან ლემერი ესწრებოდნენ და რომელშიც 250 ბიზნესმენი მონაწილეობდა. ზურაბ ჟვანიამ უცხოელი ინვესტორები საქართველოში ბიზნესის საკეთებლად დაპატიჟა: საქართველო შესაფერისი ადგილია ბიზნესისთვის, ენერგეტიკაში, სოფლის მეურნეობაში, ტურიზმში, ტრანსპორტსა და საბანკო სისტემაში დიდი შესაძლებლობები გექნებათო, — აღუთქვა ჟვანიამ კონფერენციის მონაწილეებს. ევრობანკის ხელმძღვანელმა ლემერმა არ დამალა, რომ სურს, ინვესტირება განახორციელოს საქართველოს პორტებში, ნავთობსადენში, კომუნიკაციების სექტორში, რკინიგზასა და ასევე გზებისა და აეროპორტების რეკონსტრუქციის საქმეში. ანალოგიური კონფერენციები ჩატარდება იტალიაში, აშშ-ში, გერმანიასა და საბერძნეთში. ზურაბ ჟვანიას თქმით, — უცხოელებს მოსწონთ საქართველოში არსებული ლიბერალური საგადასახადო სისტემა და იმასაც ხედავენ, როგორი წარმატებითაც ვებრძვით კორუფციასო.

## პროვოკატორი მთარგმნელი?!

სამცხე-ჯავახეთის სომხური სკოლების პედაგოგები განათლების რეფორმის კანონპროექტის რუსულ ვარიანტს აპროტესტებენ — ახალი კანონპროექტი არაქართულ ენებზე სწავლებას კრძალავსო. განცვიფრებული განათლების მინისტრი მხრებს იჩეჩს — კანონპროექტით ეროვნული უმცირესობების ენების შესწავლა გათვალისწინებულია, მაგრამ არ ვიცი, რის გამო ცხარობენ სომეხი პედაგოგები, როდესაც კანონპროექტი რუსულ ენაზე ჯერაც არ გვითარგმნიაო. სანამ განათლების სამინისტროში იმას გაარკვევენ, ვინ გამოიდო თავი პროექტის გადასათარგმნად, ადამიანის უფლებების დამცველი ელენე თევდორაძე აცხადებს, — კანონპროექტის რუსული ვარიანტი მისი ქართული ვარიანტისაგან ისე განსხვავდება, როგორც შავი თეთრისგანო. საქმეში ჩახედული ხალხი კი ამბობს, — ენთუზიასტი მთარგმნელი ამაოდ არ გარჯილა, მას არაქართველი მოსახლეობის „აფეთქება“ ჰქონდა განზრახულიო.

## ცხინვალიდან ბავშვები გახიზნეს?

ვარდების რევოლუციის წლისთავის — 23 ნოემბრის მოახლოებას სამაჩაბლოს ოსური მოსახლეობა შიშით ელოდება. ისინი ოსურ სოფლებზე შეტევას ელიან და ვლადიკავკაზში 6 ავტობუსით გაიყვანეს ბავშვები. ოსების პანიკას კიდევ უფრო ამძაფრებს ლიახვის ხეობაში მიმდინარე ქართველ რეზერვისტთა წვრთნის პროცესი...

დაკარგული ელდარ კახნიაშვილის ძებნისას ქართული პოლიციის ქვედანაყოფები სოფელ კეხვთან, ტყეში ოსი ბოევიკების რაზმს წააწყდნენ. სროლისაგან ორივე მხარემ შეიკავა თავი და ოსები ტყეში მიიმალნენ. შიდა ქართლის გუბერნატორის, მიხეილ ქარელის თქმით, — სამშვიდობო ძალების სარდალი არაფერს აკეთებს სოჭში მიღწეული შეთანხმების რეალიზებისთვის, ზონის დემილიტარიზაციისათვის და არც იმ ფაქტზე რეაგირებს, რომ ოსური ბანდფორმირების წევრები ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე თავის ნებაზე დადიან.

## ძველ ცესკოს ახალი შეცვლის

საქართველოს პირველი დეკემბრიდან ახალი ცენტრალური საარჩევნო კომისია ეყოლება, რომელიც პარტიული კი არა, პროფესიული ნიშნით დაკომპლექტდება. ახალი ცესკო 7-წევრიანი იქნება. მის თავმჯდომარეს პრეზიდენტი დანიშნავს, დანარჩენი 6 წევრი კი კონკურსის საფუძველზე შეირჩევა. საოლქო კომისიის (რომელიც 5-წევრიანი იქნება) თავმჯდომარეს ცესკოს თავმჯდომარე დანიშნავს. პოლიტიკურ პარტიებს წევრების დანიშვნის უფლება მხოლოდ საუბნო კომისიებში ექნებათ. 9-კაციანი საუბნო კომისიები შემდეგი პრინციპით დაკომპლექტდება: თავმჯდომარეს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დანიშნავს, ორ წევრს — საოლქო საარჩევნო კომისია, ორ-ორ წევრს კი საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე 3 პოლიტიკური პარტია. ოპოზიციას ახალი საარჩევნო კოდექსი თვალში არ მოსდის და აცხადებს, — ხელისუფლება საარჩევნო ადმინისტრაციაში ერთპარტიულ დიქტატურას ამყარებსო.

## ნარკომანი ნარკომანიას ებრძოდა

შიდა ქართლის პოლიციამ გორის პოლიციის ნარკობიზნესთან ბრძოლის განყოფილების ინსპექტორს, არჩილ ონიაშვილს ავტომობილში ჩხრეკისას უკანონო იარაღი აღმოუჩინა, მაგრამ ონიაშვილის დანაშაული ამით არ ამოწურულა. როდესაც უკანონო იარაღის ჩამორთმევის შემდეგ ის ექსპერტიზაზე მიაბრძანეს, გაირკვა, რომ წესრიგის დამრღვევი სამართალდამცველი მორფინის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ონიაშვილს იარაღის უკანონო ტარებისთვის ხუთწლიანი პატიმრობა ემუქრება, ალბათ ცოტას ნარკომანობისთვისაც წაუმატებენ.

## გაზი უმაღლეს სასწავლებელში

სასწავლო დაწესებულებებში საგანგაშო შეტყობინებისა და გაზის გაშვების შემთხვევები გახშირდა. ეს ვითომდა „ბავშვური ხუმრობები“ სერიოზულ თავსატეხს უჩენს სამართალდამცველებსაც და მედიკოსებსაც. ტექნიკური უნივერსიტეტის მე-8 კორპუსში გაურკვეველი წარმოშობის გაზის გაშვების შემდეგ, სტუდენტი ქეთევან კალანდაძე და ლექტორი თინათინ ყველაშვილი რესპუბლიკური საავადმყოფოს ტოქსიკოლოგიურ განყოფილებაში აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის შესასვლელთან დაცვის თანამშრომლები მორიგეობდნენ, ტოქსიკომანიაკს სასწავლებელში შესვლა არ გასჭირვებია. თუმც სამართალდამცველები არც იმას გამორიცხავენ, რომ „ბოროტად“ თავად სტუდენტები ხუმრობენ.

## პირველი მსხვერპლი

აფხაზეთში ვითარება დაიძაბა — დაპირისპირებული ბანაკების ხანგრძლივ მიტინგებს სერგეი ბაღაფშის მომხრეების მთავრობის სახლში შეჭრა მოჰყვა. მოგვიანებით კი, რამდენიმე ათეულმა ბაღაფშის მხარდამჭერმა ვლადისლავ არძინბას რეზიდენციაც დაიკავა. შენობაში მყოფმა ნოდარ ხაჟბამ და არძინბას ფავორიტმა ხაჯიმბამ გაქცევით უშველეს თავს. გაქცევაში მათ 40 ყაბარდოელი „ბოევიკი“ დაეხმარა, თორემ გვარიანად დაზარალდებოდნენ. შეხლა-შემოხლაში სასიკვდილოდ დაიჭრა ხაჯიმბას მომხრე ენათმეცნიერი, ქალბატონი თამარა შაკირი... სამშვიდობოს გაღწეულმა ხაჯიმბამ და ხაჟბამ მომხდარი ინციდენტი სახელმწიფო გადატრიალებად შეაფასეს და განაცხადეს, — ბაღაფშს, რომელმაც უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, პრეზიდენტობის უფლება არ აქვსო. დღესდღეობით, ბაღაფშის მომხრეები ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტს აკონტროლებენ, სერგეი ბაღაფში კი ინაუგურაციამდე არძინბას კაბინეტის დაკავებას არ აპირებს.

## კვიციანს ჯიპი ჩამოართვეს

სპეცშეკვეთით დამზადებული 200 ათას აშშ დოლარად ღირებული ჯიპი, რომლითაც კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებული ემზარ კვიციანი ბოლო დროს თავს იწონებდა, ნაყაჩაღარი აღმოჩნდა. ავტომობილი მოსკოვში წაურთმევიათ ბიზნესმენ ევგენია ტემიროვასთვის. ტემიროვამ საკუთარი ჯიპი თბილისში ოფიციალური ვიზიტისას აღმოაჩინა და ირაკლი ოქრუაშვილს სთხოვა, — ჩემი მანქანა ვიპოვე და როგორმე დამაბრუნებინეთო. შინაგან საქმეთა მინისტრმა ძვირად ღირებული ავტომობილი კანონიერ პატრონს დაუბრუნა, ემზარ კვიციანს კი გამომძიებლებისთვის მოუხდა ჩვენების მიცემა. კვიციანს ჯერჯერობით, რაიმე დანაშაული არ უმტკიცდება, რადგან მოპარული მანქანა ოფიციალურად და ყველა წესის დაცვით ჰქონდა გაფორმებული, თუმც გამოძიება გრძელდება...

## ნაციონალურ-ლეიბორისტული როქი?

ნაციონალებსა და ლეიბორისტებს შორის ისევ როქია, ოღონდ ამჯერად შალვა ნათელაშვილის სასარგებლოდ. ნატო კვირკველია, რომელსაც წელიწადზე მეტია, ჯიბეში „ნაციონალური მანდატი“ ედო და მოძრაობას 300 წევრიც შემატა, მშრომელებში გადაბარგდა. გაკეთებული საქმის საზღაურად ნაციონალებისგან უყურადღებობის მეტი ვერაფერი მივიღეო, — აცხადებს ძველი თანაგუნდელების გულგრილობით შეურაცხყოფილი ლეიბორისტების ახალი სახე და პირობას დებს, — არაერთ ნაციონალს გადმოვიბირებ და მანდატებს საჯაროდ დავახევინებო. კვირკველია ლეიბორისტებს უყურადღებობას ნამდვილად ვერ დასწამებს, რადგან მშრომელებმა მას საგანგებო პრესკონფერენციაც მოუწყვეს და ტელევიზიით გამოჩენის საშუალებაც მისცეს.

## ლევან რამიშვილი ჯიუტობს

რაკი სახელმწიფო უნივერსიტეტს შევარდნაძის ხელისუფლების არაერთმა ცნობილმა სახემ შეაფარა თავი, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა ლევან რამიშვილმა მას „ისტორიის სანაგვე“ უწოდა, რითაც განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე გაანაწყენა. ნოდარ გრიგალაშვილმა რამიშვილს საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, მაგრამ რამიშვილი გრიგალაშვილის ულტიმატუმის შესრულებას სულაც არ აპირებს და აცხადებს, — საზოგადოების წინაშე ბოდიში უნივერსიტეტში მოკალათებულ ხროვას და მათ მფარველებს აქვთ მოსახდელიო. თავისუფლების ინსტიტუტი როინ მეტრეველთან და ნუგზარ ფოფხაძესთან ერთად, გალექტორებული პოლიტიკოსების — რევაზ მიშველაძის, ალეკო კარტოზიას, ვახტანგ რჩეულიშვილისა და გია მეფარიშვილის გასამართლებას ითხოვს.

## რუსებმა ლაგოდეხი დაზვერეს

გასულ კვირას რუსეთის თვითმფრინავმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია. რადარებმა დააფიქსირა, რომ თვითმფრინავმა საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთი გადმოლახა, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე 3 მილის მანძილზე შემოიჭრა, შემდეგ კი ლაგოდეხის მიმართულებით გაფრინდა. თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, რუსეთის საჰაერო ხომალდი საქართველოს ტერიტორიაზე 5 წუთის განმავლობაში იმყოფებოდა. რუსეთის საჰაერო ძალების მთავარი შტაბი კი კატეგორიულად უარყოფს საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტს. თავდაცვის მინისტრის, გიორგი ბარამიძის თქმით, — ბევრჯერ ჩაგვიყლაპავს ბოლმა, როდესაც რუსები საქართველოს საჰაერო სივრცეს არღვევდნენ და ბომბავდნენ კიდეც. მალე საქართველოს საზღვარზე საზენიტო-სარაკეტო დანადგარები ჩადგება მწყობრში და თუკი საზღვრის დარღვევები გაგრძელდება, რაც მოუვათ, საკუთარ თავს დააბრალონო.

## აბსანძე აზმაიფარაშვილის ნაცვლად?!

მას შემდეგ, რაც ზურაბ აზმაიფარაშვილმა ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტობაზე უარი განაცხადა, კულუარებში მის შემცვლელად სახელმწიფო მინისტრი გურამ აბსანძე დაასახელეს. როგორც ჩანს, ასეთი პერსპექტივა თავად აბსანძესაც ხიბლავს და აცხადებს, — 1991-92 წლებში ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი უკვე ვიყავი და ამ პოსტის დაკავების სურვილი ისევ რომ არ მქონოდა, ამაზე ლაპარაკიც არ იქნებოდაო. სახელმწიფო მინისტრის ოცნების ასრულებას მსოფლიოში ცნობილი მოჭადრაკეები ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია უშლიან ხელს, რომელთაც აბსანძის გაპრეზიდენტება დიდად არ მოსდით თვალში.

## ისევ დაპირისპირება

თბილისის მერიაში დედაქალაქის ხელმძღვანელობისა და გარემოვაჭრეების შეხვედრა მძაფრი ემოციებისა და ხმაურის თანხლებით წარიმართა... ინციდენტის მიზეზი მერიის გადაწყვეტილება გახდა, რომელიც დინამოს სტადიონიდან ბაზრობის გადატანას სანზონაში, კინოთეატრ „საქართველოს“ უკან, ყოფილი ელექტროაპარატის ქარხნის ტერიტორიაზე ითვალისწინებს. შეხვედრაზე მოულოდნელი განცხადება გააკეთა აბრეშუმის ფაბრიკის სავაჭრო ცენტრის დირექტორმა თამაზ ზურაბიშვილმა, — მერიის ამ მანევრში შავბნელი განზრახვები იმალება. ამ საქმეში ჩემი ჩართვაც სცადეს, მერის სახელით გლდანი-ნაძალადევის გამგებელმა კახა ლაბუჩიძემ ქრთამი შემომთავაზაო. ლაბუჩიძემ ზურაბიშვილის ნათქვამი ცილისწამებად მონათლა და განაცხადა, — აბრეშუმის ფაბრიკის სავაჭრო ცენტრის დირექტორი ცილს მწამებს და აბსურდულ განცხადებებს მიზანმიმართულად აკეთებსო. კულუარებში ზემოხსენებულ ინციდენტზე ასეთი ხმა გავრცელდა: სინამდვილეში შეხლა-შემოხლის მიზეზი ისევ ქალაქის მერისა და პრემიერის დაპირისპირებააო.

## ბანკეტი ქრისტიანობის 2000 წლისთვის თუ?..

საქართველოს გაქრისტიანების 2000 წლისთავის აღსანიშნავად, თბილისში ჩამოსული უცხოელი სტუმრებისათვის, დედაქალაქის ხელმძღვანელობა 23 ნოემბერს თბილისის მერიაში გრანდიოზულ საზეიმო ბანკეტს გამართავს. საკრებულომ ამ ღონისძიებისათვის 10 ათასი ლარი მერიის სარეზერვო ფონდიდან გამოყო, თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღებას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ახალმა მემარჯვენეებმა და ლეიბორისტებმა. „ახლებმა“ მერიას ბრალი დასდეს, — თქვენ სინამდვილეში გაქრისტიანების 2000 წლის კი არა, ნოემბრის რევოლუციის ერთი წლისთავის აღნიშვნა გინდათო. ლეიბორისტებმა კი, — თბილისელებს არ ებანკეტებათ და არ ეზეიმებათ, 10 ათასი ლარი მიუსაფარ ბავშვებს მოახმარეთო... მაგრამ საკრებულოს უმრავლესობამ გადაწყვიტა, — მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნა აუცილებელია და ამ საქმისათვის ძუნწობა არ გამოგვადგებაო.

## მექრთამე პოლიციელი დააკავეს

პროფესიულ დღესასწაულზე (პოლიციის დღეს) უსიამოვნო საჩუქარი — ხელბორკილები ერგო აჭარის პოლიციის გამომძიებელს, 25 წლის გიორგი ზაქარაძეს. გამომძიებელი, რომელსაც საზეიმო დღის გვარიანი „გასამრჯელოთი“ გალამაზება უნდოდა, ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს.

აჭარის პოლიციის სამმართველოს უფროსის, გია პაპუაშვილის თქმით, — ზაქარაძე ეჭვმიტანილის მშობლებისგან შვილის გათავისუფლებაში 150 დოლარს ითხოვდა. დაკავებულის მშობლებმა ამის შესახებ ძალოვნებს აცნობეს და ზაქარაძეს დანიშნული კუპიურები გადასცეს. ზაქარაძის მიმართ თანხის გამოძალვის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა... ასეა, როდესაც ხელქვეითი მინისტრის შეგონებას უგულისყუროდ ისმენს...

## ცხოვრება ძვირდება

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, წინა კვირასთან შედარებით, ფასების საერთო დონე 0,60 %-ით გაიზარდა. ფასების დონის ზრდა სურსათის გაძვირებამ გამოიწვია. სურსათის საერთო ფასმა 1,53%-ით მოიმატა, მაშინ, როდესაც მომსახურების ფასები 0,06%-ით შემცირდა. რაც შეეხება არასასურსათო საქონელს, მასზე ფასები არ შეცვლილა. დეპარტამენტის ინფორმაციით, სურსათიდან ყველაზე მეტად ყველის ფასმა აიწია. წინა კვირასთან შედარებით, 1,8%-ით გაძვირდა ბენზინი ე. წ. „ნორმალი“.

## დიდი სიდუხჭირის პატარა მსხვერპლი

გორში, ნაგავსაყრელზე, მეზობლებმა 5 წლის გიორგი კეკოშვილი ცოცხალ-მკვდარი იპოვეს. საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ პატარას იმდენად ძლიერი მოწამვლა დაუდგინდა, რომ ექიმებმა მისი გადარჩენა ველარ შეძლეს. ცხინვალიდან დევნილ კეკოშვილების ხუთსულიან ოჯახს 30-ლარიანი დახმარება არაფერში ჰყოფნიდა და ყოველდღიურ სარჩოს ნაგავსაყრელზე ეძებდა, მაგრამ სამწუხაროდ, გამოსავალი არც ეს აღმოჩნდა...

## უსინდისო ქურდებმა მიხეილ მესხს ბურთი მოპარეს

საბურთალოს სასაფლაოზე ცნობილი ქართველი ფეხბურთელის, მიხეილ მესხის საფლავი გაძარცვეს — ქურდებმა 67-კილოგრამიანი ბრინჯაოს ბურთი მოიპარეს. მაგრამ მძარცველებმა მძიმე ტვირთით ადვილად მიმალვა ვერ მოახერხეს. შსს-ს სისხლის სამართლის სამძებროს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა 43 წლის ოზურგეთელი შუქრი აროშიძე დააკავეს, რომელმაც დაკითხვისას აღიარა, მარტო არ მიქურდია, საქმეში ვინმე „გია“ მეხმარებოდაო... სამართალდამცველები ამჟამად „გიას“ ძებნით არიან დაკავებული.




## მოსამართლე პორნოვარსკვლავი?

ბუქარესტის მუნიციპალიტეტის სასამართლოს მოსამართლის პორნოვარსკვლავობაში მხილებას რუმინეთის სასამართლო კოლეგიაში სკანდალი მოჰყვა. ერთმა მოსამართლემ პორნოფილმის ყურებისას მთავარ გმირში თავისი 36 წლის კოლეგა სიმონა ლანგა ამოიცნო და განგაში ატეხა. როგორც გაირკვა, მოსამართლე პიკანტურ სცენებში გადაღებაზე დანიაში დაუყოლიებიათ, თანაც დაჰპირებიან, ამ ფილმს მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში ვაჩვენებთო, მაგრამ... მოსამართლე პორნოვარსკვლავი ირწმუნება, — ეს კადრები მხოლოდ მონტაჟიაო, მაგრამ ექსპერტიზამ დაუმტკიცა, ფილმში სწორედ თქვენ თამაშობთო.

### მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — **25 ლარს** გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა **20 ლარი,** III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — **15 ლარს.** გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *(რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე).*

### წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „ნიჟარაში გამომწყვდეული სიყვარული“ — 102 ხმა
2. **ინგა ჯაყელი** — „ჩვენ ცოცხლები ვართ და ვერ ეღირსებიან, რომ ხელები შეგვახოცონ!“ — 60
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ფალისფიცირებული და ვადაგასული მედიკამენტები ანუ ბოდიში, თქვენ გელით მოწამვლა?“ — 28
4. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 20

***მკითხველის პრემიის მფლობელები 312-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# დიდ პოლიტიკაში ჯერ ინტერესებია, შემდეგ სამართალი?!



**„რუსეთი საბოლოოდ იმასაც განაცხადებს, ჩემს მოქალაქეებს აფხაზეთში იმის მიუხედავად დავიცავ, ენდომებათ თუ არა ეს თვითონო“**

საინტერესოა, როგორი იქნებოდა მსოფლიო საზოგადოებრიობის რეაქცია, გერმანიას სიცილიის დამოუკიდებლობა რომ ეცნო, ან არგენტინას ბასკების მიერ ჩატარებული არჩევნები ეღიარებინა — სწორედ ამას ნიშნავდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადება, აფხაზეთში ჩატარებული არჩევნების „კანონიერი“ შედეგების დაცვის თაობაზე. თუმცა საქართველოს საგარეო უწყებაში მიწვეულმა მეგობარ სახელმწიფოთა ელჩებმა ქართველი მინისტრის თხოვნაზე, ერთობლივი განცხადება გაეკეთებინათ, მხოლოდ მხრები აიჩეჩეს. როგორც ჩანს, დემოკრატიის ყველაზე თანამედროვე გაგებაც კი (რომლის დაცვის მიზნით ზოგჯერ არც ომს ერიდებიან) დიდისა და პატარის გარჩევას გულისხმობს... დიდის სასარგებლოდ.

თუმცა, საქართველოს გამო მესამე მსოფლიო ომს რომ არავინ წამოიწყებს, ეს ბავშვმაც კი უნდა იცოდეს (თუ, რასაკვირველია, ეს ომი ვინმეს ინტერესებში არ იქნება და საქართველოს საბაბად არ გამოიყენებს). მაგრამ გლობალური პოლიტიკის თვალსაზრისით, საქმე არც ისე ცუდად უნდა იყოს — ის, რაც დღეს პოსტსაბჭოთა სივრცეში ხდება, სხვა არაფერია, თუ არა რუსული ველიკოდერჟავიზმის აგონია. უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები დასავლური სცენარით ვითარდება — იქ ხელისუფლებაში მოსული ახალი ძალები ახალ კურსს აიღებენ, რომელიც კრემლისკენ ნამდვილად არ წავა. აფხაზეთი შესაძლებელია, ჯერ ფიზიკურად არა, მაგრამ მენტალურად რუსეთმა უკვე დაკარგა, როდესაც ბალაფშის მომხრეებმა სოხუმის ადმინისტრაციული შენობები დაიკავეს. აფხაზეთის დაკარგვით კი ამიერკავკასიის დაკარგვა დაიწყება — თუ რა მოჰყვება რუსეთისთვის ამიერკავკასიის დაკარგვას, ამაზე რუსეთის საგარეო უწყების ცოფმორეული განცხადებების მიხედვითაც შეიძლება მსჯელობა... ასე რომ, მსგავს განცხადებებს კიდევ უნდა ველოდოთ და ისიც გავითვალისწინოთ, რომ კრემლი მხოლოდ განცხადებებით არ შემოიფარგლება — შემოდგომის ბუზი მწარედ იკბინება... საერთაშორისო პოლიტიკაში გადამწყვეტი მომენტის დადგომასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებისა და ზოგადად, ქართული საზოგადოების პასუხისმგებლობა ერთიორად იზრდება — თუ საქართველო თავისი სახელმწიფოებრიობის განვითარების გზაზე აღმოცენებულ ხელოვნურ და ბუნებრივ პრობლემებს მომზადებული არ შეხვდა, მხოლოდ „მეგობარი ქვეყნებისა“ და დასავლური პირობითი დემოკრატიის იმედად ყოფნა არაფერს გვარგებს — პოლიტიკაში ხომ მეგობრობაზე წინ ინტერესები დგას... ამ ფონზე უაღრესად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ქართულ ეკლესიაში აღმოცენებული დაპირისპირება — უფრო სწორად კი, მცდელობა, იქ არსებული პრობლემების გარედან მოგვარებისა. შესაძლებელია, გარკვეული ძალები გეგმავენ კიდეც, გარდამავალ პერიოდში „ბარემ, ყველაფერი თავის ადგილზე დააყენონ“, მაგრამ ეკლესია ხომ ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც საუკუნეების მიღმიდან მოდის და ქართული სახელმწიფოებრიობაც მოაქვს. შესაძლებელია, დღეს ქართულ ეკლესიაში პრობლემები მართლაც იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ ისიც ცოცხალი ორგანიზმია და იქაც ჩვეულებრივი ადამიანები მოღვაწეობენ, მაგრამ რევოლუციური მეთოდები და კონფრონტაცია მასთან მიმართებაში ალბათ, არ გამოგვადგება — საქართველოს, არჩეულ გზაზე, აუცილებლად მოუწევს ისეთი საფრთხის გავლა, როგორიც გლობალიზაცია და ცივილიზაციათა აღრევაა. ამ შემთხვევაში კი ისტორიული და ბუნებრივი ფარი — ეკლესია საქართველოს ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს, თუნდაც ისეთივე პრობლემების არსებობისას, როგორიც დღეს აქვს და რაც მითქმა-მოთქმისა თუ დაპირისპირების საბაბად არის ქცეული. თუმცა ევროსტრუქტურებში ინტეგრაციამდე და გლობალიზაციის საფრთხის რეალურ დადგომამდე საქართველოს კიდევ ბევრი შიდაპრობლემა აქვს მოსაგვარებელი — მათ შორის უპირველესი ეთნოკონფლიქტებია. გასულ კვირას აფხაზეთში განვითარებულ რევოლუციურ მოვლენებს ცხინვალში ბოევიკების გააქტიურება მოჰყვა. როგორც ჩანს, სოჭის შეთანხმების ფონზე, მავანთ ძალიან უნდათ, სამაჩაბლოში სისხლის ღვრა და მასობრივი შეიარაღებული დაპირისპირება მოხდეს... მოკლედ, რევოლუციის წლისთავზე პრობლემები კვლავაც თავზე საყრელია, თუმცა კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია და მთავარი... იმის შესახებ, როგორ „დავიწყეთ“, როგორ ვითარდება და რით შეიძლება დასრულდეს ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო პროცესები, ვესაუბრებით პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძეს**:

**— აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით რუსეთის საგარეო უწყების მიერ გაკეთებულმა განცხადებამ საქართველოს მხრიდან მძაფრი რეაქცია გამოიწვია, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით საერთაშორისო საზოგადოებაზე — როგორც ჩანს, დიდ პოლიტიკაში ჯერ ინტერესები მოქმედებს, შემდეგ კი საერთაშორისო სამართალი?**

— არათუ დიდ, არამედ ზოგადად, პოლიტიკაში, სწორედ რომ ასეა — ამ სფეროში გადამწყვეტი ყოველთვის ინტერესები იყო და არა სამართლიანობა. მით უმეტეს, ასე იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქმე გვაქვს რუსეთთან. რომელი ევროპული სახელმწიფო აიღებს თავზე ხელს და რუსეთს კატეგორიულად მოსთხოვს პასუხს, საქართველოს უფლებები რატომ დაარღვიეო? ასეთ პასუხს ბუნებრივია, ვერც ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვს, რადგან რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვის შემთხვევაში ამერიკის პრეზიდენტს ძალიან გაუჭირდება თავისი ამომრჩევლისთვის — ამერიკელი ხალხისთვის იმის ახსნა, თუ რატომ გადაიკიდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ ისეთი არაპროგნოზირებადი ქმედების მონსტრი, როგორსაც დღეს რუსეთი წარმოადგენს. ასე რომ, არანაირი უფლებების დაცვაზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება იყოს — მსგავსი რამეებით დღეს მხოლოდ საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები არიან დაკავებული, რომლებიც, სხვათა შორის, თავის სტანდარტებს არცთუ ობიექტურად და შეუვალად იცავენ. დღეს აღმოსავლეთში, რამდენიც გნებავთ, იმდენი სახელმწიფოა, სადაც ადამიანის უფლება კი არა, სიცოცხლეც კი ჩალის ფასად არ ეღირთ. მაგრამ დასავლეთთან სტრატეგიული პარტნიორობის გამო, მათ არც საპროტესტო ნოტას უგზავნის ვინმე და არც რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციიდან გარიცხვით ან ეკონომიკური სანქციით ემუქრება. თუმცა, რუსეთის შემთხვევაში ალბათ, ევროსაბჭო მაინც გამოიღებს ხელს და მას ცოტა „ყურს აუწევს“, რუსეთს კი, ტრადიციულად, „იმხელა ყურები“ აქვს, ეს მასზე არ იმოქმედებს. ასე რომ არ იყოს, პირადად ლავროვთან ნებისმიერ საერთაშორისო პოლიტიკურ უწყებას უნდა გასჩენოდა ოფიციალური შეკითხვა, — რომელ კანონიერ ინტერესებზე ლაპარაკობდა რუსეთის საგარეო უწყება თავის განცხადებაში? რა კანონიერი ინტერესები შეიძლება ჰქონდეს ერთ სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს ერთ-ერთ მხარეში? — არადა, რუსეთი დღემდე საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებდა, ამ მთლიანობაში კი აფხაზეთიც იგულისხმება და სამხრეთ ოსეთიც. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო დღემდე. მაგრამ, როგორც ჩანს, რუსეთის მდგომარეობა თანდათან რთულდება — უკრაინაში არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენები კრემლისთვის არასასურველი სცენარით ვითარდება. თუ მოსკოვი კიევზე გავლენას დაკარგავს, მას მხოლოდ ბელორუსია შერჩება ხელთ, სადაც ყველაფერი ერთი კაცის ჯანმრთელობასა და ქმედებაზეა დამოკიდებული — ლუკაშენკოს ხვალ რა მოუვა, ან რა ჭკუაზე იქნება, არავინ იცის. ამერიკის შეერთებული შტატები შუა აზიაშიც თანდათან იმაგრებს პოზიციებს... ამ ყველაფრის გათვალისწინებით, როდესაც რუსი პოლიტიკოსები მათ მიერვე ნალოლიავები და ძალად შექმნილი კონფლიქტების კერებზე უბრალო ხალხის მხრიდან ამხელა წინააღმდეგობას აწყდებიან, გასაგებია, რომ გაცოფდებიან. კრემლმა აფხაზეთში შეცდომა დაუშვა, როდესაც არძინბას რეჟიმის ნებაზე მიშვებით ხალხს თავი შეაძულა — არადა, რუსეთი მანამდე ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ აფხაზი ხალხის ნომერ პირველ მეგობრად და „აგრესორი საქართველოსგან“ დამცველ ერთადერთ სახელმწიფოდ წარმოჩენილიყო. პირადი სატრაპების გაგზავნამ, სპეცდანიშნულების ძალებმა და აგენტურამაც რომ ველარაფერი გააწყვეს, მოსკოვი წლების მანძილზე დამუშავებულ კოზირს ათამაშებს — საქართველოს მხრიდან მძაფრი რეაქციის შემდეგ რუსეთის საგარეო უწყება აფხაზეთში მცხოვრები თავისი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე ალაპარაკდა. თუმცა დღეს კონფლიქტების მომგვარებელ ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში გეტყვიან, როგორი გულუხვობით არიგებდნენ რუსები აფხაზეთში პასპორტებს. სწორედ ეს მოჰყავთ დღეს რუს დიპლომატებს თავის გამართლების ერთადერთ არგუმენტად. თუმცა ამავე განცხადებაში მეორე „შეცდომაც“ იყო „გაპარული“ — კრემლი მხარეებს მოუწოდებდა, სიტუაცია კანონიერი არჩევნების გზით მოეგვარებინათ. რომელ კანონიერ საპრეზიდენტო არჩევნებზე შეიძლება იყოს ლაპარაკი აფხაზეთში სერიოზული სახელმწიფოს მხრიდან?! თუმცა, დარწმუნებული ვარ, რუსეთს არც ამ პასპორტების გათამაშება უშველის და საბოლოოდ ისე გაუხდება საქმე, რომ იმასაც განაცხადებს, აფხაზეთში ჩემს მოქალაქეებს იმის მიუხედავადაც დავიცავ, ენდომებათ თუ არა ეს თვითონო...

> როგორც ჩანს, რუსეთის მდგომარეობა თანდათან რთულდება – უკრაინაში არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენები კრემლისთვის არასასურველი სცენარით ვითარდება. თუ მოსკოვი კიევზე გავლენას დაკარგავს, მას მხოლოდ ბელორუსია შერჩება ხელთ, სადაც ყველაფერი ერთი კაცის ჯანმრთელობასა და ქმედებაზეა დამოკიდებული – ლუკაშენკოს ხვალ რა მოუვა, ან რა ჭკუაზე იქნება, არავინ იცის. ამერიკის შეერთებული შტატები შუა აზიაშიც თანდათან იმაგრებს პოზიციებს... ამ ყველაფრის გათვალისწინებით, როდესაც რუსი პოლიტიკოსები მათ მიერვე ნალოლიავები და ძალად შექმნილი კონფლიქტების კერებზე უბრალო ხალხის მხრიდან ამხელა წინააღმდეგობას აწყდებიან, გასაგებია, რომ გაცოფდებიან.

**— გასულ კვირას ვითარება უკიდურესად დაიძაბა ცხინვალის რეგიონშიც. როგორც ჩანს, სოჭის შეხვედრაზე, ქართული და ოსური მხარის მიერ გამოჩენილი კეთილი ნება (ყოველ შემთხვევაში, მანამდე მსგავსი რამ არ მომხდარა) მავანს ძალიანაც არ აძლევს ხელს...**

— ვფიქრობ, არცთუ ძნელი მისახვედრი უნდა იყოს, ვინ არის ეს „მავანი“ — ის, ვინც სოჭში მესამე მხარეს წარმოადგენდა. ეს კრემლის სტილია და სხვათა შორის, არა მხოლოდ საქართველოსთან მიმართებაში. რუსეთიდან, გარკვეული პოლიტიკური და სამხედრო ძალები, ყოველთვის ცდილობდნენ სასურველ რეგიონში კონფლიქტი ჯერ შეექმნათ და გაემწვავებინათ, შემდეგ კი მარადიულ მომრიგებელ მოსამართლეებად გამოსულიყვნენ. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან შიდა ქართლის ოსური მოსახლეობა რუსეთის მიმართ იმავე დასკვნებს გამოიტანს, რაც აფხაზებმა გამოიტანეს. ჯერჯერობით, კოკოითის კლანი კვლავაც მძლავრობს და ბუნებრივია, რომ თავისი ქონების დაკარგვის შიშით რუსეთს ყველაფერში უსიტყვოდ ემორჩილება, იმისდა მიუხედავად, თუ რას ფიქრობს, ან რას იტყვის ქართულ მხარესთან ამა თუ იმ შეხვედრაზე. პირადად მე, სოჭის შეხვედრიდან არც არაფერს მოველოდი და მიმაჩნია, რომ ქართული მხარეც იქ მხოლოდ ზრდილობის გამო თუ იყო წასული — მერე რუსებს რომ არ ეთქვათ, ჩვენ მიერ ტანჯვითა და წვალებით ორგანიზებული შეხვედრა ქართული მხარის გამოუცხადებლობის გამო ჩაიშალაო. თორემ, არა მგონია, ჟვანია და ხაინდრავა ისეთივე გულუბრყვილო იყვნენ, როგორი ნეტარი სახეებიც ამ შეხვედრის შემდეგ ჰქონდათ. რა იყო მოლაპარაკების მთავარი შედეგი? — დემილიტარიზაცია, მაგრამ ასეთი რამის გაკეთება სამაჩაბლოს რეგიონში ხომ, პრაქტიკულად, შეუძლებელია. იქ ხომ რეგულარული ჯარი არ დგას — ბოევიკები არიან. ბოლოსდაბოლოს, ადგებიან და ხუთიდან სამ ტყვიამფრქვევს იქვე, სარდაფში გადამალავენ. როგორ შევამოწმებთ? სხვათა შორის, ცივი ომის საშიშროებისას, ამერიკასაბჭოთა კავშირის მოლაპარაკებების დროს, მთავარი დაუძლეველი პრობლემა იარაღის კონტროლი და მისი მექანიზმები იყო. ამასაც რომ თავი დავანებოთ, კოკოითი ყაჩაღი, მაფიოზი და საკუთარი ხალხის გამყიდველი კია, მაგრამ დეგენერატი ნამდვილად არ არის, რომ იარაღზე უარი თქვას და ამით ჰარაკირი გაიკეთოს. ქართული მხარიდან საშიშროებაზეც აღარ არის აქ ლაპარაკი, იარაღის გარეშე კოკოითს საკუთარ ხალხთან ურთიერთობა გაუჭირდება და იქ გავლენის შენარჩუნებას ვეღარ შეძლებს. ასე რომ, შესაძლებელია, ვინმეს ამის მოსმენა ძალიანაც არ უნდოდეს, მაგრამ პირადად მე არ მჯერა, რომ კოკოითის რეჟიმთან მოლაპარაკების გზით ცხინვალში რაიმე პრობლემის მოგვარებას შევძლებთ. რასაკვირველია, კეთილი ნების გამოხატვა ხელისუფლების მხრიდან უნდა ხდებოდეს, თუმცა არც მთლად კოკოითის სიტყვაზე უნდა ვიყოთ დამოკიდებული — იმ „კაცის“ რა დაიჯერება, ვინც აგერ უკვე, ორასი თუ სამასი წელია, გვატყუებს და მით უმეტეს, როცა ლაპარაკია, იმ „კაცის კაცზე“...

**— ნოემბრის რევოლუციიდან ერთი წელი გადის — რამდენად გვაძლევს დღეს არსებული ვითარება იმის თქმის საშუალებას, რომ ქვეყანა განვითარების სწორ გზაზე დგას?**

— არა მგონია, მთლად მართებული იყოს, ერთი წლის შემდეგ რაიმე შედეგებზე, კარგზე ან ცუდზე, გადაჭრით და ცალსახად ვისაუბროთ, რადგან ერთი წელი ძალიან მცირე დროა დასკვნების გამოსატანად. რასაკვირველია, უამრავი პრობლემა არსებობს — დანაშაულობებმა იმატა, გაიზარდა უმუშევართა რიცხვიც, გაძვირდა პროდუქტები და ა.შ. მაგრამ ჩემთვის დამაიმედებელი ის გახლავთ, რომ სახელმწიფოში ამ პრობლემებთან შერკინების პოლიტიკური ნება და სურვილი გამოჩნდა. თუნდაც, უმუშევრობა ავიღოთ, ბუნებრივია, ქვეყანაში უმუშევართა არმია გაჩნდებოდა, რადგან მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროში 35 ათასი ადამიანი იყო „დასაქმებული“. მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მაშინაც, როცა ეს ხალხი ამ და სხვა სამინისტროებსა და სახელმწიფო უწყებებში მუშაობდა, 20-ლარიანი ხელფასით ვერც თავს ირჩენდა და ვერც ოჯახებს? აბა, რა უნდა ექნა ახალ ხელისუფლებას — ამდენ ხალხს 500 და 1000-ლარიან ხელფასებს ვერ დაუნიშნავდა. ჯერ ერთი, ამის საშუალება არ იყო და მეორეც, რატომ უნდა დაენიშნა, როცა ერთი კაცის ადგილზე ხუთი იყო გაფორმებული. ბუნებრივია, შემცირებები მოხდა, ანუ, ხელისუფლებამ თავისი წინამორბედებივით უარი არ თქვა პრობლემის მოგვარებაზე და საკუთარი ხალხი ქურდად არ აქცია. თავის დროზე, პრეზიდენტმა შევარდნაძემ გეოლოგიის დეპარტამენტში ძალით შესული დევნილების გამოსახლებაზე თვითონვე თქვა უარი, — შეეშინდა, მიტინგს გამართავენო, ასე გრძელდებოდა სასტუმრო „ივერიასთან“ დაკავშირებითაც. ალბათ, გახსოვთ, თავიდან ამ შენობის დაცლაზე რომ დაიწყო ლაპარაკი, დევნილები ამბობდნენ, რად გვინდა შვიდი ათასი, რუსთაველს ისე შევეჩვიეთ, ვერსად გადავალთო... მაგრამ ხელისუფლების ნება რომ გამოჩნდა, კეთილი ინებეს და გადავიდნენ.

სამწუხაროდ, ისევ ძველებურად ხდება ცემა-ტყეპა ციხეებში, კრიმინალური ფონი კვლავ მძიმეა — პირად მაგალითს გეტყვით, ჩემი მეუღლე რამდენიმე დღის წინ შუა კეკელიძეზე გაძარცვეს და ფეხი მოსტეხეს, გამოძახებული საპატრულო პოლიცია კი ერთი საათის დაგვიანებით მოვიდა. მაგრამ ხომ უნდა გავაცნობიეროთ, რომ 4 თვეში ვერ შეიქმნება ისეთი რეაგირებისა და უნარის საპატრულო პოლიცია, როგორსაც ამერიკელები ათწლეულების მანძილზე ქმნიდნენ? ამგვარივე ვითარებაა სხვა სფეროებშიც. მთავარი ის კი არ არის, რა გაკეთდა, მთავარი ის არის, თუ როგორ კეთდება — როგორც ვამჩნევ და ვხედავ, მცდელობა არის, რომ ყველაფერი კარგად გაკეთდეს. ბუნებრივია, ტყუილად არავის შექებას არ ვაპირებ, — შეცდომები მრავლად არის, თუმცა ვიმეორებ, ჩემთვის მთავარი პოლიტიკური ნების არსებობა გახლავთ.

> სამწუხაროდ, ისევ ძველებურად ხდება ცემა-ტყეპა ციხეებში, კრიმინალური ფონი კვლავ მძიმეა – პირად მაგალითს გეტყვით, ჩემი მეუღლე რამდენიმე დღის წინ შუა კეკელიძეზე გაძარცვეს და ფეხი მოსტეხეს, გამოძახებული საპატრულო პოლიცია კი ერთი საათის დაგვიანებით მოვიდა. მაგრამ ხომ უნდა გავაცნობიეროთ, რომ 4 თვეში ვერ შეიქმნება ისეთი რეაგირებისა და უნარის საპატრულო პოლიცია, როგორსაც ამერიკელები ათწლეულების მანძილზე ქმნიდნენ? ამგვარივე ვითარებაა სხვა სფეროებშიც. მთავარი ის კი არ არის, რა გაკეთდა, მთავარი ის არის, თუ როგორ კეთდება – როგორც ვამჩნევ და ვხედავ, მცდელობა არის, რომ ყველაფერი კარგად გაკეთდეს. ბუნებრივია, ტყუილად არავის შექებას არ ვაპირებ, – შეცდომები მრავლად არის, თუმცა ვიმეორებ, ჩემთვის მთავარი პოლიტიკური ნების არსებობა გახლავთ.

***დაჩი გრძელიშვილი***

## ... ᲓᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ



## ᲐᲠᲘᲡ ᲜᲣᲒᲔᲨᲘ

შებინდებული იყო, როდესაც ჯიქიას ქუჩის ალმართზე მდებარე თავშესაფრის ეზოში შევედი. სანთლის სუსტი შუქი და ერთ ოთახში თავმოყრილი ბავშვების ყიჟინა ვერ ცვლიდა ფანჯრებამოლებული, უპატრონო ძაღლების ბუნაგად ქცეული შენობის პირქუშობას, სადაც ცივილიზაციის ერთადერთი ნიშანი — თავშესაფრის ეზოში შეყვანილი „კრანის“ წყალია. თელასის 500 ლარის დავალიანების გამო კარგა ხნით გაშინაურებული სიბნელე სხვადასხვა მიზეზით ერთად მცხოვრებ ადამიანებს ამძიმებთ და კიდევ უფრო აახლოებს... აქ მოსახლე 15 კაციდან 5 მარტოხელა დედაა, ერთი განგრენით დაავადებული ავადმყოფი, ერთიც სკლეროზიანი მოხუცი, დანარჩენი კი — ბავშვი... ეს ხალხი დაქცეულ შენობაში მაშინ შესახლდა, როცა პრეზიდენტმა აქაური „მობინადრენი“ წავკისში გადაიყვანა. ასეთ არაადამიანურ გარემოში ცხოვრება სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა, უფრო წარმოუდგენელი რომ არ იყოს გარემოებები, რამაც ეს ადამიანები აიძულა, ცარიელ კედლებს შეფარებოდნენ. თუმცაღა აქაურობას ღვთის მფარველობისა და კაცის სიკეთის კვალი მაინც ემჩნევა — როგორც გავიგეთ, საქართველოს საპატრიარქო და „ჯეოსელი“ შეძლებისდაგვარად აწვდიან პროდუქტს აქაურებს... სხვა დანარჩენი კი, რაც ადამიანს სჭირდება, მათთვის პრაქტიკულად მიუწვდომელია... ბავშვებიდან უმცროსი, მერი, 7 თვისაა, უფროსი, ნიკა — 6 წლის... დანარჩენებთან შედარებით ნიკა და დედამისი (თბილისში ცნობილი ოჯახის წარმომადგენელი) „პრესტიჟულ“ ოთახში ცხოვრობენ (თუმცა არც შუქი აქვთ და არც წყალი). მაგრამ ნიკა, თავის ტოლებთან შედარებით, ყველაზე დაჩაგრულია — დაბადებიდან ფსიქიკური გადახრა აქვს და შიდა ქალის წნევა აწუხებს... გარეგნულად არაფერი ეტყობა, მაგრამ როცა სენი უმწვავდება, სახე ეცვლება... დანარჩენ ბავშვებს ყველაფრით გაახარებ — კანფეტით, ჩასაცმელით, სათამაშოთი, ნიკასთვის კი ყოველივე ეს არ კმარა, მას გამუდმებით სჭირდება წამლები. დედამისმა ყველაფერი, მათ შორის, სახლიც გაყიდა და თანდაყოლილი დაავადებით დაბადებული შვილი უმძიმესი მდგომარეობიდან გამოიყვანა — იმდენი შეძლო, რომ ბავშვი, რომელიც სამ წლამდე „კალიასკიდან“ ვერ გადმოდიოდა, ხელ-ფეხს ვერ იმორჩილებდა და ხმას ვერ იღებდა, დღეს დარბის და ლაპარაკობს კიდევაც...

— პათოლოგიით დაიბადა... წინასწარ ვიცოდი, რაც მელოდა... ზოგიერთი ახლობელი მირჩევდა, — ბავშვი დატოვე, მაინც ვერ იცოცხლებს და ორივე დაიტანჯებითო... არც მე გავაკეთე ეს და არც ჩემმა უფროსმა შვილმა ლადომ... ჩვენ წამოვიყვანეთ ნიკა სამშობიაროდან... ამის შემდეგ დაიწყო უბედურებები... ნიკას მამამ მიმატოვა, ბავშვის მკურნალობას კი იმდენი ფული უნდოდა, სახლი ჯერ დავაგირავე, მერე გავყიდე, კარგა ხანს ჩემი უფროსი შვილის ძიძასთან ვცხოვრობდით. მერე ნაქირავებში გადავედით... ბინის ქირა რომ გადამეხადა, უფროსმა შვილმა ინსტიტუტი მიატოვა და ბენზინგასამართ სადგურზე დაიწყო მუშაობა. მაგრამ 17 წლის ბავშვი როდემდე არჩენს ოჯახს... დიასახლისმა გამოგვყარა, თან ბავშვის ტანსაცმელი დაიტოვა — თუ ქირას არ მომცემთ, არ გაგატანთო...

— *უფროსი შვილიც თქვენთან ერთად ცხოვრობს?*

— არა, რცხვენია. საბედნიეროდ, ახლა სამხედრო აკადემიაში სწავლობს, იქ არც საჭმელი აკლიათ და ღამის გასათევიც აქვს... თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებ, რომ შვილის გამო დავკარგე ყველაფერი... ექიმი მეუბნება, ნიკა შესაფერის გარემოში თუ მოხვდა, შეიძლება განიკურნოს კიდეცო... მეც ასე მგონია...

— *წამლები ხშირად სჭირდება?*

— ყოველთვის და საკმაოდ ძვირად ღირებულიც... გარდა ამისა, სამედიცინო კონტროლზე წელიწადში ერთხელ მაინც ხომ უნდა მივიყვანო... ნიკას ექიმი რამდენი წელიწადია არაფერს მთხოვს, მაგრამ არის ისეთი სამედიცინო მომსახურებაც, უფულოდ რომ არაფერი გამოგივა.

— *თქვენ მუშაობთ?*

— არა... ხანდახან მეგობრებთან ერთად ნამცხვრებს ვაცხობ...

— *როცა თავშესაფრიდან გადიხართ, ბავშვს ვის უტოვებთ?*

— აქაურებს, ვისაც ღუმელი აქვს... მაინც მადლობელი ვარ უფლისა, თავზე მაინც აღარ მაწვიმს... როცა იმედი გადამეწურება ხოლმე, სწორედ მაშინ გამომიჩნდება საშველი — ხან ვინ გამოგვიწვდის ხელს, ხან ვინ, თორემ აქამდე რა გვაცოცხლებდა. ამას წინათ გერმანიის ელჩის მძღოლს თანამშრომლებში შეგროვილი ფული ამოუტანია, არავინ დახვედრია და უკან წასულა...

— *ნიკას სახელმწიფო არ ეხმარება?*

— 21 ლარი აქვს პენსია.

...დანარჩენ პატარებს ესეც არ აქვთ... ღამღამობით, 7 თვის მერის დედა თავის პალტოში ხვევს და მკერდში იკრავს. გოგონა დედის სითბოს იგრძნობს თუ არა, ტირილს „სიმღერით“ ცვლის და ბნელი ღამეც იმედით თენდება. ქალები შეშისათვის სასაფლაოზე ადიან, ცხვირდაწითლებული ბავშვები ეზოში დარბიან... განგრენიანი ქალი კი საქართველოს საპატრიარქოსგან გადარიცხული ფულით ოპერაციას ელის, ხოლო სკლეროზიანი მოხუცი საჭმელს დაეძებს...

და მაინც, არის ნუგეში — ბავშვები, რომლებიც აქ იზრდებიან! დედებს სჯერათ, რომ ისინი მაინც იცხოვრებენ ადამიანურად... მანამდე კი გთხოვთ გულმოწყალე ადამიანებს, ამ ხალხს ხელოვნური სინათლით მაინც გაუნათოთ გული...

**პატარა ნიკას ანგარიში კი სახალხო ბანკშია ასეთია: 36010496.**

***ეთერ ერაძე***

# ᲛᲐᲛᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲝ ᲐᲨᲔᲜᲓᲐ

ნათქვამია, ეკლესია რაც უფრო მაღალ ადგილას არის აგებული, მით მეტი მადლი აქვსო.

მთაწმინდაზე, მამადავითის ეკლესიაში მიმავალი მორწმუნეები ალმართის ფეხით ავლას არ ერიდებიან. გოგო-ბიჭებსაც ხშირად შეხვდებით, აქაურობას არც უცხოელი დამთვალიერებელი აკლია...

მამადავითზე ხალხმრავლობა წვიმიან ამინდშიც არ წყდება. მომლოცველები ტაძრებში შედიან. ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი ზედ მღვიმეზეა მიდგმული. ჯვარგუმბათოვანი, წმინდა ლუკიანეს ტაძარიც კლდეზეა მიბჯენილი.

ჩვენი წარსულით დაინტერესებული უცხოელი სტუმრები მასპინძლებს შეკითხვებით ავსებენ.

ამერიკელ სტივენს მაკურნებელი წყლით სავსე ჭიქას აწვდიან.

— ეს რა წყალია, საიდან მოედინება? — კითხულობს ამერიკელი დამტვრეული რუსულით.

— როცა მამა დავითი აქ დასახლდა, წყალი ახლომახლო არსად ყოფილა. მისი ლოცვის შემდეგ დაუწყია კლდიდან დენა...

— მერე ასეთი წყალი ასე მიედინება?! — განცვიფრებას ვერ ფარავს უცხოელი და ახალ შეკითხვას იძლევა:

— ეს ორი ეკლესიაც ძველია?

— არა, ამ წყლის დასაცავად ახლა ააშენეს.

*ქეთო დოლიძე*, მამადავითის ეკლესიის მრევლის წევრი:

— ყოველ ხუთშაბათს დიდ ტაძარში მამა დავითის სახელზე პარაკლისი ტარდება. ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში კი ოთხშაბათობით აღევლინება წირვა-ლოცვა. აქ, საკურთხევლის წინ მღვიმეა, სადაც მამა დავითის საცხოვრისი ყოფილა. მღვიმიდან სამკურნალო წყალი მოედინება...

პანთეონში ივანე მაჩაბლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და იაკობ გოგებაშვილის საფლავებს შუა მოქცეული სამლოცველო დარბაზული ტიპისაა. იგი სულ ახლახან, 25 ოქტომბერს აკურთხეს.

მამადავითის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი *მამა ბასილი (კოკვაძე)*:

— ამჟამინდელი მამადავითის ეკლესია, ერთ-ერთ ასურელ მამას, დავით გარეჯელს დაუარსებია. ადრე ეს ეკლესია ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობისა ყოფილა. ამიტომაც



მღვიმეზე მიდგმული მცირე ზომის ტაძარი ამ ხატის სახელზე ვაკურთხეთ. გვინდა აქ სამონასტრო ცხოვრება აღდგეს.

არქიტექტორი *თეიმურაზ ბერიძე*:

— რამდენიმე წლის წინ დავიწყეთ ამ ადგილის ტუფის ქვით მოპირკეთება. მუშაობისას წავაწყდით უძველეს ნიშს, რომლის მიღმა არაჩვეულებრივი მღვიმე გამოჩნდა. როგორც ჩანს, დავით გარეჯელს აქ სენაკიც ჰქონდა მოწყობილი. სწორედ აქ გამოეცხადა ღვთისმშობელი და წყაროც აღმოცენდა. აქვე ნაპოვნია წმინდა ნაწილები...

დავითის ცრემლების წყაროზე, ჯვარგუმბათოვანი სამლოცველოა მიდგმული. აქვეა ხისგან ნაგები საკნებიც, რომლებიც მომავალში ბერებს დაეთმობა...

***თეა ცაგურიშვილი***





# „ვისაც პოლიტიკური კარიერიზმი აწუხებს, მისი ადგილი აქ არ არის“

ცოდნის ტაძარში დღეს ცოდნაზე ნაკლებად ფიქრობენ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც წესით ქართული განათლების აკვანი უნდა იყოს, მავანთ ქარვასლად გადაუქცევიათ. სწავლას მოწყურებული გოგო-ბიჭების ნაცვლად, იქ ამბიციითა და კარიერიზმის ჟინით აღვსილი ისეთი ახალგაზრდები ჩანან, თმა ყალყზე დაგიდგება. ჩემო უმცროსო მეგობრებო, არ იცით და არავინ გასწავლათ, რომ ასეთი ღვარძლის ნთხევა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უტაქტობაა? არ გრცხვენიათ, რომ ასეთ ვნებებს მთელი ქვეყნის დასანახად აამჟღავნებთ? საიდან ასეთი მოურიდებლობა? თუ თანატოლებში ყოჩობამ თავგზა აგირიათ და გაფიქრებინათ — მე ვარ და ჩემი ნაბადიო... ტელეეკრანიდან თქვენს „გამართულ ქართულსა“ და აზრთა წყობას რომ ვუსმენდი, გულწრფელად გეტყვით — გული მტკიოდა. თქვენი საქციელით ჩვენ, ყველა უნივერსიტეტელს, მოგვაყენეთ შეურაცხყოფა. ჩემი თაობა (თქვენზე ბევრად უფროსი არ ვარ) უნივერსიტეტში ცოდნის მისაღებად დადიოდა. ჩვენ, ფილოლოგების ჯგუფმა, 4 თანაკურსელი ბიჭიდან 2 აფხაზეთის ომში გავაცილეთ. საბედნიეროდ, ისინი მშვიდობით დაბრუნდნენ, მაგრამ რამდენი დაიღუპა ომში მშობლიური მიწის დაცვისას... ამას რომ გეუბნებით, თავს კი არ გამეტებთ და ნიშნს კი არ გიგებთ, უბრალოდ გვინდა, უფრო კარგი, ერთმანეთისა და თქვენი საქმის მოყვარე იყოთ... თქვენი აფხაზეთის ომი დღეს თბილისში, უნი-



# „ჩვენ გვინდა ევროპული სტილის, მაგრამ ამავდროულად ეროვნული უნივერსიტეტი“...

ვერსიტეტშია და თავგამოდება მხოლოდ ცოდნის მიღებაში გმართებთ და არა პოლიტიკურ „ლაზღანდარობაში“ შეჯიბრი. განა თქვენზე ჭკვიანი და სანდო ხალხი დაილია ცოდნის ტაძარში? უნივერსიტეტი ინგრევაო, ჩივით. უნივერსიტეტს აგურ-აგურ პოლიტიკურ ავანსცენად მისი გადაქცევა დაშლის, მაგრამ რატომღაც თქვენ პოლიტიკური ლელოს გატანა სწორედ უნივერსიტეტში გადაგიწყვეტიათ (ბოდიშს მოვუხდი მკითხველს ჩემი ამ ემოციური შესავლისთვის, მაგრამ თავს უფლება ვერ მივეცი, ჩემი აზრი არ გამომეთქვა იმ ყველაფერზე, რაც დღეს უნივერსიტეტის სახელით ხდება ან უფრო სწორად, ახდენენ...).

ერთ თვეში უნივერსიტეტის ახალ რექტორს აირჩევენ, მანამდე კი ვნებათა დუღილი იქ ალბათ პიკს მიაღწევს. განათლების რეფორმის (სინამდვილეში კი კანდიდატების) მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ძიძგილაობა უკვე ფიზიკურ ანგარიშსწორებაში გადადის.

სტუდენტური ჯგუფის მიერ წამოყენებულ რექტორობის კანდიდატს, ენათმეცნიერ **მიხეილ ქურდიანს** უნივერსიტეტში შევხვდით:

— საქართველოს განათლების სისტემას რეფორმა აუცილებლად სჭირდება. ეს კანონპროექტები ვერ ასახავს განათლების სისტემის სტრატეგიას. უნივერსიტეტში ცვლილებები აუცილებელია და საამისო პროექტიც გვაქვს. უნივერსიტეტის ავტონომია იმას ნიშნავს, რომ ჩვენ თვითონ უნდა განვსაზღვროთ, რის გაკეთება გვინდა და როგორ. დღეს გვეუბნებიან, ამ კანონპროექტით გაცილებით ფართო ავტონომია ენიჭება უნივერსიტეტს, რაკი დეკანატებს ეძლევათ მეტი უფლებებიო. ეს იგივე იქნება, სახელმწიფოს სუვერენიტეტი რომ წაართვა და მის შემადგენელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს დამოუკიდებლობა მიანიჭო. როდესაც რექტორის მოხსნა შეუძლია განათლების მინისტრსაც და პრეზიდენტსაც (იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას სისხლის სამართლის დანაშაული არ აქვს ჩადენილი), რომელ ავტონომიაზეა ლაპარაკი?

— **რეფორმის პროექტს ხშირად ანტიეროვნულს უწოდებენ, რით გამოიხატება ეს?**

— ეს კანონპროექტი უნივერსიტეტში გენოციდს და ქართველთა ამოწყვეტას არ აპირებს, მაგრამ... საზოგადოდ, სახელმწიფო არის ერის თანხმობა საერთო მომავალზე. განათლება კი არის ერის მომავლის ძირითადი შემადგენელი ნაწილი და მინდა ერი თავისი მომავლის ამ სფეროზეც შეთანხმდეს. ჩვენ გვინდა ევროპული სტილის, მაგრამ ამავდროულად ეროვნული უნივერსიტეტი. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს უნივერსიტეტში სახელმწიფო ენასა და სახელმწიფოს ისტორიას — ამის გარეშე უნივერსიტეტი ვერ აღზრდის სრულფასოვანი მენტალიტეტის მქონე ახალგაზრდას. არ ვამბობ, წარმოდგენილი კანონპროექტი ამას ებრძვის-მეთქი, მაგრამ, როდესაც მისი დამცველები საზოგადოებას რეტროგრადებად და დემოკრატებად ყოფენ და მხოლოდ თავიანთ მხარდამჭერებს მიიჩნევენ პროგრესულებად, ეს არასწორად მიმაჩნია. როდესაც ამბობენ, რომ ამ კანონპროექტის ავტორებმა დასავლური უნივერსიტეტების დებულებები პირდაპირ გადმოიწერესო, ბუნებრივია, ის შეეწინააღმდეგება იმ ტრადიციებს, აქამდე რომ არსებობდა ჩვენს უნივერსიტეტში.

— **ბატონო მიშა, რამდენად გაკმაყოფილებთ უნივერსიტეტში სწავლების ხარისხი?**

— სრულიად არ მაკმაყოფილებს და ამიტომ შევქმენი საგანგებო მექანიზმი სტუდენტისა და მასწავლებლის ცოდნის დონის შესამოწმებლად და ასამაღლებლადაც. ჩინეთში არსებობს კალიგრაფიის კოლეჯები, სადაც გამოცდას ერთდროულად მოსწავლე და მასწავლებელი აბარებენ. ისინი გამოდიან დაფასთან და ჩაბნელებულ ოთახში წერენ რაიმე ტექსტს — თუ მოსწავლის ნაწერი მასწავლებლის ნამუშევარზე ნაკლები იქნება, ასეთ მოსწავლეს კიდევ ერთი წლით ტოვებენ სასწავლებელში. დაახლოებით ასეთი რამის დანერგვა მინდა უნივერსიტეტში(?!). სამაგისტრო შრომა უნდა აჩვენებდეს მასწავლებლის გაწეულ შრომასაც და სტუდენტის მომზადების დონესაც.

— **უნივერსიტეტში არსებულ კორუფციაზე რას იტყვით?**

— ბედნიერი ვარ, რომ მომავალი წლიდან საერთო-ეროვნული გამოცდები ჩატარდება. არ ვამბობ, რომ აქამდე ყველა პროფესორ-მასწავლებელი კორუმპირებული იყო, მაგრამ ასეთი სტილის გამოცდების შემოღებით ლაპარაკის საფუძველი რომ მოისპობა, ესეც ბევრს ნიშნავს. არ ვართ დაზღვეული, რომ კორუფცია გამოცდების ეროვნულ ცენტრში არ გადაინაცვლებს, მაგრამ აქედან რომ ამოიძირკვება, მოხარული ვარ.

— **სტუდენტების ზედმეტად პოლიტიზება და დაპირისპირება არ მიგაჩნიათ ახლანდელი უნივერსიტეტის მანკიერებად?**

— უნივერსიტეტი დეპოლიტიზებული უნდა იყოს. სტუდენტების დაპირისპირებას გარედან შემოსული ძალა ახდენს და ვინც არ უნდა გახდეს რექტორი, მან უპირველესად უნივერსიტეტი უნდა გააერთიანოს. ვისაც პოლიტიკური კარიერიზმი აწუხებს, მისი ადგილი აქ არ არის.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*

თემის გაგრძელება

# „მზად ვარ, პასუხი ვაგო და ტალახის სროლაც ავიტანო“

## პრეზიდენტის ჯიბეში არასოდეს ჩავმძვრალვარ

**როგორც ვვარაუდობდით, „კვირის პალიტრის“ პუბლიკაციას საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების უცნობ დეტალებზე და ინტერვიუს ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრ ბაჩუკი გვანცელაძესთან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. რედაქციაში ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრი ვალტერ შურღაია გვეწვია, რომელმაც ბაჩუკი გვანცელაძის საკმაოდ მძიმე ბრალდებებს უპასუხა. ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება, რა არგუმენტები აქვს ვალტერ შურღაიას:**

— 1993 წელს სამეგრელოში შევარდნაძის ძალების შესვლას უმძიმესი შედეგები მოჰყვა. ამის შემდეგ პრეზიდენტს ვეძებდი, მაგრამ ვერსად მივაგენი. ხმა მომივიდა, თავად პრეზიდენტიც გეძებსო... ორჯერ მივაგენი ზვიადის კვალს და ორჯერვე გავუგზავნე წერილი. პირველად არ გამიმართლა, რადგან გოჩა ოთხოზორია დააპატიმრეს, მაგრამ გოჩამ წერილის განადგურება მოასწრო. პრეზიდენტისთვის გაგზავნილი ეს წერილი ამჟამად აღარ არსებობს. მეორე წერილი კი პრეზიდენტს ჩემი თანამებრძოლის, გოჩა რაფავას ხელით გავუგზავნე. მან პრეზიდენტი ნახა, მაგრამ წერილის პირადად გადაცემა ვერ შეძლო, რადგან მასთან არ მიუშვეს და იძულებული გახდა, წერილი დაცვის წევრებისთვის გადაეცა. სხვა წერილი ზვიადისთვის არ გამიგზავნია. თუ ბაჩუკი გვანცელაძე თავის ინტერვიუში ამ წერილს გულისხმობდა, (სადაც თითქოს მე სამეგრელოს ავტონომიის გამოცხადებას მოვითხოვდი) მოვითხოვ, რომ პრესაში გამოაქვეყნოს, ის უთუოდ ჩემი ხელნაწერი უნდა იყოს, თანაც თავიდან ბოლომდე უნდა დაიბეჭდოს. ამონარიდების მიხედვით ამ წერილის განხილვა არ შეიძლება. ამის შემდეგ გავაკეთებ კომენტარს და, რა თქმა უნდა, ერთ კითხვასაც დავუსვამ გვანცელაძეს — რა უფლებით წაიკითხა წერილი, რომელიც ზვიად გამსახურდიას არქივში უნდა ინახებოდეს. თუ გვანცელაძე ჩემს კატეგორიულ მოთხოვნას არ შეასრულებს, აუცილებლად მოვთხოვ პასუხს.



როდესაც ზვიად გამსახურდიას მკვლელობაზე ვლაპარაკობდი, არასოდეს არც ერთ პირზე არ გამიკეთებია აქცენტი (მით უმეტეს, გვანცელაძეზე, რომლის მიმართ სიმპათიით ვიყავი განწყობილი). იმედი მაქვს, ახლა მაინც მოხერხდება ამ საქმის გამოძიება. კატეგორიულად მოვითხოვ საქართველოს პრეზიდენტისგან, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გარემოებების შემსწავლელ კომისიას მუშაობის საშუალება მისცეს. შესაძლოა პრეზიდენტმა არც იცის, რომ მის მიერ შექმნილ კომისიას მუშაობის საშუალება არ აქვს. გამოძიების საქმის ბოლომდე მიყვანა მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია. ამ გზით ის უმალ მოუღებს ბოლოს ჭორებს და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. თუ ზვიად გამსახურდია მოკლულია, უსათუოდ მიაგნებენ მკვლელებს. თუ არა და დადგინდება, რომ ამ კაცმა თავი მოიკლა.

გვანცელაძესა და მის გონებაშეზღუდულ მრჩევლებთან სალაპარაკო არაფერი მაქვს, მხოლოდ ერთს ვიტყვი — ჩემს ბიოგრაფიაში შავ წერტილს ვერავინ იპოვის. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა 14 წლისამ დავიწყე, ადვილად ვერავინ შესწვდება ჩემს ცხენს ეროვნულ მოძრაობაში (მაპატიეთ ბატონი კონსტანტინეს პერიფრაზი) და ჩემს სახელს ლაფში ვერავინ ამოსვრის. თუ ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი რამე დამიწერია ან გამიკეთებია, მზად ვარ, პასუხი ვაგო და ტალახის სროლაც ავიტანო.

— **თქვენს წერილში სამეგრელოს ავტონომიის გამოცხადებისკენ თუ მოუწოდებდით ზვიად გამსახურდიას?**

— ჯერ უნდა გავიგო, რომელ წერილზე ლაპარაკობს ბაჩუკი გვანცელაძე და მერე გავაკეთებ კომენტარს. ამ წერილში იმდროინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით საქართველოს ხსნისა და თავისუფლების ჩემეული გზაა განმარტებული. ძალიან საინტერესო წერილია და მინდა ისტორიას დარჩეს. ეს ისეთი წერილია, რომლის წაკითხვის შემდეგ პატრიოტი ქართველის თვალში მხოლოდ და მხოლოდ ავმაღლდები.

— **ორივე წერილის შინაარსი ერთნაირი იყო?**

— არა, სხვადასხვა...

ბატონი ვალტერ შურღაიას განცხადების შემდეგ, ბუნებრივია, **ბაჩუკი გვანცელაძეს** დავუკავშირდით:

— თუ ვალტერ შურღაია პასუხს მომთხოვს, მზად ვარ, ვუპასუხო. თუკი ჩემმა განცხადებამ შეურაცხყო, რატომ არ მიმართავს სასამართლოს? იქ კარგად გაირკვევა, ვინ არის დამნაშავე — ჩვენ თუ ეგენი...

ეს წერილი ნამდვილად არსებობს, მაგრამ ჩემთან კი არა, საზღვარგარეთ ინახება. მისი მოძიება და

### საქართველოს პრეზიდენტი წერილს მხოლოდ ქართველებს თუ დაუწერდა, მაგრამ ვიმსახურებდით ამას?

თქვენი გაზეთისთვის გადმოცემაც, ვფიქრობ, შესაძლებელი იქნება, ოღონდ ეს მაშინ მოხდება, როდესაც ამის დრო დადგება...

— **ბაჩუკი, თქვენ ეს წერილი წაიკითხეთ?**

— მე არა, ბიჭებსა და ბესარიონს თავად პრეზიდენტმა წაუკითხა და თქვა — აი, ვისთან მქონია საქმეო. თორემ მე პრეზიდენტის ჯიბეში არასოდეს ჩავმძვრალვარ, ამას არ ვიკადრებდი...

სანამ ბაჩუკი გვანცელაძის ზემოხსენებულ წერილს მოვიპოვებთ და გაგაცნობთ, შემოგთავაზებთ ინტერვიუს ზვიად გამსახურდიას ესკორტის მოძრაობის უსაფრთხოების უფროსთან, **მურმან ხარაბაძესთან**, რომელიც თურმე პრეზიდენტის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა.

— კომუნისტების დროში 8 წელი ვიმუშავე ქვეყნის პირველი პირების მოძრაობის უსაფრთხოების უფროსად. შევარდნაძის დროს ესკორტის რიგითი წევრი ვიყავი, პატიაშვილსა და გუმბარიძესთან კი ესკორტის უფროსი... ეროვნული ხელისუფლების მოსვლიდან ერთ თვეში ისევ მიხმეს — შენნაირი პროფესიონალი გვჭირდებაო. ძალიან მალე მომენდო ზვიადი. ეს თუნდაც იქიდან ჩანდა, რომ თბილისის ომის დაწყებიდან სამ დღეში, უზენაესი საბჭოს შენობაში მიხმო და მითხრა — ჩემს შვილებს შენ განდობ, თბილისიდან გაიყვანეო.

პრეზიდენტის გვერდით ბევრი უცოდინარი და დილეტანტი ტრიალებდა, ახლა ვფიქრობ, იქნებ ვცდებოდი, ამაზე რომ არაფერს ვეუბნებოდი-მეთქი, მაგრამ მაშინ ისე ხშირად გაისმოდა ფრაზა — „მოგზავნილია“, რომ ვფრთხილობდი, ვინმეს ჩემზე ეჭვი არ გასჩენოდა ან არ ეფიქრათ — პრეზიდენტთან დაახლოების მიზნით აქტიურობსო.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*




# „კოკოევს ყველა გზა მოჭრილი აქვს და ისვრის, აბა, რას იზამს?“

## თვითმარქვია რესპუბლიკის ლიდერს მოსკოველი კრიმინალები ემტერებიან



ორიოდე კვირის წინ სოფელ კეხვიდან გატაცებული ელდარ კახნიაშვილის ადგილსამყოფელი ისევ უცნობია. ცხინვალის ადმინისტრაციის კატეგორიული მტკიცებით, გატაცებული მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არ იმყოფება. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლება უარყოფს, რომ კახნიაშვილის გატაცება ოსური მხარის ინსცენირებულია.

„კვირის პალიტრასთან“ საუბრისას შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსმა ალეკო სუხიტაშვილმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ არსებობს ისეთი ოპერატიული ინფორმაცია, რომლის წყალობითაც გაუჩინარებული კახნიაშვილის კვალზე დადგომა იქნებოდა შესაძლებელი. სუხიტაშვილის თქმით, ძებნას ის გარემოებაც უშლის ხელს, რომ ცხინვალის რეგიონში გახშირებული სროლის გამო გადაადგილება უსაფრთხო აღარ არის. განსაკუთრებით ეს ითქმის ზემო ლიახვის ხეობის სოფლებზე, სადაც ბოლო დღეებში დაძაბულობა კულმინაციას აღწევს. რატომ გახდა შეუძლებელი ოცი წლის ელდარ კახნიაშვილის მოძებნა, ან რატომ გახშირდა სროლა სამაჩაბლოში, მაშინ, როცა სოჭის მოლაპარაკების თანახმად, რეგიონის დემილიტარიზაცია უნდა მოხდეს, ამის გასარკვევად „კვირის პალიტრა“ შიდა ქართლს ესტუმრა.

ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებში არსებული ვითარება ჩვენ ამას წინათ განვიხილეთ. მაშინ სხვასთან ერთად ისიც აღვნიშნეთ, რომ ჟურნალისტებისთვის სამუშაოდ აქ არც ისე ხელსაყრელი პირობებია შექმნილი. ერთადერთი რეკომენდაცია, რასაც თბილისიდან ჩასულ ჟურნალისტებს ადგილობრივი სამართალდამცველები აძლევენ, ის არის, რომ ცხინვალში შესვლა, რისკის მაღალი ფაქტორის გამო, არცთუ მთლად მიზანშეწონილია და საკუთარი უსაფრთხოებისთვის მედიის წარმომადგენლებს ურჩევნიათ, ერგნეთში მოპოვებული ინფორმაციით დაკმაყოფილდნენ. როგორც ირკვევა, ბოლო დღეების მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა. ცხინვალის მისადგომებთან დღეს უფრო იგრძნობა დაძაბული ატმოსფერო, ვიდრე რამდენიმე კვირის წინ. ერგნეთის საგუშაგოზე განლაგებული ქართველი პოლიციელები ამას 20 ნოემბრის მოახლოებას უკავშირებენ, როცა სოჭის მოლაპარაკების თანახმად, რეგიონის სრული დემილიტარიზაცია უნდა მოხდეს. მათი ვარაუდით, ჟვანია-კოკოითის შეხვედრაზე დადებული ხელშეკრულება ცხინვალისთვის წამგებიანია. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ სხვადასხვა პროვოკაციული აქტით ხელშეკრულების პირობების შესრულება გაურკვეველი დროით გაჭიანურდეს.

ერგნეთის ბლოკპოსტებზე ძალოვნებს ცხინვალამდე გაცილება ვთხოვეთ, რაზეც თავაზიანად გვითხრეს უარი. „ცხინვალში შესვლა ახლა სიკვდილის ტოლფასია, — ამბობს ერთ-ერთი პოლიციელი, — შეიძლება ოსურ მხარესთან მოლაპარაკება და თქვენი ქალაქში შეყვანა, მაგრამ ვერც ოსი მილიციელები მოგვცემენ იმის გარანტიას, რომ არაფერი მოხდება. ცხინვალში არის რამდენიმე ისეთი დაჯგუფება, რომლებიც არც კოკოითს ემორჩილება და არც მაგათი მთავრობის რომელიმე სხვა წევრს. ამიტომ თქვენივე უსაფრთხოებისთვის კარგი იქნება, თუ ამ განზრახვაზე ხელს აიღებთ...“

ცხინვალში შესვლა მხოლოდ სამთავრობო დელეგაციებთან ერთად არის შესაძლებელი. სხვა მხრივ, ჟურნალისტებს ისღა დარჩენიათ, ცხინვალსიქითა ქართულ სოფლებში შემოვლითი გზებით ჩავიდნენ. დღეს ესეც გაძნელებულია. ბოლო დროს მოსულმა წვიმებმა ეს გზები ისე აატალახა, რომ გავლა მსუბუქი მანქანით წარმოუდგენელია. ამას ვერც ის ქართველები ახერხებენ, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ და თავიანთ სოფლებში დროდადრო ჩადიან ხოლმე. ერთ-ერთი მათგანი, თამარაშენელი ვაჟა მაისურაძე ერგნეთში გავიცანით. როგორც ბატონი ვაჟა ამბობს, მისი თანასოფლელები უკიდურესად არიან შეშფოთებული და მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას ელიან: — რამდენიმე წელია, თბილისში ვცხოვრობ, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც ჩავდივარ ჩემს სოფელში, თამარაშენში. იქ ჩემი მშობლები ცხოვრობენ. გუშინ მინდოდა გადავსულიყავი, მაგრამ გზა ატალახებული იყო და ვერ მოვახერხე. ამიტომ ახლა სიტუაციის გასარკვევად ერგნეთში ჩამოვედი.

— **ცხინვალის გავლით გადასვლა არ გიცდიათ?**

— ცხინვალში შესვლა არ შეიძლება. შეიძლება სულ სხვა მიზნით ჩასულად ჩამთვალონ და რას მოიმოქმედებენ, კაცმა არ იცის. როგორი უგზოობაც უნდა იყოს, ხვალ მაინც გადავალ ჩემს სოფელში და სანამ ყველაფერი არ დამთავრდება, იქიდან წამოსვლას აღარ ვაპირებ.

— **მაინც რა უნდა დამთავრდეს?**

— ზაფხულის შემდეგ სოფელს თითქმის აღარ სძინავს. კაცები ღამღამობით მორიგეობენ, რომ ვინმე არ გაიტაცონ.

— **სხვათა შორის, ოსური მხარე ქართველებს ადანაშაულებს, ისინი იტაცებენ ადამიანებს ოსური სოფლებიდან და მერე გამოსასყიდს ითხოვენო.**

— ამას წინათ გოგა ხაინდრავას გამოსვლა მოვისმინე ტელევიზიით. ჟურნალისტებზე ამბობდა, ცხინვალში შექმნილ სიტუაციას რომ გააშუქებთ, ობიექტური იყავითო. არ ვიცი, რას გულისხმობდა, მაგრამ თქვენ კითხვაზე პასუხს მაინც გაგცემთ. ქართველებს თუ ვინმე გაუტაციათ, გამოსასყიდისთვის კი არა, დატყვევებულ ქართველებში გადასაცვლელად. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ფულის აღების მიზნით ვინმე გაეტაცებინათ. ადამიანის გატაცების ყველა შემთხვევა ცხინვალიდან კონტროლდება. ოსურ სოფლებში საამისოდ „სპეცნაზის“ ჯგუფები ჰყავთ. ომი რომ ატყდა ჩვენსა და ოსებს შორის პირველად, მაშინ ცხრამეტი წლის ვიყავი. არც ვმალავ, რომ იარაღით ხელში მაგათ წინააღმდეგ ვიბრძოდი. მაგრამ დღეს სულ სხვაგვარად ვფიქრობ. ოსები ვიღაცამ გააბოროტა და გამოიყენა. ამ კუთხით თუ არ განვიხილეთ ეს საკითხი, ვერაფერს მივაღწევთ... თუ უკან გაბრუნებას დღესვე არ აპირებთ, ღამის გასათევად არცევში მივდივარ ჩემს ნათესავებთან. იქ შემიძლია ოსებსაც შეგახვედროთ და მათგანაც გაიგებთ, რას ფიქრობენ ყველაფერ ამაზე...

ჩემი რესპონდენტის მაცდუნებელ წინადადებაზე, ცხადია, უარს ვერ ვიტყოდი, თუმცა, არცევში გამგზავრებამდე გადავწყვიტე, ცხინვალის შესასვლელთან მდგომ ოს მილიციელებს გავსაუბრებოდი. ისინი ნებისმიერ უცხო პირს, განსაკუთრებით თბილისიდან ჩასულ ჟურნალისტებს, უნდობლად ხვდებიან. როგორც მოსალოდნელი იყო, ბლოკპოსტზე მილიციელებმა ჩემთან საუბარს თავი აარიდეს და მილიციის მაიორს უხმეს. როცა ჩვენი ვინაობა შეიტყო, თავისი გვარის დასახელება რატომღაც საჭიროდ არ ჩათვალა.

ბლოკპოსტის უფროსს დიდხანს ვუხსნიდი, რომ ცხინვალში შესვლა ოფიციალურ პირებთან შესახვედრად მინდოდა. გატაცებულ კახნიაშვილზე მასალას ვაგროვებ და მინდა ვინმეს ოფიციალური კომენტარი გავაკეთებინო-მეთქი.

— ცხინვალში ამაზე კომენტარს არავინ გააკეთებს, ეს თქვენს ქარელს სთხოვეთ, — მეუბნება მაიორი, — ესეც არ იყოს, მე ვერ გაგიშვებ. ჯერ ცხინვალიდან უნდა დამირეკონ(?!) და მერე გადავწყვეტ, რა ვქნა.

— **მე ისეც მაქვს ცხინვალში შესვლის უფლება. რუსი სამშვიდობოები ამბობენ, რომ ჟურნალისტებისთვის ცხინვალი ღია უნდა იყოს.**

— მაშინ ჩემთან რაღა გინდათ? რუსებთან მიდით და ისინი შეგიყვანენ.

— **იმათთან თქვენი რჩევის გარეშეც მივალ, მაგრამ მეგონა, თქვენ დამეხმარებოდით.**

— ნებართვის გარეშე ვერ შეგიშვებთ. პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ნამდვილად ვერ ავიღებ.

— **მაინც რა უნდა მოხდეს?**

— არ ვიცი, მაგრამ ნაბრძანები მაქვს, უნებართვოდ არავინ შევუშვა. შენ შეიძლება რომელიმე სოფელში ქეიფს შეჰყვე და რამდენიმე დღე დარჩე. აქ კი პანიკას ატეხენ, რომ ჟურნალისტი გაიტაცეს(?!).

— **კახნიაშვილიც საქეიფოდ არის გადასული?**

— ჩვენებს არავინ მოუტაციათ. ჯობს, ასეთ პროვოკაციებს თავი დაანებოთ...

ქართველ თუ ოს ძალოვნებთან საუბარში მოსაღამოვდა კიდეც. ღამით იქ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. ამიტომ ჩემს თამარაშენელ ნაცნობთან ერთად არცევისკენ გავეშურე.

სოფელი არცევი ცხინვალიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს. აქ ორი არცევია — ზემო და ქვემო. ზემო არცევში ოსები ცხოვრობენ, ქვემოში — ქართველები. ამ ორ სოფელში შედარებით სიმშვიდეა. შეიძლება იმიტომ, რომ ზემო არცევში რუსების სამხედრო ნაწილი მდებარეობს. ოსებისა და ქართველების სოფლებს ერთმანეთისგან რაიმე მიჯნა არ ყოფს. ქართული დასახლების შემდეგ ოსების დასახლება იწყება. მხოლოდ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იციან ზღვარი ეთნიკური ნიშნით ორად გაყოფილ ერთ სოფელს შორის. არცევში მისვლამდე ჩემმა მეგზურმა გამაფრთხილა, არ გამემხილა, ჟურნალისტი რომ ვიყავი. უბრალო სტუმარი რომ იქნები, უფრო თამამად ისაუბრებენ და სასურველ ინფორმაციას ასე უფრო გაიგებო, — მარიგებდა გზაში ვაჟა მაისურაძე. არცევში ცხინვალის შესასვლელის მარჯვენა შესახვევიდან წავედით. ამ გზით ჯერ ოსური დასახლება უნდა გაიაროთ და შემდეგ მოხვდებით სოფლის ქართულ ნაწილში. სოფელში რომ შევედით, უკვე ღამე იყო, მაგრამ ხალხი მაინც გვხვდებოდა ორღობეებში. სოფლის ბირჟაზეც ხუთიოდე ახალგაზრდა შეკრებილიყო და ეტყობოდათ, დაშლას არ ჩქარობდნენ. ორიოდე მათგანი ჩემი თანამგზავრის ნაცნობი აღმოჩნდა. ზემო არცეველები კარგად ლაპარაკობენ ქართულად. გასაკვირიც არაფერია, აქ ქართველები და ოსები ერთმანეთის გვერდით იბადებიან და იზრდებიან. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ ჩემს მეგზურს საუბარი პოლიტიკაზე გადააქვს: რა ხდება, რატომ გახშირდა სროლა? — ეკითხება ოსებს. და ისინი ისეთ პასუხს იძლევიან, გაკვირვებული ვრჩები: — კოკოევს ყველა გზა მოჭრილი აქვს და ისვრის, აბა, რას იზამს? — პასუხობს ერთ-ერთი, რომელსაც თედოს ეძახიან.

— რა გზა აქვს მოჭრილი? — ამჯერად მე ვიკითხე, თანაც ვცდილობ, ცნობისმოყვარეობა არ შემამჩნიონ. თედოც მპასუხობს, თუმცა საუბრისას მე კი არა, ვაჟას შესცქერის. თურმე, სამაჩაბლოში ხმა დადის, რომ კოკოითს მოსკოველი ბიზნესმენები თუ კრიმინალური წრეები ემტერებიან. ლაპარაკია რაღაც მილიონებზე, რომელიც ვითომ კოკოითს მათი მართებს. ჭორია ეს თუ სიმართლე, არავინ იცის, მაგრამ ოსებს მიაჩნიათ, რომ კოკოითი სწორედ ამის გამო ებღაუჭება საკუთარ სავარძელს.

— რამე რომ მოხდეს, კოკოითს გასაქცევი არსად ექნება, — გვეუბნება თედო, — აქ ქართველები უტირებენ დედას, რუსეთში იქაური მტრები, ამიტომ ყველაფერს გააკეთებს, რომ დღევანდელი მდგომარეობა შეინარჩუნოს, — მის ნათქვამს სხვებიც ეთანხმებიან, როგორც ჩანს, რაც თედომ თქვა, მხოლოდ ერთი კაცის აზრი არ არის...

— ხედავ, რა არის ობიექტურობა? — მეუბნება ვაჟა მაისურაძე, როცა „ბირჟავიკ“ ოსებს დავშორდით, — ხომ ვერ წარმოიდგენდი, რომ ოსები ასეთ რამეს იტყოდნენ. თბილისიდან ისე ჩანს, ვითომ ყველა ოსი ჩვენი მტერია. ხომ ხედავ, რომ ასე არ არის. მაგ თედოს დას ქართველი ქმარი ჰყავს, ქართველი დისშვილები ეზრდება. სხვა ოსებიც და ქართველებიც ენათესავებიან ერთმანეთს. როგორ ფიქრობთ, უნდათ ერთმანეთში ომი და უბედურება?

— **მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ცამეტი წლის წინ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ.**

— ეს ცუდი პოლიტიკის შედეგი იყო. თბილისშიც იყო სროლა და ქართველები ერთმანეთს ვხოცავდით. მაშინ ეს ომი სულ სხვა ძალების ჩარევით მოხდა და ქართველებიც ისე ჩაგვითრიეს, როგორც ოსები.

ბევრი ასე ფიქრობს, ბევრიც — არა. ზოგს ძმა მოუკლეს, ზოგს — მამა, შერიგება ძნელია, მაგრამ ეს თუ არ მოხდა, ისე არაფერი გამოვა. წეღან გაგიკვირდა, ოსებმა რომ კოკოითი ცუდად მოიხსენიეს. იცი, რომ აქაური ქართველებიც ნაწყენი არიან თბილისზე.

— **რატომ?**

— აგვისტოს ამბების შემდეგ ჩვენს ხელისუფლებას ვერ აპატიეს, რომ ბოლომდე არ მიიყვანეს საქმე და როკის გვირაბამდე არ მივიდნენ. ერთადერთი კაცი, ვინც უყვართ და მასზე აუგს არასოდეს იტყვიან, ირაკლი ოქრუაშვილია. იგი აქ დაბადებული და გაზრდილია და კარგად იცის, რა სტკივა ან რა უხარია სამაჩაბლოელ კაცს. გვეხმარება კიდეც. ამიტომ პატივს სცემენ...

ჩემს მეგზურს აქ სიტყვა გაუწყდა, რადგან ერთ-ერთი სახლის ჭიშკარს მივადექით. მასპინძლები გულღიად შეგვხვდნენ. მალე სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე მიგვიპატიჟეს. როცა მასპინძლებმა გაიგეს, რომ ჩემს მეგზურს, ვაჟა მაისურაძეს სოფელში გადასვლა გაუჭირდა, საუბარმა ძალაუნებურად გადაუხვია პოლიტიკური თემისკენ. მაინტერესებს, რამდენად იზიარებენ სამაჩაბლოელები ჩვენი ხელისუფლების შეფასებას, რომ სოჭის მოლაპარაკება წინ გადადგმული ნაბიჯია. როგორც ჩანს, აქაურები ამ საკითხს სკეპტიკურად უყურებენ:

— თვითონ ხელშეკრულება კარგია, — ამბობს ჩვენი მასპინძელი ნოდარი, რომლის გვარს გარკვეული მოსაზრების გამო არ ვასახელებთ, — მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, როგორ მოახერხებენ მის განხორციელებას.

— **რა არის საეჭვო?**

— ისევ ჩვენ დავრჩებით მოტყუებული. გაიყვანენ ჩვენს პოლიციელებს, ოსებს კი ვინ გააკონტროლებს? ისედაც გაიძახიან, არაფორმალური დაჯგუფებები არ გვყავსო. მართლებიც არიან, ყველას მილიციის ფორმა აცვია და ვერც დააბრალებ ვერაფერს. გეტყვიან, წესრიგს ვიცავთო.

— **ამაზე ალბათ რუსებიც იზრუნებენ.**

— რუსებმა, ჯობს, კაზაკებს მიხედონ და ისინი გაიყვანონ.

— **კაზაკები ცხინვალში კიდევ არიან?**

— წავიდნენ, მაგრამ ზოგი დარჩა. ოსებიც გადაიმტერეს, რის გამოც აქ აღარ დაედგომებოდათ. ვინც დარჩა, ისინიც გაყარონ და მერე ვილაპარაკოთ, მაგრამ ამას რუსები არ გააკეთებენ.

— **ამბობენ, რომ ეუთო გააკონტროლებს ხელშეკრულების შესრულებას.**

— აგაშენათ ღმერთმა, ამას რა ჯობს? კარგი იქნება, თუ ახალი ხელისუფლება მაინც მოგვხედავს და ძველი შეცდომები აღარ განმეორდება.

ასე აფასებენ ცხინვალის რეგიონში არსებულ სიტუაციას სამაჩაბლოელები. აქ იმედი აქვთ, რომ მალე კონფლიქტური სიტუაცია განიმუხტება. საბოლოოდ ეს მაინც იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად მოხერხდება სოჭის ხელშეკრულების პირობების შესრულება. ეს 20 ნოემბრის შემდეგ გაირკვევა.

*დავით დევიძე*

# „ეკოს“ ქვებს ესვრიან!..

## ბერძნული ბენზინი და ქართული „კენჭები“

საცურაო აუზის წინ სამარშრუტო ტაქსის ამაო ცდამ დამღალა და მარჯვენა სანაპიროთი ფეხით გავემართე ელბაქიძის დაღმართისაკენ. მოულოდნელად გამიმართლა — რამდენიმე ნაბიჯი არ მქონდა გადადგმული, რომ ჩემ გვერდით ავტომობილმა დაამუხრუჭა. მძღოლი ჩემი ნაცნობი აღმოჩნდა და მის მიპატიჟებას სიამოვნებით დავთანხმდი. კომფორტულად მოწყობილ ავტომანქანის სალონში მოვკალათდი, თან ვფიქრობდი, რა კარგია, როცა საკუთარ ავტომანქანაში ზიხარ და ავდარი არ განაღვლებს-მეთქი. ავტომობილი დაძრა თუ არა, ჩემმა ნაცნობმა მთხოვა: „თუ ძალიან არ გეჩქარება, აგერ „ეკოჯორჯიის“ ავტოგასამართ სადგურში ბენზინს დავიმატებ, კარგი ბენზინი აქვთ, იქვე, კაფეშიც შევიდეთ, ცოტა წავიჭუკჭუკოთ და მერე სადაც მეტყვი, იქ წაგიყვან“. არც ამაზე მითქვამს უარი. მალე ჩვენი ავტომობილი „ეკოჯორჯიის“ ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე შეგრიალდა. ჩვენ წინ შინდისფერ „აუდის“ უსხამდნენ საწვავს. მე მანქანიდან გადმოვედი და აუჩქარებელი ნაბიჯით კაფესკენ გავეშურე. „აუდის“ მძღოლმა ავზში ბენზინის ჩასხმა დაამთავრა, ავტომობილში ჩაჯდა და ნელი სვლით დაიძრა. იმ მომენტში მე მის სავალ გზაზე აღმოვჩნდი. მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა და ხელის მოძრაობით გზა დამითმო. სწორედ ამ დროს რაღაცამ ჩამიქროლა და გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, რომ „აუდის“ უკანა საქარე მინას მიენარცხა. გაისმა მსხვრევის ხმა — მინა ისე დაიბზარა, რომ აღარაფერი ჩანდა. გაოგნებული მძღოლი რომ დარწმუნდა, მხოლოდ საქარე მინა შეეწირა იმ რაღაცას და თავად კი უვნებელი იყო, ციდან ჩამოვარდნილ ნივთმტკიცებასთან ერთად ავტომობილიდან გადმოვიდა. „ეკოჯორჯიის“ ოპერატორებთან საუბარში გაირკვა, რომ ქვა ციდან კი არ ჩამოვარდნილა, არამედ (სავარაუდოდ) ვერის, ყოფილი კიროვის ბაღიდან, რომელიც ავტოგასამართ სადგურს 40-50 მეტრის სიმაღლიდან გადმოჰყურებს. სწორედ იქიდან იყო ნასროლი ქვა.

ვერის ბაღში 70-იანი წლების დასაწყისში ცნობილი საქმოსნები, ძმები ლაზიშვილები აპირებდნენ რესტორნის აშენებას. საძირკველი გაუთხრიათ, ბეტონიც ჩაუსხამთ და რესტორნის ვერანდებისთვის საბეტონო სამუშაოები ბოლომდე მიუყვანიათ. გავიდა ხანი, შევარდნაძემ ლაზიშვილები დაიჭირა და ძმებმა თავიანთი ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოასწრეს. დღესაც გადმოჰყურებს ტრამპლინივით მარჯვენა სანაპიროს ბეტონის უზარმაზარი ვერანდა, საიდანაც თურმე „ეკოჯორჯიის“ ავტოგასამართ სადგურს უცნობი პირები დღისით-მზისით ქვებით „ბომბავენ“.

სიმართლე გითხრათ, ამ ინციდენტმა რამდენიმე კითხვა გამიჩინა, მაგრამ ჩემი ნაცნობის დაჟინებულ თხოვნას: ერთხელ გადავრჩით და მეორეჯერ ნასროლ ქვას ვერის ბაღიდან თავი რატომ უნდა შევუშვიროთ, ან ჩემს მანქანას რას ვერჩიო, ანგარიში გავუწიე და იქაურობას გავშორდით. მით უმეტეს, რომ ჩემი კითხვებისთვის ახლა არავის სცხელოდა — „აუდის“ მძღოლი გაცხარებით ეკამათებოდა „ეკოჯორჯიის“ ავტოგასამართი სადგურის თანამშრომლებსა და დაცვის წევრებს და ზარალის ანაზღაურებას ითხოვდა.

ცდუნებას ვერ გავუძელი და მეორე დღეს კვლავ ვესტუმრე „ეკოჯორჯიის“ კუთვნილ ავტოგასამართ სადგურს. ჩემი პირველი რესპონდენტი დაცვის წევრი **კოტე ვახანია** აღმოჩნდა:

— დიახ, გუშინ, დაახლოებით დღის 12 საათზე, კიროვის ბაღიდან ნასროლმა ქვამ „აუდის“ საქარე მინა ჩაამსხვრია. ეს პირველი შემთხვევა რომ ყოფილიყო, კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ ამ დღეში კარგა ხანია ვართ. მხოლოდ ამ კვირაში ორი ავტომობილი დაზიანდა. რამდენიმე დღის წინ „მერსედეს-600“ მარკის ავტომობილს წინა საქარე მინაც ჩაუმსხვრიეს და უკანაც.

*(გაგრძელება იხ. გვ. 13)*

CMYK

# ვის სეიფში ინახება კომპრომატებით სავსე დღიური?!

## „ვინ დაუდო წინ ეკლესიის დაშლის სქემა სააკაშვილს“

ყოფილი ნაციონალი და ამჟამინდელი კონსერვატორი კობა დავითაშვილი თავის კოლეგაზე, ვანო ჩხარტიშვილზე მეანაბრეების წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს, — მან და მისმა ამფსონებმა შევარდნაძის ხელდასხმით და დახმარებით ათასობით მოქალაქე გაძარცვესო. **კობა დავითაშვილმა** „კვირის პალიტრასთან“ სკანდალური ინფორმაციაც გაახმაურა, — კახა თარგამაძე, ექსპრეზიდენტის მძახალი ახვლედიანი და ჩხარტიშვილი სოლიდურ თანხას იხდიან ისეთი კანონის მიღებაში, რომელიც მათ ხალხის ნაძარცვ ქონებას შეუნარჩუნებს და ფინანსური ამნისტიის ასეთი უცნაური ვარიანტი იმიტომ შემოიტანეს პარლამენტშიო.

— ხელისუფლება სულ სხვა რამეს გვპირდებოდა და საბოლოოდ ამ ფინანსური ამნისტიით სულ სხვა რამ მივიღეთ. ერთი ქართული ხალხური ლექსისა არ იყოს: „მხატვარმა ხატვა დაიწყო/ღმერთი მაღალი ახსენა/ ვაჟაფშაველას ხატავდა/გამოუვიდა არსენა“-ო, ისე მოხდა... თავდაპირველად, წლის დასაწყისში, ითქვა — გადასახადის გადამხდელებს ძალიან ბევრი დავალიანება დაუგროვდათ, რომლის გასტუმრების პერსპექტივა ნაკლებია, ამიტომ ამ ხალხს ვაპატიოთო, მაგრამ წლის ბოლოს საგადასახადო ამნისტიის საბურვლით შეეცადნენ კორუფციული ამნისტია შემოეპარებინათ და ყველაფერი ისე ლამაზად და შეფარვით გაკეთდა, რომ დაუკვირვებელი ადამიანი ვერც შეამჩნევდა, რასაც გვიპირებდნენ. ამნისტიის პროექტში ჩამოთვლილი იყო სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები (ეტყობა, იფიქრეს, არავინ წაიკითხავსო) და იქვე იყო მითითება, რომ თუ დამნაშავეები მოახდენენ თავიანთი სახსრების ლეგალიზაციას და აღიარებენ, რომ აქვთ დაფარული შემოსავლები, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდებიანო. არადა, ამ ჩამონათვალში იყო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, უფლებამოსილების გადამეტება, ქრთამის აღება-მიცემა, თანამდებობის პირის მიერ უკანონო საჩუქრის ან შემოსავლის მიღება... ფაქტობრივად, ხელისუფლება ამით აპირებდა როგორც სხვისი, ისე თავისი დანაშაულის სრულ ამნისტირებას და 1%-ის ფასად მექრთამეობითა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების გზით ნაშოვნი ფულის ლეგალიზაციას. როდესაც ეს გამომჟღავნდა და სკანდალი ატყდა, ხელისუფლებამ თავი იმართლა, გაუგებრობა მოხდა, შეცდომა მოგვივიდაო. თუმცა, ამის მიუხედავად, ფინანსური ამნისტიის შესახებ კანონპროექტიდან მაინც არ ამოიღეს „გაუგებარი“ ჩანაწერები. კვლავაც ცდილობენ კანონპროექტში შეაპარონ ისეთი ნორმები, რომლებიც თანამდებობის პირებს პასუხისმგებლობისგან თავის დაძვრენის საშუალებას მისცემს. ხელისუფლება გვთავაზობს ფორმულირებას — თუ პირმა ქონება თანამდებობაზე მოსვლამდე შეიძინა, ის ვაპატიოთო. მაგრამ ვინ შეამოწმებს, რეალურად როდის იშოვა ამ კაცმა ფული?

**ამ ზღაპრების შესაძლოა ვინმეს სჯერა, მაგრამ მე და საზოგადოების უმეტეს ნაწილს — არა. დღეს დვალიშვილის დღიური სეიფში დევს და მისი საშუალებით იმართებიან ის პირები, რომელთაც ხალხის კუთვნილი ფული მიიტაცეს. ამიტომ ვითხოვთ ამ საქმის გამოძიებას და დამნაშავეთა დადგენას.**



ჩხარტიშვილსა და მისთანებთან გარიგება რევოლუციის მესამე დღეს მოხდა. რევოლუციურმა ტრიუმვირატმა კონტრრევოლუცია მოახდინა, როდესაც გაყალბების გზით გადეპუტატებული მაჟორიტარები პარლამენტში დატოვა. სწორედ მაშინ შედგა პირველი გარიგება და შეთანხმდნენ, რომ ჩხარტიშვილი ფრაქციის თავმჯდომარე იქნებოდა. მაქვს ინფორმაცია, რომ ჩხარტიშვილი, კახა თარგამაძე, ახვლედიანები და სხვები სოლიდურ თანხებს იხდიან „შავ სალაროში“ (რომელიც არ აისახება ბიუჯეტზე) და დარჩენილი ქონების ლეგალიზაციას ითხოვენ. კორუმპირებულ პირებთან ხელისუფლების ამ გარიგებას უსათუოდ ჩავშლით. ძალიან მაინტერესებს, სად არის ის ქონება, რომელიც კორუმპირებულებს ჩამოართვეს?

ერთ ამბავს გავიხსენებ: 1995 წელს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საჩვენებელი სასამართლო პროცესი ჩატარდა, რომელზეც ლიტერატურულ გმირს, არსენა მარაბდელს ვასამართლებდით. მე პროკურორი ვიყავი, არსენა კი ირაკლი ოქრუაშვილი (და მგონი, დღემდე ვერ გამოდის ამ როლიდან). ლექსში არსენა კი ამბობდა — მდიდარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევ, ღმერთი როგორ წამახდენსაო, მაგრამ პროცესზე ლექსის განხილვისას გაირკვა, რომ მასში არაერთი ეპიზოდია ღარიბისთვის რაიმეს წართმევისა, სამაგიეროდ, არც ერთი ეპიზოდი არ არის ღარიბისთვის რაიმეს მიცემისა... ამ გზით არსენამ 700 თუმნის მოგროვება მოახერხა, რომელიც კასპში, ერთ დიდ კლდეში ჰქონდა შენახული. თუ ღარიბებს მართლაც ურიგებდა რამეს, არსენას ამდენი ფული არ უნდა ჰქონოდა. საბოლოოდ გაირკვა, რომ არსენა მდიდარს ართმევდა, მერე მესტვირეებში იკეთებდა პიარს, — ფულს ხარჯავდა, გზებზე სუფრებს აფენდა, აქეიფებდა მათ და ხმას ავრცელებდა — მდიდრებისთვის წართმეულს ღარიბებს ვაძლევო, სინამდვილეში კი არაფერსაც არ აძლევდა. ასევე იქცევა ჩვენი ხელისუფლებაც — მდიდარს ართმევს, მერე პრესითა და ტელევიზიით იკეთებს პიარს — ღარიბს ვაძლევო, მაგრამ ღარიბს სინამდვილეში არაფერსაც არ აძლევს... თვალებში ნაცარს გვაყრიან. შემნახველი ბანკი სხვა ორ ბანკთან ერთად შევარდნაძემ აჩუქა ჩხარტიშვილს, სიორიძესა და ინგოროყვას. ამ ბანკების შეერთების შემდეგ შექმნეს მათ გაერთიანებული ქართული ბანკი. ჩხარტიშვილმა 20 მილიონად ღირებული ბანკის პრივატიზება 180 ათას დოლარად მოახერხა(?!). ამიტომ იკისრა განსაზღვრული ვალდებულებები და როდესაც შევარდნაძეს პოლიტიკური დაფინანსება დასჭირდებოდა, ყოველთვის უწევდა სამსახურს. ანაბრების გაუფასურება შევარდნაძის დანაშაულებრივი, ე. წ. ლიბერალური საფინანსო პოლიტიკის შედეგია, რომლის წყალობითაც ხალხს ფული ჯიბიდან ყველაზე დახვეწილი მეთოდით (არაუზრუნველყოფილი ფულის ბეჭდვით) ამოაცალეს... ხალხის ფულის დიდი ნაწილი შევარდნაძემ შეახრამუნა, როდესაც ბანკებში შეატანინა, გაგიორმაგებთო და მერე ის თანხები თავის ერთგულ ხალხს კრედიტების სახით დაურიგა. რამდენიმე თვის შემდეგ კი ამ კრედიტის დასაფარავად ბანკიდან გატანილი თანხის მეათედი იყო საჭირო. ამ გზით წინა მოწვევის პარლამენტის წევრმა ზეზვა ღუღუნიშვილმა მილიონი დოლარი იშოვა, ხალხი კი გაიძარცვა. სხვათა შორის, იმ პირთა ვინაობა, რომელთაც ხალხი გაძარცვეს, ცნობილია — მათი გვარები იყო მოხსენიებული დვალიშვილის დღიურში, რომელიც პროკურატურაში გაქრა. იმ დღეს იმავე შენობაში დვალიშვილიც გარდაიცვალა და საზოგადოებას ზღაპრული ვერსია მიაწოდეს — დვალიშვილმა იარაღი შეიტანა დაკითხვაზე(!), მერე გარეთ გასვლა ითხოვა, მარტო გაუშვეს გარეთ(?) და მანაც ამოიღო იარაღი და თავი მოიკლაო. ამ ზღაპრების შესაძლოა ვინმეს სჯერა, მაგრამ მე და საზოგადოების უმეტეს ნაწილს — არა. დღეს დვალიშვილის დღიური სეიფში დევს და მისი საშუალებით იმართებიან ის პირები, რომელთაც ხალხის კუთვნილი ფული მიიტაცეს. ამიტომ ვითხოვთ ამ საქმის გამოძიებას და დამნაშავეთა დადგენას. მერწმუნეთ, დამნაშავეთა სიაში შევარდნაძისა და ჩხარტიშვილის გარდა, ბევრი სხვაც აღმოჩნდება.

— **ვის სეიფში ინახება ამჟამად დვალიშვილის დღიური?**

— ადრე შევარდნაძის სეიფში იდო და რევოლუციის ღამეს ჟვანიას გადასცა თუ სააკაშვილს, არ ვიცი...

— **ჩხარტიშვილი ამბობს, — ანაბრების გაუფასურება 1992-93 წლებში მოხდა, მე კი ბანკში 1994 წელს მივედიო.**

— არც მოსამართლე ვარ და არც პროკურორი, მე ვითხოვ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას და ჩხარტიშვილის ბრალეულობას ეს ორგანოები დაადგენენ. ყველა დამნაშავემ, გამონაკლისის გარეშე, უნდა აგოს პასუხი. ხელისუფლება უკანონო გზას დაადგა, — რეკეტს, გამოძალვას არავისთვის მოუტანია სიკეთე და არც ამ ხელისუფლებას მოუტანს. დანაშაულით დანაშაულთან ბრძოლა არ შეიძლება — არ ვიცი, რატომ არ ესმის ეს ხელისუფლებას? ასე მგონია, ხელისუფლებას ხალხი აღარ აინტერესებს, ის მხოლოდ მაშინ სჭირდებოდა და ახსოვდა, როდესაც ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ცდილობდა. ახლა კი, როცა მიზანს მიაღწია, აღარც ახსოვს.

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*



# რატომ არ მოხდა შინაგანი და სახმელეთო ჯარების რეალური შერწყმა?!




**თუ მე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას ჯარზე, მაშინ ვალდებული ვარ, თავად ვუხელმძღვანელო, — გენერალი თათუხაშვილი**

ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანებით, 1-ელ ნოემბერს უნდა დაწყებულიყო შსს-ს შინაგანი ჯარების შერწყმა თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარებთან, რითაც ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრებოდა ორჯარიანობის პრობლემა.

მაგრამ ვერ მოხერხდა... თუმცა ოფიციალური პირები იხტიბარს არ იტეხენ და აცხადებენ, გაერთიანება წარმატებით მიმდინარეობსო, სინამდვილეში საქმე არც ისე მარტივადაა.

საზოგადოების ნაწილში მასმედიამ თუ ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა მოსაზრება, თითქოს ორი ჯარის გაერთიანების ჩაშლის მიზეზი შინაგანი ჯარების სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ გოგი თათუხაშვილის პატივმოყვარეობა იყოს — სახმელეთო ჯარების მომავალ სარდალს სახმელეთო ჯარების შტაბის გაბერილი სია არ დაუმტკიცეს და ძველ კაბინეტში დარჩენა გადაწყვიტაო.

სინამდვილეში საქმე უფრო რთულადაა. გენერალ თათუხაშვილის პოზიცია ასეთია: არც ერთმა მაღალჩინოსანმა სამხედრომ არ აიღო თავის თავზე ის შეცდომები და დანაშაული, რომელსაც აფხაზეთის ომში მარცხი მოჰყვა. თუ ჩემი ხელმძღვანელობით სახმელეთო ჯარები რომელიმე მომავალ ბრძოლაში დამარცხდება, ტყვიას ვიკრავ შუბლში. მაგრამ ვიდრე სახმელეთო ჯარების მართვას ხელში ავიღებდე, ყველამ, ვისაც ეხება, კეთილი ინებოს და მომცეს ჯარების მართვის საშუალება ისე, როგორც ეს მესმის, ყოველგვარი ბიუროკრატიულობის გარეშე, — განუცხადა „კვირის პალიტრას" გენერალ-ლეიტენანტმა გოგი თათუხაშვილმა.

ამ ეტაპზე ეს შედეგი შეიძლება უფრო მისაღები იყოს, ვიდრე ის, რომ სახმელეთო ჯარების არშემდგარ სარდალსა და გენშტაბის ხელმძღვანელობასთან კულისებს მიღმა ბრძოლა გენერალ თათუხაშვილის ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ატყდეს.

ისე, სიმართლე რომ ითქვას, შინაგანი და სახმელეთო ჯარები რომ არ გაერთიანდა, ეს ერთი მხრივ კარგიცაა — საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ და შეიარაღებული ძალების ძველმა ხელმძღვანელობამ თავის დროზე დასავლეთს დასტური მისცეს, რომ ქვეყნის შეიარაღებული ძალების რიცხოვნება 15 ათას კაცამდე განისაზღვრებოდა; ამგვარად, სახმელეთო ჯარებთან შერწყმული შინაგანი ჯარები 8 ათასიდან თითქმის ოთხჯერ უნდა შემცირებულიყო. აფხაზ სეპარატისტებზე რომ არაფერი ვთქვათ, მათ ოს „ძმებს" 5 ათასამდე მებრძოლის გამოყვანა შეუძლიათ, მათ დასაძლევად კი 3-5-ჯერ მეტი ძალა მაინც არის საჭირო (სამხედრო მეცნიერების მიხედვით, შეტევაზე გადასულები სამჯერ მაინც უნდა აღემატებოდნენ თავდაცვაში მყოფთ, მთაგორიანი რელიეფის შემთხვევაში კი — 5-7-ჯერ), თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ 15-ათასიანმა თავდაცვის სამინისტრომ დღეს ბრძოლის ველზე იარაღით ხელში 5 ათასი კაცის გამოყვანა შეძლოს, მით უმეტეს, რომ მეტ-ნაკლებად მომზადებული 600-მდე სამხედრო უკვე საზღვარგარეთაა მივლინებული, მათ მალე კიდევ 550 „შავნაბადელი" შეუერთდება.

ასეთ შემთხვევაში, უკვე გაურკვეველი ბედის მქონე შინაგანი ჯარები რჩება იმ ძალად, რომელიც ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონში სიტუაციის მოულოდნელად მკვეთრად დაძაბვის შემთხვევაში, ერთგვარ „სახანძრო მანქანად" იქცევა.

ორი ჯარის არშემდგარი გაერთიანების შემდეგ (თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ შინაგანი ჯარების მძიმე ტექნიკა — ტანკები, ჰაუბიცები და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები — უახლოეს ხანში გადაეცემა სახმელეთო ჯარებს, როგორც ამას NATO თბილისისგან ჯერ კიდევ ა.წ. 10 მაისამდე ითხოვდა), კვლავ ალაპარაკდნენ შინაგანი ჯარების ეროვნულ ჟანდარმერიად გარდაქმნის შესაძლებლობაზე. სხვათა შორის, ამ თემაზე ამ სტატიის ავტორმა ჯერ კიდევ 4 წლის წინ დაიწყო მუშაობა, როდესაც შინაგანი ჯარების მაშინდელი სარდლობა თურქეთის ჟანდარმერიის წარმომადგენლებთან დააკავშირა. მას შემდეგ შინაგანი ჯარების პირველ ოპერატიულ ბრიგადაში თურქმა ჟანდარმებმა ოფიცრების მოსამზადებელი კურსები გახსნეს და რეალური გახდა შინაგანი ჯარების სახეცვლილება.

საერთოდ, ჟანდარმერიისა თუ კარაბინერების ტიპის პარამილიტარული ძალები აუცილებელი ატრიბუტია დღევანდელი საქართველოსთვის, რადგან მასობრივი არეულობის ან ამა თუ იმ რეგიონში სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში, მღელვარების ჩასაცხრობად ტანკებით საბრძოლო დანაყოფების გაგზავნას ბევრად სჯობს ალუმინის ფარებითა და ხელკეტებით აღჭურვილი, საგანგებოდ ამისთვის მომზადებული ჟანდარმებისა თუ კარაბინერების გაშვება.

სტატიის ავტორის თვალსაზრისით, უპრიანი იქნებოდა თავდაცვის სამინისტროსა და გენერალურ შტაბში იმ სტრუქტურების შემცირება, რომლებიც ნაკლებად მონაწილეობენ უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში და უფრო ბიუროკრატიულ წარმონაქმნებს წარმოადგენენ (საბედნიეროდ, ეს პროცესი უკვე დაწყებულია თავდაცვის სამინისტროში — მნიშვნელოვნად მცირდება გაბერილი მმართველობის ორგანოები, ოღონდ გაუგებარია, რატომ ამცირებენ სამხედრო მზვერავებს?!). ამის პარალელურად, უნდა გაიზარდოს სახმელეთო ჯარების რიცხოვნება — ისინი ხომ გადამწყვეტ როლს თამაშობენ სახმელეთო ოპერაციებში.

ასევე, სასწრაფოდ უნდა გაირკვეს ჰაერში გამოკიდებული შინაგანი ჯარების ბედი. მათ გარდაქმნას ეროვნულ ჟანდარმერიად თუ კარაბინერებად (ან სჯობს ქართული შესატყვისი მივუსადაგოთ) ხელს არაფერი უშლის, მთავარია, მონდომება.

## აფხაზეთი სამოქალაქო ომის წინ

ოფიციალური თბილისი დღემდე ოლიმპიური სიმშვიდით ადევნებდა თვალს სეპარატისტულ აფხაზეთში პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებულ ციებ-ცხელებას. თუმცა მას შემდეგ აღელდა, როდესაც კრემლი, „საკუთარი ინტერესების" დასაცავად, აქტიური ზომებით დაემუქრა ბაღაფშსა და მის მომხრეებს, რომლებმაც 12 ნოემბერს არძინბას მთავრობის რეზიდენცია აიღეს, რასაც პირველი მსხვერპლიც მოჰყვა.

მოსკოვის ასეთი ინიციატივა, ნებისმიერი საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით, სხვა სუვერენული ქვეყნის შინაურ საქმეებში უხეშ ჩარევად კვალიფიცირდება. მაგრამ კრემლი ამას დღეს ნაკლებად დაგიდევთ, რადგან ხვდება, რომ მისი პოლიტიკური თამაშები აფხაზეთში ჩაფლავდა; ანუ ის, რასაც მოსკოვმა 11 წლის წინ მიაღწია და აფხაზეთი დროებით საქართველოს რეალური იურისდიქციის გარეშე დატოვა, დღეს ფიასკოს განიცდის.

ერთადერთი ძალა, რითაც კრემლმა შეიძლება მოახდინოს ზეწოლა ბაღაფშსა და მის მომხრეებზე, კვლავ სამხედრო სახისაა, კერძოდ, ჯერ აამოქმედებს აფხაზეთში მდგარ თავის ვითომდა სამშვიდობო ძალებს, ხოლო სიტუაციის უფრო დაძაბვის შემთხვევაში კი, არც ელიტარული რუსული სპეცდანიშნულების ჯგუფების იქ გადასროლაა გამორიცხული.

თავად სეპარატისტული აფხაზეთის თავდაცვის სამინისტრო მოყვანილია საბრძოლო მზადყოფნაში, მაგრამ აფხაზი სამხედროების იმედი ხაჯიმბასა და მის მხარდამჭერ რუსეთს ნაკლებად უნდა ჰქონდეთ, რადგან მათი დიდი ნაწილი ბაღაფშსა და მის რუხ კარდინალს — ანქვაბს უჭერს მხარს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ 12 ნოემბერს, სამთავრობო რეზიდენციის აღებისას, სოხუმის ცენტრში, ბაღაფშის მომხრეებს შორის ყველაზე მეტად სწორედ აფხაზი სამხედროები აქტიურობდნენ, ხოლო შენობიდან ხაჯიმბას გაყვანა ჩრდილოკავკასიელთა რაზმმა ჰაერში სროლა-სროლით ძლივს მოახერხა.

თუკი რუსეთი, თავისი სამხედრო დანაყოფების მეშვეობით, აშკარად და აქტიურად ამოქმედდა ბაღაფშის მომხრეების წინააღმდეგ, არ არის გამორიცხული, რომ აფხაზეთში ახალმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა იფეთქოს ერთი მხრივ ხაჯიმბასა და ბაღაფშის მომხრეებს, ხოლო მეორე მხრივ — ბაღაფშის მხარდამჭერებსა და რუსულ სამხედრო დანაყოფებს შორის. ამის ყველა წინაპირობა მომწიფებულია, დიდი ხანია მოხსნილია მთავარი — იარაღის პრობლემაც, რადგან თითოეული აფხაზი, როგორც რეზერვისტი, შინ ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღსა და საკმაო რაოდენობით ტყვია-წამალს ინახავს.



# ნაკლებეფექტიანი, მაგრამ დროებით საჭირო...


KC-19-მა უპრობლემოდ გაისროლა ჭურვი, რომელიც მიზნის თავზე აფეთქდა.

## ღირდა კი 50 დოლარისთვის ქვემეხების ლულების დაჭრა საჯართედ?

1991 წლის 22 იანვარი. ერაყის უდაბნო. დიდი ბრიტანეთის გამანადგურებელ-ბომბდამშენი „ტორნადოები" მოულოდნელ საჰაერო შეტევას იწყებენ ერაყელების სამხედრო ბაზის მიმართულებით, მაგრამ საზენიტო ქვემეხების ცეცხლში ხვდებიან და ერთი „ტორნადო" სამუდამოდ რჩება ერაყის ქვიშაში.

ეს „ტორნადო" ერაყელმა მეზენიტეებმა KC-19 ტიპის 100 მმ კალიბრიანი ქვემეხიდან გაშვებული ჭურვით ჩამოაგდეს. ამ მოვლენიდან წლინახევრის შემდეგ რუსეთის თავდაცვის სამინისტრო თავის ქართველ კოლეგებს 169 ერთეულ KC-19 ტიპის საზენიტო ქვემეხსა და 30 ათასზე მეტ ჭურვს უტოვებს...

მას შემდეგ ყველასგან მივიწყებული (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ამგვარი ქვემეხის გამოყენებას აფხაზეთის ომში) KC-19-ები 12 წელი „მშვიდად" იდგნენ თავდაცვის სამინისტროს დედოფლისწყაროს შეიარაღების ბაზაში, მერე იქ დიდი სკანდალი აგორდა ამ ქვემეხების დაჭრასთან დაკავშირებით, რაზეც „კვირის პალიტრამ" თითქმის ამომწურავი მასალა მიაწოდა მკითხველს. ამჯერად მოგითხრობთ იმ პროცესებზე, რაც ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ განვითარდა.

8 ნოემბერს შინაგანი ჯარების სარდალმა პოლიგონზე, სპეციალური კომისიის თვალწინ, არტილერისტებს KC-19-დან ჩაატარებინა სროლები როგორც დახურული, ისე ღია პოზიციიდან.


KC-19-ების დაჭრილი ლულები დედოფლისწყაროს ბაზაში

საერთო ჯამში, 60-ზე მეტი გასროლა უპრობლემოდ მოხდა. ამით დამტკიცდა, რომ KC-19-ების დაჭრა ნაადრევი იყო და ისინი ჯერ კიდევ გამოდგება ქვეყნის ინტერესებისთვის.

ამ მოსაზრებას კვლავ კატეგორიულად არ ეთანხმებიან გენშტაბში — მიუხედავად იმისა, რომ KC-19 საჰაეროს გარდა, სახმელეთო სამიზნეების დაზიანებასაც ითვალისწინებს, მისი საველე არტილერიის რანგში გადაყვანა გამართლებული არ იქნებოდა, რადგან მისი მსხვრევად-ფუგასური ჭურვის ეფექტიანობა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე Д-30 ტიპის 122 მმ კალიბრიანი ჰაუბიცისა.


KC-19 სროლითი გამოცდების შემდეგ

ხოლო თუკი მათგან ჯავშანგამტან ჭურვებს ვისვრით, არც ეს იქნება სწორი, რადგან საამისოდ ტანკებიც გვყავს, რომლებსაც 9,5-ტონიანი KC-19-ებისგან განსხვავებით, არ სჭირდებათ სპეციალური მუხლუხოებიანი გამწევები, — ამტკიცებენ შეიარაღებულ ძალებში.

გარდა ამისა, თუკი ამ KC-19-ებს შეიარაღებული ძალების ტაბელში ჩავწერთ, მაშინ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებით ჩვენთვის გამოყოფილი კვოტა (არა უმეტეს 285 ერთეული 100 მმ და უფრო მსხვილი კალიბრის სხვადასხვა ტიპის საარტილერიო დანადგარის ქონის უფლება) მნიშვნელოვნად შეივსება და ვეღარ მოვახერხებთ ახალი, უფრო ეფექტიანი საარტილერიო სისტემების შეძენას, — პოზიციებს არ თმობენ გენერალურ შტაბში.

უშიშროების სამინისტროს საექსპორტო-კრიმინალისტიკური ლაბორატორია სპეციალურ ექსპერტიზულ დასკვნას ამზადებს KC-19-ების თაობაზე. აქაც მიაჩნიათ, რომ ამ საზენიტო ქვემეხის პირდაპირი დანიშნულებით ანუ საჰაერო ობიექტების დასაზიანებლად გამოყენება გაჭირდება, თუმცა ფიქრობენ, რომ საცდელმა გასროლებმა აჩვენა, — სავსებით შესაძლებელია KC-19-ების საველე არტილერიის სისტემებად გადაკეთება.

თავს უფლებას მივცემთ და ჩვენს მოსაზრებასაც გაგაცნობთ ამ გაჭიანურებულ სადავო საკითხზე. KC-19-ების საველე არტილერიის სახით გამოყენება სავსებით შესაძლებელია, ოღონდ ეს დაკავშირებულია ერთ შრომატევად საქმესთან — იმის გამო, რომ KC-19-ის საზენიტო ჭურვებს არ გააჩნიათ კონტაქტური ამფეთქი, მიწაზე, მიზანში მოხვედრისას, მისი ამფეთქი ინიცირების გარეშე იშლება და, შესაბამისად, ჭურვი არ ფეთქდება. აქედან ამგვარი გამოსავალი არსებობს: ჯერ ლაზერის მანძილმზომით გამოითვლება ზუსტი მანძილი მიზნამდე (როდესაც სროლა პირდაპირ ხდება), შემდეგ, სროლის ცხრილის მიხედვით, მსროლელმა უნდა გამოიანგარიშოს ჭურვის მიზნამდე მიღწევის ზუსტი დრო (ატმოსფერული წნევის, ტემპერატურის, ქარის ძალისა და მიმართულების გათვალისწინებით). დაუყენოს ჭურვს ამფეთქი იმდენ წამზე, რამდენიც საჭიროა მის მიზნამდე მისაღწევად და მხოლოდ ამის შემდეგ გაისროლოს.

სულ პატარა შეცდომაც საკმარისია, რომ KC-19-იდან ნასროლი ჭურვი საკუთარი ჯარების პოზიციის თავზე გადაფრენისას აფეთქდეს, ანუ მაშინ, თუკი მსროლელმა საჭიროზე ნაკლები დრო დააყენა ჭურვის ამფეთქზე. თუმცა, მეორე მხრივ, როცა მსროლელი ნამდვილი პროფესიონალია, მან შეიძლება ისე გაიანგარიშოს ჭურვის ამფეთქის ამოქმედების დრო, რომ ის მოწინააღმდეგის პოზიციაზე დაცემამდე რამდენიმე მეათასედი წამით ადრე ჰაერში აფეთქდეს და უფრო ეფექტიანად მაღლიდან დააზიანოს სანგრებში შეყუჟული მტერი (სხვათა შორის, თანამედროვე საარტილერიო ჭურვებზე სპეციალურად აყენებენ ლაზერული ან რადიოლოკაციური პრინციპით მოქმედ ამფეთქებლებს, რომლებიც მიწაზე დაცემამდე რამდენიმე მეტრით მაღლა ჰაერში ინიცირდებიან, რათა აფეთქებისას წარმოქმნილი ნამსხვრევები უფრო დიდ ფართობზე გაიშალოს და მეტი ადამიანი დააზიანოს).

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც KC-19-ების საჩქაროდ დაჭრის აუცილებლობას საეჭვოს ხდის — ქართულ არმიას შეიარაღებაში რჩება რამდენიმე ათეული ათასი (ზუსტი ციფრის დასახელებისგან თავს შევიკავებთ) 100 მმ კალიბრიანი სატანკო ჭურვი, რომელთა გასროლა KC-19-საც შეუძლია. ქართულ არმიას ისე ცოტა T-54 და T-55 ჰყავს, რომ ამ ათასობით ჭურვის გასროლას ძალიანაც რომ მოინდომონ, წლები დასჭირდება.

და ბოლო გარემოება, რომელიც KC-19-ის დამჭრელთა პოზიციების სასარგებლოდ ნამდვილად არ მეტყველებს — 123 დაჭრილი KC-19-ის ლულა (თითოეულის წონა 700კგ-ს აღემატება) ჯართში არც მეტი და არც ნაკლები — ტონა 50 დოლარად ჩააბარეს! ეს ლულები მოლიბდენისა და ნიკელის შენაერთსაც შეიცავს, მაგრამ მათი გამოყოფისა და დამუშავების სიძნელის გამო „გამა-ცენტრმა" იგი ჯართის შემსყიდველებს შავ ლითონად, დაახლოებით, 90 ლარად დაუთმო, მიუხედავად იმისა, რომ ჯართის ნებისმიერ პუნქტს დიდი სარეკლამო ფირნიში ამშვენებს — „ვიბარებთ სუპერფასში — 180 ლარად!" „გამა-ცენტრში" ამას იმით ხსნიან, რომ ლულებისა და საზენიტო დანადგარების დაშლა, დაჭრა და გაზიდვა ჯართის მიმღებმა ფირმამ იკისრა.

ასეა თუ ისე, ადამიანური თვალსაზრისით, ძნელი გასამართლებელია ქვემეხების დაჭრა, რამდენად არაეფექტიანიც არ უნდა იყვნენ ისინი. კაცმა არ იცის, ხვალ რა მოგველის, ან შევძლებთ კი ახალი, უფრო ეფექტიანი საარტილერიო სისტემების შეძენას უფულობის ან სულაც საერთაშორისო ემბარგოს გამო?!

თუკი ეს KC-19-ები 12 წლის განმავლობაში თავისთვის იდგა და არავის აწუხებდა (მით უმეტეს არავინ გვაძალებდა მათ კვოტაში ჩართვას), ვინ გვიშლიდა, მათთვის თავი მოგვეყარა და შეგვენახა, სანამ საჭირო რაოდენობის ახალ და უფრო ეფექტიან იარაღს არ შემოვიტანდით?

დაჭრილი KC-19-ების ლულების ნაწილი შეიძლება გამოდგეს 120 მმ კალიბრიანი ნაღმსატყორცნების ლულების გამოსაჩარხავად. იმედია, არავინ იტყვის, რომ ნაღმსატყორცნებიც არაეფექტიანი და ნაკლებგამოსადეგი იარაღიაო.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ელ-ფალუჯა — გროზნო ამერიკელებისთვის?!

## სისხლისმღვრელი ბრძოლები ერაყში

ერაყის ქალაქი ელ-ფალუჯა, რომელიც საერთაშორისო ტერორისტმა აბუ მუსაბ ზარქავიმ და მისმა ასობით მომხრე შეიარაღებულმა პირმა მთავარ ანტიამერიკულ „მექად" გადააქცია, ბრძოლის ცეცხლშია გახვეული...

ქალაქის აღება ყოველთვის დიდ მსხვერპლთანაა დაკავშირებული, ასე იყო 1945 წლის აპრილის ბოლოს, ბერლინის იერიშის დროს, როცა საბჭოთა ჯარები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ სტალინის ბრძანების შესასრულებლად და ცდილობდნენ, დასავლელ მოკავშირეებზე მეტი კვარტალები და ქუჩები დაეკავებინათ რაიხის დედაქალაქში.

დაახლოებით ასევე წარიმართა მოვლენები 1994 წლის 31 დეკემბერს, როდესაც რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა თავის დაბადების დღეზე პრეზიდენტ ელცინის საამებლად ჯარები უაზროდ მიაყარა გროზნოს და იქ თავისივე სამხედროების სასაფლაო მოაწყო.

ამერიკელები რუსები არ არიან და ამიტომაც განსაკუთრებით უფრთხილდებიან თითოეული თანამოქალაქის სიცოცხლეს — მათ ელ-ფალუჯის იერიშის დაწყებამდე ჯერ მნიშვნელოვანი საარტილერიო და საჰაერო მომზადება ჩაატარეს — ქალაქს რამდენიმე დღე ბომბავდნენ და საზღვაო ქვეითები ქალაქის ქუჩებში შეტევაზე მხოლოდ შემდეგ გადავიდნენ.

13 ნოემბრისთვის ამერიკელებს ელ-ფალუჯის უდიდესი ნაწილი დაკავებული ჰქონდათ. ბრძოლების დროს მათ მხოლოდ 22 სამხედრო დაელუპათ, 160 კი დაეჭრათ. პენტაგონის მონაცემებით კი ერაყელმა პარტიზანებმა 1000 კაცი დაკარგეს, ხოლო 200-მდე მებრძოლი ამერიკელებმა ტყვედ აიყვანეს.

ეს მონაცემები შეიძლება ყოველდღე კი არა, ყოველ საათს შეიცვალოს, რადგან ქალაქის პირობებში ბრძოლის თავისებურებები იძლევა იმის საშუალებას, რომ მებრძოლთა მოზრდილი დანაყოფებიც კი მიწისქვეშა კომუნიკაციების საშუალებით ქალაქის სხვადასხვა მხარეს გადაისროლო და ზურგში დაარტყა მოწინააღმდეგეს.

ზარქავის მომხრე შეიარაღებული რაზმებისგან ელ-ფალუჯის გაწმენდას ამერიკელი სამხედროები კარგა ხანს მოუნდებიან, რადგან პარტიზანული ომი ერაყში ნელ-ნელა მძაფრდება.



# „ტრაგედია იმ წუთიდან დაიწყო“

***„კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულ წერილში — „იმ დღეს პირველად დაიძრა საქართველო“ (ა. წ. 26 ივლისი-1 აგვისტო) — იმედს გამოვთქვამდით, რომ გამოგვეხმაურებოდა 90-იანი წლების სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შიფროგრამების განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი ბეგლარ გელაშვილი, რომლის პრესკონფერენცია სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შედგა. ბატონმა ბეგლარმა მოლოდინი არ გაგვიცრუა, გამოგვეხმაურა და ახლა თავი მოვალედ მიმაჩნია, მისი ნაამბობი ჩვენს მკითხველს გავაცნო. მით უმეტეს, რომ საქმე ეხება ქართველებისათვის ავადმოსაგონარ 9 აპრილს.***

ამას წინათ რუსეთის სახალხო-პატრიოტული ძალების ყოველკვირეულმა გაზეთმა „პატრიოტმა“ (№22, 2004 წ.) გამოაქვეყნა გენადი ჟავორონკოვის ინტერვიუ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დეპუტატთან, არმიის გენერალ იგორ როდიონოვთან, სადაც ჩვენთვის კარგად ნაცნობი რუსული ხელწერის წყალობით თითქმის ყველაფერი თავდაყირა დგას, თუმცა არის საყურადღებო და სადავო ადგილებიც. მოდი, ყველაფერს თანამიმდევრულად მივყვეთ. ჟურნალისტის კითხვაზე — როგორ იქცეოდა საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობა (ლაპარაკია 9 აპრილის დღეებზე)? როდიონოვი პასუხობს:

„პატიაშვილი ღირსეულად იქცეოდა. ძალზე განიცდიდა ყველაფერს, რაც ხდებოდა, მაშინაც კი, როცა გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო და ჩვენ სამხედრო-სამხარეო შტაბში ოპერაციის გეგმის შემუშავებას შევუდექით. ბოლო წუთამდე იმედი ჰქონდა და ხშირად იმეორებდა: — იქნებ სამხედრო ძალა არ გამოვიყენოთ, იქნებ ხალხი თავად მიხვდეს და დაიშალოს, ჩვენ ხომ ყველა შედეგის გათვალისწინება არ შეგვიძლიაო! მაგრამ ბრძანება მოსკოვიდან უკვე მიღებული იყო და მისი შეცვლა არც მე შემეძლო, როგორც ჯარისკაცს, და არც პატიაშვილს — პარტიის წევრს“.

მაშ ასე, იგი პირდაპირ და გასაგებად აცხადებს, რომ ბრძანება მიღებული იყო მოსკოვიდან, რაც ფაქტობრივად აქარწყლებს საბჭოთა კავშირის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ შევარდნაძის განცხადებას, თითქოს 9 აპრილის მონაწილეებზე სამხედრო შეტევის შესახებ არც მან და არც ქვეყნის პირველმა პირმა, მიხეილ გორბაჩოვმა არაფერი იცოდნენ. ახლა შევარდნაძეს შეუძლია თქვას, რომ — „ბრძანება მოსკოვიდან“ — ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ უშუალოდ გორბაჩოვმა გასცა ბრძანება. აქედან გამომდინარე, რჩება ერთადერთი კაცი, თავდაცვის მინისტრი იაზოვი. მაგრამ რომელი ჭკუათამყოფელი დაიჯერებს, რომ იაზოვი გორბაჩოვის დაუკითხავად გაბედავდა სისხლიან დარბევას. მოსკოვი ტრაგედიამდე და ტრაგედიის შემდეგაც თავისი განცხადების ერთგული დარჩა — საქართველოში ჯარის ნაწილები რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თხოვნით შეიყვანეს. ამის დასტურად კრემლის სახელისუფლებო კაბინეტებში ტელეკამერების წინ აფრიალებდნენ პატიაშვილის მიერ „გაგზავნილ“ შიფროგრამას.

საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის შიფროგრამების განყოფილების ხელმძღვანელი **ბეგლარ გელაშვილი**: — შიფროგრამა იმის შესახებ, რომ საქართველო საკავშირო ხელისუფლებას ჯარით დახმარებას სთხოვდა, მოსკოვში არ გაგზავნილა.

საქართველოს იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი **შოთა გორგოძე**:

— მე გავგზავნე მოსკოვში ერთადერთი შიფროგრამა — შინაგანი ჯარის ნაწილების დახმარებას ვითხოვდით აფხაზეთის ამბებთან დაკავშირებით. გახსოვთ ალბათ — 1-ელ აპრილს აფხაზები ქართველ სტუდენტებს დაესხნენ თავს. ოზგანის მითითებით გაგრაში ქართველების მიტინგი დაარბიეს. ავტობუსებიდან ჩამოყარეს მომიტინგეები, თბილისიდან ჩასული „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ წევრები და სცემეს. აფხაზები საქართველოს იურისდიქციიდან გასვლას ითხოვდნენ და ამ პროცესს სათავეში იქაური საოლქო კომიტეტის მდივანი ადლეიბა ედგა. მილიციის ძალები აშკარად არ კმაროდა დაძაბულობის განსამუხტავად. ამიტომ ვითხოვდით დახმარებას აფხაზეთში და არა თბილისში.

*— გაზეთ „პატრიოტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში როდიონოვი ყველაფერს თქვენ გაბრალებთ. გორგოძეს რომ თავისი საქმე გაეკეთებინა, ანუ ღამით, როცა იქ მხოლოდ მოშიმშილეები რჩებოდნენ, მთავრობის სახლის მისადგომები გაეწმინდა, არაფერიც არ მოხდებოდაო.*

— გამოდის, ამ ჯალათის ნაბოდვარზე თავი უნდა ვიმართლო? ერთხელ შევცდი და ერთ ჟურნალისტს ამ თემაზე ინტერვიუ მივეცი. მას შემდეგ გადავწყვიტე, 9 აპრილის შესახებ ჟურნალისტებთან არ ვილაპარაკო. მხოლოდ თქვენთვის დავუშვი გამონაკლისი. დიდი ხანია, გიცნობთ და ვიცი, ჩემს ნათქვამს არ დაამახინჯებთ (თავის დროზე ამ სტრიქონების ავტორი გენერალ შოთა გორგოძის თანამშრომელი იყო. — ვ. გ.).

ერთი სიტყვით, მე, ჩემი ხალხით, აფხაზეთში ვმუშაობ. ორ დღეში თორმეტი კაცი დავაპატიმრეთ. ხვალ ან ზეგ ამ სიას კიდევ ორი ამდენი დაემატება. ყველანი საქართველოს წინააღმდეგ ამბოხების მოთავეები არიან. კუდში დამდევს კონსტანტინე ოზგანი. მევედრება, შოთა ვარლამიჩ, ხომ იცით, რომ კომუნისტი ვარ, ვაღიარებ, რომ შევცდი. დამიჯერეთ, თვითონ გადავდგები, ოღონდ ამ საქმეს ნუღარ გამოჩხრეკთო. იქაურ პლენუმზე პირდაპირ მივახალე, შენი ადგილი მხოლოდ ციხეშია-მეთქი. პლენუმი 6 აპრილს სოხუმში ჩამოსულმა პატიაშვილმა მოიწვია და საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გაათავისუფლა. მანამდე კი მთელი ორი დღე მაწვალა ადლეიბამ, კაბინეტიდან რომ გამოსულიყო. დავემუქრე, თუ შენი ხელით არ დაწერ გადადგომის შესახებ განცხადებას, დაგაპატიმრებ-მეთქი. მან პირველმა მოაწერა ხელი ლიხნის გახმაურებულ წერილს აფხაზეთის საქართველოდან გასვლის შესახებ. ამით ადლეიბამ თავისი ხალხი მოატყუა და იმ მრავალწლიანი ჯოჯოხეთისთვის გაწირა, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება. ამასობაში დედაქალაქში მეტისმეტად დაიძაბა სიტუაცია — მიტინგი მიტინგზე იმართებოდა. სოხუმიდან გვიან ღამით ჩამოვფრინდით პატიაშვილი, მე და სესილი გოგიბერიძე. მაშინვე გამოვიძახე ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსი და სიტუაციას უფრო დაწვრილებით გავეცანი. მეორე დღეს კი შევიმუშავე მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან მოშიმშილეების უხმაუროდ გაყვანის გეგმა. სწორედ ის გეგმა, რომელზეც როდიონოვი ლაპარაკობს. საბედნიეროდ, ეს ჩემი იდეა იყო და არა — მისი. ბატონმა ჯუმბერმაც მოიწონა ეს იდეა, რომელიც მოშიმშილეთა სასწრაფო დახმარების მანქანებით გაყვანას ითვალისწინებდა. გეგმაში აბსოლუტურად დაცული იყო კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მოშიმშილეებს ასე იოლად ვერ შეეხები, ამან შესაძლოა მათი ჯანმრთელობის მომენტალური გაუარესება გამოიწვიოს. ამიტომაც ჩავრთეთ საქმეში სამედიცინო ბრიგადები და გადაწყდა, რომ ღონისძიება ჩატარდებოდა 9 აპრილს, გამთენიის ოთხ საათზე. სხვათა შორის, ეს გეგმა საკავშირო თავდაცვის მინისტრის, იაზოვის მოადგილემ, კოჩეტოვმაც მოიწონა და შემოგვთავაზა, შემდეგ ჯარის ნაწილები მთავრობის სახლის ირგვლივ, გარკვეულ პერიმეტრზე დადგებიან და აქაურობას დაიცავენ, რადგან მოშიმშილეების გაყვანის შემდეგ არაფორმალები შემოგვიტევენო. მის წინადადებას დავთანხმდით. ეს გადაწყვეტილება ბატონი ჯუმბერის თანდასწრებით მივიღეთ და ნიკოლსკის გარდა (საქართველოს ცკ-ის მეორე მდივანი) წინააღმდეგი არავინ ყოფილა. მხოლოდ ეს ერთადერთი კაცი ითხოვდა ჯარისთვის უფრო მეტი აქტიურობის უფლების მინიჭებას(!). არ მომეწონა, რომ ოპერაციის ხელმძღვანელად როდიონოვი დაინიშნა. განაწყენებულმა ისიც ვიკითხე — აბა, მე სოხუმიდან რაღად ჩამომიყვანეთ-მეთქი, მაგრამ პატიაშვილმა დამამშვიდა — ეს ალბათ იმიტომ მოხდა, რომ როდიონოვი წოდებით შენზე მაღალიაო. რას ვეტყოდი, კაცი თვითონაც შეწუხებული იყო. უკვე ყველაფერს მოსკოვი განაგებდა.

*— კი, მაგრამ როდიონოვი დაჟინებით ამტკიცებს, გორგოძეს ეს აქცია მის განკარგულებაში არსებული შინაგანი ჯარით უნდა დაეშალაო.*

— არავითარი შინაგანი ჯარი ჩვენს სამინისტროსთან არ არსებობდა. იყო საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი მერვე პოლკი, რომელიც ჩვენი მოსკოველი მინისტრის ბრძანების გარეშე ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამდა. სწორედ ამ შენაერთის ნაწილის ჩემს განკარგულებაში გადმოცემას ვთხოვდი საკავშირო მინისტრს — ბაკატინს, მაგრამ ამაოდ. გარდა ამისა, კოჩეტოვს ისიც შევახსენე, რომ კონსტიტუციით სამხედრო ნაწილების ამოქმედება (შინაგანი ჯარისგან განსხვავებით) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ საქმე გვექნებოდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან. იმ შემთხვევაში, თუ მომიტინგეები მთავრობის შენობაში შეცვივდებოდნენ. სხვაგვარად ეს მილიციის საქმეა-მეთქი, მაგრამ პასუხად დუმილი მივიღე. ამ შეხვედრის შემდეგ სამსახურში დავბრუნდი და ძალების მობილიზებას შევუდექი, მაგრამ არ გასულა სულ რაღაც ორი საათი და რუსთაველზე მძიმე ტექნიკისა და ხალხის ისეთი გნიასი ატყდა, რომ ძარღვებში სისხლი გამეყინა. სამხედრო „ბეტეერები“ პირდაპირ მომიტინგეებში დანავარდობდნენ, ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი ვერტმფრენები კი თბილისის ცას სერავდნენ. ვურეკავ საქართველოს სუკის თავმჯდომარეს, გივი გუმბარიძეს, რა ხდება-მეთქი. არ ვიცი, როდიონოვს დაურეკეო. როდიონოვი არ პასუხობს.

დავრეკე მოსკოვში, ბაკატინთან. განვუცხადე, რომ ვიხსნი პასუხისმგებლობას, რადგან ჩემს ზურგს უკან რაღაცეები ხდება, თბილისის ქუჩებში ჯარი დათარეშობს და ხალხს აშინებენ-მეთქი. აზრი აღარ ჰქონდა ჩემი გეგმის განხორციელების მცდელობასაც კი. მთელი ქალაქი დაიძრა რუსთაველისკენ. მერე რაც მოხდა, ყველამ იცის...

მოგვიანებით ზედიზედ ხუთი საგამოძიებო კომისია გავიარე. ყველგან ერთსა და იმავე კითხვაზე ვითხოვდი პასუხს, ვინ გასცა 8 აპრილს ქალაქის ცენტრში მძიმე ტექნიკის გამოყვანის ბრძანება-მეთქი და არც ერთხელ არ მიპასუხეს. რუსებმა თავისი გაიტანეს, თავისი ჩანაფიქრი განახორციელეს — სამაგალითოდ დაგვსაჯეს. მანამდე კი მხოლოდ ის მოვახერხე, რომ განკარგულება გავეცი, ჩაეკეტათ მთავრობის სასახლის შესასვლელი, საითკენაც ჯარისკაცები ერეკებოდნენ ხალხს. მართლაც, ჯარისკაცებმა დაუყოვნებლივ გადაკეტეს რუსთაველის გასასვლელები და ერთადერთი გზა დატოვეს — მთავრობის სახლი. აი, ამ შემთხვევაში კი იტყოდნენ, რომ ადგილი ჰქონდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას — მომიტინგეები მთავრობის სასახლეში შეცვივდნენო. მაგრამ ჩემს ხელქვეითებს ზემოთ ასასვლელი ქუჩები გავახსნევინე და ხალხს გასასვლელი კორიდორი გავუკეთეთ. ამან სულ გააცეცხლა როდიონოვი და როცა პირისპირ შევეყარე, ჯიქურ წამოვიდა ჩემზე. შემაგინა კიდეც, მეც იგივე დავუბრუნე, ბედად, იარაღი არც მე, არც ჩემს არც ერთ თანამშრომელს არ ჰქონია. ეს განკარგულება დაბინდებისას გავეცი. ვიცოდი, თავმოყვარე ქართველები შეურაცხყოფას ვერ აიტანდნენ. უარესზე კი იმწამს ფიქრიც არ მინდოდა. არადა, ჩვენმა ორმოცდაექვსმა თანამშრომელმა მიიღო სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები.

*— როდიონოვი იმასაც აცხადებს, უწმიდესი და უნეტარესი მიტინგზე მე მოვიყვანეო.*

— ვინ უშლის, რაც უნდა, იმას იტყვის. როცა სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, ჩვენს თანამშრომელს, მერაბ ღუდუშაურს ვთხოვე, გადაეცი შენს ნათესავს, უწმიდესსა და უნეტარესს, რომ მუხლმოდრეკილი ვევედრები, მომიტინგეებს დაშლისკენ მოუწოდოს-მეთქი. მართლაც პატრიარქი მალე გამოჩნდა ტრიბუნაზე, მაგრამ ვინ დაუჯერა.

18 აპრილს შევარდნაძის წყალობით მოიხსნა კომენდანტის საათი, რომელიც როდიონოვმა გამოაცხადა, რასაც დიდი ქაოსი მოჰყვა ქალაქში. პირადად მე, შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი არ გამატარეს სამხედროებმა.

როცა როდიონოვს აცნობეს, რომ ის გაათავისუფლეს, კომენდანტის საათიც მოიხსნა და ამიერიდან გორგოძე მიხედავს ქალაქსო, კიდევ უფრო გაცოფდა და მოიმიზეზა, ჩემს ხალხზე თავდასხმებიაო და ამის იმიტაციაც წამოიწყო — სამოქალაქოდ გადაცმული მისი ჯარისკაცების ორი ჯგუფი დავაკავეთ, რომლებიც თავისიანებს ქვებსა და ბოთლებს ესროდნენ. რუსი სამხედროების საცხოვრებლების მინებს ამსხვრევდნენ და ასე შემდეგ.

გორში თავისსავე სატვირთოს დახვდნენ და ცეცხლი წაუკიდეს. ამის ჩამდენი რუსი ჯარისკაცი მეორე დღესვე დავაკავეთ და როგორც მისმა წინამორბედმა, მანაც აღიარა, რომ სარდლობის დავალებით მოქმედებდა...

დავუბრუნდეთ ინტერვიუს. რუსი ჟურნალისტი ეკითხება იგორ როდიონოვს: — იგორ ნიკოლაევიჩ, როდესაც ძალისმიერი ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილებას იღებდით, არ შეგეშინდათ, რომ პოლიტიკოსები ხელს შეგიშლიდნენ?

— არა, ამაზე არც მიფიქრია. გადაწყვეტილება მიიღეს უმაღლეს დონეზე და არც არმიისა და არც ჯარისკაცის საქმე არ არის მის მართებულებაში ეჭვის შეტანა. რა თქმა უნდა, არ ველოდი ისეთ შეფასებებს, როგორიც მოგვიანებით გაკეთდა. ჩემი აზრით, სახალხო დეპუტატების ყრილობაზე ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელობა მოვალე იყო, განეცხადებინა, რომ გადაწყვეტილება მიიღეს მათ და როდიონოვი მხოლოდ ასრულებდა მათ დავალებას...

როგორც ხედავთ, საქართველოს დასჯა კრემლის ჩაფიქრებული იყო და ამ განზრახვას დიდად წაადგა მიტინგების ლიდერების სიჯიუტე. მათ მოთხოვნებს არასგზით არ დაეთანხმებოდნენ უმაღლეს სახელისუფლებო ეშელონებში. თუმცა ცოტა უკან დავიხიოთ.

**ჯუმბერ პატიაშვილი**: — 1985 წელს ცკ-ის პირველ მდივნად ამირჩიეს და მოსკოვში პირველივე ჩასვლისთანავე საკავშირო სუკის შეფმა ჩებრიკოვმა შემომთავაზა ინაურის შეცვლა გუმბარიძით ან პეტრე ჩხეიძით. ინაური ხელწამოსაკრავი კაცი არ იყო და უარი ვუთხარი. სამი წლის შემდეგ, როცა ჩებრიკოვი კრიუჩკოვმა შეცვალა, მანაც იგივე შემომთავაზა მისი მოადგილის, პონომორიოვის პირით. მან აიძულა ალექსი ინაური, პატაკი დაეწერა გადადგომის შესახებ. რაკი ფაქტის წინაშე დამაყენეს, ისევ ჩხეიძე ვარჩიე და მისი დანიშვნა შევთავაზე. მაგრამ მასზეც თავი შეიკავეს და მაშინ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივნის, ტარიელ ლორთქიფანიძის კანდიდატურა შევარჩიე. პონომორიოვი დამთანხმდა, მაგრამ მოსკოვში ჩასულმა დამირეკა, რომ კრიუჩკოვი წინააღმდეგია, რადგან მისი ინფორმაციით, ლორთქიფანიძეს მთლად წესრიგში ვერ ჰქონია ჯანმრთელობა და ისევ გუმბარიძე დანიშნეს. ეს იყო და ეს. ამიერიდან, ის მხოლოდ მოსკოვზე მუშაობდა. გადის დრო და გივი გუმბარიძეს აწინაურებენ. ტარიელ ლორთქიფანიძე კი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ხდება.

აი, რას ვკითხულობთ ისტორიკოსისა და პოლიტოლოგის, გურამ ყორღანაშვილის წიგნში „9 აპრილი, — მითი და სინამდვილე“ (2001წ.):

„ამ თვალსაზრისით ფრიად დამახასიათებელია იმხანად ჩვენში გავრცელებული ანეკდოტი: — „გივი (იგულისხმება გუმბარიძე. — ვ. გ.) თბილისის თავზე მართლა დაფრინავენ თეფშები? — სისულელეა!“ „ზვიად გამსახურდიამ რომ თქვა?“ „აჰ, ზვიადმა თქვა?“ „მართლაც დაფრინავენ“. ამბობდნენ, გუმბარიძე უნებისყოფო, სუსტი ხასიათის კაცი იყოო, მაგრამ არც მთლად ასეა... ამ შემთხვევაში ხასიათის სისუსტესთან როდი გვაქვს საქმე, არამედ კომუნისტ ხელისუფალთა განზრახვასთან, ხელისუფლების სათავეში მოეყვანათ ზვიად გამსახურდია, რათა შემდეგ მალევე ჩამოეგდოთ“.

ჯუმბერ პატიაშვილი: — გენერალმა კოჩეტოვმა თავის დროზე დიდი სამსახური გაგვიწია სვანეთში თოვლის ზვავებით გამოწვეული ტრაგედიის დღეებში.

აპრილის დღეებში კი კოჩეტოვი მართალია, არ ამჟღავნებდა, მაგრამ უკვე სხვა კაცი იყო.

ბეგლარ გელაშვილი: — 9 აპრილი არ მოხდებოდა, ინაური რომ თავის ადგილზე ყოფილიყო.

ჯუმბერ პატიაშვილი: — გეთანხმებით.

ბეგლარ გელაშვილი: — აბა წარმოიდგინეთ, 9 აპრილს, საღამოს, სუკის შენობაში რუსული სპეცდანაყოფის ასორმოცდაათკაციანი ბრიგადა შემოვიდა... შენობის დაცვის მოტივით. ორასი კაცი იჯდა კგბ-ს აკადემიაში. ფანჯრებსა და აივნებზე დააყენეს ტყვიამფრქვევები... ხელთ ავტომატები ჰქონდათ. ჩვენ კი ამ დროს ვიღებთ გუმბარიძის ბრძანებას იარაღის ჩაბარებაზე და 9 აპრილის ღამის სამ საათზე სახლებში მივდივართ. ოთხ საათზე კი ხოცვა-ჟლეტა უნდა დაიწყოს. მამაცხონებულო, თუ ჩვენს შენობას, ესე იგი ჩვენ, დაცვა გვჭირდება, იარაღს რაღაზე გვართმევ? რუსებს ხელიც არ გაუნძრევიათ, ისე წავიდნენ უკან, მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ ტრაგედიამდე ორი დღით ადრე ასეთი ქვედანაყოფი შემოჰყავთ სუკის შენობაში, იმაზე მეტყველებს, რომ ვიღაცამ იცის, რაც მოხდება და თუ ამ დროს ჩვენ, ესე იგი, ქართველი „კაგებეშნიკები“ ხალხის მხარეს გადავალთ, ყველას დაგვხოცავენ. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გუმბარიძის მოსვლის შემდეგ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი რაღაც უსახურ, უმოქმედო ორგანიზაციად იქცა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ გივი გუმბარიძე ჯერ საქართველოს ცკ-ის პირველი მდივანი, შემდეგ კი, როცა აქედან გააგდეს, სოჭის ქალაქკომის მეორე მდივანი გახდა. ნიკოლსკი (ცკ მეორე მდივანი) მოსკოვში დააწინაურეს. ვოიციცკი (გუმბარიძის მოადგილე) კი სვერდლოვსკის ოლქში და ასე, მათდა უნებურად გაიშიფრა ეს სამეული.

*— თხუთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ. როგორ ფიქრობთ, შეიძლებოდა თუ არა ამ ტრაგედიის თავიდან აცილება?*

ჯუმბერ პატიაშვილი: — რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. ეს შესაძლებელი იყო უპირველესად მომიტინგეებთან კომპრომისის საშუალებით. მაგრამ არ მოხერხდა მათთან კონტაქტი, რაც იმ დღეებში თავის თავზე აიღო ბატონმა რეზო ჩხეიძემ. მასთან ერთად მიტინგის ლიდერებთან შეხვედრა ითხოვეს ბატონებმა: მერაბ ბერძენიშვილმა, ვახტანგ გოგუაძემ და სხვებმა. მათ გადავეცი ჩემი თხოვნა, რომ მზად ვარ შევხვდე ნებისმიერ მათგანს, გნებავთ, ყველას ერთად. ბატონი რეზო დარწმუნებული იყო, რომ ამ შეხვედრის ორგანიზებას შეძლებდა, მაგრამ ეს არ მოხერხდა 7 აპრილს. ვერც 8 აპრილს შეძლეს მიტინგის ლიდერებთან შეხვედრა და ვიდრე მე მაცნობებდნენ, ბატონმა რეზომ იმავე საღამოს, რვა საათზე, ტელევიზიით გააკეთა განცხადება, რომ იყო ასეთი ჩანაფიქრი, მაგრამ მომიტინგეები კონტაქტზე არ წამოვიდნენ.

იყო მეორე მომენტიც: რვაში დილით დამირეკა შევარდნაძემ და მითხრა, გორბაჩოვი მთავაზობს იაზოვთან ერთად თბილისში გადმოფრენას და შენ რას იტყვიო. შესაძლოა, მას მოეხერხებინა მომიტინგეთა დარწმუნება, მაგრამ გულახდილად გითხრათ, იმ დროს შევარდნაძეს აღარ ვენდობოდი და ვუთხარი, იქნებ არ ღირდეს-მეთქი, იგივე გავუმეორე გორბაჩოვსაც, მდგომარეობას ჩვენი ძალებით განვმუხტავთ-მეთქი. მხედველობაში მქონდა ბატონი რეზო ჩხეიძის დანაპირები და გორგოძისეული გეგმა. მაგრამ ეს იყო მანამ, ვიდრე რუსთაველზე და თბილისის ცაში სამხედრო ტექნიკა გამოჩნდებოდა. ამის შემდეგ კოჩეტოვს განმარტება ვთხოვე და მიპასუხა, ეს ღონისძიება იმ ოპერატიულ-ტაქტიკური გეგმის ნაწილია, რომელიც მომიტინგეთა დაშინებას ისახავს მიზნად, ამ ხერხით ჩვენ ბაქოში ასიათასიანი მიტინგი „დავშალეთო“. კოჩეტოვმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ თბილისში ეს ყველაფერი უსისხლოდ არ დასრულდებოდა და... ტრაგედია იმ წუთიდან დაიწყო.

P. S. ჯერ კიდევ ორი წლის წინ ბატონმა შოთა გორგოძემ პირობა მომცა, რომ მოგვიანებით 9 აპრილთან დაკავშირებით ჯერაც უცნობ მოვლენებზე მომითხრობდა. ამის შემდეგ ბატონი შოთა ერთ ჩემს კოლეგას გაუნაწყენებია და ახლა მემუარებში აპირებს ამ ამბების აღწერას, თუმცა პირობა მომცა, რომ პირველად „კვირის პალიტრას“ მისცემს ამ მასალის გამოქვეყნების უფლებას და ჩვენც სიამოვნებით შემოგთავაზებთ უახლოეს ნომრებში.

***ვაჟა გავაშელი***





# ვის სეიფში ინახება კომპრომატებით სავსე დღიური?!

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

ხელისუფლებამ ხალხი გამოიყენა და მიატოვა, ასეთ საქციელს კი ძალზე სამწუხარო შედეგი მოჰყვება მისთვის. ხალხი მომთმენია, მაგრამ ბრმა არ არის — ხელისუფლებას უთუოდ მოსთხოვს პასუხს იმაზე, რასაც დღეს აკეთებს.

— **პრეზიდენტი ვერ ხედავს ამას თუ რეალობას ულამაზებენ?**

— სააკაშვილი არ არის მოხუცი და დაუძლურებული შევარდნაძე, რომ ილუზიების ტყვეობაში იყოს. მან კარგად იცის, რაც ხდება ქვეყანაში. როგორც ჩანს, საქმე სხვანაირადაა. მეგონა, ამ უკეთურებათა ინსპირატორი ჟვანია იყო (როდესაც კონსტიტუციური ცვლილებები და პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღება მოითხოვა), მაგრამ ცხადი შეიქნა, რომ კონსტიტუცია მასზე უკეთ სააკაშვილმა მოირგო, როდესაც ერთპიროვნული მმართველი გახდა. თუ სააკაშვილს ჰგონია, წარუმატებლობის შემთხვევაში ჟვანიას შევახოცავ ხელსო, ცდება — ეს აღარ გამოუვა. როდესაც პრეზიდენტი ყველა საქმეშია ჩართული და განათლების, შინაგან საქმეთა, თავდაცვის მინისტრებისა და პრემიერ-მინისტრის ნაცვლადაც ლაპარაკობს, ყველა მათგანის ქმედებებზე უპირველესად მას დაეკისრება პასუხისმგებლობა. სააკაშვილს პიარიც უნდა და პასუხისმგებლობის სხვისთვის აკიდებაც. ასე არ გამოვა, ან ერთს უნდა შეელიოს, ან — მეორეს.

— **ცესკოს დაკომპლექტების ახალი წესი რატომ აღმოჩნდა თქვენთვის მიუღებელი?**

— ამით დემოკრატიის ფასადიც კი მოიშალა ქვეყანაში, ხელისუფლება ავტორიტარული ტიპის კომისიას ქმნის. პროფესიული კომისიის შექმნის მომხრე მეც ვიყავი, მაგრამ მისი წევრების შემადგენლობა არც პრეზიდენტის და არც პარლამენტის უმრავლესობის დასანიშნი არ არის. დღეს კი ამის გაკეთებას აპირებენ. თუ მართლაც პროფესიული ცესკო უნდოდათ, აეღოთ მექსიკური მოდელი, რომლის დროსაც ტესტური სისტემით ტარდება კონკურსი, ანდა კენჭისყრით იწვევენ რიგით მოქალაქეებს საარჩევნო კომისიებში, რომელთაც მერე უტარებენ ტრენინგს და ასწავლიან საარჩევნო კოდექსს. ამ პრინციპით შერჩეული პროფესიული კომისია მართლაც ობიექტური იქნება.

დასასრულ არ შემიძლია არ შევეხო სასულიერო აკადემიაში შექმნილ მდგომარეობას. რამდენიმე თვის წინ, როდესაც პრეზიდენტი მთავრობასთან ერთად პატრიარქთან იყო სტუმრად, მაშინ განაცხადა, — კაბინეტში ეკლესიის დაშლის სქემა დამიდეს, რის გამოც თმა ყალყზე დამიდგაო. ფაქტია, რომ დღეს ამ სქემის განხორციელება დაიწყო და ეკლესიის შიგნით დაპირისპირების ინსპირირება ხდება. ამიტომ პრეზიდენტისაგან მოვითხოვ საჯარო განმარტებას, ვინ დაუდო მას ეს სქემა წინ, რამდენად არის დღევანდელ ვითარებაზე ინფორმირებული და ახორციელებს თუ არა უშიშროების სამინისტრო და თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლები ამ სქემას.

P.S. გვინდოდა კობა დავითაშვილის ბრალდებების მთავარ ადრესატს, ვანო ჩხარტიშვილს დავკავშირებოდით და მისი პოზიციაც მოგვესმინა. თუმცა რამდენიმე მცდელობისა, და პრესცენტრის ხელმძღვანელის დაპირების მიუხედავად, ბატონი ვანო ნახევარ საათში(?!) დაგიკავშირდებათო, ჩვენი დიალოგი მაინც არ შედგა.

*მარი ზანდუკელი*



# ბოძკინტები ურმებზე?!

## რიკოთის გავლა გაძვირდება...

საქართველოში უცხოეთის მოქალაქის დასჯის პირველი პრეცედენტი დაფიქსირდა. უცხოელ მძღოლს, რომელმაც ჩვენი სახელმწიფო 10.040 აშშ დოლარით აზარალა, ზარალის მთლიანად ანაზღაურება მოუწევს.

2004 წლის 28 ოქტომბერს რუსეთ-საქართველოს საზღვარი ლარსის საგუშაგოზე ანტიფრიზით დატვირთულმა ავტომანქანამ გადმოკვეთა. ავტომანქანა სომხეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებულ სატრანსპორტო ფირმა „სპაიკის“ საკუთრებაა. ტრანზიტით მიმავალ ავტომანქანას გუდაური-მლეთის მონაკვეთზე საბურავი დაეშვა. ნაცვლად იმისა, გაეჩერებინა და დაზიანებული საბურავი შეეცვალა, მან მოძრაობა განაგრძო და 2 კილომეტრის მანძილზე დაშვებული საბურავით ახალდაგებული, საკმაოდ ძვირად ღირებული გზის საფარი (რომელიც მსოფლიო ბანკის კრედიტით დაიგო) დააზიანა. „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პირს, რომლის მიზეზითაც გზის საფარი დაზიანდება, ეკისრება პასუხისმგებლობა და ვალდებულია, მიყენებული ზარალი აანაზღაუროს.

სომხეთის მოქალაქე ქართველმა სამართალდამცველებმა მაშინ დააკავეს, როცა იგი საქართველოს ტერიტორიას ტოვებდა. დუშეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, „სპაიკის“ კუთვნილი ავტომობილი დააყადაღეს და საჯარიმო ავტოსადგომზე გადაიყვანეს. საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლების განცხადებით, სომხური მხარე ზარალის მთლიანად ანაზღაურებაზე თავიდან უარს აცხადებდა, რადგან საქართველოში გზების დაზიანებისთვის აქამდე არც ერთი უცხოელი ან საქართველოს მოქალაქე არ დასჯილა.

...გვინდა კიდევ ერთი სიახლის შესახებ გაუწყოთ. როგორც შევიტყვეთ, რიკოთის გვირაბით სარგებლობა კიდევ უფრო გაძვირდება.

ამ საკითხების გასარკვევად „კვირის პალიტრამ“ კომენტარისათვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, **რომან დალაქიშვილს** მიმართა:

— **მთავრობის სხდომაზე რიკოთის უღელტეხილის ინვესტორისათვის გრძელვადიან მართვაში გადაცემაზე დაისვა საკითხი. ამბობენ, რიკოთის გვირაბით სარგებლობის გადასახადიც გაძვირდებაო...**

— გაძვირება მოსალოდნელია, თუმცა რამდენი პროცენტით(?!), ეს ჩემთვის უცნობია. გვირაბის მთლიან რეაბილიტაციას მილიონები ესაჭიროება. მისი კეთილმოწყობისათვის სერიოზული ინვესტიციაა საჭირო. თუმცა, გათვლები ცხადყოფს, რომ 7-8 წელიწადში ინვესტორი მოგებას მიიღებს. რიკოთის უღელტეხილზე არსებული გვირაბის შემოსავლები ძველთან შედარებით თითქმის სამჯერ გაიზარდა. იგი ამჯერად დღეში 4 ათას ლარს აჭარბებს. ჩვენ სპეციალური ვიდეოკამერები დავამონტაჟეთ და, შესაბამისად, კორუფციაც ალიკვეთა. თუკი ადრე რიკოთის გვირაბთან სამსახურის დაწყება ჭირდა, დღეს უკვე მუშაობის მსურველებს სანთლით დავეძებთ...

— **საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ საქართველოს საავტომობილო გზების განვითარების მიზნით მსოფლიო ბანკმა სოლიდური კრედიტი გამოყო. რაში იხარჯება ეს ფული?**

— მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტით სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რამდენიმე გზის რეკონსტრუქცია მოხერხდა. საქართველოში უკვე დაიწყო გზების ევროპული სტანდარტებით გაყვანა. გზებზე დამონტაჟდა ე. წ. ბოძკინტები (შუქამრეკლები), რომლებიც გზატკეცილებზე უსაფრთხო მოძრაობას აწესრიგებს. მოსახლეობამ კი ამ შუქამრეკლების მოპარვა და ურმებზე მიმაგრება დაიწყო. თითო ასეთი შუქამრეკლი 7-8 ლარი ღირს, მისი მასობრივი ქურდობისაგან მიყენებული ზარალი კი საბოლოოდ სოლიდურ თანხას შეადგენს.

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო ჩვენს მოსახლეობას, გამოიჩინონ გულისხმიერება და დაზოგონ ის თანხები და გაუფრთხილდნენ იმ ხალხის შრომას, რომელიც ამ შუქამრეკლების გაკვრას სჭირდება. არც იმ სომხეთის მოქალაქეს უნდოდა ზარალის ანაზღაურება, მაგრამ კიდევ კარგი, ჩვენმა სასამართლომ პრინციპულობა გამოიჩინა და მანქანაც დაუყადაღეს. ახლა ალბათ ინებებს და გადაიხდის, ნუ გვაიძულებენ ჩვენს მოქალაქეებზეც იმავე ხერხებით მოვახდინოთ ზეწოლა.

— **საერთაშორისო მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია კარგია, მაგრამ სოფლის მოსახლეობამ რა დააშავა, გზა მათ არ სჭირდებათ?**

— ჩვენ სატრანზიტო ქვეყანა ვართ და პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, საერთაშორისო მნიშვნელობის გზებს ენიჭება. ამასთან, ამ გზით ყველა სარგებლობს. თუმცა, მსოფლიო ბანკის ახალი კრედიტით ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი. პროექტის დასაფინანსებლად მსოფლიო ბანკმა 20 მილიონი აშშ დოლარი გამოყო. სავარაუდოდ, რეაბილიტაცია ჩაუტარდება 300-350 კმ რესპუბლიკურ და სასოფლო მნიშვნელობის გზებსაც.

P.S. რიკოთის უღელტეხილზე არსებული გვირაბის კეთილმოწყობაზე ლაპარაკი რამდენიმე წელია, რაც მიმდინარეობს. რიკოთის გვირაბის რეაბილიტაციის მიზნით, ბიუჯეტიდან რამდენიმეჯერ გამოიყო თანხები, დაწესდა გადასახადი და ა.შ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ამ გვირაბში არსებითი და ხეირიანი არაფერი გაკეთებულა. საქართველოს მთავრობა გვირაბის რეაბილიტაციის მიზნით, ინვესტორების ძებნას იწყებს, რადგან გვირაბში ძველებურად ჟონავს წყალი, გაუმართავია სავენტილაციო სისტემა, მუდმივად ხდება მოკლე ჩართვები, დაზიანებულია გზის საფარი, მთლიანად გამოსაცვლელია ელექტროსისტემა და კიდევ, იმ ელექტრონათურებს, რომლითაც გვირაბი ჯერ კიდევ ასე თუ ისე განათებულია, თურმე მსოფლიოში არც ერთი ქარხანა აღარ უშვებს(?!).

*ხათუნა პაიჭაძე*


# ართროზი: დიაგნოზი და არა განაჩენი

*„დამიდგინეს მენჯ-ბარძაყის სახსრების ართროზი. შეიძლება თუ არა ამ დაავადებისგან განკურნება ოპერაციის გარეშე?“*




მენჯ-ბარძაყის სახსრების ართროზის არსი ხრტილოვანი ქსოვილების დაზიანებაში მდგომარეობს. იკარგება მათი ელასტიკური თვისებები, ხდებიან მყიფე და მსხვრევადი. სწორედ ეს იწვევს ტკივილს. პრეპარატი, რომლითაც ერთხელ და სამუდამოდ განიკურნებით, არ არსებობს. მკურნალობის ამოცანაა, შეჩერდეს დაავადების პროგრესირება და მოიხსნას ტკივილი, რომელიც ზოგჯერ აუტანელია.

და თუკი ადამიანი ამა თუ იმ მიზეზის გამო უარს ამბობს ოპერაციაზე, მას შეიძლება შევთავაზოთ თანამედროვე პრეპარატების მთელი კომპლექსი, რომლებსაც მათი მიზანმიმართული მიღებისას, ამ პრობლემის დაძლევა შეუძლიათ.

**„მუვ ფრი“-ს აქტიური კომპონენტები ადვილად აღწევენ სახსრის დაზიანებულ ხრტილოვან უბნებში, იწვევენ მათ აღდგენას, აწესრიგებენ სასახსრე სითხის გამომუშავებას, თანდათანობით აჩერებენ ანთებით პროცესს.**

უწინარეს ყოვლისა აუცილებელია ხრტილოვან ქსოვილში ნივთიერებათა ცვლის გამაუმჯობესებელი წამლების გამოყენება. ისინი ე.წ. ქონდროპროტექტორებია. ფარმაკო-ინდუსტრია გვთავაზობს ქონდროპროტექტორების დიდ ნაირსახეობას და სწორი არჩევანის გაკეთება ხშირად დიდ სირთულეს წარმოადგენს. ქონდროპროტექტორის არჩევისას, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიაქციოთ მის ხარისხს და კლინიკურ გამოცდილებას. შემდეგ კი უბრალოდ მიენდოთ კომპეტენტურ სპეციალისტს და ეფექტიც დიდხანს არ გალოდინებთ.

ამ ჯგუფის უახლეს წარმომადგენელთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ პრეპარატ **„მუვ ფრი“**-ს რამდენიმე ექსკლუზიური ფორმულა - **„მუვ ფრი ორმაგი ეფექტით“, „მუვ ფრი სამმაგი ეფექტით“, „მუვ ფრი მსმ“**-ით, რომლებიც განკუთვნილია ართროზისა და ოსტეოქონდროზის სხვადასხვა სტადიის მკურნალობისთვის. პრეპარატი აპრობირებული და რეკომენდებულია **ამერიკის ართრიტის ფონდის** მიერ. საჭირო კურსი – 8-10 კვირაა. კურსი მეორდება 3-6 თვის ინტერვალით. პრეპარატის მიღება დაშვებულია ყველასთვის – გვერდით მოვლენებს არ იწვევს, მიღების ხანგრძლივობის მიუხედავად.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ქონდროპროტექტორების მიღება საჭიროა კურსობით და ხანგრძლივი დროის განმავლობაში – არანაკლებ 3 წლისა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, შესაძლებელია დაავადების შეჩერება და ხრტილის ნაწილობრივი აღდგენა. და რა თქმა უნდა, სასურველია კომპეტენტური სპეციალისტის რეგულარული კონტროლი.

ნუ აღელდებით, თუკი მკურნალობის დროს დაავადება დროდადრო გამწვავდება. უბრალოდ, ამ დროს ქონდროპროტექტორით მკურნალობას საჭიროა დაემატოს ასევე ანთებისსაწინააღმდეგო თერაპია.

მცირედი შენიშვნა – არ არის რეკომენდებული კურსის განმავლობაში სხვა პრეპარატებზე გადასვლა და, განსაკუთრებით კი, სხვადასხვა ანთებისსაწინააღმდეგო პრეპარატის ერთდროულად გამოყენება. თუ ტკივილის მოსახსნელად დოზა საკმარისი არ არის, უმჯობესია მისი გაზრდა, აუცილებლად სპეციალიტის მეთვალყურეობით.

და რა თქმა უნდა, მოგიწევთ ცხოვრების წესის რამდენადმე შეცვლა. უპირველეს ყოვლისა, შეამცირეთ დატვირთვა, რომელიც ხელს უწყობს ხრტილის მსხვრევას. კოქსართროზის შემთხვევაში არ არის დაშვებული ხტომა, სირბილი, სიმძიმეების აწევა, კიბეზე ასვლა, ჩაბუქვნები. იმავდროულად, სასარგებლოა ყოველდღიური დატვირთვები, რომელიც გულისხმობს ფეხების კუნთების ვარჯიშებს ჯდომით ან დაწოლილ მდგომარეობაში. დატვირთვა უნდა იყოს დოზირებული: გადაჭარბება – დაავადების გამწვავების ტოლფასია.



**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ, სახსრების პათოლოგიების გავრცელების კატასტროფული ტემპებისა და მასშტაბების საპასუხოდ, XXIს.-ის პირველი ათწლეული „ძვლებისა და სახსრების დეკადად“ გამოაცხადა (The Bone and Joint Decade 2000-2010)**

კოქსართროზის მკურნალობა – ხანგრძლივი პროცესია, რომელიც არცთუ ისე მცირედ მოთმინებას მოითხოვს. წარმატების მთავარი საწინდარია – კომპლექსური, თანმიმდევრული და რეგულარული მკურნალობა. ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს მიზანდასახულობაზე.

უფრო დაწვრილებით რეკომენდაციებს სპეციალურ ვარჯიშებსა და შესაძლო დატვირთვებზე შეიტყობთ ვიტამინ-ცენტრ **„ჯეოვიტი“**-ს სპეციალისტებთან.

*დ. შკარევსკაია,*
*აღდგენითი თერაპიის ექიმი*

ჯეოვიტი
GEOVIT

კომპანია „შიფ“-ის (აშშ) ოფიციალური დისტრიბუტორი
საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“
მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრებში:
ქ. თბილისი, აბულაძის 8, ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა №80
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით 9.00=17.00
www.schiffvitamins.com

Schiff 60

# „შეგაგონებთ ძმანო...“

*გასულ კვირას ქართული მართლმადიდებელი ეკლესია შიდადაპირისპირების ზღვარზე იდგა. საუკუნეების მანძილზე წმინდა წერილისა და რჯულის კანონის განუხრელად მიმდევარ საქართველოს საპატრიარქოს, რომელსაც ქრისტიანობის გავრცელების დღიდან არასოდეს ულალატია ჭეშმარიტი სარწმუნოებისთვის, მძიმე ბრალდებები წაუყენეს. ქრისტიანული მიმტევებლობითა და ბრძნული წინდახედულობით მიღებულმა გადაწყვეტილებამ ვნებათაღელვანი დრომდე ჩააცხრო. თუმცა, საპატრიარქოს წინააღმდეგ ცხადად თუ ფარულად მიმართული ბრალდებებისა და პროვოკაციების ნიაღვარი ნათლად მიანიშნებს, რომ დაინტერესებული ძალა მიზანმიმართულად ცდილობს სასიცოცხლო ფესვები გამოუთხაროს იმ ეროვნულ ხეს, რომელზეც ასწლეულების მანძილზე მტკიცედ დგას ერთიანი საუნჯე ჩვენი სახელმწიფოებრიობისა – ქართული მართლმადიდებელი ეკლესია.*





**1226 წლის 13 ნოემბერს, გვიანი შემოდგომის იმ საოცარ დღეს...**

**„...ხოლო მე შეგაგონებთ, ძმანო, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით, რომ ყველანი ამბობდეთ ერთსა და იმავეს, და არ იყოს თქვენში განხეთქილება, არამედ გაერთიანებულნი იყოთ გონებითა და აზრით“.**

### „ღაღადისი ცრემლთა“...

ღვთის შეწევნით, მიტევებამ და გონიერებამ ქართული ეკლესია დაპირისპირებისგან იხსნა (თუმც შესაძლოა ინციდენტი აქ არ დასრულებულა), მეორე დღეს კი, 13 ნოემბერს ქართულმა ეკლესიამ 100 ათასი ქართველი მოწამის დღე იზეიმა.

... 1226 წლის 13 ნოემბერს ღალატითა და ურთიერთგაუტანლობით დაცემულ საქართველოს სატახტოში ხვარაზმის შაჰი ჯალალედინი შეიჭრა და უდანაშაულო ქრისტიანთა სისხლის ტბა დააყენა. მანამდე მთელი საუკუნის მანძილზე უცხო დამპყრობლისაგან სრულიად თავისუფალი და მოშენებული თბილისი კაცთმოძულე მტარვალის სათარეშოდ იქცა. მიადგა უმანკოთა სისხლით გაუმაძღარი ხვარაზმშაჰი წმინდა სიონის ტაძარს, გუმბათი გადაანგრია და ზედ „თავისი ბილწი საჯდომელი დაიდგა“. ბრძანა ჯალალედინმა, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები გამოეტანათ ტაძრიდან, პირაღმა დაეგდოთ მიწაზე და ცოცხლად დარჩენილ ქართველობას საჯაროდ უარეყო ქრისტიანობა. ვინც ფეხს დაარტყამდა წმინდა ხატებს, მიიღებდა ჯალალედინის ნაწყალობევ სიცოცხლეს, ვინც არა და... ურჩებს — სიკვდილი, სიკვდილი, სიკვდილი!..

1226 წლის 13 ნოემბერს, გვიანი შემოდგომის იმ საოცარ დღეს, მართლმადიდებლური სამყაროს ზეციური მრევლი 100 ათასი ქართველი მოწამის უმაგალითო გმირობით გამდიდრდა. 100 ათასმა ქართველმა, ქრისტესა და საქართველოსთვის სიკვდილი არჩია!..

...ჩაიხრგა მტკვარი მართლმადიდებლობისთვის, სამშობლოსთვის თავშეწირულ ქართველთა გვამებით...

„და იყო ღაღადისი ცრემლთა და გოდება და ვაება“...

100 ათასმა ქართველმა ერთ დღეში დაიდგა მოწამებრივი გვირგვინი ქრისტესა და საქართველოსთვის!..

რელიგიათა ისტორია არ იცნობს ასეთი ოდენობის მსხვერპლის თავგანწირვის მაგალითებს ქვეყნისა და სარწმუნოებისთვის!..

ეს ჩვენი ისტორიაა, ისტორია — „ცრემლთა ღაღადისისა“ და უმაგალითო თავგანწირვისა... და ეს ისტორია შემთხვევით არ გვიხსენებია...

„...ხოლო მე შეგაგონებთ, ძმანო, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით, რომ ყველანი ამბობდეთ ერთსა და იმავეს, და არ იყოს თქვენში განხეთქილება, არამედ გაერთიანებულნი იყოთ გონებითა და აზრით“.

( კორინთელთა. რომ. 15,5. ფილ. 2,2).

პავლე მოციქულის ეს სიტყვები ეგებ სწორედ დღევანდელ სიტუაციაშია ხსნა იმ ერისთვის, რომელსაც ამდენი მოწამე ჰყავს და ჯერაც ვერ გაუცნობიერებია, თუ რამხელა მადლის ღირსად მიიჩნია უფალმა იგი!..

და თუ დღეს გაგვიჭირდება შეგონება და გაცნობიერება, ხვალ ვეღარ ავცდებით „ღაღადისს ცრემლთა“...

ქართული ეკლესია უკანასკნელი ციტადელია ერისა და სარწმუნოებისა და მტერი — ხილული თუ უხილავი, ყველა ღონეს ხმარობს ამ ციტადელის დასანგრევად. განხეთქილების შეტანის მცდელობაც ეკლესიის წიაღში, ისიც ყველაზე ულირსი ფორმით — მისივე შვილების გამოყენებით, სწორედ ამის დასტურია...

ის ბრალდებები, რაც სასულიერო აკადემიის 23 სტუდენტის ხელით საპატრიარქოს წაუყენეს, საქვეყნოდ და საჯაროდ განსახილველი არ არის. ის, რაც ეკლესიას ეხება, მისსავე წიაღში უნდა დაიწმინდოს და მრევლთან ზიარებასავით სუფთა და ამაღლებული მივიდეს, თორემ უფალმა დაგვიფაროს და ვშიშობთ, საპატრიარქოს კორუმპირებულობაზე სახალხოდ მსჯელობა საბედისწეროდ არ იქცეს ქართული ეკლესიის ერთიანობისთვის და სიონის ზართა ხმაშეწყობილი, სულისმიერი სიმფონია 30 ვერცხლის უსიამოვნო ჩხრიალმა არ გადაფაროს.

***ზვიად სეხნაშვილი***






## რას გვეტყვი, მამაო?

**— აღსარების ჩაბარების სურვილი პირველად გამიჩნდა. ისეთი მოძღვრის შერჩევა მინდა, ვისთანაც გულის გახსნას შევძლებ. ეკლესია როგორ უყურებს ამ საკითხს, რაიმე ცოდვას ხომ არ ჩავდივარ, რომ მოძღვარს დავეძებ.**

— თქვენი სურვილი ეკლესიისთვის მისაღები და გასაგებია. უფალმა ყოველ ჩვენგანს მისცა თავისუფალი არჩევანის უფლება და ეს არჩევანი მოძღვარსაც ეხება. შეგიძლიათ მიჰყვეთ გულის ხმას და ისეთი მოძღვარი შეარჩიოთ, რომელიც თავისი ადამიანური თვისებებით გულის გახსნას გაგიიოლებთ, ეკლესიის კარს გაგიღებთ. ადამიანურ ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ადამიანმა ჭეშმარიტი გზა იპოვოს. სულიერი მამის მოსაძებნად შეგიძლიათ რამდენიმე ტაძარში დაესწროთ წირვა-ლოცვას და მოძღვარს მოუსმინოთ, ან სულაც ახლობლების რჩევას მიჰყვეთ და მათგან შერჩეულ მოძღვარს წინასწარ გაესაუბროთ. მთავარია მოძღვრის დახმარებით ეკლესიაში მიხვიდეთ, მას მიენდოთ... ამიტომაც თქვენსა და თქვენს სულიერ მამას შორის სრული ურთიერთგაგება და ნდობა უნდა იყოს...

**— გთხოვთ განმიმარტოთ, არის თუ არა საგანგებო ლოცვები, ჰომოსექსუალი ცოდვისგან რომ გამოვიდეს. თუ არადა, რა უნდა გააკეთოს მან?**

— ჰომოსექსუალიზმი მართლაც უდიდესი ცოდვაა. რასაკვირველია არის შემთხვევები, როცა ადამიანი ისეთი ფიზიკური ნაკლით იბადება, რომელიც ამ ცოდვაში ჩავარდნას უწყობს ხელს, მაგრამ ძირითადად, ასეთ ცოდვაში სულის დაჭუჭყიანებით, მიმბაძველობით ვარდებიან... ორივე შემთხვევაში ადამიანს მოეძებნება ძალა, რომ ამ ცოდვიდან გამოვიდეს. ამ ცოდვისგან თავდასაღწევი საგანგებო ლოცვები არ არსებობს. თუმცა რომც არსებობდეს, დამოუკიდებლად, მოძღვრის გარეშე ამ ცოდვიდან გამოსვლა მაინც ძალიან ძნელი იქნება. ამიტომაც უპირველესად ასეთ ადამიანს ვურჩევთ მიმართოს მოძღვარს, რომელიც განსჯისა და განკითხვის გარეშე, მოისმენს მის აღსარებას. სწორედ მოძღვართან ურთიერთობით, მრავალჯერ აღსარებითა და მტკიცე სულიერი ნებით იძლევა ეს ცოდვა. მოძღვარი ამ ცოდვით შეპყრობილ თავის სულიერ შვილს თვითონვე შეურჩევს ლოცვებსაც და ცხოვრების წესის შეცვლაშიც დაეხმარება.

**— ვიცი, რომ არსებობს წმინდა ქალწული მარიამნა. გთხოვთ, გვიამბოთ მის შესახებ.**

— ღირსი მარიამნა წმინდა ფილიპე მოციქულის და იყო. როცა ფილიპე და ბართლომე მოციქულები ხალხში საქადაგებლად გავიდნენ, მარიამნა თან გაჰყვა და მათთან ერთად მოღვაწეობდა. ფრიგიაში წმინდა მოღვაწეები შეიპყრეს და საპყრობილეში ჩააგდეს. მერე კი წმინდა ფილიპე ჯვარზე გააკრეს, ხოლო მარიამნა და ბართლომე გაათავისუფლეს. საპყრობილეში ნატანჯი წმინდანები სხვადასხვა გზით წავიდნენ. წმინდა ბართლომე ინდოეთში გაემგზავრა სახარების საქადაგებლად, წმინდა მარიამნა კი მცირე აზიაში, ლიკაონიაში. ის მთელი ცხოვრება ქრისტეს სიყვარულს ქადაგებდა და ადამიანებს ჭეშმარიტ გზაზე დადგომაში ეხმარებოდა... წმინდა მარიამნა იქვე, ლიკაონიაში მშვიდობით აღესრულა.

**— ვიცნობ ადამიანს, რომელიც სიკეთის განსახიერებაა და უამრავ გაჭირვებულს ეხმარება, თუმცა მისი აღზრდის წესებიდან გამომდინარე, ეკლესიაში არ დადის... როგორ მოვიქცეთ. როგორ დავეხმაროთ ამ ადამიანს, რომ ეკლესიური გახდეს?**

— თქვენს ახლობელს ასეთი სიკეთის უნარს უფალი აძლევს, ეს ნიჭი ღვთისგან მოდის, მაგრამ სამწუხაროდ, ის ამას უფალთან ერთად კი არ აკეთებს, არამედ მარტოდ მყოფი. ამიტომაც მის სიკეთეს მადლი აკლია... თქვენი ახლობელი თავის საქციელს ეკლესიაში ლოცვა-ვედრებასთან ერთად რომ ასრულებდეს, ქრისტეს სისხლსა და ხორცს რომ იყოს ნაზიარები, მისი სიკეთე ისეთ მრავალ კეთილ ნაყოფს გამოიღებდა, თვითონაც რომ არ ელოდება. უფალი უფრო მეტს მისცემს, უფრო მეტი ადამიანის დახმარებას შეძლებს და მის სულსაც უამრავი ადამიანური ტვირთი შეუმსუბუქდება, თუკი ეკლესიაში ივლის, — აი რისი თქმა შეგვიძლია ამ ადამიანისთვის. თქვენც შეგიძლიათ ეს პასუხი მას წააკითხოთ. შეაგონოთ ეკლესიაში სიარულის აუცილებლობა. მაგრამ თუ რამდენიმე შეგონება არ ისმინა, შეეშვით, ნუ გაალიზიანებთ. მოვა დღე, როდესაც იგი თავად გადაწყვეტს ეკლესიაში მოსვლას. ყოველი ადამიანისთვის დგება დღე, როცა მას ღმერთთან მოსვლის სურვილი უჩნდება.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ*** ***იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# „ეკოს“ ქვებს ესვრიან!..



## კიდევ ერთი თავ-სატეხი?!

## ბერძნული ბენზინი და ქართული „კენჭები“

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

— **მერე დაცვა რას აკეთებს?**

ჩემს კითხვას ამჯერად ავტოსადგურის მენეჯერმა **რეზო პაიჭაძემ** უპასუხა.

— ამ ბიჭებმა რა ქნან, სანამ კიროვის ბაღამდე 50-მეტრიან აღმართს აივლიან, მანამდე ის მსროლელები გარბიან და იმალებიან...

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ სათავო ოფისს მივმართეთ. ალბათ, იცით, რომ „ეკოჯორჯიის“ მეპატრონეები ბერძენი ბიზნესმენები არიან. გაუგებარია, მაგრამ მათ პოლიციისთვის ჯერჯერობით არ მიუმართავთ(?!). რაღა დაგვრჩენოდა, ბაღის კიდეზე, საიდანაც ქვებს ისვრიან, მავთულბადე გავჭიმეთ, მაგრამ არაფერი შეცვლილა. წელს სულ 12 ავტომობილი დაზიანდა.

— **იქნებ კონკურენტი ავტოგასამართი სადგურები გებრძვიან ამ გზით?**

— არა, გამორიცხულია, ქვებს დაახლოებით 12-13 წლის ბიჭები ისვრიან, ისე, გასართობად.

— **თუ ქვასროლია ბიჭების ასაკი ასე ზუსტად იცით, ე. ი. ისინი დაგიჭერიათ კიდეც?**

„ეკოჯორჯიის“ დაცვის უფროსი **გელა ბარკალაია**:

— კი, დავიჭირეთ ერთი 12 წლის ბიჭი. მერე დედამისი მოგვივარდა და გამოგვლანძღა, რით დაამტკიცებთ, რომ ჩემმა შვილმა ისროლა ქვაო.

— **კიროვის ბაღის ბოლოს, საიდანაც ქვებს ისვრიან, პოსტი რომ გააკეთოთ?**

— ჩვენ მხოლოდ ხელშეკრულებაში მითითებულ ტერიტორიაზე შეგვიძლია მოქმედება და იარაღის გამოყენება. კიროვის ბაღი სხვა ტერიტორიაზეა, ამიტომ იქ ვერც პოსტს დავაყენებთ და ვერც მცველს. მეტსაც გეტყვით, როდესაც ბიჭები იარაღის გამოყენებით დავიჭირეთ, პოლიციაში პრობლემები შეგვექმნა იმის გამო, რომ ბაღი ჩვენი მოქმედების არეალში არ შედიოდა და თავის დახსნა 3000 ლარი დამიჯდა(?!).

ჩვენ მოვახერხეთ შპს „ეკოჯორჯიის“ სათავო ოფისის მენეჯერთან, **ლია ფირანიშვილთან** დაკავშირება. მას წინა კვირას მომხდარი ფაქტის შესახებ ვაცნობეთ და „ეკოჯორჯიის“ ხელმძღვანელებთან შეხვედრის ორგანიზებაში დახმარება ვთხოვეთ.

ლია ფირანიშვილმა დახმარება აღგვითქვა და თან დაგვპირდა, რომ ყველა იმ საბუთს გაგვაცნობდა, რომლითაც „ეკოჯორჯიის“ ხელმძღვანელებს სამართალდამცველებისთვის მიუმართავთ, თუმცა უშედეგოდ. მართლაც, რამდენიმე დღეში ქალბატონმა ლიამ პირობა შეასრულა და „ეკოჯორჯიის“ აღმასრულებელ დირექტორს, ჯორჯ იმანუილს და ფირმის ადვოკატს, ირაკლი კორძახიას შევხვდით. საუბარი ბერძენმა ინვესტორმა, **ჯორჯ იმანუილმა** დაიწყო: — ამ რვა წლის განმავლობაში, რაც საქართველოში ვსაქმიანობთ, საბერძნეთიდან შემოგვაქვს უმაღლესი ხარისხის საწვავი. „ეკოჯორჯია“ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით მუშაობს — ჩვენი ბუღალტერია სრულიად გამჭვირვალეა. გადასახადებსაც დროულად და სისტემატურად ვიხდით. რაც შეეხება მოგებას, ჯერჯერობით, ვერ გვაქვს, რადგანაც აქაურ ავტოგასამართ სადგურებში კონტრაბანდული და საეჭვო ხარისხის საწვავი იყიდება. ჩვენი მაღალხარისხიანი საწვავი, შედარებით მაღალი ფასის გამო, კონკურენციას ვერ უწევს კონტრაბანდულ საწვავს და ამით ძალიან ვზარალდებით. ახლა ეს პრობლემაც შეგვექმნა — ქვების სროლა...

— **იქნებ კონკურენტების ხელი ისვრის ქვებს თქვენს ავტოგასამართ სადგურში?**

— როგორც გავიგე, ქვებს ბავშვები ისვრიან, ამიტომ კონკურენტებს ამას ვერ დავაბრალებ. ბავშვების გარდა, ალბათ ისეთებიც ისვრიან, რომელთაც სიამოვნებას ჰგვრით ვინმეს ან რაიმეს დაზიანება.

— **ბატონო ჯორჯ, რად უნდა ავტომფლობელს კარგი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა საწვავი, თუ მას „ეკოჯორჯიის“ ავტოგასამართ სადგურში მანქანას დაუზიანებენ. მანქანას რომ თავი დავანებოთ, ხომ შესაძლებელია, ბაღიდან ნასროლი ქვა ადამიანს თავში მოხვდეს. რა იღონეთ ამის აღსაკვეთად?**

ამ კითხვაზე „ეკოჯორჯიის“ აღმასრულებელი დირექტორის ნებართვით ფირმის ადვოკატმა, **ირაკლი კორძახიამ** იკისრა პასუხის გაცემა:

— ჩვენ მივმართეთ ვერის ბაღის ადმინისტრაციას, მის დირექტორს დავით ხოშტარიას. როგორც გაირკვა, ბაღს არ ჰყავს დაცვა და ამიტომ ბაღის ხელმძღვანელობა ვერაფრით დაგვეხმარა. მაშინ ჩვენ ვერის ბაღის ადმინისტრაციის თანხმობით, მავთულბადე გავჭიმეთ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლის მიხედვით, „თუ ზიანი მიყენებულია შენობიდან საგნის გადაგდებით, გადავარდნით ან გადაღვრით, პასუხს აგებს პირი, რომელსაც დაკავებული აქვს სადგომი“. აქედან გამომდინარე, იურიდიულად ჩვენ არ ვაგებთ პასუხს ვერის ბაღიდან ნასროლი ქვებისგან დაზიანებული ავტომობილის ან ადამიანის გამო. ამაზე პასუხისმგებელი ვერის ბაღია.

— **მაგრამ მდგომარეობა არც მავთულბადის გაკეთების შემდეგ გამოსწორებულა. სხვათა შორის, მავთულბადე უკვე ისეა გაჭრილი, რომ ადამიანი თავისუფლად გაეტევა.**

— რა ვქნათ, რამდენჯერმე შევაკეთეთ. სხვა საშუალება არ გაგვაჩნია. იქ, ბაღში, სხვის კუთვნილ ტერიტორიაზე კი ჩვენი დაცვის დაყენების უფლება არ გვაქვს. სხვათა შორის, ჩვენ როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი განცხადებით მერიასაც მივმართეთ (როგორც გაირკვა, შპს „ეკოჯორჯიამ“ თბილისის მერს წერილობით მხოლოდ მიმდინარე წლის 10 ნოემბერს მიმართა, ანუ მას შემდეგ, რაც ამ საკითხით „კვირის პალიტრა“ დაინტერესდა. სხვა დოკუმენტაცია ვერ წამოგვიდგინეს. — ზ. ჩ.).

— **რატომ აუკრძალეთ თქვენს თანამშრომლებს, რომ განცხადებით მიემართათ რაიონის ან ქალაქის პოლიციის სამმართველოსთვის, ან თუნდაც თქვენ რატომ არ მიმართეთ?**

— მე არავისთვის არაფერი ამიკრძალავს. ბაღის ადმინისტრაციას მიემართა, ქვებს ხომ იქიდან ისვრიან?

— **კი მაგრამ, ვერის პარკიდან ნასროლი ქვით ხომ თქვენი კლიენტი ზარალდება, რომელიც თქვენი ბენზინის ჩასასხმელად მოვიდა და სანაცვლოდ ავტომანქანის ჩამსხვრეული მინა მიიღო, არ უფრთხილდებით თქვენს რეპუტაციასა და იმიჯს, სახელმწიფო ბიუროკრატიას თავი დავანებოთ, ამ შემთხვევაში პირველ რიგში თქვენ და თქვენი კლიენტი ზარალდებით, რომელსაც ამ ბენზინგასამართი სადგურისაკენ გამოხედვაც აღარ მოუნდება. იქნებ თქვენი ძალებით მოგეგვარებინათ პრობლემა, დამცავი ბადე გაგეჭიმათ სადგურის თავზე ან სხვა, რომ ადამიანმა ჩაფხუტის გარეშე შეძლოს ამ ადგილას გადაადგილება...**

საუბარში ჯორჯ იმანუილი ჩაერთო: — მესმის თქვენი აღელვება და ისიც, რომ ჩვენი კლიენტი არ უნდა დაზარალდეს, სახელმწიფოსაც ვთხოვთ მოგვეხმაროს, ჩვენი მხრიდან კი გპირდებით, დაცვის ყველა შესაძლო მექანიზმს განვიხილავთ და ამ სერიოზული პრობლემის სწრაფად მოგვარებას შევეცდებით...

ჩვენ ვესაუბრეთ ვერის, ყოფილი კიროვის ბაღის ყოფილ დირექტორს, დავით ხოშტარიას, რომელიც შეხვედრაზე ბაღის ახლანდელი დირექტორის, შიო არსენიშვილის თანხლებით მოვიდა. **დავით ხოშტარია:** „როდესაც ავტოგასამართ სადგურს აშენებდა „ეკოჯორჯია“ ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, მკითხეს რამე? აქ რაიმეს აშენება რეკომენდებული არ იყო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქ ქვები ფერდობიდან ბუნებრივადაც ცვივა. ბაღს დაცვა არ ჰყავს. ბიუჯეტი იმის საშუალებას არ გვაძლევს, რომ დაცვა ავიყვანოთ. მებაღეები ცდილობენ, წესრიგი დაიცვან და სხვა რა უნდა მოვთხოვოთ. გარდა ამისა, „ეკოჯორჯიას“ მავთულბადის გაკეთების უფლება მივეცით“. საუბარი **შიო არსენიშვილმა** გააგრძელა: „ვინ უშლის „ეკოჯორჯიის“ ხალხს, ბაღში ერთი-ორი კაცი რომ ამორიგეონ? პირიქით, მივესალმებით. პოლიციელს რომ დაინახავს, ან თუნდაც უფორმო ნებისმიერ მოქალაქეს, ქვის სროლას ველარ გაბედავენ ბავშვები. ჩვენ სხვა არაფერი შეგვიძლია“.

P.S. ბავშვები ესვრიან ბაღიდან ქვებს ავტოგასამართ სადგურს თუ ზრდასრული ხულიგნები, ჯერ კიდევ გასარკვევია.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ავტომფლობელებს ვურჩიოთ, რომ სანამ „ეკოჯორჯია“, პოლიცია ან მერია ამ პრობლემით დაინტერესდება და მოაგვარებს, მანქანაში ჩაფხუტი იქონიეთ, ურომლისოდაც ბენზინის ჩასხმისას არავითარ შემთხვევაში არ გადმოხვიდეთ მანქანიდან, ემანდ თავში რამე არ დაგეცეთ (ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც, ხომ გაგიგიათ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. — ზ. ჩ.).

*ზვიად ჩაკვეტაძე*


# განთავისუფლდით სახსრების ჭრიალისაგან

***ნატურალური ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება „გლუკოზამინ მსმ“***




- **ამცირებს ტკივილებს დაავადებულ სახსრებში და აუმჯობესებს მათ მოძრაობას;**
- **ამცირებს სახსრების ანთებას და მის თანმხლებ პროცესუალურ სიმპტომებს;**
- **ხელს უწყობს სახსრების ხრტილოვანი ნაწილის აღდგენას;**
- **არ აღიზიანებს კუჭს;**
- **უსაფრთხოა ჰიპერტონიკებისათვის.**

**სახსრების კომპლექსური მკურნალობისათვის ასევე გთავაზობთ:**




**– კალციუმით გამდიდრებულ პრეპარატს „კალცი ნაითი“.**

**„კალცი ნაითი“ აღადგენს ორგანიზმში კალციუმის ბალანსს. საუკეთესო საშუალებაა მოტეხილობებისა და ოსტეოპოროზის სამკურნალოდ.**




**– ძლიერ ტკივილგამაყუჩებელ მალამოს „ვეფხვის ბალზამი“.**

**„ვეფხვის ბალზამი“ მსოფლიოში ცნობილია როგორც საუკეთესო ტკივილგამაყუჩებელი მალამო კუნთებისა და სახსრებისათვის.**

**„ვეფხვის ბალზამ“- ს ეფექტურად გამოიყენებენ სპორტსმენები.**

*კომპანია „ნუტრიმენტ ჰაუს“–ში თქვენ გელით ექიმების გულისხმიერება და მზრუნველობა. კვალიფიციური ექიმები დაგეხმარებიან პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში.*

მის. დ.ალმაშენებლის 150;
ტელ: 95-65-03; 96-06-67

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

სამუშაო საათები: ყოველ დღე კვირის გარდა 10.00 – 18.00








bilim ბილიმ ფარმაცევტული კომპანია “Bilim pharmaceuticals”

აცხადებს კონკურსს სამედიცინო წარმომადგენლის თანამდებობაზე

ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი სამედიცინო განათლება.
- მუშაობის გამოცდილება ფარმაცევტული მარკეტინგის სფეროში.
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა.
- კომუნიკაბელობა.

გთხოვთ წარმოადგინოთ ინგლისურად თქვენი დეტალური CV და ფოტოსურათი შემდეგ მისამართზე:

თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 148/III.
ფარმაცევტური კომპანია “PSP”-ს
ცენტრალური ოფისი ან გამოგვიგზავნეთ
ელექტრონული ფოსტის საშუალებით – E-mail: bilim_ge@geo.net.ge

# „აფხაზეთი რუსეთისთვის ნახმარი ნივთივითაა“

აფხაზეთში ბაღაფშისტებისა და ხაჯიმბისტების დაპირისპირებამ პიკს მიაღწია. პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა ხელში იარაღი აიღეს. 11 ნოემბერს ვლადისლავ არძინბამ ხალხს სამოქალაქო თანხმობისკენ მოუწოდა: „აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევნებმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. ქვეყანა არნახულმა პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა. სამოქალაქო დაპირისპირების საშიშროება აშკარაა, საფრთხეშია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და ხალხის ერთიანობა. პოლიტიკურმა დაპირისპირებამ ოჯახების რღვევა გამოიწვია“...

მაგრამ ამ მიმართვამ დაძაბულობა ვერ განმუხტა. 12 ნოემბერს, ბაღაფშის მომხრეებმა, „სახალხო კრების“ შემდეგ იერიშით აიღეს ყველა ადმინისტრაციული შენობა. ეს ქმედება არძინბამ შეიარაღებულ გადატრიალებად შეაფასა. სიტუაციის დასარეგულირებლად არძინბა განმეორებით არჩევნებს ითხოვს. მისი აზრით, ეს კრიზისის დაძლევისა და ხელისუფლების კანონიერი შეცვლის ერთადერთი გზაა. სერგეი ბაღაფში წინააღმდეგია. ამასთან, ბაღაფშის თანამებრძოლები ხელახალი არჩევნების საშიში პერსპექტივის მოლოდინში, ცდილობენ, ყველანაირად აირიდონ თავიდან „პროქართული“ ორიენტაციის ბრალდება. ბაღაფშის გუნდიდან ვიცეპრემიერობის კანდიდატი, პროფესორი სტანისლავ ლაკობა რუსეთს მოუწოდებს: — შემობრუნდით ბაღაფშისაკენ, ეს აფხაზეთს ურთულესი სიტუაციიდან გამოიყვანსო. თუმცა, მოსკოვში, ეტყობა, სხვა აზრისა არიან. მთავარი ბაღაფშისთვის მეტოქეების მიერ მიკერებული იარლიყი („პროქართული ორიენტაცია“) კი არ არის, არამედ ის, რომ „ჩერნომორენერგოს“ ყოფილ დირექტორს და მის თანამებრძოლს, ალექსანდრე ანქვაბს მჭიდრო კავშირი აქვთ რუს ბიზნესმენებთან. ამბობენ, ბაღაფშის გუნდის გამარჯვებაში არცთუ უკანასკნელი როლი ითამაშა ბორის ბერეზოვსკის ფინანსურმა მხარდაჭერამ. ოლიგარქს ამით რესპუბლიკის სათავეში თავისი კაცის მოქცევა თუ არა, რუსეთის ხელისუფლების გამწარება მაინც ჰქონდა გამიზნული. ჯერჯერობით ეს მშვენივრად მოახერხა.

და მაინც, გაუგებარია, რატომ ჩაერთო მოსკოვი აფხაზეთის არჩევნებში? საკითხავია, რით არის ჩვენთვის რაულ ხაჯიმბა სერგეი ბაღაფშზე უკეთესი? ბაღაფშმა გაიმარჯვა, ხაჯიმბა ამას არ ცნობს, საქმის „გასარჩევად“ ორივე კვლავ მოსკოვს ეახლა, მაგრამ მაინც ვერ მიხვდნენ, რა უნდა რუსეთს. სოხუმში დაბრუნებულები კვლავ თავიანთ პოზიციებზე დარჩნენ. რა, რუსეთი აფხაზეთის ერთადერთი სპონსორი, ეკონომიკური პარტნიორი და რესპუბლიკის არსებობის გარანტი, ვერ იპოვიდა ბერკეტებს არასასურველი კანდიდატის „დასაწყნარებლად“? ეტყობა, კრემლში საბოლოოდ დაიბნენ და კონფლიქტისგან ჩამოცილება გადაწყვიტეს. საკითხავია, თავიდან რატომ ჩაერთვნენ ამ ამბავში? ალბათ ინერციით. ჩვენი პოლიტიკოსები დაეჩვივნენ უაზროდ და უმიზნოდ აფხაზეთით მანიპულირებას, ჩვენი გენერლების მიერ 1992-1993 წლებში შექმნილი აუღიარებელი რესპუბლიკა დღემდე მოსკოვის პატრონაჟის ქვეშ იმყოფება, თუმცა ახლა აღარ იციან რა უყონ, კრემლს ჯერაც ვერ გადაუწყვეტია — აღიაროს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რუსეთს შეუერთოს, თუ საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიიის ფართო გარანტიები მოუპოვოს. მაგრამ ისიც მშვენივრად იციან, რომ აფხაზეთის სუვერენიტეტს მსოფლიო არასოდეს ცნობს, რუსეთთან მიერთება კი ავტომატურად გამოიწვევს ჩვენი ქვეყნის იზოლაციასა და ბლოკადას. კრემლი „მანდარინის რესპუბლიკის“ მომავლის გარკვევას თბილისთან არ აპირებს: აფხაზურ ელიტასთან, რომელსაც სჯერა, რომ რუსეთი ვალდებულია დაეხმაროს, მოლაპარაკება ჭირს. ახლა აფხაზეთი რუსეთისთვის ნახმარი ნივთივითაა, რომელიც აღარ სჭირდება, მაგრამ გადაგდებაც ენანება. შედეგად კი იმას მივაღწევთ, რომ შინაკონფლიქტებით გაჩეხილი რესპუბლიკა მწიფე ვაშლივით ჩაუვარდებათ ხელში ქართველებს.



***ნოვოე ვრემია***

# მანდარინის რევოლუცია

11 ნოემბრამდე სოხუმში შედარებით მშვიდი ვითარება იყო. ორი მოწინააღმდეგე მხარე თავთავის მიტინგს ატარებდა, მაგრამ 12 ნოემბერს ეს მიტინგები ნამდვილ სახალხო მღელვარებად გადაიქცა. ბაღაფშის მომხრეები სამთავრობო კომპლექსისკენ დაიძრნენ. ხაჯიმბას ხალხი მათ შეჩერებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ. არც ჰაერში სროლისა შეშინებიათ. კომპლექსის დაცვამ ორგანიზებულად დაიხია უკან. ამავე დროს, ხმა გავრცელდა — პრემიერ მინისტრი ნოდარ ხაშბა გაურკვეველი მიმართულებით გაემართაო. ბაღაფშის მომხრეებმა მინისტრთა კაბინეტები დაიკავეს. დიდი შეტაკებები არ ყოფილა, მაგრამ სისხლისღვრა მაინც მოხდა — როცა ჰაერში სროლა ატყდა, კედლიდან ასხლეტილმა ტყვიამ მუცელში დაჭრა 78 წლის ქალბატონი, უნივერსიტეტის პროფესორი, ხაჯიმბას მიტინგის მონაწილე, თამარა შაკრილი. მოხუცი ქალი საავადმყოფოში გარდაიცვალა. ბრმა ტყვიამ კიდევ ორი მამაკაცი დაჭრა მსუბუქად — ამჯერად, ბაღაფშის ბანაკიდან.

***გაზეტა.რუ***

# მშვიდობისმყოფლები თავის საქმეს აკეთებენ

***ინტერვიუ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების მეთაურთან, გენერალ-მაიორ მურად ყულახმეტოვთან.***



**— სამხრეთ ოსეთს არაერთხელ განუცხადებია, კონფლიქტის ზონაში უკანონო შეიარაღებული ფორმირებები არიანო. რას იტყვით ამაზე?**

— დიახ, ნამდვილად არიან როგორც ქართული, ისე სამხრეთ ოსეთის მხრიდან. ეს ის იარაღიანი ხალხია, რომლებიც თითქოს შიგადაშიგ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს პოლიციისა და სამშვიდობოების მაგივრობას სწევენ. ამიტომ იქმნება დაძაბულობა. პრაქტიკულად ყოველღამე ისმის პროვოკაციული სროლა, მიზეზი უმეტესად ეს შენაერთებია.

**— რასთან არის დაკავშირებული კონფლიქტის ზონაში სამშვიდობოების პოსტების რაოდენობის გაზრდა?**

— ამის შესახებ გადაწყვეტილება შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე მიიღეს. მიზეზი — ორი თვის მანძილზე გამწვავებული მდგომარეობაა. დამატებითი პოსტები სიტუაციის სტაბილიზაციისთვის შეიქმნა. მაგალითად, ერთ დასახლებულ პუნქტში კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის ვაშლის ბაღის გამო მოხდა. ატეხეს ერთმანეთში სროლა. იძულებული ვიყავით, სამმხრივი სამშვიდობო პოსტი დაგვეყენებინა...

**— როგორ მუშაობენ სამშვიდობოები და ეუთო კონფლიქტის ზონაში?**

— მონიტორინგის საკითხებში მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. ეუთოს ვიწვევთ სადავო საკითხების გადაწყვეტისას. დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში მისიის წარმომადგენლებს და სამშვიდობოებს სადღეღამისო მორიგეობა აქვთ, ყოველდღიურ საშტაბო თათბირებსაც ესწრებიან. ცხადია, ეუთოს მისიას ამ პროცესში უფრო მეტად უნდა ჩართვა. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობოების ეუთოს მისიით შეცვლისა. არადა ეს ტენდენცია უფრო და უფრო ნათელი ხდება. ეს 12 წელი განა ეუთო ინარჩუნებდა მშვიდობას, მას კი არ შეუწყვეტია სისხლის ღვრა კონფლიქტის ზონაში... ეუთოს მისიას იარაღის ქონის ან ხმარების უფლება არა აქვს. მოვლენების განვითარების შემთხვევაში ის მხოლოდ ფაქტებს აღნუსხავს.

**— რა აზრის ხართ კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო ჯარების შემოყვანაზე?**

— ეს პოლიტიკოსებმა უნდა გადაწყვიტონ.

**— სამხრეთ ოსეთის საზღვრებთან ქართველი რეზერვისტების სწავლება მიმდინარეობს. მძიმე ტექნიკაც შეიყვანეს. ამასთან დაკავშირებით სამშვიდობოებს გაძლიერებული მზადყოფნა ხომ არ აქვთ ნაბრძანები?**

— არ არის ამის საჭიროება. ყველაფერი სიტუაციაზეა დამოკიდებული. სამშვიდობოები თავის საქმეს აკეთებენ — მშვიდობას უზრუნველყოფენ...

***ლენტა.რუ***

# ჟირინოვსკის სურნელოვანი საჩუქარი




„საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მეგობრობის ნიშნად“ — ასეთი წარწერით გაუგზავნა რუსეთის სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერმა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ საქართველოს პრეზიდენტს ოდეკოლონი „ჟირინოვსკი“. ამგვარივე საჩუქარი მიართვა რფ-ის პრეზიდენტს, ვლადიმირ პუტინს.

ჟირინოვსკის „ჟირინოვსკი“ ძალიან მოსწონს. დეპუტატმა აღნიშნა, რომ პარფიუმს „რბილი, კეთილშობილი და მწკლარტე სურნელი აქვს“. დიზაინიც კარგია: ფლაკონსა და ყუთზე ვლადიმირ ვოლფოვიჩის ორი გამოსახულებაა ორი ხელმოწერით. განსაკუთრებულ აქცენტს ჟირინოვსკი ოდეკოლონის მრავალფუნქციურობაზე აკეთებს: ფლაკონის ხუფს, რომელზეც ჩემი სილუეტია ამოტვიფრული, ბავშვი სათამაშოდ გამოიყენებსო.

მოსკოვის მაღაზიებში „ჟირინოვსკი“ 12 დოლარი ღირს. ოდეკოლონის გამომშვებმა ერთ-ერთმა ფრანგულმა ფირმამ ამ საქმეში უკვე 150 ათასი ევრო ჩადო. ამბობენ, მისი სურნელი „ჰუგო ბოსისას“ ჰგავსო. ჯერ არ ვიცით, მიიღო თუ არა ეს „მეგობრულსალმიანი“ საჩუქარი საქართველოს პრეზიდენტმა, რომელსაც, რბილად რომ ვთქვათ, ჟირინოვსკი მაინცდამაინც არ წყალობს (ისიც ასევე პასუხობს), მაგრამ საქართველოს პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარემ, კოტე გაბაშვილმა კი განაცხადა, — „ჟირინოვსკის“ უსიამოვნო და გაურკვეველი სუნი აქვს, მაღაზიაში დევს და არ იყიდებაო.

***იზვესტია***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***





ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გენიოსობენ

4 წლის **გიო წულაიას** შემთხვევით ღვინიანი ქილა გაუტყდა. დედამ ატირებულ შვილს ურჩია, ბაბუასთვის არ გაემხილა. სამუშაოდან დაბრუნებულ ბაბუას გიო კარებთან მიეგება და შესძახა:

— ბაბუ, დღეს მე ქილა არ გამიტეხია.

***

3 წლის **ზუკამ** დაინახა, როგორ შემოაგდო ოთახში ძლიერმა ქარმა თოკზე გაფენილი სველი შარვალი და დედიკოს უთხრა:

— დედიკო, დედიკო, შარვალს შესცივდა და თვითონ შემოვიდა სახლში.

***

პატარა **ვახო ურიგაშვილი** ტელევიზორს უყურებს და უცებ შეწუხებული მიუბრუნდა დას:

— ქეთი, ზანგებიც ადამიანები არიან?

— ნამდვილად...

— მერე ჭამის დროს არ რცხვენიათ?

— ?

— ასეთი შავი ხელებით რომ ჭამენ...

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„ის ლომივით ძლიერია, ტანმოქნილი, ფერად ჭრელი, სასტიკი და ღონიერი, ბრჭყალბასრი და კბილებმჭრელი".**



## სპილო და ჭიანჭველები

ზღაპრები

მინდორში ამაღლებული ბექობი იყო. ამ ბექობში ჭიანჭველებს ბუდე ჰქონდათ. იმავე მინდორში სპილო სძოვდა. სპილო მიუახლოვდა ჭიანჭველების ბუდეს, უნდა ფეხი დაედგა და დაენგრია.

ჭიანჭველები მიეგებნენ წინ სპილოსა და შეეხვეწნენ: ღმერთი გადღეგრძელებს, გზა აგვიქციე, ბუდეს ნუ დაგვინგრევ, ჩვენსა და ჩვენი შვილების ცოდოში ნუ ჩადგებიო.

სპილომ გულქვაობა გამოიჩინა, ყური არ ათხოვა ჭიანჭველების ვედრებასა და თქვა: რად უნდა შევისმინო ამათი თხოვნა, ერთი წიწკნანი არიან. სამაგიეროს გადახდა არ შეუძლიათ, ისევ ისა სჯობია, ჩემი ძალა მათზე გამოვიჩინოო. დაადგა თავისი ტლანქი ფეხები ჭიანჭველების ბუდეს და ჩაუნგრია.

ჭიანჭველები საშინლად გაბრაზდნენ სპილოზე, მიეხვივნენ. აუცოცდნენ ტანზე ფეხებიდან, ზოგი ყურში შეუძვრა, ზოგი ცხვირში, ზოგი პირში და დაუწყეს უწყალოდ კბენა.

სპილო ბევრს ეცადა, როგორმე მოეშორებინა თავიდან თავისი მწვალებლები, მაგრამ ვერას გზით ვერ მოახერხა. ჭიანჭველები, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ჰკბენდნენ და ჰკბენდნენ სპილოს, არც დღისით და არც ღამით მოსვენებას არ აძლევდნენ.

სპილომ ახლა კი ცხადად დაინახა, რომ პატარა სულიერებსაც შესძლებიათ სამაგიეროს გადახდა, ბევრი ინანა, რად ვუმტრე ჭიანჭველებსო, მაგრამ გვიანღა იყო.

## კრუხი და კაჭკაჭი

კრუხს წიწილები კალოზე გამოესხა. კაჭკაჭი დაჯდა შორიახლოს და ბოლოს ქნევით დაუძახა:

— ნათლიავ, ძალიან მებრალები, რომ მაგდენი შვილების გაზრდაში დიდი ჯაფა მოგდისო; მე მომაბარე რამდენიმე შვილი, ჰაერში ფრენას ვასწავლი, ჩემს შვილებს გავაცნობ და მაღლა ბუდეში დავზრდიო.

კრუხმა უთხრა:

— მგლისთვის ბატკანი რომელ ცხვარს მიუბარებია, რომ მე შენ შვილები მოგაბაროო.

***იაკობ გოგებაშვილის „დედა ენიდან"***

## შემოდგომა

რაცომ გვიყვარს შემოდგომა
ყველას — დიდს თუ პატარას?
იმიტომ, რომ კაკალს მერცყენ,
აღულემენ თათარას.
იმიტომ, რომ ვენახს კრეფენ,
ქვევრემს რეცხენ ღიპიანს;
იმიტომ, რომ რაც ხილია —
ყველა ხილი მწიფეა.
იმიტომ, რომ საფსეა
კალათი და გოდორი,
იმიტომ, რომ იღევა
ცაში ოქროს ფოთოლი...

***მურმან ლებანიძე***





**III ანა, გამოიცანი**

**1) ანდაზის მიხედვით, რა უნდა შეაყარო კედელს?**

ა) ცაცხვი; ბ) ცერცვი; გ) ქაცვი; დ) ცოცხი.

**2) რომელია ზედმეტი?**

ა) ნორჩი; ბ) ნედლი; გ) ხმელი; დ) ქორფა.

**3) ვის ეკუთვნის სიტყვები: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას! ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას!"**

ა) ნიკოლოზ ბარათაშვილს; ბ) დავით გურამიშვილს; გ) გრიგოლ ორბელიანს; დ) ილია ჭავჭავაძეს.

**4) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის სახარების ავტორი?**

ა) მათე; ბ) თომა; გ) იოანე; დ) მარკოზი.

**5) რომელი ცხოველის ნაშიერია კოზაკი?**

ა) აქლემის, ბ) ზებრის; გ) ჟირაფის; დ) თხის.

**რომელი სათამაშოები აკლია მარჯვენა ნახატს?**



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა



*XI საუკუნე იწურებოდა. კიდევ ერთხელ, განსაკუთრებით მწვავედ დადგა ქართველი ხალხის წინაშე მარადიული პრობლემა ყოფნა-არყოფნისა, გადარჩენის ან ისტორიის მეხსიერებაში შთანთქმისა...*

*მანამდე კი, მთელი ორი ასწლეულის მანძილზე, სახელოვანი მეფე-სარდლები თუ დიდგვაროვანი მამულიშვილნი ნაბიჯ-ნაბიჯ ამთლიანებდნენ ქვეყანას. „უსახელო" მიწათმოქმედთა თუ ხელოსან-ოსტატთა ნაღვაწი ეკონომიკურ ბალავარს უქმნიდა სახელმწიფოს. კულტურული და რელიგიურ-საეკლესიო ერთობა წინ უსწრებდა პოლიტიკურ ერთიანობას...*

*მაგრამ მეხივით დაატყდა მთელ წინა აზიას და, ბუნებრივია, საქართველოსაც იმიერკასპიის სტეპებიდან ნიაღვარივით წამოსული ოღუზური მოდგმის თურქ-სელჩუკები. „დიდი თურქობა" გაუსაძლისი გახდა. ყოველ წელს — გაზაფხულიდან დაზამთრებამდე აოხრებდნენ და გვიძარცვავდნენ მამულს. სისხლის ნიაღვარს აყენებდნენ, კაცებს მუსრს ავლებდნენ, ქალები და ბავშვები ტყვედ მიჰყავდათ, მოხუცთ დარჩენილ დღეებს უმოკლებდნენ. ხსნა არსაით იყო. ჩვენმა აღმოსავლეთით მოსაზღვრე მეზობლებმა, კავკასიის ალბანელებმა ვეღარ გაუძლეს თურქთა შემოტევას და გადაჯიშდნენ, — გათურქდნენ სრულიად. დღევანდელი აზერბაიჯანელები არიან მათი შთამომავალნი. საზარელი ბედი ელოდა საქართველოს... დაშლილ-დაქუცმაცებულს, მტერთაგან ლამის იავარქმნილს ღვთის სასწაული თუ გადაარჩენდა. საბედნიეროდ, ეს სასწაული აღსრულდა — ქვეყანას პატრონად მოევლინა 16 წლის ჭაბუკი, რომელიც ისტორიაში უპირველესი ქართველის სახელით შევა...*

# დავით IV — ქართველთა აღმაშენებელი

## მამის გზას „გადაუხვია"...

1089 წელი იდგა. საქართველოს უმძიმეს მდგომარეობას ყველა გრძნობდა. ამიტომაც მიიღეს ბრძნული გადაწყვეტილება სამეფო კარზე. ქვეყნის მართვას ჩამოაშორეს უილაჯო გიორგი მეორე და ტახტზე აიყვანეს მისი ძე — ნიჭით, განსწავლულობითა და მხედრობით გამორჩეული 16 წლის დავითი, რომელიც შემდგომ უშურველად შეამკეს აღმაშენებლის ტიტულით...

იმთავითვე დაწერს დავითის ისტორიკოსი: „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა". თავად გიორგი მეორემ, მამამ დავითისამ, ამის შემდგომ კიდევ ოცი წელი იცოცხლა. პატივი და დიდება არ მოჰკლებია მეფედყოფილს და მშვიდად, უდრტვინველად განასრულა სიცოცხლე ღირსეული მემკვიდრისა და საქართველოს აღზევების მაცქერალმა...

გულდინჯად შეუდგა ქვეყნის პატრონობას ყრმა დავითი. უპირველესად მეომრული სულის აღდგენა იყო საჭირო, გამარჯვების რწმენის დაბრუნება. ერთგული აზნაურნი შემოიკრიბა გარეშემო და არცთუ მრავალრიცხოვანი რაზმებით მოსვენება დაუკარგა ქართლის ბარში გაპარპაშებულ თურქებს. არადა, სულ მათ დაიკავეს მთელი ნაყოფიერი სახნავები და ბაღ-წალკოტები, საწუხარი უფრო ის იყო, რომ ყოველივე თავიანთი ფარა-ჯოგების საძოვრებად აქციეს... მსწრაფლ აღადგინა ჯარში წესრიგი და რკინის დისციპლინა დავითმა. რკინის ხელითვე აკრძალა ლაშქარში „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღმრთისა საძულველი და ყოველი უწესობანი"...

დავით მეფე ყოველმხრივ განადიდებდა მამაც და თავდადებულ მეომრებს, ამავდროულად მკაცრი და ულმობელი იყო მხდალთა და ბრძოლის ველზე შემდრკალთა მიმართ: შერცხვენილ მეომარს იარაღს აჰყრიდნენ, ქალის კაბას გადააცვამდნენ და ჯარის წინაშე ჩამოატარებდნენ.

...აიყარნენ თანდათან შევიწროებული და დამფრთხალი თურქ-სელჩუკნი ქართლის ბარიდან. ასევე თანდათანობით უბრუნდებოდნენ მამაპაპისეულ მიწას ხევხუვებში და ღრანტეებში თავშეფარებული ქართველი მხვნელ-მთესველნი და ახმაურდა ნაფუძარი... სოფელი სოფელს ემსგავსებოდა, ქალაქი ქალაქს...

თურქთა სასულთნოშიც შეიცვალა ვითარება ჩვენდა სასიკეთოდ. 1092 წელს გარდაიცვალა სულთანი მალიქ-შაჰი და დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა ტახტისთვის მის მრავალრიცხოვან მემკვიდრეთა შორის. დრო კი დადგა თითქოს, მაინც არ ჩქარობდა შორსმჭვრეტელი დავითი. კვლავ აგრძელებდა ხარკის გაღებას თურქთათვის — უფრო ხელსაყრელ დროს ელოდა.

ქვეყნის შიგნითაც ალსაკვეთი იყო ურჩობა ნებაზე მიშვებული მძლავრი დიდებულებისა. უმძლავრესისა და განდიდებულის მოთოკვა გადაწყვიტა, — რომ სხვებსაც ჭკუა ესწავლათ. ბოლო ათწლეულებში ბაღვაშთა საგვარეულო სახლი იყო ამგვარი, პირდაპირ სისხლი რომ გაუშრო დავითის მამა-პაპას. ანაზდეულად შეუტია ლიპარიტ ივანეს ძეს, დაამარცხა, შეიპყრო, მაგრამ აპატია თავდაპირველად, ირწმუნა მისი ერთგულების ფიცისა. მცირე ხანში კი, როცა მიხვდა, შეუძლებელი იყო მისი მორჯულება, „რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს", კვლავ შეიპყრო და ორი წლის შემდგომ ბიზანტიაში გააძევა. მკაცრად დასაჯა მძლავრი შინამტრები — ძაგან და მოდისტოს აბულეთისძენიც... არადა, მამა დავითისა, გიორგი მეორე ძალთა სიმცირისა თუ გულჩვილობის გამო ხშირად პირიქით, ასაჩუქრებდა ამბოხებულთ, იქნებ ამგვარად მოვუბრუნო გულიო...

მამის გზას „გადაუხვია" დავითმა და ჭკვათა სასწავლებელი გამოდგა დანარჩენ ურჩთათვის ჭაბუკი მეფის პრინციპულობა. მის მიერ დაწყებულ საქმეს კარგად წაადგა 1095 წელს დაწყებული ჯვაროსნული ომებიც, რომელშიც მთელი დასავლეთ ევროპა ჩაერთო თურქთა და ისლამური სამყაროს წინააღმდეგ ქრისტეს საფლავის გათავისუფლების საბაბით...

ასე, დაუცხრომელ ბრძოლაში მიიწურა XI საუკუნე და „მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლა სპანი". ახლა კი დადგა სანუკვარი დრო — 1099 წელს აღმაშენებელმა ხარკის მიცემა შეუწყვიტა მტერს. ვერარაფერი გააწყო სულთანმა ბარქიაროკმა...

აღარც ბიზანტიის დიდებას უხრიდა ქედს აღმაშენებელი. დიდხანს ატარებდნენ ქართველი მეფეები ბიზანტიურ ტიტულებს — მაგისტროსი, ვიპატოსი, ნოველისიმოსი, კურაპალატი... ეს მეტ-ნაკლებად დაქვემდებარებას ნიშნავდა. დავითმა უარყო ბიზანტიელთაგან „ნაბოძები" ყოველგვარი ტიტული და იწოდებოდა „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰინშა"... რაც აღმაშენებლის სრულ დამოუკიდებლობას და თითქმის მთელი კავკასიის მფლობელობას აღნიშნავდა...

## ერწუხის ბრძოლა

XII საუკუნის დასაწყისში საქართველო ანგარიშგასაწევი ქვეყანა ხდება. იწყება ქვეყნის მიწაწყლის მტკაველ-მტკაველ შემოკრება. კახეთ-ჰერეთი გახდა გამთლიანების პირველი მაცნე. კახეთის მეფე კვირიკეს შემდგომ აღსართანი განაგებდა, ერთი ვინმე „ცუნდრუკი, უსჯულო და უმეცრად უსამართლო"... ასეთთა მიმართ ისევ რკინის ხელი სჭირდებოდა დავითს. მხარში ამოუდგნენ მას



დიდებულები არიშიანი, ბარამი და ქავთარი, რომელთაც შეიპყრეს ურჩი აღსართანი... შემოიერთა დავითმა კახეთ-ჰერეთი... ავად ენიშნათ ეს მუსლიმან მეზობლებს. თვალთ უბრმავებდათ საქართველოს გაძლიერება და გამთელება... მხარდამჭერებს დაუწყეს ძებნა ერთიანობის მტრებმა და ისევ... ქართველთა შორის. განძის ათაბაგი ჩაუდგა სულთნის ურიცხვ ლაშქარს. მცირე ლაშქარი და არნახული შემართება დაუპირისპირა დავითმა. ადრინდელ ეპიზოდურ შერკინებათა შემდგომ ეს იყო პირველი დიდი ბრძოლა.

დაუზოგავად ეკვეთნენ ქართველნი და მუსლიმანნი ერთურთს ერწუხთან. განსაკვირველი იყო მაშინდელი ბრძოლა. მეფე არა მხოლოდ გონიერი სტრატეგი და პოლიტიკოსი უნდა ყოფილიყო, არამედ პირველი მეომარიც. შეუდარებელი მებრძოლი აღმოჩნდა დავითი. შეიჭრებოდა მტრის რიგებში, ლომის მჭექარებით შეუძახებდა, მარჯვნივ და მარცხნივ ჩეხდა და მუსრს ავლებდა მტერს... სამი ცხენი მოუკლეს და მეოთხეთი განასრულა ბრძოლა. ერწუხთან „შვეტი მახვილით" იბრძოდა, ორლესულით, რომელსაც ვადაჯვრიდან დაწყებული აქეთ-იქით თითო სასისხლე ღარი დაუყვებოდა. ხმლის ღარებიდან ჩამომდინარე მტრის სისხლმა უბე აუვსო მეომარ მეფეს. ამასობაში გასრულდა კიდევაც ბრძოლა გამარჯვებით. ჩამოქვეითდა ცხენიდან, შეიხსნა სარტყელი და... ითქრიალა დაგუბებულმა სისხლმა შეძრწუნებულ თანამებრძოლთა თვალწინ. მძიმედ დაჭრილი ეგონათ, მაგრამ, დაქცეული სისხლი მტრისა ყოფილა...

## რუის-ურბნისის კრებიდან მსტოვართა ინსტიტუტამდე...

ბევრ მანკიერებასთან მოუწია შერკინება დავით აღმაშენებელს. შემთხვევითმა და არაკეთილსინდისიერმა ხალხმა ეკლესიაშიც შეაღწია. ეკლესიის „გაწმენდას" ჯერ კიდევ დავითის პაპა ბაგრატ მეოთხე შეეცადა, როდესაც ამისთვის საეკლესიო სამყაროში დიდად პატივდებული გიორგი მთაწმინდელი მოიწვია საბერძნეთიდან, მაგრამ მაშინ მიზეზთა გამო ეს არ მოხერხდა... საეკლესიო კრება დიდი სიფრთხილითა და ტაქტით მომზადდა. ქართლის შუაგულში გაიმართა — რუისსა და ურბნისში 1104 წელს. როგორც ჩანს, თავად მეფეც ესწრებოდა კრებას. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, გადამწყვეტი საეკლესიო რეფორმა განხორციელდა. გადააყენეს მრავალი უღირსი მაღალი საეკლესიო პირი და მათი ადგილი მეფისა და ერის ერთგულმა მოღვაწეებმა დაიკავეს.

ამას მოჰყვა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი — შეიქმნა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის ახალი თანამდებობა და ამიერიდან მის მფლობელს შეეძლო ჩარეულიყო როგორც სასულიერო, ისე საერო საქმეებში. მეფემ მასვე დაუქვემდებარა უმაღლესი სასამართლო, „სააჯო კარი" და ამ თანამდებობაზე დანიშნა თავისივე აღმზრდელი, თავდადებული მოღვაწე გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. ამოქმედდა მსტოვართა ინსტიტუტიც. ეს გახლდათ ერთგვარი „საიდუმლო პოლიცია". მეფეს ყველაფერი უნდა სცოდნოდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ მომხდარ ამბებზე, განწყობაზე... ყველა სახის ამბავი და ინფორმაცია მასთან იყრიდა თავს და მემატიანის ფიგურალური გამოთქმით, ცოლსა და ქმარს შორის ნათქვამიც კი, თუ იგი სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, მეფისთვის საცნაური ხდებოდა.

## „მზითვად მოყოლილი" 40 ათასი ყივჩაღის ოჯახი...

ჯერ ისევ უმეტესი ქალაქნი თურქ-სელჩუკთ ეკავათ. უბრძოლველად რას დაგითმობდა მომხდური (ახლაც იგივე გრძელდება!). და აი, 1110 წელს ქართველთ გაათავისუფლეს სამშვილდე, 1115 წელს — რუსთავი, ამას მოჰყვა ლორე და სხვა დიდ-პატარა ქალაქი თუ ციხე. სერიოზულად შეშფოთდნენ თურქები. დიდი და გადამწყვეტი ბრძოლა მაჰმადიანურ სამყაროსთან გარდაუვალი გახდა. ამიტომაც უნდა დასრულებულიყო სამხედრო რეფორმა და საამისოდ დავით აღმაშენებელმა გამორჩეული გზა აირჩია. მაშინვე ყველა არ დაეთანხმა, მაგრამ ამ ნაბიჯმა გაზარდა და გააძლიერა საქართველოს სამხედრო ძლიერება. ეს გზა გახლდათ ყივჩაღთა ჩამოსახლება.

ყივჩაღებმა, თურქული მოდგმის მომთაბარე ხალხმა, ჩრდილო კავკასიისა და რუსეთის სამხრეთის ველებში პაჭანიკები შეცვალეს. მათ პირდაპირ შეკლული ჰყავდათ ხელში ძველი რუსები... ახლა თურქთა „მოსარჯულებლად" აირჩია დავითმა ისინი.

უწინარესად მეფე დაუმოყვრდა ყივჩაღთ. პირველი ცოლი, სომეხთა მეფის ასული (რომლის სახელი მემატიანეთ არ შემოუნახავთ) გაწუტევა და დედოფლად დაისვა ყივჩაღთა მთავრის, ათრაქა შარაღანის ძის ასული გურანდუხტი. გურანდუხტს „მზითვად მოჰყვა" 40 ათასი ოჯახი ანუ 200-250 ათასი ყივჩაღი, თითო ოჯახიდან თითო მეომარი რომ უნდა გამოეყვანათ. დაასახლეს ყივჩაღნი საქართველოს სანაპირო ოლქებში, ჩრდილო სომხეთში, ჰერეთში... ყივჩაღთა ნაწილი სწრაფად გაქრისტიანდა და გაქართველდა, შედარებით მცირე ნაწილი კი შემდგომ ხანაში მონღოლებს „გადაჰყვა" უკან, ჩრდილო კავკასიაში. ყივჩაღთა ჩამოსახლებამ უთუოდ დიდი როლი შეასრულა, თუმცა მათ რამდენიმე შეთქმულებაც მოუწყვიათ მეფის წინააღმდეგ „ხმლით, შუბით, ისრით", რომელთა ჩახშობა დიდად არ გასჭირვებიათ მეფის მსტოვართ...

აქვე ვიტყვით, რომ მრავალჯერ გადაურჩა ბედისწერას დავითი. ერთხელ, მშვიდობის ჟამს, ნადირობისას, ირემს დადევნებულს მშვილდი გაუმართავს... ფლატეში ცხენი წაქცევია და მთელი სამი დღის მკვდარი მოსულა გონს. მეორედ ერთ-ერთი ციხისთვის შემოურტყამთ ალყა. ზაფხულის ცხელ დღეს აბჯრის გარეშე იდგა მეფე. დღენიადაგ დადარაჯებულ მტერს პირდაპირ მკერდში დაუმიზნებია წამახული ისარი. ბედად, მთავარანგელოზის ხატს მოხვედრია, განუშორებლივ რომ ატარებდა მეფე და გადაურჩენია უეჭველ სიკვდილს... ლეგენდასავით ჰყვებიან გელათის ტაძრის აღშენებისას დავითის ხარაჩოდან ჩამოვარდნის ამბავს. სამას ხუთმა მკურნალმა ვერაფერი უშველა გვირგვინოსანს, სამასმეექვსეს საგვარეულო საიდუმლო მოუშველიებია, 12 ფურირმის რძეში ჩაუწვენია და განუკურნავს...

და ალბათ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ წინ იყო დიდგორი — უპირველესი იმ ბრძოლათა შორის, რაც კი ოდესმე გადაუხდია ქართველთ...

## „ძლევაი საკვირველი"

დიდგორის ბრძოლის შესახებ ბევრი დაწერილა და ბევრიც დაიწერება. მიუხედავად ამისა, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი თავისი მასშტაბით, მნიშვნელობითა და სტრატეგიით ყველა სამხედრო სახელმძღვანელოში შესატან ქართველთა უპირველესი მეფის გარდახდილ უმთავრეს ომს. როგორც მემატიანენი აღნუსხავენ, სამოცზე მეტ დიდსა თუ მცირე ომში გაუმარჯვია აღმაშენებელს...

არ ამოასუნთქა დავითმა თურქები და ზედიზედ აცლევინებდა ქართულ ციხე-ქალაქებს. შეშფოთებულმა თურქებმა ამიერკავკასიიდან, მცირე აზიიდან, მესოპოტამიიდან ვედრებით მიმართეს დახმარებისთვის თურქთა სულთანს — მაჰმუდს, ძეს მუჰამედისას, თანაც, მდგომარეობა რომ გაემძაფრებინათ, თავპირი და ხელები გლოვის ნიშნად შავად შეიღებეს და შველას შესთხოვდნენ. შეისმინა სულთანმა მათი ვედრება და მოუწოდა ყოველთა თურქთა სამყაროს ქართველთა წინააღმდეგ საღვთო ომისკენ. მაჰმუდის დაძახილზე საქართველოს საზღვარს მოადგა თურქთა ლაშქარი, რომლის სიდიდეს ყველაზე მცირეს 300 ათასს ასახელებენ, ყველაზე დიდს კი — 600 ათასს. და ეს უსასრულო ზღვა მებრძოლთა — 56 ათასი ქართველის წინააღმდეგ!

1121 წლის 12 აგვისტო. დიდგორის ველი ბრძოლის მოლოდინშია. დავითმა გააწყო თავისი ჯარი და შთამბეჭდავი, ქრისტესა და ქვეყნის სადიდებელი სიტყვით მიმართა მეომართ... — ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოაო, აუწყა! ამიტომაც ჩახერგეს ქართველებმა ნიჩბისის ხეობა და უკან დახევაზე ფიქრიც არავის შეეძლო. ბრძოლა უჩვეულოდ დაიწყო — 200 მეომარი გამოეყო ქართველებს და მტრის განლაგებისკენ გაემართა უსწრაფესად. იმდენად მოულოდნელი იყო ეს თურქებისთვის, გაოგნდნენ — მოღალატენი ეგონათ და თავიანთ განლაგებაში შეუშვეს, გზაც გაუთავისუფლეს!

...და შეიქნა ხელჩართული ბრძოლა. 200 გმირი დაერია თურქთა ლაშქარს, გონს მოსვლა არ აცალეს და დაბნეულები ცხენებიდან წალმა-უკულმა ცვიოდნენ ხმლებით განგმირულნი. ამასობაში დავითის ძირითადი ლაშქარი მეფის მეფური, მტერთათვის თავზარდამცემი ყიჟინით ეკვეთა თურქთ. ამას მეორე ფლანგის, უფლისწულ დემეტრეს იერიში მოჰყვა. ესეც მთლად მოულოდნელი იყო თურქებისთვის. აირია მათი განლაგება, ერთმანეთს აწყდებოდნენ. უკან მდგომებმა იფიქრეს, დავმარცხდითო და პირი იბრუნეს. მარტო კი არ გარბოდნენ თავქუდმოგლეჯილნი, თავისიანებიც გადაქელეს... ქართველთა მხედრობა დაედევნა თურქთ და სამი დღის მანძილზე მისდევდნენ, ზოგი წყაროთი კი რვა დღე სდიეს ანისის საზღვრებამდე და კონტრშეტევაზე ფიქრის დროც კი არ მისცეს... სიკვდილს ძლივს გადაურჩა თავში დაჭრილი თურქთა მთავარი სარდალი ილღაზი, რომელიც სიძის, დუბეისის დახმარებით ძლივს გაიყვანეს სამშვიდობოზე, თუმცა, დიდგორის ჭრილობამ ერთ წელში მოუსწრაფა სიცოცხლე.

აურაცხელი ალაფი დარჩათ ქართველ მეომრებს. ეს იყო არნახული და გაუგონარი გამარჯვება ურიცხვ მტერზე...

დიდგორის ბრძოლას თბილისის გათავისუფლება მოჰყვა, თუმცა უბრძოლველად არც ამას ჩაუვლია — 1122 წელს დედაქალაქი რამდენიმე საუკუნის შემდგომ თბილისში გადმოიტანეს ქუთაისიდან. მომდევნო წელს გათავისუფლდა დმანისი, კიდევ ერთი წლის შემდეგ უკვე საქართველოს მოსაზღვრე ოლქები — შირვანი და ანისი...

## ეპილოგის მაგიერ

„დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილმა ჩემმა ეპოპეამ, რომელიც ჩემის წინასწარი ვარაუდით ათ წელიწადში უნდა დამესრულებინა, ოცდახუთ წელზე მეტი დრო მოინდომა"... — ეს ქართული სიტყვის დიდოსტატის, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები გახლავთ, რომელმაც უსამანო ღვაწლი და თავდადება დავით აღმაშენებლისა მხატვრული სიტყვის სამოსელში გაახვია...

ძნელია უმტეროდ ცხოვრება, მეფევ ბატონოო, — ასე „ანუგეშებენ" მეფეთ მეფეს სიცოცხლის აღსასრულს ბრძენკაცის ნათქვამით, მაგრამ თავადვე დასძენს აღმაშენებელი, არც მტერმორეულობაა დიდად საამაყოო...

უამრავი სახოტბო თქმანი მიეძღვნა დავითის ღვაწლს, რომელსაც თავად მცირედად თვლიდა ბუმბერაზი მეფე, თავი ცოდვათაგან დამძიმებულ მოკვდავად მიაჩნდა და სიცოცხლის დასასრულს შვებას „გალობანი სინანულისანით" ჰპოვებდა. „და ოდეს ყვავილობაი დაჭნეს, სხვამან მოიღოს სკიპტრაი, სხვასა შეუდგნენ სპანი, მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო"... — წერდა მეფე განსაცვიფრებელი მხატვრული ოსტატობით.

და კიდევ ერთი: კონსტანტინე გამსახურდიას ხელეწიფებოდა და „შეჰბედა" კიდევაც სამზეოზე გამოეტანა დაფარული სიყვარული მეფე-კაცისა... ამ სიყვარულის ფინალი კი ასეთი გახლავთ: „მზიანეთიდან ჩამოსული ილუმინია" ეახლა მეფეს სიკვდილის წინ — ძნელი არ იყო დედისიმედის შეცნობა, ლიპარიტ ერისთავის ასულისა, რომლის სიყვარულიც გაუმხელელ ტკივილად დაჰყვებოდა მეფეს მთელი ცხოვრება. ეტყვის კიდევაც ერთ დროს სასურველ ქალს: „მაპატიე, დაო, შენი და ჩემი სიცოცხლე საქართველოს რომ შევწირე ტარიგად"... ვინ იცის, იქნებ მართლაც ასე იყო, იქნებ მარტოოდენ გარდახდილი ომების სიმძიმემ და ღალატთა სიმრავლემ არ მოუსწრაფა დღენი 52 წლის, ისევ საომრად და სარაინდოდ შემართულ ახოვან დავითს... შემზარავი სახით „ეახლა" სიკვდილი აღმაშენებელს — შავმოსასხამიანი, ხმლიანი მხედარი „წვერწითელი და ცხვირწამახული ვირთხის კბილისებრ წაწვეტებული მეჩხერი ღოჯებით". მოშაინური ხითხითით აუწყა კიდეც: თურქები ტაოსკარს მოადგნენო... საომრად განეწყო მეფე, მაგრამ ვეღარც თორი ჩაიცვა, ვეღარც ჯაჭვის პერანგი, ბაგრატისეული ხმალიც ვეღარ ზიდა...

**P.S.** *დავით აღმაშენებელი აღესრულა 1125 წლის 24 იანვარს... ხოლო ქვეყანა, რომელიც მისი მეფობის გარიჟრაჟზე სულს ლაფავდა, ახლა უკვე წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა, გადაჭიმული ნიკოფსიიდან დარუბანდამდის და ოვსეთიდან ერაგაწამდე...*

*დაკრძალეს დავით მეოთხე თავისსავე აგებულ გელათის მონასტერში, ხოლო ქართულმა ეკლესიამ ერის დიდი შვილი წმინდანად შერაცხა...*

***ისტორიული წყაროების მიხედვით მოამზადა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნოდარ შოშიტაშვილმა***

*თემურ ჩალაბაშვილი თავის თავს მოხეტიალე პოეტს უწოდებს და იმ ნაპირზე ოცნებობს, რომელსაც მშვიდობა აწერია და საქართველოსთვის ანთებული სანთლის შეპნაცრის – „ბედნიერი ხარ, ნვა შეგიძლია..."*

*თემურ ჩალაბაშვილის ერთი ლექსი „ო, დედოფალო!.." ტილოზე ოქრომკედით ამოიქარგა და მეტეხის ტაძარშია დაბრძანებული, მეორე, „ჩემო საქართველო, მართლმადიდებელო" თავად კათოლიკოს-პატრიარქმა მოიწონა... უნეტარესს უბრძანებია, ჰიმნივით იკითხებაო...*

*ამ ლექსებისა და იმის შესახებ, თუ რაზე ოცნებობს პოეტი, რა არის მისთვის სიყვარული, ვის ადარებენ და რატომ კითხულობს გამორჩეულად დავით გურამიშვილს, – ინტერვიუდან შეიტყობთ.*

# ასე შეშლილან სხვა პოეტები...

**— ბატონო თემურ, როდის დაიწერა „ო, დედოფალო"?**

— სტუდენტობისას, 1974 წელს. უნივერსიტეტის ჟურნალში კონკურსი გამოცხადდა წმინდა შუშანიკზე დაწერილი ლექსისთვის... თავისებური ბედი დაჰყვა ამ ლექსს. ჯერ კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე აპირებდა მასზე მუსიკის დაწერას... მოგვიანებით, საეკლესიო ჟურნალ „ქაროზში" დაიბეჭდა. ჟურნალის რედაქტორი ნანა დავითაშვილი-ბაგრატიონი მეტეხის ტაძრის მრევლია. მისთვის ამ ტაძრის მეუფეს, მამა აკაკის უთხოვია, ლექსის ავტორი გამაცანიო. ასე მოვხვდი მეტეხის ტაძარში ორი წლის წინ. მამა აკაკის ხელდასხმით, ლექსის სტრიქონები მხატვარმა კოტე ლონდარიძემ ტილოზე გადაიტანა. მრევლის ერთ-ერთმა ნევრმა ქალბატონმა კი „ო, დედოფალო!.." ოქრომკედით ამოქარგა, შემდეგ იმ ადგილას დავასვენეთ ტაძარში, სადაც სავარაუდოდ, წმინდა დედოფალი შუშანიკია დაკრძალული...

**— როგორ მიიღო მრევლმა ტაძარში დაბრძანებული ლექსი?**

— ასეთ ინტერესს ნამდვილად არ ველოდი. ძალიან ბევრი მეხმიანება. რამდენჯერმე ზეპირადაც მითხრეს ჩემი ლექსი ტაძარში...

**— მართლაც ერთი ამოსუნთქვით, ლოცვასავით იკითხება ეს ლექსი: *„გარეთ ქარია, ხორშაკი ჰქრიან, / ველება სენაკს ნათლისღებანი. / ო, დედოფალო! სხეული გტკივა, / თუ ცოდვის შვილთა შეცოდებანი?!"* თითქოს ამ ლექსის 20 წლის შემდგომი გაგრძელებაა „ჩემო საქართველო, მართლმადიდებელო..." ამ ლექსის შექმნას რამ შეუწყო ხელი?**

— შარშან ზაფხულს, ჯემალ ბალაშვილმა მითხრა, ლექსი უნდა დაწერო თემურ წიკლაურის საავტორო საღამოსთვისო, რომელიც გიორგობას, 23 ნოემბერს უნდა გამართულიყო. შეკვეთას ჰგავდა თითქოს... ვიფიქრებ-მეთქი... ეტყობა, ეგეც ბედია. სექტემბერში ტაო-კლარჯეთში მივდიოდი უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად. თემურმა გამგზავრებამდე დამირეკა, თუ ვერ ახერხებ, თქვი და დავანებებ თავსო... მომეშვი, თემურ, ტაო-კლარჯეთში მივდივარ და შეიძლება იქ უფრო დაიწეროს-მეთქი. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი...

**— რომელი ტაძარი იქცა თქვენი ლექსის შთაგონებად?**

**— მეგობარი მყავს ერთი, ფიროსმანის მუზეუმის დირექტორი, ანზორ მაძღარაშვილი. დამირეკავს მირზაანიდან, რაღაც უცნაური, თავისებური ხმა აქვს: — ბიჭო, ფიროსმანის მსგავსო, ბევრს ნუ სომ, თორე იმან რა წაიღო მითამ, რომ შენ წაიღოო...**

— ხახულმა საერთოდ შემშალა ჭკუიდან. აღარც მახსოვს, ფეხშიშველი როგორ ავედი, სადღაც მიმიყრია ფეხსაცმელი... ვტიროდი ამხელა კაცი... იმ ღამით დაიწერა „ჩემო საქართველო, მართლმადიდებელო..." სულ მალე კომპოზიტორ ზურაბ მჟავიას მუსიკაც შეიქმნა, მერე თემურ წიკლაურმა იმღერა არწივისებური შემართებით... მოგვიანებით, გია ბურჯანაძემ, ჯემალ ბალაშვილმა და თემურ წიკლაურმა წარუდგინეს უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს ეს ნაწარმოები. პატრიარქმა რამდენჯერმე მოუსმინა სიმღერას და მერე თქვა, ალბათ ასეთი შეიძლება იყოს მართლმადიდებლობის ჰიმნიო... სხვათა შორის, პირველად ეს ლექსი თქვენს გაზეთში დაიბეჭდა. იმასაც გეტყვით, რომ „კვირის პალიტრაში" დაბეჭდილი ერთი სტროფიც კი ჩემთვის უდიდესი პატივია. თქვენ ძალზე გემოვნებიანი მთავარი რედაქტორი გყავდათ. ქედს ვიხრი ქალბატონი ლალი გუნთაიშვილის ნათელი ხსოვნის წინაშე... იმედი მაქვს, რომ გაზეთში ძველებურად დაეთმობა ადგილი ქართველ მწერლებსა და პოეტებს...

**— ბატონო თემურ, როგორ წარუდგენდით თავს მკითხველს? ვინ ხართ?..**

— ალბათ, მოხეტიალე პოეტი... მეც არ ვიცი, ვინ ვარ. რომ ვიცოდე, ლექსს აღარ დავწერდი, ალბათ. ვცხოვრობ ისე, როგორც დღეს უნდა ცხოვრობდე კაცი, სხვანაირად არც გამოვიდოდა. არ მინდა მდიდარი ვიყო, არც ძალიან ღარიბი... მაგრამ (შაბლონად ნუ ჩამითვლით) პოეტი თავისი ხალხის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს. მეც ასე ვარ. მიჭირს კიდეც, ხანდისხან (იშვიათად, მაგრამ მაინც) მილხინს, ხან ქეიფით ვიქცევ თავს და გადის ასე წუთისოფელი...

**— თქვენს თავს ვის შეადარებდით?**



— მხოლოდ თემურ ჩალაბაშვილს. ვერავის ვერ გავუბედავდი, შევედარო...

**— არა, მე არ ვგულისხმობ, ვთქვათ, ვინმე დიდ პოეტს. უბრალოდ, როგორი ხასიათის კაცი ხართ?**

— უფრო ბოჰემის ტიპის კაცი ვარ. უნდა გაგაცინოთ, — მეგობარი მყავს ერთი, ანზორ მაძღარაშვილი. ფიროსმანის მუზეუმის დირექტორი გახლავთ. დამირეკავს ხოლმე მირზაანიდან, რაღაც უცნაური, თავისებური ხმა აქვს: — ბიჭო, ფიროსმანის მსგავსო, ბევრს ნუ სომ, თორე იმან რა წაიღო მითამ, რომ შენ წაიღოო... არადა, თბილისში, ფიროსმანის ქუჩაზე, რომელიღაც სახლს აწერია, აქ ცხოვრობდა ფიროსმანიო. როგორ მინდა შეიცვალოს ეს წარწერა — აქ ღამეებს ათევდა ფიროსმანი! სადა ცხოვრობდა ფიროსმანი, კაცო!

**— თქვენ ძალიან კარგად კითხულობთ ლექსებს. მე მახსოვს პოეზიის საღამოები უნივერსიტეტიდან. თქვენი გამოსვლა ყოველთვის ემოციური, არტისტიზმით გამორჩეული იყო... რას განიცდით, როცა ლექსს კითხულობთ?**

— აღმაფრენას, რაღაც იწვის თითქოს ჩემში. გინდა, წაგიკითხოთ ახლა ერთი ლექსი, რომელიც ძალიან მიყვარს?..

...

და პოეტი ერთი მსმენელისთვის ისეთი გატაცებით კითხულობს ლირიკულ ლექსს, როგორც სცენაზე, უამრავი მაყურებლისთვის. ამ ლექსს „ვიცი, გადამრევს..." ჰქვია და მასში ასეთი მშვენიერი სტრიქონებია: *„თეთრი ქუდნები მასხედან მხრებზე, / ვიღაც მაკავებს ცისკრის ძაფებით, / თქვენ ჩემში პოეტს ამაოდ ეძებთ, / მე მხოლოდ სურვილს ვეთამაშები. / ვიცი, გადამრევს ზაფხულის წვიმა / და წუთისოფლის ზანტი ეტლები. / ასე ყოფილა დიდი ხნის წინათ, / ასე შეშლილან სხვა პოეტები..."*

**— თქვენი საყვარელი პოეტი, ვერ გეტყვით... იქნებ დამისახელოთ პოეტი, რომელსაც ყველაზე ხშირად კითხულობთ...**

— ბოლო წლებში გურამიშვილისკენ გამექცა თვალი... იესო ასე სრულყოფილად ალბათ არავის დაუხატავს... ეტყობა, ჩემი სული მწიფდება, რომ უფრო მეტად შევეჯედლო რწმენის ტაძარს. მარტო „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი" რად ღირს... „ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო" — ეს თავია, ბოლო კი — „დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!" ხომ განსაცვიფრებელი მიგნებაა!..

**— ამ სტრიქონებს თითქოს მოთმინებისკენ მივყავართ, ერთმანეთის გატანას გვასწავლის...**

— აი, სწორედ ეგ არის. უფრო მოთმინებისკენ მივდივართ... ამიტომაც ვთვლი, რომ დღევანდელობას დავით გურამიშვილი ყველაზე უკეთ პასუხობს.

**— იმასაც ამბობენ, პოეტის სიმდიდრე მეგობრებიაო...**

— მართალს ამბობენ. არც მე ვუჩივი უმეგობრობას, მაგრამ არის რაღაც სხვა, რასაც მე შინაგან მეგობრობას ვუწოდებ. ასეთები ჩემთვის ბესიკ ხარანაული და ჯარჯი ფხოველია.

**— პოეტისთვის ყოველთვის სხვანაირია სიყვარული, პოეტის თვალი სხვაგვარად აღიქვამს სიყვარულს... უფრო მეტიც, პოეტი ყოველთვის შეყვარებულია... თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— უნდა დაგეთანხმოთ! პოეტი ყოველთვის შეყვარებულია... მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ ჩემთვის სიყვარული არ არის მხოლოდ და მხოლოდ ერთად ყოფნის საოცრება. აი, მაქვს ერთი პატარა ლექსი და წაგიკითხავთ, უფრო სწორად ლექსად გეტყვით:

***

*გაგითავისე, მიყვარდი, მწამდი,*
*ჩემი ოცნება შენს აჩრდილს სდევდა,*
*შენ იყავ ჩემი უთქმელი დარდი,*
*მე ვიყავ შენი ამაყი სევდა.*
*და როგორც ხდება, გაგვყარა ბედმა,*
*გაცრეცილ სიზმრებს შემოვრჩით მარტო,*
*ასეთ სიყვარულს რა ჰქვია ნეტავ,*
*ცალ-ცალკე ვართ და ერთმანეთს ვნატრობთ...*

***ესაუბრა ელენე სალარიძე***






# „თეატრმა ყველაფერი წაართვა"

## „არავითარი ილუზია არ მაქვს... აწი შეიძლება სიბერემ ამირიოს ტვინი"

*„ეს სპექტაკლი კი არ არის, საოცრებაა. საოცრებაა, რომ სტურუა არასდროს და არსად მთავრდება. მე ვერ მოგიყვებით, რა და როგორ ხდება სპექტაკლში ჩემი ხედვით და როგორ წავიკითხე სტურუას „ბეკეტი". ეს ზედმეტია... იგი საკუთარ სხეულში უნდა გაატარო, როგორც სამურაის დაშნა და როცა გაოგნება დაგეუფლება, ყურადღება მიაქციო სპექტაკლის თამაშს. აი სად იწყება ნამდვილი გაოგნება, საოცარი შეგრძნება დამეუფლა სპექტაკლის შემდეგ, არ შეიძლება მუდამ აკრიტიკო საქართველო, სადაც ასეთი ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს. დაე, რაც უნდათ, ის აკეთონ".*

***ოლეგ ტაბაკოვი, რუსი რეჟისორი, მსახიობი***

რობერტ სტურუას გაცნობა ძალიან ძნელია. ჩნდება მხოლოდ ილუზია, რომ ის გაიცანით. როგორც წყალში ჭყუმპალაობის შემდეგ ვერავინ იტყვის, ზღვის ფსკერი შევისწავლეო, ასევე ამ შემთხვევაშიც. გაოცებული დავრჩი დიდი რეჟისორის უბრალოებით, სითბოთი და გულახდილობით, ქვეცნობიერად იქნებ ველოდი კიდევაც ამას. რობერტ სტურუა ხომ იმ ოჯახის შვილია, სადაც სიხარულით მიდიოდნენ როგორც უფროსები, ისე ახალგაზრდები. რეჟისორის მამა, მხატვარი რობერტ სტურუა, შვილების მეგობრებს დიდი მოწიწებით ხვდებოდა.

— ერთხელ, მამას მე და ჩემი მეგობრები სუფრასთან დავხვდით. უკვე ნასვამები ვიყავით. ერთი მეგობარი არ წამოდგა ფეხზე. მამამ იმ დღიდან აითვალწუნა. რატომ არ გიყვარს, კარგი ბიჭია-მეთქი, — ვკითხე. მაშინ რომ არ ადგა, იმიტომო. თვითონ ყველას, დიდსაც და პატარასაც, ფეხზე წამოუდგებოდა ხოლმე.

**— რა გავლენა მოახდინა მამამ თქვენს ჩამოყალიბებაზე?**

— მამა სალად აფასებდა საკუთარ თავსაც და მეც ამას მიმაჩვია. არავითარი ილუზია არ მაქვს საკუთარი თავის მიმართ. ყოველ შემთხვევაში, აქამდე არ მქონია. აწი შეიძლება სიბერემ ამირიოს ტვინი... საკმაოდ კრიტიკულად ვაფასებდით ერთმანეთს მეც და მამაც. დედაჩემიც ძალიან საინტერესო ქალი იყო, ბუნებით — „ხულიგანი". მანაც მიმაჩვია ჩემს თავთან ზომიერ დამოკიდებულებას. დედას შეეძლო ისეთი რამ ჩაედინა, რაც ბევრი ჩვენგანისთვის უცხოა. ქუჩაში გაეხუმრებოდა უცნობს... იოხუნჯებდა. ერთად რომ მოვდიოდით, გზაში ვთამაშობდით ხოლმე. ხან სად დამემალებოდა, ხან — სად... როცა სიგარეტის მოწევა დავიწყე, დედამ მითხრა, — მეორე კლასიდან ვეწევიო. კინაღამ გავგიჟდი. მეორე კლასიდან არა, მაგრამ მართლა ადრე დაუწყია მოწევა. სულ ბიჭებთან მეგობრობდა, მისი კლასელები იყვნენ ბიჭიკო ჩხეიძე, სერგო ფარაჯანოვი... როგორც ახლა ვხვდები, ახტაჯანა ტიპი გახლდათ! X კლასში რომ იყო, მამა დაუხვრიტეს, ძველი ბოლშევიკი ვანო ბოლქვაძე. დედა, საერთოდ, კარგად სწავლობდა, მაგრამ კონსერვატორიის დასრულების შემდეგ დიპლომი არ მისცეს და აუკრძალეს პროფესიულ სცენაზე გამოსვლა. ამის გამო ეკლესიაში გალობდა. მისი ძმაც გარიცხეს მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან. მამამ რომ დედა შეირთო, ეს დიდი ვაჟკაცობა იყო. „ხალხის მტრის" შვილის ცოლად მოყვანა საკმაოდ საშიში გახლდათ. დედა 17-ის იყო, მამა — 19-ის. საერთოდ, ორივე მხრიდან ნათესავები ძველი პარტიულები იყვნენ. ბაბუაჩემი, ვანო სტურუა, ბოლშევიკი იყო. სხვათა შორის, სტალინი მას მიუღია პარტიაში.

**— გიყვარდათ მამის სახელოსნოში ყოფნა, მისი მუშაობისთვის თვალის დევნება?**

— მამა ხატვას მასწავლიდა. მეც მომწონდა, მაგრამ მერე და მერე რატომღაც გული ავიყარე. მხოლოდ სტუდენტობაში დავიწყე ხატვა — სჭირდებოდა ჩემს პროფესიას. მამას ძალიან სწყინდა, მის კვალს რომ არ გავყევი...

სახელოსნოში ჩასვლა არ მიყვარდა. იშვიათად თუ გამოვჩნდებოდი, მამა დამაყენებდა და მხატავდა. ეს კი არ მომწონდა. 1-2 საათი უნდა ვმდგარიყავი გაუნძრევლად. ამიტომ მერჩივნა, ჩემი მეგობრები მიმეყვანა მამასთან. მახსოვს, ერთხელ კახისა და ბესოს შინ ხატავდა. ისინი როიალზე იდგნენ. შებინდებულზე ქუჩიდან განათებულ ფანჯარაში მოჩანდა შემაღლებულზე გაუნძრევლად მდგარი ორი კაცი (როიალი არ ჩანდა). სახლის წინ თავმოყრილი ხალხი გაკვირვებული უყურებდა ამ სცენას. მეორე მიზეზიც მქონდა, რის გამოც სახელოსნოში ჩასვლა არ მიყვარდა. მამაჩემი, ცოტა არ იყოს, მექალთანე გახლდათ და ხშირად ჰყავდა იქ ქალები. მე ვეჭვიანობდი. მერელა შემეცვალა აზრი.

**— დედა არ ეჭვიანობდა?**

— ის, ეტყობა, შეეგუა ამას. ეს რომ წაერთმია მამაჩემისთვის, ის აღარ იქნებოდა რობერტ სტურუა. ამიტომ აძლევდა თავისუფლებას.

**— თქვენს სიჭაბუკეში თავისუფლება „უცხო ხილი" იყო. სახელმწიფო ამ ფუფუნებას არავის აძლევდა. მაგრამ თქვენ ყოველთვის გქონდათ შინაგანი თავისუფლება და თამამ სპექტაკლებს დგამდით კიდეც. ისეთი განწყობა, რაც „ყვარყვარეში", „სეილემის პროცესში" და სხვა სპექტაკლებშია, ოჯახშიც გქონდათ?**

— არასოდეს გვქონია ოჯახში დიდაქტიკური საუბრები ან მსჯელობა: ეს ასე უნდა იყოს, ის — ისეო. არც არაფერს მეუბნებოდნენ სახელმწიფოზე, არც ვეკითხებოდი რამეს. სკოლაშიც არასოდეს მოსულა არც მამა, არც დედა. პროფესიას რომ ვირჩევდი, მაშინაც კი არ მკითხეს, საბუთები სად შეგაქვსო. ერთადერთხელ, IV თუ V კლასში სამიანები გამომყვა (არ ვსწავლობდი კარგად. მხოლოდ X კლასში გადავწყვიტე, ყველა საგანი ფრიადზე მესწავლა, რომ ზედმეტი მისაღები გამოცდის ჩაბარება ამცდენოდა და სკოლაც ოქროს მედალზე დავამთავრე). შინ რატომღაც ჩხუბი ამიტეხეს. ბებიამ უსმინა ამ ჩხუბს და გამოაცხადა: დაანებეთ ამ ბავშვს თავი, მთავარი ჯანმრთელობაა და არა ხუთებიო. მერე განაზოგადა — სამიანი და ჯანმრთელობაო. რაც შეეხება ჩემს სპექტაკლებს, მათ ოჯახში გამართულმა ჩხუბებმა მისცა დასაბამი.

ჩვენ და ბერიას დედა ერთ სახლში ვცხოვრობდით. სხვათა შორის, ანგელოზივით ქალი იყო, მორწმუნე, გულმოწყალე. როცა გვიჭირდა, ხშირად გვეხმარებოდა. ჩვენს ქუჩაზე ხშირად სხდებოდნენ მათხოვრები. ის რომ ეკლესიაში მიდიოდა, ყველას ურიგებდა საჭმელს — პურს, ყველს. არ ვიცი, ალბათ ფული არ ჰქონდა... ჩვენს სახლში ძირითადად კა-გე-ბეს თანამშრომლები ცხოვრობდნენ. მათაც იჭერდნენ და ხვრეტდნენ. თითქმის ყოველდამე მიჰყავდათ ვილაც. დილით რომელიმე ბინა დალუქული გვხვდებოდა, ოჯახის წევრები — სადღაც გადასახლებული. მეორე დღეს ვილაც ახალი შემოსახლდებოდა. მერე იმასაც წაიყვანდნენ და ასე... როცა მივხვდი, რატომ ქრებოდნენ ჩვენი მეზობლები, დაიწყო საშინელი ჩხუბი ჩვენს ოჯახში. მამა სტალინელი იყო. ბიძაჩემი ჯერ რაიკომის მდივანი, მერე ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი, მერე — ქალაქის მერიისა. მამიდაჩემი, ლენა, მარქსიზმს ასწავლიდა კიევში. მეორე მამიდა „იმელში" მუშაობდა. მე და მამა ისე ვჩხუბობდით სტალინის თაობაზე, რომ დედა თვალცრემლიანი მემუდარებოდა ხოლმე — გაჩერდიო. მაშინ IV-V კლასში ვიქნებოდი. რუსთაველზე, სამხატვრო გალერეაში, მამაჩემის ნახატი ეკიდა — „მე ვნახე სტალინი": ჩაის პლანტაციების ფონზე ცისფერკაბიან მედეა ჯაფარიძეს ხელში ჩიბუხი ეჭირა და გარს შემოხვეულ გლეხებს უამბობდა, როგორი იყო სტალინი. მაშინ ამაყად ვუყურებდი ამ ნახატს. რომ წამოვიზარდე, ვიფიქრე, რა საშინელებაა-მეთქი. მამაჩემთან ჩხუბში მის ხელოვნებასაც შევეხე. მამამ გადმომილო ძველი ალბომი. გავოცდი. ასე რატომ არ გააგრძელე-მეთქი, ძლივს ვკითხე. ვერ გავაგრძელეო... აბა, რას მეტყოდა. ბოლო პერიოდში ისევ მიაგნო თავის თავს. ხატავდა ქალებს და ეკლესიებს. ახლა ნელ-ნელა იმ სოცრეალიზმსაც სხვანაირად ვუყურებ. ისიც ისტორიის ნაწილია. რა ქნას იმ ხალხმა, ვინც ისეთ ქვეყანაში ცხოვრობდა, სადაც თუ მონა არ გახდებოდი, არ დაგედგომებოდა...

**— მამათქვენი თუ ესწრებოდა თქვენს პრემიერებს?**

— მახსოვს, პირველი სპექტაკლის დადგმაში დოდო ალექსიძე მეხმარებოდა. ცნობილი ჩეხი დისიდენტის — ვლაჟეკის პიესა იყო, „სამი სურვილი" — თანამედროვე ზღაპარი. გენერალურ რეპეტიციაზე დარბაზში სამინისტროდან მოსული ხალხი იჯდა. მე და დოდო გასასვლელში, IX რიგში ვისხედით. ძალიან მრცხვენოდა. გავალ-მეთქი, მაგრამ დოდომ — არა, ფეხი არ მოიცვალოო. პირველი აქტის დასასრულს თოვლი უნდა წამოსულიყო. ვიდრე ეს სურათი დაიწყებოდა, პარტერში ხმაურით შემოვიდნენ რესტორან „თბილისში" ნაქეიფარი მამაჩემი და მისი მეგობრები. დაიკავეს უკანა რიგი. ბატონი დოდო მეკითხება: — ვინ არიან ეს ხულიგნები, რატომ შემოუშვეს მთვრალი ხალხიო. ნუ გეშინიათ, ბატონო დოდო, ჩუმად ისხდებიან-მეთქი, დავამშვიდე. მაგრამ თოვლი რომ წამოვიდა, მთვრალებმა დაიწყეს სიმღერა — „თოვლი მოსულა თბილისში"...

დოდო ალექსიძე ფეხზე წამოიჭრა და ერთი ამბავი ატეხა. ჩუმად ვუთხარი: — ბატონო დოდო, ნუ ჩხუბობთ, მამაჩემია-მეთქი. როგორ, რობერტიო? — გაოცდა.

მამას ძალიან უყვარდა „ხანუმა". მოდიოდა, ლოჟაში დაჯდებოდა და ეროსისა და რამაზ ჩხიკვაძის სცენებს ერთი სიამოვნებით უყურებდა. ბიძინა კვერნაძემ გაიხსენა: — ლონდონში რუსთაველის თეატრის დიდი წარმატების ამბავი რადიო „თავისუფლებით" გავიგე. მამაშენი შემხვდა და მივულოცე. ხელი ჩაიქნია: კაი, კაცო, წამოდი, დავლიოთო. ამგვარი დამოკიდებულება მომწონდა, ამან ბევრი რამ მომცა...

**— თქვენი სიმამრი, მიხეილ კვესელავა, დიდი პიროვნება იყო. თქვენ როგორი დამოკიდებულება გქონდათ მასთან?**

— მიხეილ კვესელავა ორჯერ იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი. შესანიშნავი ქართული ფილმები გადაიღეს იმ პერიოდში. ბატონმა მიშამ მოახერხა და ფილმის გადაღების საშუალება მისცა ისეთ რეჟისორებს, რომლებიც მომავალში მსოფლიოში ცნობილი გახდნენ. სასაცილოა, რომ ის თანამდებობიდან მოხსნეს რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამის" გამო. ფინანსების გაფლანგვა დააბრალეს. მოხსნის შემდეგ დათვალეს და... აღმოჩნდა, 116 მანეთი დაკარგულიყო. ბატონი მიშა უდიდესი მოაზროვნე იყო, თუმცა ძალიან მორცხვი. საუბარი მაინცდამაინც არ ეხერხებოდა. ძალიან განვიცდი, რომ ვერ მოვახერხე მისგან უფრო მეტი ცოდნა მიმეღო. ერთხელ, რომელიღაც სპექტაკლის შემდეგ, ვკითხე, როგორ მოგეწონათ-მეთქი. არაფერს გეტყვი, ნიშანს დავწეროო. დაწერა. ქაღალდი დაქმუჭნა — მე რომ გავალ, მერე წაიკითხეო. გავშალე — სამიანი ეწერა. ძალიან დელიკატური ადამიანი იყო.

ბატონ მიხეილსაც უყვარდა ლამაზი ქალები. სულ რჩეულ ქალბატონებთან მეგობრობდა.

**— თქვენ დადგით სპექტაკლი, რომელიც ეხმიანებოდა ბატონი მიხეილის ცხოვრებას — „ასერგასის დღე". შეიძლება ვინმემ არ იცოდეს და შევახსენებთ, რომ მიხეილ კვესელავა მონაწილეობდა ნიურნბერგის პროცესში...**

— სპექტაკლი მის ხსოვნას მივუძღვენი... მეუბნებოდა ხოლმე, — ამისი დადგმა ვერ წარმომიდგენიაო... მას ჰქონდა ფაშისტ დამნაშავეებთან შესვლისა და საუბრის უფლება. ამაზე ზოგჯერ მიამბობდა. ყველაფერი ჩაწერილი ჰქონდა.

ზვიად გამსახურდია მისი საყვარელი სტუდენტი იყო. როცა დისიდენტებს დევნიდნენ, ჩვენი ბინა გაქურდეს. არაფერი გვქონდა. წაუღიათ ერთი ლარნაკი, რომელიც მე და ჩემმა მეუღლემ გასტროლებიდან ჩამოვიტანეთ. და წაიღეს ის ჩანაწერებიც. სწორედ ეს უკანასკნელი იყო ძარცვის მიზეზი. არც გამიგონია, ფაშიზმის იდეოლოგ როზენბერგთან საუბარი ვინმეს აღეწეროს. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი დაიკარგა...

**— მართლაც დიდი დანაკარგია...**

— ისიც საშინელებაა, რომ მე არაფრის დრო არ მაქვს. თეატრმა ყველაფერი წამართვა. მამაჩემმაც და ჩემმა სიმამრმაც მოახერხეს — თავის პროფესიას მიუძღვნეს სიცოცხლე, მაგრამ მაგრად იცხოვრეს. მე კი ამ კედლებში ვარ გამომწყვდეული. ბევრი რამ ვერ მოვასწარი.

**— კინორეჟისორობა გნდომებიათ და მშობლებმა მოსკოვში არ გაგიშვეს თურმე...**

— მართალია, მინდოდა. თენგიზ აბულაძე და რეზო ჩხეიძე დრამის რეჟისურის ფაკულტეტზე სწავლობდნენ, მერე გადავიდნენ მოსკოვში კინოსარეჟისოროზე. შენც ასე გააკეთეო, — მამამ. თენგიზ აბულაძესთან გადაღებებზეც დავდიოდი. მერე შევრჩი ამ თეატრს.

**— ახლა არ გაქვთ ასეთი სურვილი?**

— როგორ არა. ვწერ სცენარებს და ვერ ვიღებ. იმ იმედით ვწერ, რომ ახლა მაინც გადავიღო. 5-წუთიანი ფილმის გადაღება შემომთავაზეს, დავწერე სცენარი, მაგრამ არ გადავიღე. ბოლო მომენტში უარი ვთქვი.

**— თურმე სტუდენტობისას ეჭვით უყურებდით თქვენს არჩევანს — იქნებ სარეჟისორო ფაკულტეტზე არ უნდა ჩამებარებინაო...**

— მგონი, ყველას, ვინც ირჩევს რაღაც ხელობას, ეჭვი ღრღნის. როგორია, 17-18 წლის ყმაწვილმა აირჩიოს თავისი მომავალი. ის ხომ იმ დროს ირჩევს ხელობას, როცა გამოუცდელია. ახლაც კი ხშირად ვფიქრობ: იქნებ სჯობდა სხვა პროფესია ამერჩია, თუნდაც მხატვრობა-მეთქი... მხატვარი მარტო ხარ ტილოსთან, საღებავთან. მას არ უხდება ადამიანებთან ყოფნა, არ აიძულებს ადამიანებს, გააკეთონ ის, რაც არ შეუძლიათ, ან არ უნდათ. რეჟისორს ურთიერთობები გართულებული აქვს. თავის მხრივ, მსახიობსაც ექმნება დაბრკოლება... რა სჯობს იყო პოეტი, დაწერო ლექსი, მერე გამოაქვეყნო, არავის გული არ ატკინო, არც შენ გატკინონ... პროფესია ხშირად თავმოყვარეობას გამორიცხავს, ხან ღირსებაზეც ამბობ უარს, რომ როლი ან სპექტაკლი გამოგივიდეს. იმასაც აღარ აქცევ ყურადღებას, ამის გამო რამხელა შეურაცხყოფა გხვდება. მსახიობები ბევრნი არიან, რეჟისორი — ერთია. ამიტომ ის დიდ განსაცდელშია.

**— გავრცელებული აზრით, რეჟისორისა და მსახიობის ურთიერთობაში შევიწროებული მხოლოდ მსახიობი რჩება...**

— ტრადიციული გაგება ასეთია... როცა სტანისლავსკიზე მისი თანამედროვე კრიტიკოსები წერდნენ, — არ უყვარს მსახიობი, მას, როგორც თოჯინას, ისე ექცევა, ათამაშებსო, ჩემთვის ეს ყოველთვის უცნაური და გაუგებარი იყო. უდიდესი რეჟისორი სტანისლავსკი ყველაფერს აკეთებდა მსახიობისთვის. შეიძლება მეიერჰოლდს დააბრალო, რომ მსახიობებს არ აქცევდა ისეთ ყურადღებას, როგორსაც თავის გრანდიოზულ ჩანაფიქრს, ის ფორმას უფრო დიდ ანგარიშს უწევდა. მეც ასეთი სახელი მაქვს და მიკვირს, რატომ. ბოლო სპექტაკლები მინიმალური დეკორაციული ფონით დავდგი. თითქმის ცარიელი სივრცე და — მსახიობები. მსახიობებმა უნდა გამოთქვან ის, რაც მე მსურს და რაზედაც რეპეტიციებზე შევთანხმდით. რა ვქნა, რეჟისორობა ასეთი პროფესიაა, სახელმწიფოს მართვას ჰგავს. რთულია, ხალხი აიყოლიო და რაღაც საქმე გააკეთო. ქართველი კაცი შინაგანად წინააღმდეგობებითაა სავსე. ის თვლის, რომ ყველაზე მეტი იცის, ერთადერთია ამ სამყაროში. ორიოდ წიგნი თუ წაიკითხა, ჰგონია, ძალიან ნაკითხია. შეუძლია სხვას უქადაგოს, ასწავლოს. თუკი გამოჩნდება ვინმე, ვისაც სჭირდება ეს კაცი თავისი ზუსტი ფუნქციით და ეტყვის, — შენ ამის მეტი არ შეგიძლიაო, იწყება ჯანყი... ეს ანგრევს ქვეყანას.

**— მგონია, რომ ძალიან მგრძნობიარე ადამიანი ხართ, არადა, ეს ერთი შეხედვით არ გეტყობათ.**

— სამწუხაროდ, ზედმეტად მგრძნობიარე გავხდი. ადრე ასეთი ფეთქებადი არ ვიყავი. ახლა ნერვებს ველარ ვთოკავ. ვატყობ თავს, რომ გარეგნულადაც უფრო ემოციური გავხდი. შინაგანი განცდა რომ არ მქონდეს, მკვდარი უნდა ვიყო. მშობლებმა მიმაჩვიეს უსიამოვნებების ატანას. მეტყოდნენ: მერე რა მოხდა, თუ იმან გილალატა, ის ცუდად მოიქცა, ყველაფერი გაივლისო. ხომ არსებობს ასახსნელი მიზეზებიც, რატომ მოიქცა ეს კაცი ასე თუ ისე. გამართლება უნდა მოუძებნო და მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დგება. ახლა რომ გავბრაზდები, აუტანელი ვხდები. ბებიაჩემი ჯღამაძის ქალი იყო. სამტრედიის რაიონში ჯღამაძეები ენამწარობით გამოირჩეოდნენ. მათზე ამბობენ: ენით ხიდან ჩიტს ჩამოაგდებენო. მეც ვატყობ, ზოგჯერ, როცა უგუნებოდ ვარ, შემიძლია ენით „დავჭრა" კაცი. როცა რეპეტიციაზე მოვდივარ, მსახიობები კითხულობენ ხოლმე, — დღეს სტურუაა თუ ჯღამაძეო.

**— ამდენი რამ გინახავთ. რაიმე გაოცება თუ გახსოვთ?**

— მახსოვს... პირველი მახსენდება მიქელანჯელოს ფრესკით გაოცება, თორემ გასახსენებელი ბევრი მაქვს. ხშირად გავოცებულვარ.

**— თუ შეიცვალეთ?**

— მგონი, არა. 33-34 წლისა დავრჩი... მეუღლე მეუბნება, — ადრე გულღია და მხიარული იყავი, სერიოზული და გულჩათხრობილი გახდიო... სპექტაკლების მიხედვით მეუბნება, რა თქმა უნდა...

***ლელა ჯიჯაშვილი***





სიმამრი — მიხეილ კვესელავა



რობერტ სტურუას მამა — რობერტ სტურუა და ლადო გუდიაშვილი

# არაპროფესიონალიზმი და მუსიკალური უგემოვნობა მხოლოდ მათი ბრალი არ არის



სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია, ქუჩაში დღეს ათ ბავშვს რომ ჰკითხოთ, შეიძლება ერთმა იცოდეს, ვინ არის კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე. არა მარტო მათ, შეიძლება გაცილებით უფროსებსაც გაუჭირდეთ შესანიშნავი კომპოზიტორის სიმღერების გახსენება. სიმღერები, რომლებითაც თაობები გაიზარდა, სამწუხაროდ, ქართულ რადიო თუ ტელეეთერში აღარ გაისმის და ჩვენც თითქოს შევეჩვიეთ მდარე მუსიკისა და საეჭვო პროფესიონალიზმის მქონე მომღერლების მოსმენას.

ჩვენდა სასიხარულოდ, იმ სიცარიელის ამოვსება, რომელსაც დღეს რევაზ ლაღიძის სიმღერების მივიწყება ქმნის, ცნობილ ქართველ მომღერალს **თამრიკო ჭოხონელიძეს** გადაუწყვეტია:

— ეს შესანიშნავი ქართველი კომპოზიტორის, რევაზ ლაღიძის არა შემოქმედებითი საღამო, არამედ მისი დიდი შემოქმედების ერთი ნაწილის ჩემეული გააზრება იქნება. იმედია, ჩემს კოლეგებთან ერთად ჩანაფიქრს ხორცს შევასხამ.

ხშირად ვჩივით, რომ ჩვენს შვილებს მდარე მუსიკალური გემოვნება აქვთ და ეს არც არის გასაკვირი — მაშინ, როცა რევაზ ლაღიძის შემოქმედებას უნდა სწავლობდნენ, თაობები ისე იზრდებიან, რომ მას არც კი იცნობენ. ამიტომ, ვფიქრობ, ამ პროექტის განხორციელება მართლაც დროულია.

— **კომპოზიტორის შემოქმედების რომელ ნაწილს წარმოადგენთ?**

— ვიმღერებთ როგორც ცნობილ, ასევე სავსებით მივიწყებულ სიმღერებს. რა თქმა უნდა, ყველა სიმღერა სიმფონიური ორკესტრის თანხლებით შესრულდება. პროექტში ჩემთან ერთად მონაწილეობენ სხვა შემსრულებლებიც. ლაღიძის ზოგიერთ სიმღერას მხოლოდ ქალის ხმა ვერ გასწვდება, ამიტომ მოვიწვიეთ ანსამბლები „რუსთავი“ და „მართვე“.

— **ქართული შოუბიზნესის ე.წ. ვარსკვლავები თუ მონაწილეობენ პროექტში?**

— სამწუხაროდ, არა. ჩემი აზრით, მათ ბევრი სწავლა დასჭირდებათ საიმისოდ, რომ რევაზ ლაღიძის შემოქმედებას ჩასწვდნენ. როცა ამას შეძლებენ, მათი ხსენებისას აღარავინ იხმარს წინსართად „ე. წ.“-ს, რადგან უკვე სხვაგვარად იმღერებენ. თუმცა, მათი არაპროფესიონალიზმი და მუსიკალური უგემოვნობა მხოლოდ მათი ბრალი არ არის. დღეს ქართული შოუბიზნესის ე. წ. ვარსკვლავები ისინი არიან, რომელთაც ბავშვობაშიც და დღესაც თითქმის სავსებით უგულებელყოფილი ჰქონდათ ყოველივე ქართული. რევაზ ლაღიძის, სულხან ცინცაძის, გოგი ცაბაძის, არჩილ კერესელიძის და სხვათა სიმღერები ქართულ ფილმებში გახმიანდა და ისინი მსმენელმა შეიყვარა. სამწუხაროდ, ამ ფილმებს აღარ უჩვენებენ ტელეეკრანებზე. ამიტომაც თაობას, რომელიც დღეს სცენაზე დგას ან მუსიკას უსმენს, არაფერი სმენია ამ შესანიშნავ კომპოზიტორებზე.

— **ფილარმონიაში თქვენი სოლო კონცერტის ჩატარების შემდეგ კარგა ხანი გავიდა. რამ განაპირობა ეს შემოქმედებითი პაუზა?**

— ეს იყო შემოქმედებითი პაუზა, და არა პასიური დუმილი. რაიმე ახალი რომ გააკეთო, ამისთვის ფიქრია საჭირო. ის მუსიკოსი არ ვარ, რომელიც ერთი ხელის მოსმით გამართავს სოლო კონცერტს. მსმენელისა და მუსიკალური ხელოვნების მიმართ ჩემი მოკრძალება და პასუხისმგებლობა ზერელე დამოკიდებულების უფლებას არ მაძლევს. ამ პაუზის დროს ვმუშაობდი და მისი შედეგია ნახსენები პროექტი.

— **როგორ შეხვდნენ თქვენს იდეას კომპოზიტორის ოჯახის წევრები?**

— რევაზ ლაღიძის ქალიშვილს, ლელა ლაღიძეს იდეა გავაცანი და მან თანადგომა აღმითქვა. ეს ალბათ საკმაოდ გამიიოლებს მუშაობას. თუმცა, ორივე ძალიან ვღელავთ... ქალბატონ ლელასთან ურთიერთობას ისეთივე პასუხისმგებლობით ვეკიდები, როგორიც ალბათ ბატონ რევაზთან ურთიერთობისას მექნებოდა.

— **იქნებ დაგვისახელოთ ის ერთი-ორი მივიწყებული სიმღერა, რომელსაც მსმენელს შესთავაზებთ?**

— ქალბატონ ლელასგან გავიგე, რომ ორიოდ სიმღერა ბატონ რევაზს არ ჰყვარებია, ეს არის სიმღერა კინოფილმიდან „ნინო“, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს ქალბატონი დოდო ჭიჭინაძე ასრულებდა. ბატონ რევაზს პერსონაჟი არ მოსწონდა თურმე და სიმღერაც ასეთი განწყობით დაუწერია. თუმცა, ჩემი აზრით, „არ იფიქრო, დაგივიწყო...“ კომპოზიტორის ერთ-ერთი კარგი სიმღერაა.

— **რამდენადაც ვიცი, თქვენ რევაზ ლაღიძის ერთი სიმღერა მოსკოვში წარადგინეთ და დიდი წარმატებითაც. ამით გამოცდა ხომ არ მოუწყვეთ თქვენს იდეას?**

— მართლაც გამოცდა იყო. მოსკოვში, სპივაკოვის საერთაშორისო ფესტივალზე ჩემმა ქალიშვილმა მარიამ როინიშვილმა შეასრულა რევაზ ლაღიძის „განთიადი“, ოპერიდან „ლელა“. მსმენელისა და კრიტიკოსების გამოხმაურებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ რევაზ ლაღიძის შემოქმედებასთან დრო უძლურია, ოღონდ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის არსებობს, ხშირ-ხშირად უნდა გავიხსენოთ, რომ დამარხულ განძად არ იქცეს.

***ეკა ლომიძე***

# „A-სტუდიოს“ ქეთა თოფურიას გათხოვება აუკრძალა



„A-სტუდიოს“ მენეჯერთან ერთად

18 წლის ქართველი მომღერალი მალე საქართველოს დატოვებს. ამიერიდან ქეთა თოფურია ჯგუფ „A-სტუდიოს“ სოლისტი იქნება. ჯგუფში მისმა წინამორბედმა პოლინა გრიფისმა ქორწინების შემდეგ სოლო კარიერა არჩია.

სოლისტის გარეშე დარჩენილ ჯგუფს ქეთა თოფურიას კანდიდატურა პროდიუსერმა ნატო დუმბაძემ შესთავაზა. თავდაპირველად, ჯგუფის წევრებმა და დირექტორმა ეს წინადადება არცთუ სერიოზულად მიიღეს, მაგრამ მეგობარს უარი ვერ უთხრეს. მაგრამ მათი მოლოდინი, რომ ხელთ ტიპური კავკასიელი — შავგვრემანი და დიდცხვირა ქართველი გოგონა შერჩებოდათ, არ გამართლდა. ფოტო და ვიდეომასალით მოხიბლული დირექტორი და ჯგუფის წევრები ქეთას გასაცნობად ერთი დღით თბილისში ჩამოვიდნენ.

— **როგორ გაიგე, რომ „A-სტუდიო“ სოლისტს ეძებდა?**

— ეს ნატო დუმბაძის დამსახურებაა, მას უნდა ვუმადლოდე. ნატო ჯგუფის წევრებთან მეგობრობს. ერთ დღეს სატელეფონო საუბრისას უთხრეს, რომ სოლისტს ეძებდნენ და ნატომაც ჩემი კანდიდატურა შესთავაზა. ფოტოები გამოგვიგზავნეო, რომ უთხრეს, ეს მეგობრული ჟესტი უფრო იყო მათგან. საბედნიეროდ, როცა ჩემი ფოტოები ნახეს, მოეწონათ. თურმე ნატოს ეხუმრებოდნენ, შემთხვევით ქეთას რუსული სისხლიც ხომ არ ურევიაო (იცინის).

— **ჯგუფის წევრებთან შეხვედრამ როგორ ჩაიარა, „გამოცდა“ ჩააბარე?**

— შესანიშნავად, თითქმის ხუთ საათს „მცდიდნენ“. სტუდიაში ვმუშაობდით, რამდენიმე ჩემი სიმღერაც მამღერეს. ძალიან მეგობრული ბიჭები არიან, სულ ვერ ვგრძნობ ასაკობრივ სხვაობას, ერთი სიტყვით, ერთი ჭკუის ხალხი ვართ.

— **კონტრაქტის პირობები როგორია?**

— ნოემბრის ბოლოს გავემგზავრები მოსკოვში და სამწლიან კონტრაქტს მოვაწერ ხელს. იქ დაწვრილებით გავეცნობი პირობებს. ჯერჯერობით, მხოლოდ ის ვიცი, რომ სამი წლის განმავლობაში გათხოვება მეკრძალება.

— **მაგრამ, ხომ შეიძლება ეს პირობა ვინმემ „დაგარღვევინოს“?**

— ჯერ ამაზე არ ვფიქრობ, სერიოზულად არც არავინ მომწონს, თორემ მოსკოვში გამგზავრებას ასე იოლად არ გადავწყვეტდი.

— **გული გწყდება, რომ საქართველოდან მიდიხარ?**

— ძალიან განვიცდი, მაგრამ ჩემი მომავლისთვის ასე აჯობებს. ამასთან, ოჯახთან ერთად მივდივარ.

— **რუსული ენა კარგად იცი?**

— საკმაოდ, ცოტა პრაქტიკა მაკლია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თავს გავართმევ... სწავლასაც მოსკოვში გავაგრძელებ, იმედია, საამისო დროს გამოვნახავ.

— **თბილისში ალბათ გასტროლებზე ჩამოხვალ?**

— რა თქმა უნდა, შეიძლება სულ განსხვავებული ამპლუით წარვდგე. ალბათ, წელიწადში ორჯერ მაინც ახლობლების სანახავადაც მოვახერხებ ჩამოსვლას...

ყველა ძალიან მომენატრებით!

***ეველინა მენთეშაშვილი***

ჩვენს სინამდვილეში კარგა ხანია, წესად იქცა — ჟურნალ-გაზეთები აჭრელებულია სტატიებით მათზე, ვინც ქართული შოუბიზნესის ვითომ ამომავალი ან სულაც უკვე კაშკაშა ვარსკვლავია. თუმცა კი ბევრ მათგანს ხეირიანი არაფერი გაუკეთებია, მიუხედავად ამისა, ე. წ. „პრომოუშენსაც“ იკეთებს და ცნობილი სახეც ხდება. მათ კი, ვისაც მსოფლიოს საუკეთესო საკონცერტო დარბაზებში უკრავენ ტაშს და სამშობლოშიც თაყვანს სცემენ, ჟურნალისტები იშვიათად სტუმრობენ. სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ანსამბლ „რუსთავის“ ვოკალური ჯგუფის წევრი დავით ყიფიანი. იგი არა მარტო სიმღერით,

# ოვაციები ევროპულად: ტაში და ფეხების ბრაგუნი

არამედ ქართულ ხალხურ საკრავებზე დაკვრის ხელოვნებით აღაფრთოვანებს მაყურებელს ევროპაში, ამერიკაში, იაპონიაში და, რაღა თქმა უნდა, საქართველოშიც. **დავით ყიფიანი** ამჯერად ჩვენი სტუმარია.



— შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ადრეული ბავშვობიდანვე არ ვყოფილვარ სიმღერით გატაცებული, მოგვიანებით, სან-რემოს ფესტივალებით მოვიხიბლე და ამის შემდეგ საესტრადო და ჯაზური მუსიკით დავინტერესდი. ერთ მშვენიერ დღეს კი ჩემთვის აღმოჩენა გახდა ხალხური სიმღერა. ერთხელაც, ისტორიის მასწავლებელმა მანანა შეყრილაძემ გაკვეთილზე ფანდური მოიტანა და შაირები დაამღერა. ამან ჩემზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მოსწავლეთა ხალხური საკრავების ორკესტრ „საუნჯეში“, გოგი ნადირაშვილთან შევისწავლე ქართულ ხალხურ საკრავებზე დაკვრა. თუმცა, მაინც თვითნასწავლ ინსტრუმენტალისტად ვითვლები.

— **თქვენ რამდენიმე საკრავზე უკრავთ, განსაკუთრებით რთულ ტექნიკას რომელი საჭიროებს?**

— ძნელი სათქმელია. მთავარია, გიყვარდეს საკრავი და სირთულესაც ველარ იგრძნობ. არის ისეთი რამ, რაც არ ისწავლება. ინსტრუმენტი ცოდნასთან ერთად გრძნობასაც მოითხოვს. სალამური, ფანდური და სხვა უბრალოდ საგნები არ გეგონოთ, მათ სული და საიდუმლო აქვთ. საიდუმლო რომ ახსნა, სულს უნდა ჩასწვდე, უნდა მიგიღოს, ამისთვის კი სიყვარულია საჭირო. უსიყვარულოდ ხმას ვერ ამოაღებინებ ვერაფერს და მით უფრო, სალამურს...

— **სიმღერა როდისაა დაიწყეთ?**

— უფრო გვიან. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში (ამჟამად „ერისიონში“) მივედი როგორც ინსტრუმენტალისტი და სიმღერაც იქ ვისწავლე. მახსოვს, „კრიმანჭულის“ მოსმენა არ მსიამოვნებდა, მაგრამ ახლა ყველაზე მეტად სწორედ დასავლეთ საქართველოს სიმღერები მომწონს... შეიძლება იმიტომაც, რომ ბანი ვარ და ამ სიმღერებში ბანი უფრო აქტიურია, ვიდრე აღმოსავლურში. 1994 წელს ანსამბლ „რუსთავში“ ინსტრუმენტალისტი სჭირდებოდათ და მეც გადავედი.

— **როგორც ვიცი, მუსიკალური ალბომის ჩაწერაზე მუშაობთ, ეს თქვენი და „რუსთავის“ ერთობლივი პროექტია?**

— არა, ეს კერძო პროექტია. ალბომში წარმოდგენილი იქნება ქართული ხალხური და საავტორო მუსიკაც. ასევე, ჩავწერ საცეკვაო მელოდიებს, „მგზავრულებს“ და ა.შ. სათითაოდ ყველა ინსტრუმენტზე ვასრულებ და ვწერ მუსიკას, მერე კი ვქმნი კომპოზიციას. ასეთი რამ ჯერ არავის გაუკეთებია. ალბომის ჩაწერის უპირველესი მიზანი კი ის არის, რომ არ მინდა ჩვენს მომავალ თაობას ზერელე წარმოდგენა ჰქონდეს ქართული საკრავებით შესრულებულ ინსტრუმენტულ მუსიკაზე.

— **ახლახან „რუსთავის“ კონცერტზე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამაოცა უცხოელი მაყურებლის სიმრავლემ. ისიც ხშირად მსმენია, რომ „რუსთავს“ ევროპასა და ამერიკაშიც დიდი ოვაციით ხვდება პუბლიკა.**

— ამას ალბათ ისიც განაპირობებს, რომ ქართული ხალხური სიმღერის უცხოეთში ერთ-ერთი პირველი აქტიური პოპულარიზატორი „რუსთავი“ იყო. წარმატებაც დიდი ჰქონდა და აქვს დღესაც. ევროპის ქვეყნების მუსიკალურ მაღაზიებში ყველგან ნახავთ „სონის“ მიერ ჩაწერილ „რუსთავის“ მუსიკალურ ალბომებს, რომელიც შესანიშნავად იყიდება.

ახლახან აშშ-ში, „ალბერტ ჰოლში“ ვიმღერეთ. დამთავრდა კონცერტი, ჯერ დარბაზში სიჩუმე იყო, მერე ატყდა ტაში და ფეხების ბრაგუნი. თურმე ასე გამოხატავს იქაური მაყურებელი აღტაცებასა და მოწონებას.

— **რას ფიქრობთ, როცა უცხოეთში მღერით?**

— ვმღერი და ვფიქრობ, ნეტავ რას გრძნობს ახლა ეს ხალხი-მეთქი. მათ ხომ არ იციან, რომ ეს სიმღერები ხალხურია. უცხოელებს მართლა ვერ წარმოუდგენიათ, რომ ჩვენი სიმღერა, მუსიკა, რომელიც მსოფლიოს აღაფრთოვანებს, სპონტანური შემოქმედებითი პროცესის შედეგია და არა რომელიმე კომპოზიტორის ნაღვაწი. სამწუხაროა, რომ დღეს ეს პროცესი საქართველოში თითქმის ჩამკვდარია. წინათ სოფლებში ერთ სიმღერას სხვადასხვა ინტერპრეტაციით ასრულებდა სხვადასხვა ოჯახი...

— **ქართველ მაყურებელზე რას იტყვით?**

— ჩვენი მაყურებელი განებივრებულია სხვადასხვა ანსამბლით, ამასთან, თითქმის ყველა ქართველი მღერის. ალბათ ეს განაპირობებს აქაური მსმენელის პრეტენზიულობას. ამიტომაც ძნელია მათი აღფრთოვანება. ამას არა უშავს, ეშველება. მთავარია, მდორე, უხარისხო მუსიკით არ მოიწამლოს ქართველი მსმენელი და მაყურებელი...

***ეკა ლომიძე***


# უძრავი ქონების სეზონი გრძელდება




ჟურნალში იხილეთ: უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, პროგნოზები, პროფესიონალთა რჩევები...
და რა თქმა უნდა, უამრავი განცხადება

ჟურნალშია — ორი სუპერრუბრიკა



ყველაზე რეალური ინფორმაცია

# თქვენთვის, ბატონებო!

# იმედი გადაწურული მქონდა, მაგრამ...



— ჩემი ამბავი უნდა გიამბოთ, სასაცილოცაა და სახალისოც, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ადრეც მეხალისებოდა, — მეუბნება რესპონდენტი ღიმილით, — გიორგი ვარ, გაჩეჩილაძე, ოღონდ არც ნიღაბი მიკეთია, არც „უცნობს“ მეძახიან და სიმღერასთანაც მწყრალად ვარ. 19 წლის ვიყავი, როცა მე და ნატოს ერთმანეთი შეგვიყვარდა. ისეთ სიურპრიზებს ვუწყობდი, აღფრთოვანებისაგან სუნთქვა ეკვროდა ხოლმე. მშობლები მარიგებდნენ, — ნაადრევად არ მოიყვანო ცოლი, თორემ ინანებო. არ დავუჯერე და წავიტეხე ფეხი.

— *სიყვარულით მოიყვანეთ და ინანეთ?*

— ვინანე იმიტომ, რომ სიდედრმა გამიმწარა სიცოცხლე. დამიწყო „კუწლაობა“ — ეს და ის არა აქვს ჩემს შვილს, ეს უხდება და უყიდეო. მაიძულებდა, მასთან შემეთანხმებინა, სტუმრად ან სასეირნოდ სად წავსულიყავი. სანამ ორსულად იყო ჩემი ცოლი, ყოველდღე გვირეკავდა და გვამოწმებდა, რას ვაკეთებდი. ერთხელ ისიც კი გამიბედა, — შენ სხვა ოთახში დაიძინეო. უხეშად რომ შევეპასუხე, დაავლო ხელი თავის შვილს და წაიყვანა — სანამ არ მოიმშობიარებს, აქაურობას არ გავაკარებ, სამერმისოდ კი ვიფიქრებო. ვიჩხუბე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ნატო მეცოდებოდა, მირეკავდა და მთხოვდა, გამასეირნეო. აბა, როგორ მეთქვა უარი? ქუჩაში ვუცდიდი ხოლმე. ბავშვი რომ გაჩნდა, მერე მთლად აიწყვიტა სიდედრმა. მივხვდი, მისი დირიჟორობით წყნარ ცხოვრებას ველარ ველირსებოდი და ნატოს ვუთხარი: ან მე და ბავშვი, ან დედაშენი-მეთქი. წაიტირა, — უშენოდ ვერ გავძლებო, მაგრამ...

ერთ მშვენიერ დღეს ცოლ-შვილი შინ არ დამიხვდა. ნატომ გვიან დამირეკა და მითხრა: — ჩემი ბარგის წამოსაღებად მამაჩემი და მამიდაშვილი მოვლენ. შენთან დაშორება გადავწყვიტეო. კინაღამ გავგიჟდი. მისიანებს ეგონათ, ცოტა ხანში დაჩოქილი ვეახლებოდი, მაგრამ ასე არ მოხდა. მე თავად შევიტანე განქორწინებაზე განცხადება.

შვიდი წლის შემდეგ ერთი ქალი გამაცნეს. მართალია, არ მიყვარდა, მაგრამ სიყვარულით რა ჩიტი დავიჭირე, ეს ქალი კი წყნარი ჩანს, თანაც მიმზიდველია-მეთქი და... მესამე ნახვაზე ცოლობა ვთხოვე და თანხმობაც მივიღე. ეს „წყნარი“ და „ნაზი“ ქალი ისეთი ჯიუტი გამოდგა, გამაგიჟა. ზოგჯერ კვირა გავიდოდა, ხმას არ ამოიღებდა. არადა, მხიარული კაცი ვარ, ვერ ვიტანდი მის უაზრო სიჩუმეს. ვსაყვედურობდი, — შინ რომ შემოვალ, გამიღიმე და რამე მითხარი-მეთქი. მერე დედამისსაც გაუჩნდა პრეტენზიები: უმნიკვლო ჩაგბარდა ცოლგაშორებულ და შვილიან კაცს და რატომ სათანადოდ არ სცემ პატივსო და ა.შ. მგონი, სიდედრების 90% ერთ ყალიბშია „ჩამოსხმული“. ვერ გავიგე, რა უნდოდათ (ან პირველს, ან მეორეს). როცა ცოლმა და სიდედრმა „კლანჭები“ გამოაჩინეს, მაშინვე მოვუჭერი ორივეს, — თუ კიდევ ერთხელ დაძრავთ კრინტს, შეგიძლიათ ქუდი დაიხუროთ და დამემშვიდობოთ-მეთქი... ჩემმა წინადადებამ ცოტა ხანს დააშოშმინა ორივე, მაგრამ ძაღლის კუდს რა გაასწორებს? ერთხელ შევამჩნიე, დედა-შვილი საეჭვოდ ჩურჩულებდა. დედა რომ გაისტუმრა, ჩემმა ცოლმა რაღაც საგულდაგულოდ ჩატენა ჩანთაში და რაც არასოდეს მიკადრებია, ვიკადრე — ღამით ჩანთა გავუჩხრიკე. ბლოკნოტში ედო ფურცელი, რომელზედაც სამი მისამართი აღმოჩნდა, ორი ე.წ. „თეთრი მაგისა“ და ერთიც — „ნათელმხილველისა“. მომდევნო დღეებში საგანგებოდ მოვიცალე მისთვის და მთელი დღე ვუთვალთვალე. ის და დედამისი სამივეგან იყვნენ, თავისი ჭკუით, ჩემს „მოჭკვიანებას“ ცდილობდნენ. სალამოს გვიან დაბრუნდნენ. აქა და აქ რა გინდოდათ ამა და ამ საათებში-მეთქი, — მივახალე. დაიბნენ. ორივე ჩემი ხელით ჩავსვი მანქანაში და გავისტუმრე. ცოტა ხანში დამირეკა — ორსულად ვარო. გამიხარდა, თანაც შემეცოდა და მოსვლის ნება დავრთე... გოგონა შეგვეძინა, მაგრამ ვერც დედობამ გამოუკეთა ხასიათი. მივხვდი, ვერც მას შევეგუებოდი. თუ ქალთან თავს ბედნიერად ვერ გრძნობ, მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვი არ დაიჩაგროს, მასთან გაჩერება არ ღირს. ბავშვისთვის განა უარესი არ არის მუდმივ კინკლაობასა და ცივ გარემოში ცხოვრება? ავდექი და გავშორდი. შვილებს დღემდე არ ვაკლებ ყურადღებას და ასე იქნება მუდამ. მეორე ცოლყოფილი სამაგიეროს კარგა ხანს იმით მიხდიდა, რომ ბავშვს არ მაჩვენებდა, მერე დათმო...

მეორე ცოლთან გაშორების შემდეგ ქალისკენ გახედვა აღარ მინდოდა. მამაჩემმა აღარ მომასვენა, როდემდე უნდა იყო უცოლოდ, ოჯახს დიასახლისი სჭირდებაო. მეცინებოდა, — გეტყობა, მოგბეზრდა მშვიდი ცხოვრება-მეთქი. ერთ საღამოს გადამიშალა „სიტყვა და საქმე“ და მითხრა: წაიკითხე, ეგებ, ვინმე თვალში მოგივიდესო. გაზეთი ინტერესით ჩავათვალიერე. განსაკუთრებით ერთ განცხადებაზე ვიხალისე, რომლის შინაარსი ასეთი იყო: „ვარ 33 წლის სანდომიანი ქალი. არასოდეს მყოლია მეგობარი მამაკაცი, რადგანაც ვთვლიდი (და ახლაც ვთვლი), რომ გასათხოვარმა მხოლოდ ქმარს უნდა „ჩააბაროს“ უმწიკვლობა. აქამდე ცოტა ავიც ვიყავი, ცოტა მაწაკიც და ნუნიაც, მაგრამ გეფიცებით, თუკი სერიოზული კაცი გამომეხმაურება, გპირდებით, დავჭკვიანდები და მჭადსაც გამოვუცხობ ხშირ-ხშირად. „უცნაური ინეზა“. აშკარად შაყირობდა. შემდეგი ნომერი საგანგებოდ შევიძინე, მაინტერესებდა, კიდევ იყო თუ არა დაბეჭდილი „უცნაური ინეზას“ განცხადება. გამიხარდა, მის სახელს რომ მოვკარი თვალი: „კვლავაც მოუთმენლად ველი ჩემს ბედს. დაე, ნუ იქნება თეთრ რაშზე ამხედრებული რაინდი, ოღონდ არ იყოს მელოტი, დაბალი და ლიპიანი. დავიჯერო, სულ ტყუილუბრალოდ ვაცხობ მჭადებს? გეფიცებით, ძალიან მზრუნველი და თბილი მეუღლე ვიქნები. „უცნაური ინეზა“. ასე გაგრძელდა რამდენიმე კვირა. ვკითხულობდი და ვერთობოდი ამ განცხადებებითა და შიგ ჩამალული იუმორით. ეს „ინეზა“ ისეთი ახლობელი შეიქნა ჩემთვის, რომ მეგონა, ბავშვობიდან ვიცნობდი. გადავწყვიტე, გამოვხმაურებოდი. „ჩემო უცნაურო და დაჭკვიანებულო ქალბატონო, ძალიან მინდა შენი გაცნობა. იცი, როგორ მიყვარს მჭადი? კაი ყველი ჩემზე იყოს, ოღონდ მითხარი, სად შევხვდეთ და როდის. „სითბოს მონატრებული კაცი“. მოულოდნელად „ინეზა“ გაქრა გაზეთიდან! მართალი გითხრათ, გული დამწყდა. ერთი თვის მერე, კი კვლავ გამოჩნდა საკმაოდ მოკლე შეტყობინებით: „სითბოს მონატრებულ კაცს.“ მართლა გიყვარს მჭადი? მაშინ წამოიღე „კაი ყველი“ და მოდი რუსთაველის ძეგლთან ხვალ, 2 საათზე. „უცნაური ინეზა“. გაგეცინებათ და, მართლა კაი ყველი ვიყიდე, ლამაზი თაიგულიც და მივედი დათქმულ ადგილას. შევამჩნიე, ორი ქალი გაფაციცებული იყურებოდა აქეთ-იქით. მე რომ დამინახეს, ცოტა ხნის შემდეგ ერთ-ერთი მომიახლოვდა და სიცილით მკითხა: — თქვენა ხართ მჭადის მოყვარული, „უცნაურ ინეზას“ რომ ელოდებაო? კი-მეთქი. ჰოდა, „ინეზას“ ნუცა ჰქვია და აგე, იქ დგასო.

რაღა ბევრი გავაგრძელო, იმ დღეს სამჭადე ყველი მეორე შეხვედრისთვის შემოვინახეთ, მე და ნუცა კი რესტორანში წავედით. ამჯერად არ შევმცდარვარ, მას იუმორთან ერთად, ინტელექტიც მაღალი აღმოაჩნდა. მეორედ ნუცას შინ ვეწვიე. მისი რამდენიმე მეგობარიც დამხვდა. მჭადსა და ყველთან ერთად სუფრაზე ბევრი სხვა რამეც იყო, ასე რომ, ჩინებულად მოვილხინეთ. ჩემდა გასაოცრად, ნუცამ ირწმუნა ჩემი ნაამბობი და ორი ცოლის ყოლა მექალთანეობაში არ ჩამითვალა. სამ თვეზე მეტია, ერთად ვცხოვრობთ. იმ ორთან ჯვარი არ მქონია დაწერილი, ნუციკოსთან ისე ბედნიერად ვიგრძენი თავი, რომ ჯვრის დაწერაც გადავწყვიტე. არ ვიცი, ადრე როგორი იყო ჩემი ნუცა, მაგრამ დღეს იგი საოცრად თბილი, ალერსიანი და, როგორც თვითონ ამბობს, „დაჭკვიანებულია“.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# შეჩერდით, ბიჭებო!

შალვა დადიანის ქუჩაზე მივდიოდი. უკვე ღამე ჩამომდგარიყო თბილისში. სახინკლიდან ოთხი 17-18 წლის ბიჭი გამოვიდა. ეტყობოდათ, გვარიანი მთვრალები იყვნენ. ერთ მათგანს ლუდის ბოთლი მოეყუდებინა და წრუპავდა. ბიჭებმა ხელი დაუქნიეს ტაქსის. ჩალაგდნენ შიგ და გაისმა კიდეც ღრიალი — რას ჰქვია, არ წაგვიყვან, შენი დედაო... გადმოცვივდნენ ცხვირმოუხოცავი მოძალადეები მანქანიდან და მძღოლის გადმოგდებაც სცადეს. მძღოლმა, იქნებოდა ასე 55-60 წლისა, იმარჯვა, მანქანიანად დაუსხლტა შვილისკბილა უზრდელებს. „გაქცეულს“ ლუდის ბოთლი მიაწიეს. უკანა მინა ჩაიმსხვრა. ალბათ მძღოლმა გაიფიქრა, — ამას რას ვჩივი, რახან მაგარ შარს დავუსხლტიო. თუმცა იქვე მერია, ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაცვა დგას, უამრავი ხალხი მიდი-მოდის და მაინც უპატრონოდ იგრძნო იმ მძღოლმა თავი. აბა, რა იქნებოდა — ყველა ჩვენ-ჩვენთვის მხოლოდ ბურტყუნით გამოვხატავდით აღშფოთებას თავხედი ახალგაზრდების მიმართ. არადა, იმ ბიჭებს მძღოლისათვის ჯიბიდან „ამობზრიალებული“ დანა რომ დაერტყათ, ჩვენი ბრალიც ხომ იქნებოდა? ვითომ არ შეგვეძლო, ხელი შეგვეშალა ავის ქმნაში, ტკბილი ენით მათი დაოკება მოგვეხერხებინა? შეგვეძლო, მაგრამ...



ბიჭები ქუჩას ალმა აუყვნენ. ლერმონტოვისა და დადიანის გადაკვეთაზე თანატოლს შეეფეთნენ. რაღაცაზე აუშარდნენ და... დასცხეს. იმ ბიჭს უბნელები წამოეშველნენ. ატყდა დანების ტრიალი, დედ-მამის გინება, წივილ-კივილი. იღბლად გამოჩენილმა საპატრულო მანქანამ და ჰაერში გასაფრთხილებლად ნასროლმა ტყვიამ გაფანტა მოჩხუბრები.

მაგრამ სისხლი მაინც დაიღვარა, იმ ბიჭს, რომელმაც ლუდის ბოთლი ტაქსის მინას მიანარცხა, თქრიალით მოსდიოდა სისხლი კისრიდან. მანქანით გააქანეს, ალბათ, საავადმყოფოში.

ხალხი კი იდგა და უკვე არა ჩურჩულით, არამედ ხმამაღლა გამოხატავდა გულისწყრომას — რა სჭირთ, როგორ წიწილებივით იმეტებენ ერთმანეთსო... ნეტავ ოჯახში არ იზრდებიან, სიყვარულს არ სწავლობენო... გველმა აწოვა ძუძუ თუ დედამ, ასეთი ცივსისხლიანები როგორ არიანო...

აი, ასე იქავებდნენ ენას რამდენიმე წუთის წინ სეირის მაყურებელნი, რომელთაც შეშლილი ბიჭების დასაშოშმინებლად ხელიც არ გაუნძრევიათ და რომ არა პოლიცია, ალბათ უფრო დიდი ცოდვა დატრიალდებოდა.

თავს ველარ მოვერიე. ცრემლები გადმომსკდა... სულ ორიოდე დღის მომხდარი იყო ორი საშინელი მკვლელობა, რომელმაც ჭირისუფლების გარდა, მთელი თბილისი შეძრა.

09.00 მულტფილმების კრებული 09.50 მუსიკა 10.10 კომედია „მფრინავი გველის შურისძიება„ 11.55 მუსიკა 12.10 თრილერი „ნიკიტა„ 14.00 მუსიკა 14.10 მელოდრამა „ქორწილი„ 16.00 მუსიკა 16.10 მულტფილმი 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 17.45 თრილერი „ჯაშუშური თამაშები„ 19.50 დოკ. ფილმი 21.00 მხ. ფილმი „მის დღეები„ 22.30 ღამის კინოკლუბი

06.00, 10.00, 12.00, 18.00 Новости. 06.10 Худ. фильм "НОВЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ ПЕППИ ДЛИННЫЙЧУЛОК". 2-я с. 06.50 Александр Леньков в комедии "КЛЮЧИ ОТ НЕБА" 08.20 Армейский магазин. 08.50 Дисней-клуб: "Команда Гуффи". 09.10 "В мире животных" 10.10 "Непутевые заметки" 10.30 Пока все дома. 11.10 Тайны века. "Челюскин". Обреченные на подвиг". 12.20 Живая природа. "Животные на пределе". 13.20 Пестрая лента. "Вожди в кино". 14.20 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". 14.40 "Шутка за шуткой". 15.30 Воскресный "Ералаш". 16.00 "Московская сага". Кинороман. Том II. 18.00 Времена. 18.55 "КВН-2004". Высшая лига. Второй полуфинал. 21.00 Время. 21.45 Джош Хартнетт в боевике "ПАДЕНИЕ "ЧЕРНОГО ЯСТРЕБА". 00.20 Бокс. Рональд Райт - Шейн Мосли. 01.20 Суперчеловек. "Тайная жизнь близнецов". Фильм 1-й. 02.25 Жан-Клод Ван Дамм в боевике "КРОВАВЫЙ СПОРТ"

*ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"*

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს



*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ფარისებრ ჯირკვალში აღმომაჩნდა კვანძი. ექიმმა დამინიშნა პრეპარატი, რომელსაც უკვე 6 თვეა ვსვამ. შეიძლება თუ არა კვანძის განკურნება წამლებით, თუ აუცილებელია ოპერაცია?**

***ლ. კეპაშვილი, თბილისი***

როგორც წესი, ფარისებრი ჯირკვლის კვანძი პრეპარატებით არ გაიწოვება. მკურნალობა, რომელიც ექიმმა დაგინიშნათ, იმისთვისაა აუცილებელი, რომ ახალი კვანძები არ წარმოიქმნას. ჩვეულებრივ, თუ კვანძის დიამეტრი 1სმ-მდეა, შესაძლებელია მასზე დაკვირვება ვაწარმოოთ და გავაუმჯობესოთ საერთო მდგომარეობა. კონსერვატიული მკურნალობა შეიძლება გაგრძელდეს ორ წელიწადს და უფრო მეტ ხანსაც. თუ კვანძის ზომა არ მატულობს, არ იცვლება მისი კონფიგურაცია, არ აწუხებს პაციენტს და არ უშლის ხელს გარეგნულადაც, მაშინ კონსერვატიული მკურნალობა უსასრულოდ გაგრძელდება. მაგრამ თუ კვანძის კონტროლირება შეუძლებელია, იგი იზრდება, აწუხებს ადამიანს, მაშინ უნდა დადგინდეს, რა სახის კვანძია და მოხდეს მისი ოპერაციული გზით მოშორება.

**არის თუ არა ძილიანობა და დაღლილობა იმუნიტეტის დაქვეითების ნიშნები? რა სიმპტომები ახასიათებს იმუნიტეტს?**

***მკითხველი***

დაღლილობის, საერთო სისუსტისა და ცუდი განწყობის მიზეზი ყოველთვის არ არის ორგანიზმის დამცავი მექანიზმების დაქვეითება. აღნიშნული სიმპტომები ახასიათებს, მაგალითად, დეპრესიასაც. იმუნოდეფიციტის ნიშნები სხვაგვარია: ხშირი გაციება (მოზრდილებში — წელიწადში 5-ჯერ, ბავშვებში — წელიწადში 6-ჯერ და მეტად), ბრონქიტები, პირის ღრუსა და ცხვირ-ხახის ხშირად გამწვავებადი ჩირქოვანი პათოლოგიები, ხანგრძლივად მომატებული ტემპერატურა (37-38$^0$C), კუჭნაწლავის ტრაქტის მუშაობის დარღვევა, დისბაქტერიოზი, კანისა და ლორწოვანი გარსების სოკოვანი დაავადებები, ჰერპესის ხშირი გამწვავება.

თუ ეჭვობთ, რომ დაქვეითებული გაქვთ იმუნიტეტი, დაგჭირდებათ იმუნოლოგის კონსულტაცია და იმუნოლოგიური გამოკვლევის ჩატარება. იმუნოდეფიციტის გამოვლენის მიზეზები მრავალგვარია და იმუნიტეტის დაქვეითებაც სხვადასხვანაირად შეიძლება გამომჟღავნდეს. უნდა ვიცოდეთ, რისი გამოსწორება გვჭირდება. იმუნიტეტის ასამაღლებელი საშუალებები სხვადასხვაგვარია. ზედმეტი წამალი რომ არ მიიღოთ, უმჯობესია ექიმის კონსულტაცია გაიაროთ. ექიმთან მისვლამდე კი გახსოვდეთ, რომ ორგანიზმს აძლიერებს კარგი კვება, ძილი, მოძრაობა, ალკოჰოლსა და სიგარეტზე უარის თქმა, საკუთარი და ირგვლივმყოფთა ფსიქიკის მოფრთხილება.

**შეიძლება თუ არა ქრონიკული ქოლეცისტიტის დროს კვერცხის ჭამა? ამ კითხვაზე სხვადასხვა ექიმი სხვადასხვა პასუხს მაძლევს. ასევე განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული სამედიცინო ჟურნალ-გაზეთებში.**

***პატივისცემით, ნინო მეტრეველი***



კვერცხი აძლიერებს ნაღვლის ბუშტის მოტორულ ფუნქციას და აქვს გამოხატული ნაღველმდენი მოქმედება, რაც, რა თქმა უნდა, სასარგებლოა, თუმცა ზოგიერთ პაციენტში კვერცხი (განსაკუთრებით კვერცხის გული) მარჯვენა ფერდქვეშა არეში ტკივილის შეგრძნებებს იწვევს. ამიტომ საკითხი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს. ჩვეულებრივ, თუ ქრონიკული ქოლეცისტიტით დაავადებული ადამიანი კარგად იტანს ამ პროდუქტს, მისთვის დასაშვებია დღეში ერთი მთლიანი კვერცხი, ან ორი კვერცხის ცილა. თუმცა დაავადების გამწვავებისას აჯობებს უარი თქვათ მასზე, ანდა მხოლოდ ცილა გამოიყენოთ საჭმლის მოსამზადებლად.

**მყავს 49 წლის მამა. გადაიტანა ინფარქტი. ძალიან მეშინია მისი განმეორების. გთხოვთ, მიპასუხოთ, სჭირდება თუ არა მას სისხლძარღვების გამოკვლევა, ან იქნებ სხვა დამატებითი გამოკვლევები არსებობს, რომ ინფარქტი თავიდან აიცილოს.**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

მამათქვენს ინფარქტის განმეორებით განვითარებისგან დაიცავს არა იმდენად კვლევის თანამედროვე მეთოდები, რამდენადაც მკურნალი ექიმის რეკომენდაციების ყურადღებით შესრულება, წამლების სწორად მიღება და რისკის ფაქტორების გამორიცხვა. საერთოდ კი, მიოკარდიუმის განმეორებითი ინფარქტის განვითარების ალბათობის დასაზუსტებლად ელექტროკარდიოგრაფიის გარდა, კეთდება შემდეგი გამოკვლევები: ველოერგომეტრია (კორონარული სისხლდენის მიმოქცევის კვლევა დატვირთვისას), ეკგ-მონიტორირება (ელექტროკარდიოგრაფიული კვლევა დღის განმავლობაში, ყოფით პირობებში), გულის ულტრაბგერითი გამოკვლევა (გულის კუნთის ფუნქციონირების მექანიკური მაჩვენებლების დაზუსტება).

## კარაბადინი

**ღამით ძლიერ მიბუჟდებოდა ხელ-ფეხი, ქუსლებიდან მუხლამდე მამტვრევდა. ექიმის გამოწერილმა წამლებმა არ მიშველა. მასწავლეს ხალხური საშუალება, რომელსაც ძალიან ვემადლიერები. შემოდგომაზე შევაგროვე კრაზანის ბუდეები, დავჭყლიტე, 100-150 გრამს დავასხი სპირტი ისე, რომ ეს მასა დაეფარა. სპირტი წინასწარ განვაზავე 55 გრადუსამდე და დავდგი 10 დღით, ვანჯღრევდი დღეში 2-ჯერ. როგორც კი ნაყენი მიიღებს მუქ ყავისფერს და ზეთოვანი გახდება, შეიძლება მისი გამოყენება. ამ ნაყენით ძილის წინ ვიზელ ხელ-ფეხს. 15 წუთში ყველანაირი ტკივილი მიყუჩდება და მშვიდად ვიძინებ.**

**მინდა ეს რეცეპტი სხვებსაც ვასწავლო. გთხოვთ გამოაქვეყნოთ.**

***ინოლა კოჭლამაზაშვილი***

**ექიმის კომენტარი:** კრაზანის ბუდე, ფუტკრის სანთლის მსგავსად, შეიცავს ბიოაქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც ანთების საწინააღმდეგო და ნივთიერებათა ცვლის გამაუმჯობესებელი თვისებებით ხასიათდება. შესაძლოა აღნიშნული რეცეპტი ეფექტური აღმოჩნდეს, თუმცა გირჩევთ, უპირველეს ყოვლისა, მსგავსი სიმპტომების დროს ექიმს მიმართოთ და დიაგნოზი დააზუსტოთ.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## როგორ მოვირჩინოთ ჯიბლიბო?



ჯიბლიბოს ხშირი გაჩენა იმუნიტეტის სისუსტესა და რომელიღაც კერძო პათოლოგიაზე მეტყველებს — კუჭ-ნაწლავის დაავადებებზე ან დიაბეტზე. ჯიბლიბოს პირველი მიზეზი ხშირად დემოდექსი — წამწამების ტკიპაა. ჩაიტარეთ კომპლექსური გამოკვლევა ქრონიკული დაავადების „პროვოკატორის“ გამოსავლენად და სამკურნალოდ. გაიძლიერეთ იმუნიტეტი ვიტამინებით, ვარჯიშით. ზედმეტი არ იქნება ქუთუთოების რეგულარული მასაჟი, დაიბანეთ საგანგებო ხსნარით ან საბავშვო საპნით. მოერიდეთ კონდიციონერსა და ორპირ ქარს. ყურადღება მიაქციეთ ხელების ჰიგიენას, იხმარეთ მხოლოდ სუფთა პირსახოცი და ხელსაწმენდი. თუ ჯიბლიბო მაინც გამოგივიდათ, ნუ დაიწყებთ თვითმკურნალობას, უმჯობესია მიმართოთ სპეციალისტს. პირველ დღეებში, როცა ქუთუთო შესივებულია, მარტივი პროცედურა ანთებას სწრაფად ჩააქრობს. შესივებული ქუთუთო შეიძლება დავიმუშავოთ სპირტიანი ხსნარით ან ბრილიანტის სიმწვანით. უნდა გამოვიყენოთ ანტიბაქტერიული წვეთები — ლევომიცეტინი ან ციტრომედი. თუ არაფერს გავიკეთებთ, 3-4 დღის შემდეგ შესივებულ ადგილზე გაჩნდება ჩირქის საცობი. ჩვეულებრივ, მომწიფებული ჩირქგროვა თვითონ სკდება და ტკივილიც გაივლის, მაგრამ ჩირქიანი საცობის დროზე ადრე გახეთქვამ შეიძლება სისხლის მოწამვლა გამოიწვიოს. ძლიერი შეშუპების, ტემპერატურის აწევის შემთხვევაში საჭიროა უფრო ძლიერი ანტიბიოტიკის მიღება. ამიტომ გაფრთხილებთ: პირველი სიმპტომის გამოვლენისთანავე მიაკითხეთ ექიმს.

***მეგაპოლის-ექსპრესი №42***

## წვენები ქოლესტერინის წინააღმდეგ

სპეციალისტების რეკომენდაციით ქოლესტერინის დონის დასაწევად საჭიროა ყოველდღიურ რაციონში შევიტანოთ გრეიპფრუტისა და სხვა ციტრუსების ახალგამოწურული წვენები.

ძალიან ეფექტური და პოპულარული პროგრამა, რომელიც შეიმუშავეს მეცნიერებმა ცელულიტის საწინააღმდეგოდ ტანმოვარჯიშეებისთვის, არანაკლებ ეფექტურად გამოიყენება ქოლესტერინთან საბრძოლველად.

პირველი დღე: 130გ სტაფილოს წვენი, 75გ ნიახურის ფესვების წვენი.

მეორე დღე: 100გ სტაფილოს წვენი, 70გ ჭარხლის წვენი (გამოყენებამდე 1,5-2 საათით შედგით მაცივარში), 70 გ კიტრის წვენი.

მესამე დღე: 130გ სტაფილოს წვენი, 70გ ნიახურის წვენი, 70გ ვაშლის წვენი.

მეოთხე დღე: 130გ სტაფილოს წვენი, 50გ კომბოსტოს წვენი.

მეხუთე დღე: 130გ ფორთოხლის წვენი.

წვენების თანმიმდევრობის მკაცრად დაცვა აუცილებელი არ არის, შეიძლება ერთი შეცვალოთ მეორეთი. მაგრამ ერთი პირობა მაინც უნდა დაიცვათ: წვენები უნდა იყოს ახალგამოწურული და შეიძლება შეინახოთ მხოლოდ 2-3 საათი. დალევის წინ შეანჯღრიეთ, რადგან ჭურჭლის ფსკერზე დანალექი შეიცავს პექტინებს, რომელიც ასე აუცილებელია ორგანიზმისავის.

***ზდოროვიე №9***

## ქათმის სიბეცის ხალხური მკურნალობა

მოხარშეთ ძროხის ან ცხვრის ღვიძლი, გადმოდგით ცეცხლიდან. დაიხარეთ ქვაბის თავზე, ზემოდან გადაიფარეთ სქელი, დიდი პირსახოცი ისე, რომ შიგ მოექცეთ თქვენც და ქვაბიც და შეიორთქლეთ მთელ სახეზე, თვალებზე. ზოგჯერ საკმარისია ერთი ან ორი, იშვიათად სამი პროცედურა. ამ მკურნალობის ჩატარების დროს ავადმყოფმა ორი კვირის განმავლობაში უნდა ჭამოს მოხარშული ღვიძლი. ასეთი მკურნალობის შედეგად ავადმყოფს უბრუნდება ნორმალური მხედველობა.

***ცელებნიკი***

## შევაჩეროთ მასტიტი



თუ ფიქრობთ, რომ მასტიტი — მკერდის ჯირკვლის ანთება — აწუხებს მხოლოდ ფეხმძიმეებს ან მეძუძურ ქალებს რძის გამაგრების გამო, ძალიან ცდებით. მკერდის ანთება შეიძლება გამოიწვიოს ჯირკვლების გაციებამ. ეს რომ არ მოხდეს, გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები:

ცივ ამინდში ძალიან ადვილია მკერდის გაციება. ჩაიცვით ამინდის შესაფერისად. თუ მაინც გაცივდით, არ დაიწყოთ თვითმკურნალობა — მიმართეთ ექიმს. შუა გზაში არ მიატოვოთ მკურნალობა. ორგანიზმი გაიმაგრეთ ვიტამინებით. ხშირად იკეთეთ მკერდის ვარჯიშები: ხელები ასწიეთ, ხელისგულები შეატყუპეთ, იდაყვები გასწიეთ გვერდზე და დაძაბეთ ორგანიზმი, შემდეგ მოადუნეთ. ასე გაიმეორეთ 10-15-ჯერ.

***სანი***

## მიიღეთ ბუნების ენერგია



სეზონური ადაპტაციის ნებისმიერი პერიოდი ორგანიზმისთვის სტრესია: ჩნდება ძილის შეგრძნება, დაღლილობის ნიშნები, ორგანიზმი გაღიზიანებულია. როგორ ვებრძოლოთ მათ?

პირველ რიგში, მეტი უნდა იმოძრაოთ — ნებისმიერი ფიზიკური დატვირთვა (დილის ვარჯიში, სიარული, ცურვა, სირბილი) აუმჯობესებს ორგანიზმის მდგომარეობას, ააქტიურებს მის მომარაგებას ჟანგბადით.

ისეირნეთ სუფთა ჰაერზე — სპეციალისტების აზრით, ერთი საათი, რომელსაც სუფთა ჰაერზე გაატარებთ, საკმარისია, რომ თავი მხნედ იგრძნოთ.

გამოიყენეთ ხეების ენერგია: სეირნობის დროს ხშირად შეეხეთ ხეებს, შემოეხვიეთ, ისუნთქეთ ღრმად და გაწონასწორებულად, ამ დროს იფიქრეთ მხოლოდ კარგზე, დარდი გულიდან გადაიყარეთ.

დაიცავით კვების ბალანსი: დიეტოლოგები ამტკიცებენ, თუ გსურთ, რომ დღის განმავლობაში კარგ ფორმაში იყოთ, არ მიირთვათ ზედმეტი. მსუყე სადილი — ძილს მოგგვრით. ნუ გამოტოვებთ სადილს, მშიერიც რომ არ იყოთ. მიირთვით ცოცხალი ხილი ან დალიეთ ერთი ფინჯანი ლიმონიანი ტკბილი ჩაი — ეს დაგეხმარებათ სისხლში შაქრის დონის აღდგენაში, რომელზედაც ბევრად არის დამოკიდებული ფიზიკური და გონებრივი აქტივობა.

***ჟენსკიე სეკრეტი***

# წითელი ვაშლი გაგორდა...



სპეციალისტების აზრით, ვაშლი, რომელიც შეიცავს ორგანიზმისათვის აუცილებელ ბევრ ვიტამინს, სასარგებლოა ჭამოთ ძილის წინ, ამ დროს პირის ღრუში ბაქტერიების 90% ისპობა, ხოლო ორგანული მჟავები, რომელსაც ვაშლი შეიცავს ხელს უშლის კბილის კარიესის განვითარებას. ღამით 2-3 ვაშლის ჭამა არეგულირებს და ამცირებს სისხლში შაქარს. ახალი, მოხარშული თუ შემწვარი ვაშლი აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, დაჭრილი ან გახეხილი — კომპრესის სახით შველის დამწვრობას, მოყინულობას და დიდი ხნის შეუხორცებელ ჭრილობებს.

ჰიპერტონიის, სიმსუქნისა და შეშუპებისგან თავდასაღწევად კვირაში ერთ დღეს ჭამეთ 1,5-2 კგ ვაშლი.

მაღალი მჟავიანობის დროს სასარგებლოა ჭამოთ ტკბილი ჯიშის ვაშლი, ხოლო დაბალი მჟავიანობის დროს — მჟავე ჯიშისა.

***ოტდოხნი №41***


**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**



შეიძინეთ!!!
- აპარატები
- ტესტ-ჩხირები
- ერთჯერადი ნემსები
- ავტომატური საჩხვლეტი
- კარდიოლოგიური ფონენდოსკოპი



შპს „კონტრასტი"
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55



**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**
- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10
კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35



**ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება:**





სქოლიოზი, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტები, კიფოზი, ნევროზი, შიშები, შაკიკი, პოსტ-ინსულტური დამბლა, არითმია, ტკივილები გულის არეშე, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი ($t=37,2^{o}C$), სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება.

კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა.
მის: მ. „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18
ანატოლი შავიძე ☎ 61-65-03; 893-20-68-21








**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"**

სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე;

ხუთშაბათობით კონსულტაციები უფასოა

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


**გთხოვთ გვესაუბროთ ბავშვთა საშარდე სისტემის დაავადებების შესახებ.**
*გ. ლებანიძე*

# სერიოზული პრობლემები

საშარდე სისტემა წარმოდგენილია თირკმლებითა და საშარდე გზებით — მარჯვენა და მარცხენა შარდსაწვეთებით, რომელთა საშუალებითაც შარდი თირკმლებიდან შარდის ბუშტში ჩადის, იქიდან კი გარეთ გამოიყოფა.

თირკმლებისა და საშარდე გზების პათოლოგიები ბავშვთა დაავადებების 8%-ზე მეტს შეადგენს. სხვათა შორის, მოზრდილთა თირკმლის დაავადებების თითქმის 50% ბავშვობაში იწყება.

თუ ბავშვს აღენიშნება ტკივილი, შეშუპება, წნევის მატება, აზოტი სისხლში და შარდვის მოშლილობის სინდრომები, მშობელმა მაშინვე უნდა მიმართოს ექიმს.

ტკივილის სინდრომი: — ტკივილი ყველაზე ხშირად წელის არეში იგრძნობა, თუმცა შესაძლებელია საშარდე ბუშტისა და შორისის მიდამოშიც იყოს. ტკივილი სხვადასხვა ხასიათისაა: ყრუ, გახანგრძლივებული ან შეტევითი. შეტევითი ტკივილი (თირკმლის ჭვალი) — ბავშვს აწუხებს შარდკენჭოვანი დაავადების დროს.

მუცლის ქვედა ნაწილში მჭრელი ხასიათის ტკივილი, რომელიც შარდვის დროს ძლიერდება, შარდის ბუშტის დაზიანების სიგნალად მიიჩნევა. შემაწუხებელი ტკივილი ახლავს პარანეფრიტს, თირკმლის ირგვლივი ქსოვილის აბსცესს, პიელონეფრიტს. ცალმხრივი ტკივილი დამახასიათებელია შარდსაწვეთის დახშობისთვის.

ჭვალი პატარას აწუხებს, წრიალებს ლოგინში, ხოლო ანთებითი და სხვა ხასიათის ტკივილისას ბავშვი უმოძრაოდ წევს.

შარდკენჭოვანი დაავადების დროს ტკივილი იწყება წყლის დიდი რაოდენობით მიღებისას, მგზავრობისას და ყუჩდება სათბურით. ცისტიტს ახლავს წვა შარდვისას და მის შემდეგ.

შარდვის მოშლილობის სინდრომი: — შარდის გამოყოფას დიურეზი ეწოდება. იგი შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი. დადებითი დიურეზის დროს ბავშვი უფრო მეტ შარდს გამოყოფს, ვიდრე სითხეს იღებს. უარყოფითის დროს — პირიქით. დადებითია დიურეზი შეშუპების გაქრობისას, შარდმდენი საშუალებების დანიშვნისას, უარყოფითი — კანისა და ფილტვების გზით სითხის დიდი რაოდენობით დაკარგვისას.

შარდვა შეიძლება გახშირდეს (პოლაკიურია) სითხის დიდი რაოდენობით მიღებისას, შარდის ბუშტის ანთებითი დაავადებების (მაგალითად, ცისტიტის და გაცივების) დროს.



გაძლიერებული (პოლიურია) შარდვა შეიძლება განპირობებული იყოს ფსიქოლოგიური ფაქტორებით ან უკავშირდებოდეს დიდი რაოდენობით სითხის მიღებას, შარდმდენების გამოყენებას.

ძლიერადაა გამოხატული შარდვის მოშლილობის ეს ფორმა შაქრიანი და უშაქრო დიაბეტის დროსაც. თირკმლის პათოლოგიებიდან აღსანიშნავია მისი ქრონიკული უკმარისობის ერთ-ერთ სტადიაში შარდვის მატება შეშუპების გაქრობისას, ქრონიკული ნეფრიტისა და პიელონეფრიტის დროს.

შემცირება ხდება თირკმლისა და მისი მკვებავი სისხლძარღვების დაზიანების, აგრეთვე სითხის დიდი რაოდენობით დაკარგვის (ფაღარათი, ღებინება) შემთხვევაში, შარდკენჭოვანი დაავადებისას, შარდსაწვეთების შევიწროების დროს და სხვა.

ანურია (სულ შეწყვეტა) ვითარდება, თუ პატარამ შარდი 12 საათის განმავლობაში არ გამოყო. ანურია ძალზე საფრთხილო ნიშანია და სპეციალისტის დაუყოვნებლივ ჩარევას მოითხოვს. შარდვის შეწყვეტას იწვევს: მძიმე ნეფრიტი, ბოტულიზმი, სხვადასხვა შხამით (მათ შორის სოკოთი) მოწამვლა, შეუთავსებელი სისხლის გადასხმა, გულის მძიმე მანკები და სხვა.

ნიქტურია — ღამით, დღესთან შედარებით, დიდი რაოდენობით შარდის გამოყოფა. მისი გამომწვევი მიზეზებიდან აღსანიშნავია თირკმლის ტუბერკულოზის, ქრონიკული პიელიტის და სხვა შემთხვევები, როცა თირკმლის უკმარისობაა გამოხატული.

აგრეთვე აღსანიშნავია შარდის შეუკავებლობა — ენურეზი — მას იწვევს შარდის ბუშტის ანთებითი დაავადებანი, სასქესო ორგანოების პათოლოგიები, ჭიები, დიაბეტი, ნერვული სისტემის დარღვევები.

საშარდე სისტემის დაავადებათა დიაგნოსტიკაში მთავარია შარდის შესწავლა. ყურადღება ეცევა მის ფიზიკურ თვისებებს, ფერს, გამჭვირვალობას, სიმკვრივეს, ქიმიურ თვისებებს — შარდში ცილების, შაქრის, აცეტონის, ურობილინისა და სხვათა შემცველობას, ნალექის შემადგენლობას და ბაქტერიოლოგიურ ანალიზს.

აგრეთვე მიმართავენ რენტგენოლოგიურ, ექოსკოპიურ და სხვა საჭირო კვლევებს.

სხვა სინდრომები: — თირკმლოვანი შეშუპება ვითარდება სწრაფად, ჯერ იწყება სახეზე, კერძოდ, ქუთუთოებზე და შემდეგ მთელ ტანზე ვრცელდება. არაიშვიათად იგი მოეფინება მენჯის არეს, სასქესო ორგანოებს, სინდრომი ხშირია გლომერიტონეფრიტის (თირკმლის გორგლოვანი აპარატის ანთებითი ცვლილება) ზოგიერთი ფორმის, ნეფრირებული სინდრომის დროს.

აზოტემიური სინდრომი ვითარდება თირკმლის მთლიანი (ცისტალური) უკმარისობის დროს. გარდა ამისა, აზოტის მომატებაში დამნაშავე არა მარტო თირკმლებია. მსგავსი ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ინფექციამ, მძიმე ტრავმამ, ძლიერმა ღებინებამ და ფაღარათმა, გულის უკმარისობამ და სხვა.

***მაია მუხიგული***

# როგორ ვუმკურნალოთ შემოდგომაზე ბავშვს

შემოდგომაზე იზრდება გრიპით დაავადებულ ბავშვთა რაოდენობა. ფორმალურად გრიპი განეკუთვნება მწვავე რესპირაციულ ვირუსულ ინფექციას, სიმპტომებით თითქმის არ განსხვავდება მისგან, თუმცა გრიპს მაინც აქვს განსაკუთრებული ნიშნები.

— გრიპის დროს მაღალი ტემპერატურა ($40^{0}C$-მდე) 5-7 დღეს გრძელდება, მწვავე რესპირაციული ინფექციის დროს კი 2-3 დღეს (ისიც $38^{0}C$).

— გრიპი იწყება მაღალი სიცხით, სახსრებისა და ძვლების ტეხით, ამას მოსდევს ხველა და ცხვირის სისველე. მწვავე რესპირაციული ვირუსული ინფექციები იწყება ცხვირის ცემინებით, ტემპერატურა $37$-$38^{0}C$-ია.

*გახსოვდეთ:* დიაგნოზი, გრიპია თუ მწვავე რესპირაციული ვირუსული ინფექცია, უნდა დასვას ექიმმა.

როგორ ვებრძოლოთ ვირუსებს?

— დაიცავით ბავშვის წოლითი და ნახევრად წოლითი რეჟიმი (როდესაც შეიძლება ბავშვს მისცეთ უფლება, ადგეს ლოგინიდან და ითამაშოს, წაიკითხოს, ან უყუროს ტელევიზორს);

— ხშირად გაანიავეთ ოთახი, დაატენიანეთ ჰაერი, რადგან გრიპისა და მწვავე რესპირაციული ვირუსული ინფექციების დროს მათ ძალიან სწრაფად უშრებათ ლორწოვანა, ეს კი ბაქტერიებისათვის მეტად ხელსაყრელია;

— ასვით ბევრი სითხე, რადგან მაღალი სიცხის დროს ორგანიზმი იწყებს გაუწყლოებას, მიეცით პატარას ტკბილი ლიმონიანი ჩაი, ბოსტნეულის ნახარში, ახალი კომპოტები ბავშვის წონის მიხედვით — ერთ კგ-ზე 100 მლ სითხე (მაგ., ბავშვი თუ 20 კგ-ს იწონის, ავადმყოფობის დროს უნდა მიიღოს დღეში 2ლ სითხე).

— შეუსრულეთ ბავშვს კულინარიული კაპრიზები: თუ ფაფის ნაცვლად შოკოლადი მოგთხოვათ, უარი არ უთხრათ. გრიპის დროს სასურველია, აჭამოთ ახალი ხილი და ბოსტნეული, მაგრამ არა მჟავე ხილი და კენკრა, ხორცი და თევზი — პიურეს ან სუფლეს სახით. არ დააძალოთ საჭმელი.

— ნუ მისცემთ ხელოვნურ ვიტამინებს, რადგან ავადმყოფობის დროს შეიძლება მან ალერგია გამოიწვიოს. ვიტამინები მიეცით გამოჯანმრთელების შემდეგ.

— ავადმყოფობის დროს მიეცით მხოლოდ იბუპროფენისა და პარაცეტამოლის ფუძეზე დამზადებული ვირუსსაწინააღმდეგო ან სიცხის დამწევი წამლები.

— ჩააწვეთეთ ცხვირში იზოტონური ხსნარი: 1 ჩ/ჭ წყალში გახსენით ერთი მწიკვი მარილი, რომელიც თავისი შემადგენლობით ჰგავს სისხლის პლაზმას, ატენიანებს ლორწოვანს და ათხელებს შესქელებულ გამონადენს.

— ტემპერატურის დაწევას შეეცადეთ მაშინ, როდესაც ის $38^{0}C$-ზე მაღლა აიწევს, მანამდე თავად ორგანიზმი ებრძვის მას.

*გახსოვდეთ:* სიცხის დამწევი წამალი მოქმედებას იწყებს მიღებიდან 40 წუთის შემდეგ.

სიცხის დაწევა შეიძლება ბუნებრივი საშუალებითაც. დაზილეთ ბავშვი წყალგარეული ძმრით (არა ესენციით) ან წყალგარეული არყით. შუბლზე დაადეთ კომბოსტოს ფოთოლი.

მაღალი სიცხის დროს აკრძალულია ყველა სახის გამათბობელი პროცედურა: სათბურა, მდოგვის საფენები, კოტოშების დაყრა და ა.შ.

არ შეიძლება ანტიბიოტიკებით ვირუსული ინფექციების მკურნალობა, რადგან ისინი კლავენ იმ სასარგებლო მიკრობებს, რომლებიც ორგანიზმს ბაქტერიებისაგან იცავენ და შეიძლება მწვავე რესპირაციული ვირუსული ინფექცია სერიოზულ ბაქტერიულ ინფექციად გარდაიქმნას.

***ზდოროვიე***

# ყველაფერი პირიქით!

## რა სარგებლობა მოაქვს ცუდ ჩვევებს?!



თუ ყავის გარეშე ვერ ძლებთ, მაგრამ იცით, რომ ის ჯანმრთელობას ვნებს, გაგახარებთ მეცნიერთა ახალი დასკვნები. დადგინდა, რომ ყავის მოყვარულებს (ხარისხიანი ყავის) ნაკლებად ემუქრებათ გულ-სისხლძარღვთა და პარკინსონის დაავადებები. ვინც დიდი რაოდენობით უშაქრო ყავას მიირთმევს და არაფერს ატანს, იშვიათად სუქდება და არც დიაბეტი აწუხებს.

რა არის ამის მიზეზი? კოფეინი ორგანიზმს ეხმარება კალორიების წვაში, ხელს უშლის წონაში მომატებას და შაქრიანი დიაბეტის განვითარებას. მაგრამ თუ 2-3 ფინჯანი ყავის შემდეგ უსიამოვნო შეგრძნებები გაგიჩნდებათ გულის არეში და უძილობაც შემოგეჩვიათ, სჯობს შეამციროთ სადღეღამისო ნორმა.

***ოჯი***

# ჩერქესკში არეულობაა...

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის პრეზიდენტის სიძის, ალი კაიტანოვის აგარაკზე მოკლული 7 მამაკაცის გვამი იპოვეს, მოსახლეობა ფეხზე დადგა.

მოკლულთა ნათესავები, ნაცნობები, უბრალოდ რესპუბლიკის მცხოვრებლები — დილიდან შეიკრიბნენ ჩერკესკში, მთავრობის სახლის წინ. ისინი ითხოვდნენ პრეზიდენტის, მთავრობის და ძალოვანი სტრუქტურების დაუყოვნებლივ გადადგომას. რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი სამხრეთ ფედერალურ ოლქში, დმიტრი კოზაკი, შეხვდა მოკლულთა ნათესავებს და მათ დაშოშმინებას შეეცადა, მაგრამ უშედეგოდ. ნათესავები შიშობდნენ, რომ მთავარი დამნაშავე — პრეზიდენტის სიძე ხელიდან დაუძვრებოდათ და დაუსჯელი დარჩებოდა, ამიტომაც საპროტესტო მიტინგი მაინც მოაწყვეს. ჯერ თავშეკავებულად იქცეოდნენ, მაგრამ როცა გაირკვა, რომ ხმის გამაძლიერებელი გაფუჭებული იყო, განრისხებულები მთავრობის სახლში შეცვივდნენ. მომიტინგეები, რაც კი ხელში ხვდებოდათ, ყველაფერს ლეწდნენ. მთავრობის სახლის აღებას 45 წუთი დასჭირდა. პრეზიდენტი მუსტაფა ბატდიევი იქ არ აღმოჩნდა.

ხალხის დიდმა ნაწილმა არ დატოვა მთავრობის სახლი, ისინი კვლავ პრეზიდენტის გადადგომას ითხოვდნენ. მუსტაფა ბატდიევმა გამოაცხადა, — მზად ვარ საპროტესტო აქციის მონაწილეთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლადო, მაგრამ მის გადადგომას ახლა პუტინის წარმომადგენელი, დმიტრი კოზაკი შეეწინააღმდეგა. მან შეძლო ხალხის ნაწილის გაყვანა მთავრობის სახლიდან და დაჰპირდა, — ბატდიევი აუცილებლად გადადგება, მაგრამ მოგვიანებითო.

***კომერსანტი***

# კორუფციასთან ომი ჩინურად

ჩინეთის პროვინცია ჰებეიში, მექრთამეობის ბრალდებით დააპატიმრეს საგადასახადო ბიუროს თავკაცი ლი ზენი. სასამართლომ მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. კომპარტიის პროპაგანდისტულმა მანქანამ უმალ აიტაცა ეს ამბავი და სხვა კორუფციონერთა დასაშინებლად მასმედიის ყველა საშუალებით რამდენჯერმე გამოაცხადა. ჩინეთის ახალი პრეზიდენტი ჰუ ჯინტაო კორუფციის დასამარცხებლად ემზადება. ამ ბრალდებით მარტო 1998-დან 2002 წლის ჩათვლით ჩინეთის კომპარტიის 850 000 წევრი იქნა დაპატიმრებული და გასამართლებული. ექსპერტთა შეფასებით კი 80-იან წლებში, მაშინ, როდესაც ჩინეთში საბაზრო რეფორმები დაიწყო, 4000-ზე მეტმა ჩინელმა დიდმოხელემ „დრო იხელთა" და მექრთამეობაში ჩაეფლო, შემდეგ თითქმის ყველა მათგანი საზღვარგარეთ გაიქცა.

დასავლეთმა მოიწონა პრეზიდენტ ჯინტაოს მიერ წამოწყებული ანტიკორუფციული ომი. თუმცა ბევრი დიპლომატი შეაშფოთა ხმებმა — ჯინტაოს წინამორბედმა, ძიან ძემინმა ხელისუფლებაში დარჩენილი თანამოაზრეებისგან დაცვის გარანტიების მთელი პაკეტი მიიღო, რომლის მიხედვითაც მას, მის ოჯახსა და უახლოეს გარემოცვას სიცოცხლის ბოლომდე სრული ხელშეუხებლობა ექნებათო. ეს კი, როგორც დასავლეთში, ისე ჩინეთში, ბევრს არ მოეწონა, ვინაიდან ძიან ძემინის უახლოეს პოლიტიკურ გარემოცვაში შედიან ჩინეთის რამდენიმე დიდი ქალაქის კომუნისტური ორგანიზაციების ლიდერები, რომელთა მექრთამეობაზე უკვე ანეკდოტებსაც კი თხზავენ ჩინეთში.

***ნიუზუიქ***

# სამგლოვიარო დემარში

*პალესტინის ავტონომიის ლიდერის, იასირ არაფატის გარდაცვალების შემდეგ სახელისუფლებო უფლებამოსილება გადაეცა საკანონმდებლო საბჭოს სპიკერს რაუჰ ფათუჰს, პრემიერ-მინისტრს აჰმედ ყურეის და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მაჰმუდ აბასს. ფუნქციათა დროებითი განაწილება პალესტინის სამ უმაღლეს მოხელეს შორის კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. საკონსტიტუციო ნორმების თანახმად, ვადამდელი არჩევნები 60 დღეში უნდა ჩატარდეს.*





მომაკვდავი მეუღლის საწოლთან მჯდარმა არაფატის 41 წლის მეუღლემ, სუხამ სამეულს „ბოგანოები" უწოდა, რომლებმაც ყველაფერი იკადრეს ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. ამის პასუხად პალესტინის მთავრობის ერთ-ერთმა წევრმა სუფიან აბუ ზიადმა გაკვირვებით თქვა: — პალესტინელები ამ ქალს არ იცნობენ. მას სამი წელია ქმარი არ უნახავსო.

ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ თავისი დემარშით სუხა არაფატი პალესტინის ლიდერის მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში ჩაება.

იასირ არაფატს მთელ მსოფლიოში გახსნილი საბანკო ანგარიშების გარდა, ევროპის ქვეყნებში სასტუმროები და ორი მობილური კავშირგაბმულობის კომპანია ჰქონდა ტუნისსა და ალჟირში. იასირის ქვრივი პრეტენზიას აცხადებს ქმრის ქონების მნიშვნელოვან ნაწილზე და დასახმარებლად უკვე მიმართა კიდეც ფრანგ ადვოკატებს.

სუხა არაფატს მხარში უდგას პარტია „ფათჰის" პოლიტბიუროს მეთაური ფარუქ კადემი. ის ამ პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელია, მაგრამ გასული საუკუნის 90-იან წლებში ოსლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდა და თავის თანამებრძოლებთან ერთად უარი თქვა ტუნისიდან პალესტინის ავტონომიურ რესპუბლიკაში გადასახლებაზე. შემდეგ კარგა ხნით გაქრა პოლიტიკური არენიდან და მხოლოდ ახლახან გამოჩნდა.

პარიზში, არაფატის გარდაცვალებისთანავე, მან ბელადის სარეცელთან განაცხადა, — მაჰმუდ აბასს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტზე იასირ არაფატის შეცვლის უფლება არა აქვსო. ამ კოალიციის მესამე წევრი შესაძლოა პალესტინის ლიდერის ერთ-ერთი ყველაზე ახლო მეგობარი და ფინანსური მრჩეველი მუჰამედ რაშიდი გახდეს. სწორედ მან იცის არაფატის საიდუმლო ანგარიშების ასავალ-დასავალი.

სუხა არაფატი 1963 წელს დაიბადა იერუსალიმში, პალესტინელი კათოლიკეს ოჯახში. მამა ბანკირი ჰყავს, დედა — ცნობილი ჟურნალისტია. სუხა სწავლობდა რამალაჰისა და ნაბლუსკის კათოლიკურ სკოლებში, შემდეგ სორბონში. დედამ იასირ არაფატი გააცნო. ახალგაზრდა სუხა მას ტუნისში გაჰყვა, როგორც პირადი მდივანი. 1990 წელს ისლამი მიიღო და დიდი ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად (სუხა 27 წლისა იყო, იასირ არაფატი — 61 წლის), ცოლად გაჰყვა. პალესტინაში დაბრუნების შემდეგ მეუღლეები ცალცალკე ბინებში ცხოვრობდნენ. სუხა არაფატის ახლობლების თქმით, მის ოთახებში ქრისტეს ხატი და რომის პაპის პორტრეტი ეკიდა, მხოლოდ ერთ კედელს ამშვენებდა პისტოლეტმომარჯვებული ახალგაზრდა იასირის ფოტო. 1995 წელს მათ ქალიშვილი შეეძინათ — ზუხა. 2000 წლის სექტემბერში სუხა არაფატი დედასთან და ქალიშვილთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად.

სუხა ცნობილია თავისი სიძულვილით ისრაელელთა მიმართ. არაფატის ქვრივი არ ემხრობა პალესტინა-ისრაელის ურთიერთობის მშვიდობიან მოწესრიგებას. 2002 წელს მან განაცხადა: — ვაჟი რომ მყავდეს, სიამოვნებით დავულოცავდი გზას, რომ ალაჰის სახელით მომკვდარიყოო (სუხა ტერორისტი-თვითმკვლელების აქციას გულისხმობდა).

სუხა ძალიან ეცადა, მაგრამ ვერაფრით დაიმსახურა უბრალო პალესტინელთა სიყვარული.

...ათიათასობით დამწუხრებული პალესტინელი შეეგება რამალაჰში თავიანთი ლიდერის კუბოს. უკანასკნელ გზაზე გაცილების მსურველი იმდენი იყო, რომ სამგლოვიარო პროცესიამ ძლივს გაიკვლია გზა. გამოთხოვების ცერემონიაში დაახლოებით 60 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

კაიროდან ჩამოფრინდა არაფატის ქვრივი სუხა არაფატიც, რომელსაც, როგორც უკვე ცნობილი გახდა, პალესტინის მთავრობა ყოველწლიურად 22 მლნ დოლარს გადაუხდის იასირ არაფატის საიდუმლო ანგარიშებიდან.

პალესტინელებს თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენება მოუწევთ არაფატის გარეშე, რომელიც 40 წლის მანძილზე მათი ბრძოლის სიმბოლო იყო.

***ნიუს რუ***

# ლუკაშენკომ ქარს მილიონები გაატანა



ბელორუსიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ყბადაღებულ რეფერენდუმთან დაკავშირებული სკანდალების ფონზე, განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყურება ალექსანდრ ლუკაშენკოს საპრეზიდენტო ლაინერი. ის, რომ ქვეყნის თავკაცი რუსული Ту-ს ამერიკულ სათამაშოზე გადაცვლას აპირებს, 2004 წლის დასაწყისშივე გახდა ცნობილი, — ამის თაობაზე ამერიკულ კომპანიასთან გარიგება 3 წლის წინ დადო.

„საჰაერო ციხესიმაგრის" შეძენის ფაქტზე მეტად ყველა განაცვიფრა იმან, რომ გასაცოდავებული ბელორუსების წინამძღოლმა მეტისმეტად მდიდრულად მორთო და მოკაზმა თავისი თვითმფრინავი. ლაინერს აქვს სავარჯიშო დარბაზი, სასადილო, საშხაპე, უძვირფასესი ავეჯით გაწყობილი მისაღები ოთახი, თვითმფრინავში დამონტაჟებულია საჰაერო ობიექტების სათვალთვალო, სპეცკავშირის და უსაფრთხოების დაცვის მოწყობილობები.

ახალი საპრეზიდენტო ლაინერის ფასს არ ამხელენ. სპეციალისტების გამოანგარიშებით, თუ ბოინგ-737-500-ის 10 წლის წინანდელი მოდელი დაახლოებით 23 მლნ დოლარამდე ღირს, ლუკაშენკოს „მფრინავი ციხესიმაგრე" 100 მლნ დოლარზე მეტი უნდა ღირდეს.

მართლაც მშვენიერი შენაძენია ქვეყნისთვის, რომელსაც ფაქტობრივად ეკონომიკური ბოიკოტი აქვს გამოცხადებული. თუმცა „ბატკამ" ალბათ იცის, ფული როგორ იშოვოს — მარტო ეკიპაჟის გასაწვრთნელად ხელისუფლებამ უკვე 500 ათასი დოლარი დახარჯა. ისიც ითქვა, — სტაჟირება გერმანიაში კი გაიარეს, მაგრამ სასინჯი ფრენის დროს ეკიპაჟს ორჯერ კინაღამ ხელი მოეცარაო...

იქნებ საიდუმლო სწორედ იმაში იმალებოდეს, რომ ცბიერმა ამერიკელებმა ბელორუსებს სუპერმანქანაში დიდი ფულიც წაგლიჯეს და თან იმედი აქვთ, რომ სწორედ ეს მანქანა დაღუპავს ლუკაშენკოს. ხომ შეიძლება ხალხსაც აევსოს მოთმინების ფიალა?

***იზვესტია***

## მოკლედ

**უნგრეთის** პრემიერ-მინისტრმა ფერენც დიურშანმა განაცხადა, რომ 2005 წლის 31 მარტისთვის უნგრეთი თავის ჯარს გამოიყვანს ერაყიდან. ეს გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრმა ოპოზიციისა და ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნით მიიღო. ერაყში 300 უნგრელი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება. იქ ყოფნის მანძილზე მათ ერთი ჯარისკაცი დაკარგეს.

**ისრაელის** ქნესეთმა მიიღო კანონი პალესტინის ტერიტორიიდან ებრაელთა ევაკუაციისა და მათთვის კომპენსაციის მიცემის შესახებ. ღაზის სექტორიდან 21, ხოლო მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროდან 4 დასახლების ევაკუაცია 2005 წლის დამლევისათვის დამთავრდება. თითოეულ ოჯახს კომპენსაციის სახით დაახლოებით 300 ათას დოლარს მისცემენ. მას, ვინც შეეწინააღმდეგება ებრაელთა ევაკუაციას, 3-წლიანი პატიმრობა ელის.

**პოლონეთის** სეიმის საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით, ქვეყნის პრეზიდენტის მეუღლის, იოლანდა კვაშნევსკას სოციალური რეფორმების ფონდის საბუღალტრო საბუთები გამოსაძიებლად გადაეცა კატოვიცეს პროკურატურას. პარალელურად იძიებენ მსხვილი ენერგეტიკული კონცერნის, „ორლენის", საქმეს. ეჭვობენ, რომ კონცერნი უკანონოდ ურიცხავდა დიდ თანხებს პრეზიდენტის მეუღლის ფონდს. იოლანდა კვაშნევსკა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ერთ-ერთ შესაძლო კანდიდატად ითვლება.

**ვენეციაში** გაუთავებელი კოკისპირული წვიმების გამო წყლის დონემ თითქმის 1,5 მ-ით აიწია. წყალდიდობის გამო დაიხურა თითქმის ყველა ადმინისტრაციული და სასწავლო დაწესებულება, გალერეა, მაღაზია, დიდად დაზარალდა ტურისტული ბიზნესი.

ვენეციას უფრო დიდი წყალდიდობაც ახსოვს — 1966 წლის ნოემბერში წყლის დონემ ჩვეულებრივს ორი მეტრით გადააჭარბა.

უწყვეტი წვიმა ნელ-ნელა ანგრევს ულამაზეს ქალაქს. იტალიის მთავრობამ „ადრიატიკის მარგალიტის" გადასარჩენად შეიმუშავა 8-წლიანი გეგმა — წყლის დონის მომატების შემთხვევაში 24 მოძრავი დამბა ვენეციის ლაგუნას ადრიატიკის ზღვის შემოტევისაგან დაიცავს.

**ბაღდადში** მოიტაცეს შუალედური მთავრობის მეთაურის, აიად ალავის ძმა, მისი მეუღლე და რძალი. ბოევიკთა დაჯგუფება „ჯიჰადის მომხრეების" განცხადებით, თუ ამერიკელები არ შეწყვეტენ სამხედრო ოპერაციას ამბოხებულ ქალაქ ელ-ფალუჯაში, მძევლებს თავს მოჰკვეთენ.

**გერმანიის** დედაქალაქში საზეიმოდ აღინიშნა ბერლინის კედლის დანგრევის მე-15 წლისთავი. ქალაქის მერმა კლაუს ვოვერაიტმა კედლის შემორჩენილ ფრაგმენტთან დადო ყვავილების გვირგვინი იმ 200-ზე მეტი გერმანელის ხსოვნის პატივსაცემად, რომლებიც დასავლეთში გაქცევის მცდელობისას დახოცეს.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 13 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8000 |
| ევრო | 2,3255 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3228 |
| რუსული რუბლი | 0,0628 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2380 |

„ტრანსტრონსის" ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „გეოკორი"
აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური
წყლის
მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ფირმა „ფლორანი"
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები სხვადასხვა
უმაღლესი ფერები და
ხარისხის საკეტები
პროფილით
დაბალ ფასებში
☎ 38-08-14
26-44-77; 53-21-51
899 25-38-74; 899 20-57-32
მის: გამსახურდიას 44 (გაგარინის მოედანი, სასტუმრო „ხიბლი"-ს უკან)

# „მზად ვარ, პასუხი ვაგო და ტალახის სროლაც ავიტანო“

## პრეზიდენტის ჯიბეში არასოდეს ჩავმძვრალვარ


მურმან ხარაბაძე

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

დღეს ბევრს ლაპარაკობენ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზებზე, მე კი ვიტყვი, რომ ზვიადი მხოლოდ ღურწკაიების სახლში საბედისწერო გასროლით არ მომკვდარა, ის ნელ-ნელა მიჰყავდათ ტრაგიკულ აღსასრულამდე. ზვიად გამსახურდიას მკვლელობა 1991 წლის სექტემბერში დაიწყო. ის მაშინ მოკლეს, როდესაც უღალატეს და თბილისში პირველი ტყვია ისროლეს. ზვიადის ერთი ბრძანება იყო საკმარისი ოპოზიციის გამოსვლის ალსაკვეთად. მახსოვს მითხრა — ისინი შეცდომილები არიან და ვერ გავიმეტებო. პრეზიდენტს 45-ათასიანი შეიარაღებული ძალა ჰყავდა და 200 კაცის თვითნებობას როგორ ვერ აღკვეთდა, მაგრამ არ ინდომა გზააბნეულთა დასჯა. სულელი კიტოვანი და უტვინო სიგუა აჯობებდნენ ზვიადს? სიგუას დღეს თავი გონიერ კაცად მოაქვს და ვითომ არისტოკრატობს კიდეც. მაშინ კი ძველბიჭობა და ქურდული ლაპარაკი წამოიწყო. როდესაც შავნაბადაზე მისი ოთახი დავიკავეთ, პრეზერვატივებით იყო სავსე, შემეზიზლა და უკან გავბრუნდი. აი, ასეთი ინტელიგენტი და წესიერი ადამიანი მართავდა ოპოზიციას.

როდესაც თბილისში ვითარება დაიძაბა, გია გულუამ მითხრა (წყნეთში გვერდიგვერდ სახლებში ვცხოვრობდით), განზე გადექიო, მაგრამ ზვიადი არ მივატოვე. თბილისის ომი არც კიტოვანს მოუგია და არც სიგუას, ყველაფერი გია გულუამ და ვინმე ქარჩავამ დაგეგმეს და განახორციელეს. იცოდნენ მათ საქმე, ორივე დაზვერვიდან იყო.

**— ამბობთ, ზვიად გამსახურდიას დიდი ძალა ჰქონდაო, მაშინ რატომღა გაექცა 200 კაცს, თბილისი რატომ დატოვა?**

— უზენაესი საბჭოს შენობიდან პრეზიდენტი მე რომ გამომეყვანა, სადაც უნდოდა იქ მივიყვანდი. ამის გამო რობიზონ მარგველანს ვკითხე კიდეც, თუ უზენაესიდან გამოხვედი, რატომ არ დამიკავშირდი-მეთქი. მიპასუხა, ეს ისე მოხდა ჩემთვის არაფერი უკითხავთო. ზვიადს დასავლეთ საქართველოში უნდოდა წასვლა, მაგრამ გვერდით მყოფმა არაპროფესიონალებმა უთხრეს, გზებია გადაკეტილიო და სომხეთში ამოაყოფინეს თავი. არადა პრეზიდენტისთვის გზა არავის გადაუკეტავს. ამ დროს მე პრეზიდენტის ოჯახი მებარა, მე კოლხურ კოშკს ვიცავდი. არ ვიცოდი, რომ თურმე საშინელ ცნობებს აწვდიდნენ. თბილისიდან წასვლას ის არც ფიქრობდა, მაგრამ უზენაესი საბჭოს 5 წევრი შესულა მასთან და უთქვამს — წაგებული გვაქვს ბრძოლა და ჯობს, თავს ვუშველოთო. სახლიდან ხშირად მიმქონდა მასთან გამოსაცვლელი ტანსაცმელი. ერთხელ მკითხა, აქ რომ სროლაა, სხვაგან რა ხდებაო. რომ ვუთხარი, მხოლოდ რუსთაველზე ისვრიან, დანარჩენი თბილისი ქეიფობს-მეთქი, საფეთქელზე წაივლო ხელი — ეს არის ამათი სიყვარულიო(?!).

ომის წაგების შემდეგ, როცა ოპოზიცია უზენაეს საბჭოში შეიჭრა, გამახსენდა, რომ კაბინეტში მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია ჰქონდა შენახული. არავის რომ არ ვეცნე, „უშანკა“ ჩამოვიფხატე თავზე, ნიკაპთან შევიკარი და შევედი შენობაში. დერეფნებში მოზეიმე ხალხს წავაწყდი, მაგრამ ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევიათ ან სად ეცალათ ჩემთვის... შევედი კაბინეტში და ცეცხლმოკიდებული მაგიდიდან ავიღე გვერდებშემომწვარი დოკუმენტები.

კოლხურ კოშკში რომ მივბრუნდი, სახლი ცარიელი დამხვდა. მალე ორი მანქანა მოვარდა. მგონი, გიორგაძის ხალხი იყო. „ნივით“ და მწვანე „მოსკვიჩით“ იყვნენ, რომლის ნომერიც მახსოვს „03-87 გაზ“. ტელევიზორი და ტანსაცმელი წაიღეს ზვიადის საძინებლიდან... შებინდებისას სიგუას დაცვის წევრები გამოჩნდნენ — „ვლასტი“ შეიცვალა და „ნაჩალსტვოსთვის“ ზვიადის ესკორტის მანქანები გვინდაო. ამასობაში, შეიარაღებული მხედრიონელებიც მოცვივდნენ და ნადავლზე ისეთი ჩხუბი დაიწყეს, გული აგერეოდათ. ლამის სროლამდე მივიდა საქმე და ისევ მე ჩავერიე — მანქანა ორია და თითო-თითო წაიყვანეთ-მეთქი. ამაზე ცოტა განელდნენ და უცებ ერთმა დაიძახა — ზვიადის სახლში შევიდეთო და კალიებივით შეესივნენ კოლხურ კოშკს. ეზოდან ვუყურებდი, როგორ აანთეს ჭაღები და დარბოდნენ ოთახიდან ოთახში. ყველაზე მსუყე ნადავლი კონსტანტინეს ოთახში იპოვეს — იარაღი, ხანჯლები, ხმლები და ძველისძველი ხატები გამოიტანეს. მერე ერთმანეთში დაიწყეს ხუმრობა და ხმლებით კენწლაობა, ნაპერწკლებს ისროდა ხმლები იმ ბინდბუნდში... გატენეს მანქანები და წავიდნენ... ამ ამბის მერე გია გულუამ ისევ მიხმო — ზვიადმა წააგო, ჩვენთან გადმოდიო და შემომთავაზა — თუ გინდა, ერთმანეთში კარგად ვიყოთ, ტელევიზიით თქვი, რომ კოლხური კოშკი „მხედრიონმა“ კი არა, ზვიადის დაცვის ბიჭებმა გაძარცვესო. ვიუარე — რას მეუბნები, ამას როგორ ვიტყვი-მეთქი. ზვიადის დაცვის წევრები ალალი ბიჭები იყვნენ, დაიხოცებოდნენ და პრეზიდენტს არ უღალატებდნენ. ვერ ვიტყვი, რომ პრეზიდენტის დაცვა პროფესიონალობით დაიკვეხნიდა, მაგრამ ბოლოს მის გვერდით ერთგული ხალხი იყო. მახსოვს, 1991 წლის აგვისტოს ბოლოს ყაზბეგში ავედით, სამებაზე. მაშინ ვუთხარი ზვიადს — დაცვა გასაძლიერებელი გყავს-მეთქი. შემომხედა და თავი გააქნია — ჩემი მოკვლა არავის გეგმაში არ არისო. ასე რატომ გგონიათ-მეთქი. ოპოზიციას ჩემი მოკვლა რომ უნდოდეს, შავნაბადასა და რკონში სიარულით ხარჯს არ გასწევდნენ, ვინმეს ფულს გადაუხდიდნენ და აასრულებდნენ. ჩემს მოკვლას რა უნდა. ჩემს მოწინააღმდეგეებს საქართველოს დაქცევა უნდათ და არა ჩემი სიკვდილიო...

**— ჩეჩნეთიდან საქართველოში მობრუნება ვინ ურჩია პრეზიდენტს, რის იმედად დაბრუნდა სამშობლოში?**

— სამეგრელოში ლოთიმ დაიწყო გაძლიერება, არაერთხელ აჰყარა იარაღი იქ ვითომდა წესრიგის დასამყარებლად ჩასულ მილიციას. ახლა ვაცნობიერებ ამ ამბავს, იმდენად იოლად თმობდნენ მილიციელები იარაღს, რომ მგონია, განგებ და მიზანმიმართულად აძლიერებდნენ ლოთის, რაღაცისთვის ამზადებდნენ სიტუაციას. ამხელა ძალა ზვიადის პრეზიდენტობისას ვერ შეგროვდა თბილისში, ამდენად ეს საეჭვო იყო. პრეზიდენტი 24 სექტემბერს ჩამოვიდა გროზნოდან. ზვიადის დაბრუნებას სკეპტიკურად შევხვდი, დავიბენი კიდეც, რისთვის ჩამოვიდა-მეთქი. მერე გავიგე, რომ მისთვის შეუთვლიათ, — 12 ათასი შეიარაღებული მებრძოლი გვყავს და მზად ვართ ხელისუფლების დასაბრუნებლადო. ამდენი ხალხი კი არა, 1000 კაცი რომ წამოსულიყო თბილისისკენ, ხელისუფლებას უპრობლემოდ ჩააბარებდნენ, მაგრამ რატომღაც თბილისისკენ წამოსული მეომრები ლოთიმ სამტრედიასა და ქუთაისს შორის ოთხ დღეს გააჩერა. არ ვიცი, რატომ მოიქცა ასე, შესაძლოა ვიღაცამ მოატყუა თუ თავის ნებაზე ათამაშა, ამასობაში კი შევარდნაძეს ბალტინის ჯარი წამოეშველა და ამან ზვიად გამსახურდიას ბედი გადაწყვიტა... თანაც მარტვილში პროვოკაცია გათამაშდა — ორი გზააბნეული რუსი სამხედრო მოკლეს. გაბრაზებულმა რუსებმა ორი Су-25-ით მარტვილის ცენტრი დაანგრიეს. ამის შემდეგ ლოთიქობალიას „12 ათასი“ მებრძოლისგან აღარაფერი დარჩა — დაიფანტნენ.

**— იქნებ დააკონკრეტოთ, ვინ ურჩია ზვიად გამსახურდიას, საქართველოში ჩამოდიო?**

— ზვიადის გარემოცვის 70% რუსეთის თამაშს თამაშობდა. უზენაესი საბჭოს სესიაზე მიიღეს გადაწყვეტილება — ზვიადი ჩამოვიყვანოთო — და შეუთვალეს კიდეც, აქ ყველაფერი მზად არის, რომ ხელისუფლების დასაბრუნებლად იბრძოლოო. თუმც დღეს დეპუტატები ირწმუნებიან, ზვიადმა თავად შემოთვალა, ჩემს ჩამოსასვლელად სიტუაცია მოამზადეთო. მაგრამ ვიღაცას ხომ უნდა ეთქვა მზად ვართ, ჩამოდითო.

როდესაც ზვიადის გარდაცვალების ამბავი გავიგე, მაშინვე წავედი გროზნოში. დაცვის წევრებს პირდაპირ ვკითხე, თუკი ზვიადმა თავი მოიკლა, წერილი სად არის-მეთქი. არ დაუტოვებიაო. მაშინ ვიეჭვე — ხომ არ მოკლეს-მეთქი. შვილებმა მითხრეს — ჩვენც ვფიქრობთ, რომ მოკლულია, იქნებ კიდევ დაელაპარაკო დაცვის წევრებსო. რობიზონ მარგველანს ვუთხარი, დიდ პატივს გცემ, მაგრამ რამდენიმე კითხვაზე უნდა მიპასუხო-მეთქი. იმ ოთახის გვერდით ვიყავით, სადაც ზვიადი ესვენა. რობიზონმა გამაჩერა, დაიჩოქა და მთხოვა, — ვიცი, რომ ზვიადის ოჯახის წევრები ანგარიშს გიწევენ და გთხოვ გვერდით დამიდგე, რათა ექსპერტიზა ჩატარდეს, თორემ ბერბიჭაშვილობა ამეკიდება. გადამარჩინე, მიშველე, რომ როგორმე ეს ეჭვები გაიფანტოსო, მაგრამ ოჯახის წევრებმა მიცვალებულის შეწუხება არ ისურვეს...

ეჭვები მეც არ მასვენებდა. დაწვრილებით მოვაყოლე ყველაფერი ბესარიონ გუგუშვილსაც. არც ერთი არ ამბობს, — დავინახე, როგორ მიიდო ზვიადმა საფეთქელთან იარაღიო, მაგრამ ეჭვიც არ ეპარებოდათ — ზვიდმა თავი მოიკლაო. მერეც ბევრი ვიფიქრე ამ ამბავზე, ჩემს ხელთ არსებულ ინფორმაციას ბიჭების მონათხრობს ვადარებდი... სხვათა შორის, ზვიადი რომ ავად იყო, თბილისშიც იცოდნენ. იცოდნენ პრეზიდენტისა და მისი მხლებლების მარშრუტი, რომ გვიან შემოდგომაზე ზვიადმა ორჯერ გადალახა ყინულივით ცივი ენგური და რამდენიმე კვირის შემდეგ ავად გახდა. უშიშროებასა და შსს-ში დაწვრილებით იცოდნენ, რომელ სახლში გაათია ღამე პრეზიდენტმა და რამდენ ხანს სტუმრობდა ამა თუ იმ ოჯახს. მსტოვრები მისი მეგზურების მიმოსვლას აკონტროლებდნენ და არ იყო ძნელი იმის გაგება, სად მიჰყავდათ პრეზიდენტი.

დღეს რომ ამბობს ზოგიერთი — დაცვის წევრებს რატომ დაეძინათო, უსამართლობად მიმაჩნია. ოთხი თვე ტყე-ღრეში ნახეტიალებ ადამიანს რომ ძილი მოერიოს, გასაკვირი არ არის. დაცვის წევრები ხომ არანორმალურ პირობებში იყვნენ და როგორ უნდა მოსთხოვო მათ არაადამიანური ამტანობა. ისეთი დაბნეული და დათრგუნვილი იყვნენ, ზვიადი იქით ჰპატრონობდა მათ. პრეზიდენტს რატომ არ ჩამოართვეს იარაღიო. რა, ხელები უნდა ამოეტრიალებინათ ზვიადისთვის, იარაღი ჩაგვაბარეო? იქ, იმ პირობებში პრეზიდენტი იღებდა გადაწყვეტილებას და დანარჩენები მხოლოდ მის მითითებებს ასრულებდნენ. ზვიადის სიკვდილი რომ გარდაუვალი იყო, ეს მისმა მხლებლებმაც იცოდნენ და თავადაც. რობიზონს და ბიჭებს როგორ შეეძლოთ მისი გადარჩენა, როდესაც მთელი ერმა ზურგი აქცია პრეზიდენტს?! მისი სიკვდილი მისი მხლებლების კი არა, ყველა ქართველის ბრალია, ჩემი ჩათვლით. ზვიად გამსახურდიას სიკვდილში დანაშაული ყველაზე ნაკლებად მისი დაცვის წევრებს მიუძღვით, ერისგან ზურგშექცეული კაცს ისინი სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ მოსცილებიან და ცხედარიც კი არ დაანებეს მის მტრებს...

**— თუ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა, რატომ არ დატოვა წერილი ან თუ დაწერა, სად გაქრა იგი?**

— ზვიადს წერილი მართლაც არ დაუწერია. ან ვისთვის უნდა დაეწერა, როდესაც ადრესატი არ ჰყავდა? საქართველოს პრეზიდენტი წერილს მხოლოდ ქართველებს თუ დაუწერდა, მაგრამ ვიმსახურებდით ამას? ყველასგან ზურგშექცეულ პრეზიდენტს, ამდენი ღალატისა და მუხანათობის მომსწრეს, ექნებოდა ამის სურვილი? რატომღაც 10 წლის შემდეგ მივხვდით — რა ყოფილა ეს კაცი, ჩვენი გულისთვის თავი მოიკლაო, ახლა გვქენჯნის სინდისი.

ზვიადი რომ არ მოუკლავთ, ამაში კიდევ ერთი არგუმენტი მარწმუნებს. პრეზიდენტი ან იგორ გიორგაძის, ან შევარდნაძის ბრძანებით უნდა მოეკლათ. თუ რომელიმე მხარე ამას გააკეთებდა, ამ ფაქტის შემდეგ ისინი იმდენად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რომ უთუოდ გაუხსენებდნენ და წამოაძახებდნენ ამ ამბავს. რაკი ასეთი რამ არ მოხდა, მყარდება ვერსია, რომ ეს თვითმკვლელობა იყო. თვითმკვლელობა ცოდვად არ ითვლება, როდესაც ადამიანი შეურაცხადია, ან კიდევ ამას სინდის-ნამუსის გადასარჩენად სჩადის. ზვიადმა ამ გზით გარდაუვალი დამცირება და შეურაცხყოფა აიცილა. მან იცოდა, რომ გასაქცევი აღარსად ჰქონდა, იცოდა, რომ ფეხდაფეხ მდევარი მოსდევდა, თვითონ კი ძალაგამოცლილს საფრთხიდან თავის დაღწევის შესაძლებლობა აღარ ჰქონდა. მას ჰქონდა ინფორმაცია, როგორ უსწორდებოდნენ მის მომხრეებს, როგორ ჩააგდეს მდუღარე წყალში ერთი მისი მხარდამჭერი, ბევრს კი ისეთი შეურაცხყოფა მიაყენეს, რომ მათ ამქვეყნად ყოფნასაც აღარ ჰქონდა აზრი. ასეთი საშიშროების წინაშე იდგა ზვიადი და სხვა გზა რჩებოდა თვითმკვლელობის გარდა? თავისი საქციელით ზვიადმა გვითხრა — თქვე უნამუსოებო, ეს რა ჩაიდინეთ, გონს მოდითო. ქართველი ერი თავის დანაშაულს მხოლოდ იმით გამოისყიდის, თუ საკუთარ ცოდვას მოინანიებს და მის სახელზე ილოცებს...

**— გამსახურდიას ხომ შეეძლო ისევ ჩეჩნეთში გადასულიყო?**

— მას ნათქვამი ჰქონდა, საქართველოდან არ წავალ, მოვკვდები და უცხო ქვეყანას არ შევეხიზნებიო. ზვიადს პარტიზანული ომის დაწყება უნდოდა, მაგრამ ხალხი, რომელიც მის გარემოცვაში მანამდე მრავლად იყო, გაუჩინარდა, ერთ კაცს არ უთქვამს, გვერდში დაგიდგებიო. ის რომ ბედის ანაბარა არ მიეტოვებინათ, არც იფიქრებდა თავის მოკვლას... ბოლოდროინდელ კამპანიას რომ ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვიღაცებს სურთ, ზვიადს მისი დაცვის წევრებიც წააკლან და თავიანთი ცოდვა მათ აჰკიდონ... რომელიმე პოლიტიკურ ძალას რომ ზვიადის მკვლელობაზე ჰქონდეს ინფორმაცია, ამ კოზირს გაუშვებდა ხელიდან? ამით ხომ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს მიიმხრობდა, რაკი გულს მოჰფხანდა და საკუთარი ცოდვის სიმძიმესაც შეუმსუბუქებდა, მაგრამ ხომ ხედავთ, ვერავინ ვერაფერს ამბობს... ჩვენი პრეზიდენტი ჩვენ, ქართველებმა, მოვკალით...

*იზო რკაძე*

# „ჩვენ გვინდა ევროპული სტილის, მაგრამ ამავდროულად ეროვნული უნივერსიტეტი“...

## „ვისაც პოლიტიკური კარიერიზმი აწუხებს, მისი ადგილი აქ არ არის“

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

**— მოულოდნელი იყო თქვენთვის რექტორობის კანდიდატად დასახელება?**

— კარგა ხანია, ამაზე მელაპარაკებოდა სხვადასხვა ჯგუფი. როდესაც ვინმე უნივერსიტეტის მომავალს შენს სახელს უკავშირებს და ფიქრობს, რომ ამ მძიმე დროს სწორედ შენნაირი ადამიანი სჭირდება უნივერსიტეტს, გამოგიტყდებით, ძალზე სასიამოვნო შეგრძნებაა. თუმცა, ძალიან დიდი შიში მიპყრობს დიდი საბჭოს წინაშე წარდგომის წინ.

**— თუ თქვენ რექტორად აგირჩევენ, ვისი ადგილი აღარ იქნება უნივერსიტეტში?**

— ამ კედლებში აღარ იქნება მათი ადგილი, რომლებიც არღვევენ უმთავრესს — ზნეობის პრინციპს. არ არსებობს უღირსი საქციელი, რომელსაც ადამიანი აქ მარტო ჩაიდენს. ქრთამის აღებას ორი კაცი სჭირდება, დასმენას, მინიმუმ — სამი. ისეთი ხალხის ადგილი, რომლებიც ამას აკეთებენ ან ამის გაკეთებას აპირებენ, აღარ იქნება უნივერსიტეტში.

**— თქვენთვის მისაღებია პრინციპი, რომ უნივერსიტეტის რექტორი აუცილებლად ქართველი, მართლმადიდებელი და უნივერსიტეტელი უნდა იყოს?**

— ჩემთვის ქართულად მოლაპარაკე ქართულ სამყაროში დაბადებული და გაზრდილი ჩინელიც ქართველია. რელიგია და აღმსარებლობა კი ადამიანის სინდისის თავისუფლების საკითხია. უნივერსიტეტისთვის მთავარია, ადამიანის ზნეობა და მის სინდისში ხელის ფათურის უფლება არ გვაქვს. რაც შეეხება უნივერსიტეტელობას — რექტორს დიდი საბჭო ირჩევს, ამრიგად ის ავტომატურად უნდა იყოს უნივერსიტეტელი, უნდა იცოდეს მისი სატკივარი და აქ რომ შემოვა, არ უნდა დაიბნეს და რომელიმე სართულზე გზა არ უნდა აერიოს. შესაძლოა, ქალბატონი რუსუდანი თავისი განათლებითა და აზროვნების წესით არ იყოს უნივერსიტეტელი, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება დაიწუნო ადამიანი, რომელსაც შესაძლოა სხვა ღირსებები ჰქონდეს.

რაკი უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტის მომხრე ვერავინ ვიპოვეთ (ქალბატონი რუსუდანის გარდა), განსხვავებული აზრის გამოთქმა პარლამენტარსა და უნივერსიტეტის ყოფილ პედაგოგს, **ლევან ბერძენიშვილს** ვთხოვეთ:

— ქართულ ფასეულობებს ვერც ერთი რეფორმა ვერ შელახავს. თუნდაც იმიტომ, რომ ქართული ფასეულობა მაღალი ხარისხის განათლებაა, ამით კი დღეს ჩვენი უმაღლესი სკოლა ვერ დაიტრაბახებს. ძირითად პრობლემას ვხედავ იმაში, რომ რეფორმის ჩატარება იგეგმება ისეთ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ამ რეფორმას ძალიან ცოტა ვინმე თუ ემხრობა. ფიქრობენ, ჩვენ სარეფორმო არაფერი გვჭირს. ძალიან კარგები და მაღალკვალიფიციურები ვართო. აქამდე უნივერსიტეტი ძალიან ცუდად იმართებოდა და თავისი ე. წ. ავტონომია ძალიან ცუდად გამოიყენა — ეს ბანდიტების ავტონომია იყო. როინ მეტრეველსა და მის დამქაშებს ვერავინ, ვერც ერთმა პატიოსანმა პროფესორმა ვერ შეუშალა ხელი, რომ აქაურობა აღებმიცემობის უმაღლეს დაწესებულებად არ გადაექციათ. როინ მეტრეველი კათედრის გამგეებს და დეკანებს ნიშნავდა. ისინი კი, როგორც საბჭო, როინ მეტრეველს რექტორად ირჩევდნენ.

დღეს ზოგიერთები კითხულობენ — მზად ვართ თუ არა განათლების რეფორმისთვისო. მზად კი არ ვართ, უკვე გადავმწიფდით. დღეს უნივერსიტეტში გასამიჯნია მენეჯმენტი და სამეცნიერო მართვა. კარგი მეცნიერი არ არის აუცილებელი, რომ კარგი მენეჯერი იყოს. ხომ ცნობილია, რომ გალაკტიონმა მწერალთა კავშირის სექციის მდივნადაც ვერ ივარგა. გენიოსები, როგორც წესი, კარგი მენეჯერები არ არიან... ჩვენი სახელოვანი აკადემიკოსები რომ კარგი ორგანიზატორები ყოფილიყვნენ, დღეს უნივერსიტეტში ასეთი სამარცხვინო კონკურსი არ იქნებოდა. ხომ ცხადია, რომ არც ერთი კანდიდატი თავისი დონით არ შეესატყვისება უნივერსიტეტის ისტორიას და არც ერთი მათგანი არ იწვევს აღფრთოვანებას? გგონიათ, ახლა, ამწუთას არ გვყავს მსოფლიო დონის მეცნიერები? მაგრამ ისინი საუკეთესო მენეჯერები არ არიან და ამიტომ წამოიწია წინ ისეთმა ხალხმა, რომელთაც მართვაში შეიძლება გამოიჩინონ თავი. თორემ ენათმეცნიერებაშიც გვყავს ქურდიანზე უკეთესი მეცნიერები და ხელოვნებათმცოდნეობაშიც არაერთია ქალბატონ რუსუდან ლორთქიფანიძეზე უკეთესი.

**— უნივერსიტეტში ბანაკების წარმოქმნა და სტუდენტების დაპირისპირება უკვე საშიშ ზღვარს აღწევს, რა არის მათი დაპირისპირების რეალური მიზეზი?**

— სტუდენტების უმეტესობას ეს კანონპროექტი თვალითაც არ უნახავს, არც აინტერესებს. ამიტომ გაუგებარია და არასერიოზულია, რომ კანონპროექტის საბაბით იმართება ლამის შიმშილობის აქციები. ზოგიერთი ძალიან გააღიზიანა იმან, რომ მისაღები გამოცდები უნივერსიტეტის კედლებიდან გადის და ხელის მოთბობის საშუალებას კარგავს. ბუნებრივია, ასეთი ადამიანები არც რეფორმას მოიწონებენ და არც მის ავტორს. მიხეილ ქურდიანი ცუდ საქმეში არასოდეს ყოფილა შემჩნეული, მაგრამ ის რეფორმის მოწინააღმდეგეა, სხვა პოლიტიკური სიმპათიების, ნაციონალისტური ხაზისა და ნაკლებდემოკრატიული ხაზის დამცველია. მისი განათლება და პატიოსნება ჩემში ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ის არ არის რეფორმატორი. სტუდენტებმა იპოვეს ადამიანი, რომელსაც ჩირქს ვერავინ მოსცხებს, მაგრამ ქურდიანი თავისი პატიოსნებით ხელს ვერ შეუწყობს უნივერსიტეტში სიტუაციის გაჯანსაღებას.

არც ერთი კანდიდატის გულშემატკივარი არ ვარ. ყველაზე სიმპათიურად ფიზიკოსი კანდიდატი გამოიყურება, მაგრამ მას არანაირი შანსი არ აქვს. ქალბატონი რუსუდანი არ ვიცი, რამდენად შეძლებს კორუფციასთან შებრძოლებას, რადგან ყველა კათედრა და დეკანატი უნივერსიტეტში ძალიან საეჭვო ხალხის ხელშია. ამიტომ ყველა უნდა გამოიცვალოს... ამის გაკეთება, ვფიქრობ, ქალბატონ რუსუდანს გაუჭირდება, თუმცა ის რეფორმას არ შეეწინააღმდეგება. როდესაც არჩევანი დიდი არ არის, უნივერსიტეტისთვის ჯობს ის კანდიდატი, ვინც რეფორმებს არ შეეწინააღმდეგება...

*მარი ზანდუკელი*

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. სასადილოში წამიყვანეთ!



მიტო სიდედრს ესტუმრა. მთელი დღე ისე გავიდა, რომ პური არ აჭამეს.

— რაღაც კარგად ვერა ვარ! — დაიწუწუნა მიტომ.

— ნუ გეშინია, სიძევ, ახლავე საავადმყოფოში წაგიყვანთ, აქვეა, ახლოი!

— არა, საავადმყოფოში კი არა, თუ ძალიან შევწუხდი, სასადილოში წამიყვანეთ... — ძლივს ამოღერღა შიმშილით მისუსტებულმა მიტომ.

***ანიკო, თბილისი***

## 4. ხხარტი პასუხი




თავის დროზე საგარეჯოს რაიონის სახალხო ანსამბლი „გარეჯი“ საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. საზღვარგარეთაც ხშირად იწვევდნენ გასტროლებზე. სწორედ ინგლისში მორიგ სასტროლო მოგზაურობაში ყოფნისას შეემთხვა ეს კურიოზი ანსამბლის ხელმძღვანელს, ბატონ მალხაზ ივანელაშვილს.

ერთი დღეც არის და სასტუმროდან გამოსულ მალხაზს, კონცერტის დროს გაცნობილი ინგლისელი ქალბატონი შეეჩეხა. ქალმა ხელი ჩამოართვა ანსამბლის ხელმძღვანელს და ინგლისურად მიესალმა — „ჰაუ დუ იუ დუ“-ო. ბატონმა მალხაზმა ინგლისური არ იცოდა, მაგრამ არ დაიბნა და სხარტად უპასუხა: „სე ვაი დუ!..“

სიცილი მაშინ უნდა გენახათ.

***გ. ბუზარიაშვილი, საგარეჯო***

## 2. თინა „დამხჯელი“



ეს კურიოზი ვანის რაიონის ერთ მაღალმთიან სოფელში მცხოვრებ ქალბატონ თინას შეემთხვა. სამი შვილის დედა იყო. ორი ქალიშვილი უკვე მუშაობდა. ერთი მასწავლებელი იყო, მეორე — ბიბლიოთეკარი. თინა კი ბაზარში ვაჭრობით ეხმარებოდა ოჯახს.

უგზოობის გამო და მით უმეტეს, თოვლში ავტობუსი თინას სახლამდე ვერ მიდიოდა. ამ ამბავს უშუქობაც თან ერთვოდა და იმის შიშით, ავტობუსმა არ გამასწროსო, თინა უთენია დაადგა თოვლით დაფარულ დაღმართს მხარზე გადებული ტვირთით. ხან ერთი ფეხი გადაუბრუნდებოდა, ხან მეორე ფეხით წაბორძიკდებოდა... კი იცოდა, რომ ოღროჩოღრო გზით მიდიოდა, მაგრამ სხვა დროს ასე არ გაწვალებულა.

როგორც იქნა, ჩავიდა ავტობუსი ქალაქში. ახლა მეზობლებს არ უნდა ჩამორჩეს თინა და აჩქარებული ნაბიჯით ფეხდაფეხ მისდევს ტვირთით. უჭირს სიარული, ერთ-ორჯერ ისე წაიბორძიკა, კისერი კინაღამ წაიმტვრია... ეს ასფალტი მაინც რამ მოსპო ასეო, ფიქრობს თინა და თან მხარზე დადებულ ტვირთს მიარბენინებს, ასე კისრისტეხით მიაღწია ბაზარს...

თინა ყველს და ჩირს ყიდის... ერთ ადგილზე დგომით ფეხები გაეყინა და გადაწყვიტა, ცოტა ხნით დავჯდები და ფეხს დავასვენებო. ასეც მოიქცა. მოულოდნელად ფეხებზე დაიხედა და... ელდა ეცა. ცალზე ერთი ქალიშვილის ჩექმა აცვია, მეორეზე — მეორესი. თანაც, ერთ ჩექმას საშუალო ზომის ქუსლი აქვს, მეორეს — მაღალი(!). ფერითაც განსხვავებულია!

შერცხვა თინას, რას იტყვის ხალხიო, მაგრამ სირცხვილი ვიღას ახსოვდა, როცა წარმოიდგინა, როგორ დახვდებოდა ორი გაკაპასებული ქალიშვილი, რომელთაც იძულებითი „შინ ჯდომა“ მიესაჯათ.

***ელენე თავაძე, ვანი***

## 3. წყალგაუვალი არგუმენტი



ერთ ჩემს მეგობარს, ავთოს, ახლო ნათესავი ჰყავს — ზვიადი, ღვინის მოყვარული, უფრო სწორად, ღვინოზე შეყვარებული კაცი. ერთხელაც დილაადრიან, საქმეზე მიმავალმა შეამჩნია ღობესთან ვიღაც მთვრალი კაცი ადგილზე „ბუქსაობდა“ — ვერც იქით მიდიოდა და ვერც აქეთ. მივიდა და... ზვიადი შერჩა ხელში! ხელი მოჰკიდა და ჭკუის დარიგება დაუწყო: — ბიჭო, ერთი თვის წინ კუჭის ოპერაცია გაიკეთე და კიდევ არ მოეშვი დალევასო?!

ზვიადი ერთბაშად გამოფხიზლდა, ავთოს ხელი გადახვია და „აუხსნა“:

— კუჭის ოპერაცია იმისთვის გავიკეთე, ჩემო ავთო, ღვინო რომ დამელიაო!..

***ვიტალი თვალაბეიშვილი, თბილისი***

# ხუმრობს ვანელი ბუჭუ ხურციძე

***



**5.** ბუჭუს მორიგ ცოლად (სულ ხუთჯერ იქორწინა) ჩვენი სოფლის ერთი შინაბერა ნუცა მოსწონდა, მაგრამ ქალს მისი სახელის გაგონებაც არ სურდა. ბუჭუ მოსვენებას არ აძლევდა, ყოველთვის ერთი და იმავე სიმღერით — „მაინც ჩემი გოგონა ხარ“ — აუვლ-ჩაუვლიდა ჭიშკართან. ერთხელ ნუცა ზომაზე მეტად გაცეცხლდა, ჭიშკარზე გადმოუხტა და სულ დაგვალული ეძახა. ბუჭუმ ჯერ აცალა და ქალი რომ ცოტათი დამშვიდდა, მთელი სერიოზულობით უთხრა:

— კი, ნამდვილად დაგვალულ სიმინდს ვგავარ, მაგრამ შენ, ჩემო ნუცა, ტარო უნდა ნახო, ტარო!..

***



**6.** იმ ზამთარს ძლიერი ყინვები დაიჭირა. ერთ დღეს ბუჭუ ისე წაიქცა, ლოგინში ჩასაწვენი გახდა. მეწყინა, მოსაკითხი რაღაც-რაღაცებით ავადმყოფთან მივედი. გაუხარდა. წამოსვლისას კი მაინც თავისებურად ჩაიქირქილა:

— მადლობის მეტი რა მეთქმის, ჩემო დაია, კაცი არ ვიყო, თუ სამაგიერო არ გადაგიხადო, ჩემსავით რო კისერს მოიტეხ...

***



**7.** ერთხელ ბუჭუ მდინარეში ბანაობდა, უცებ ბუჩქებიდან 10-12 წლის ტიტლიკანა ბიჭი გამოხტა:

— ბარო, ბუჭუ ტრიკიანო!.. ბუჭუ ტრიკიანო! ბუჭუ ტრიკიანო!..

ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბიჭი არა და არ მოეშვა.

ბუჭუმ გაბრაზება იცოდა, მტრისას... გამოედევნა ბიჭს, მაგრამ რას დაეწეოდა.

— ჩემი ტრიკიანობა მარტო დედაშენმა იცოდა... მაგი შევეხვეწე, მაგას — არ გამამხილო-თქვა! შევარცხვინე მაგის ქალობა! — მიაძახა ბუჭუმ და უკან შემობრუნდა.

***ნათელა ცხადაძე, ვანი***






**8.** სვანი გასინჯა ექიმმა და ეუბნება:

— თუ ფული გაქვს, ოპერაციის გაკეთება აუცილებელია!

— ვაშაა! — უხარია სვანს, — ფული არა მაქვს, ე. ი. ოპერაცია არ არის აუცილებელი! გადავრჩი!..

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***



**9.** პატარა ჭიჭიკია მამას ეკითხება:

— მამა რა განსხვავებაა თოფსა და ტყვიამფრქვევს შორის?

— რა და, მე და შენ რო ლაპარაკი შევწყვიტოთ და დედაჩემმა და დედაშენმა დაიწყონ!..

***ნელი კობაიძე, თბილისი***

# ყურადღება!
## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 17 ნოემბრის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 18 ნოემბრის 13 საათამდე.*

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________

________________________

თქვენი სახელი, გვარი

**კვირის პალიტრა №46**

## მილოცვა



**სანდრო გოგიშვილს!**

ჩვენო პატარავ, სიხარულო, სიცოცხლევ, გილოცავთ დაბადების დღეს! გაიზარდე სასახელო ვაჟკაცი, გაუმრავლდი მშობლებს. ღმერთმა დაგლოცოს.

*დეიდები, ბებიები, პაპა ნოდარი*



**მარიკა კაჭარავას!**

ჩვენო პატარა ანგელოზო! გილოცავთ დაბადების დღეს – 18 ნოემბერს 2 წლის გახდები.

გაიზარდე სასახელო და საამაყო. ჯანმრთელობასა და ბედნიერ მომავალს გისურვებთ, „ბასტი".

*ნატო თოფურია*



**საბა წიქარიშვილს!**

ჩემო საყვარელო საბუკა, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერ ბავშვობას, ულრუბლო ზეცას, ლამაზ მომავალს, გიორგობის თვეში დაბადებულს. წმინდა გიორგი ყოფილიყოს შენი ცხოვრების მფარველი ანგელოზი.

*შენი საყვარელი ძმა ბექა*

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

მსხვილ კომპანიას ესაჭიროება პირები უმაღლესი განათლებით. საოფისე სამსახური. შესაძლებელია შეთავსება. ასაკი – 30-50 წელი. ტელ: 64-87-48; 899 93-08-66 (10-14, 18-22 სთ)

ოფისს ესაჭიროება პასუხისმგებელი თანამშრომელი. მოთხოვნები: უმაღლესი ჰუმანიტარული განათლება, საერთო მუშაობის სტაჟი, არანაკლებ 5 წლისა, ასაკი 45 წლამდე. ტ. 64-63-40; 893 99-90-89 (16-22 სთ)

გვაქვს 5 ვაკანსია. ოფისში სამუშაოდ ვიწვევთ 18-50 წლის განათლებულ, ენერგიულ და რუსულის მცოდნე ახალგაზრდებს. სამუშაო – კონტრაქტით, გამომუშავება – ყოველდღიურად, თვეში 200-300 ლარი. მიმდინარეობს შერჩევა. მის. მ. „რუსთაველი", ჭოველიძის ქ. IV სართ. ოთახი 415. ელისო. ტელ: 93-38-46; 899 51-78-76 (საღამოს)

მუდმივ სამუშაო ადგილებზე მსხვილ ჰოლდინგურ კორპორაციას ესაჭიროება თანამშრომლები მაღალი ანაზღაურებით. შერჩევა კონკურსით. აუცილებელი მოთხოვნები: უმაღლესი განათლება, ასაკი 30-50 წელი. ტელ: 95-79-32

Требуется сотрудник с высшим образованием в офисе для административно-кадровой работы. Оплата высокая. Желательно со знанием русского языка. Тел: 77-29-94; 38-89-39

კორპორაციას ქართული სექტორის გახსნასთან დაკავშირებით, საოფისე სამსახურში ესაჭიროება უმაღლესი განათლების მქონე პირები. ტელ: 95-91-73; 899 92-21-00 (17 სთ-ის შემდეგ). თამრიკო

რეალური საოფისე სამუშაო! საზღვარგარეთული კომპანია გთავაზობთ, 22-57 ასაკის უმაღლესი და ტექნიკური განათლების მქონე ადამიანებს, გასაუბრების საფუძველზე მიიღოთ მონაწილეობა შერჩევაში (დარჩენილია 7 ვაკანსია). უპირატესად – პედაგოგები, ექიმები და ეკონომისტები. ტელ: 64-20-32. ნინო

სამუშაო მრავალდარგოვან უნიკალურ კომპანიაში უფასო სწავლებითა და შემდგომი დასაქმებით. გიწვევთ უ/გ მქონე პირებს. კადრების შერჩევა – გასაუბრებით. ტელ: 35-08-71; 899 28-38-09

## მომსახურება

ნებისმიერი სირთულის ტექსტის (დისერტაციები, ნაშრომები და ა.შ.) აკრეფა, ამობეჭდვა, სტილი, კორექტურა, სწრაფად, ხარისხიანად! ტელ: 34-32-79; 899 91-86-81

კვალიფიციური ადვოკატები – შორენა ჭავჭანიძე და დალი ახვლედიანი მოგემსახურებიან სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის, სამეწარმეო, სარეგისტრაციო დოკუმენტების მომზადებასა და სხვადასხვა სახის დავებზე, როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე. ასევე ადვოკატურა იწვევს იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე-მეხუთე კურსის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს საადვოკატო საქმიანობის შემსწავლელ კურსებზე. ტელ: 95-89-57; 96-64-77; 877 75-79-13

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით, ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე, მორჩენის სრული გარანტიით (1 სთ – 6 ლარი). ყველანაირი კოსმეტიკური მომსახურება. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე, მ. „300 არაგველი", „არამიანცის" საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტლის ქ. №15. მიღება წინასწარ ჩაწერით. ტელ: 77-86-27

## მკურნალობა

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 56-37-37; 899 54-64-81

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული, უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, რევმატიული პოლიართრიტი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან!!! გასინჯვა-კონსულტაციები უფასოა. მიღება რკინიგზის პოლიკლინიკაში. ექ. ალექსიშვილი. ტელ: 39-39-97; 61-02-97; 899 57-16-99

ფარულად მიმდინარე ქლამიდიოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა; ფარული ბლასტოზის გამოკვლევა; პარადონტოზის, ართრიტების, სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობა; ორგანიზმის წმენდა წიდებისა და მარილებისაგან, უძველესი აღმოსავლური მედიცინის გამოცდილების საფუძველზე მიღებული ბუნებრივი სამკურნალო საშუალებებით. ტელ: 22-11-47. მედ. მეცნ. კანდიდატი თამარი

წამალი „მთაწმინდა" კურნავს თმის დაავადებებს: ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა); ტილები, წილები ისპობა 10 წუთში. ვმკურნალობ ფრჩხილის სოკოს გარანტიით. გვაქვს თმის მცენარეული საპნები, ნატურალური კოსმეტიკური მალამოები; ვაკეთებ მასაჟს (ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი). მის: ჭავჭავაძის პრ. 2/2 (ჩაის სახლთან), სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 893 918-917. წამალი „მთაწმინდა" შეგიძლიათ შეიძინოთ ქალაქის აფთიაქებშიც.

სიახლე ალკოჰოლიზმის მკურნალობაში! კრემლის ყოფილი ლაბორატორიის მცენარეული, სერტიფიცირებული პრეპარატებით. ალკოჰოლიზმის, ნარკოტიკებით დაბინძურების, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, ქრონიკული გადაღლილობის სინდრომის, ჰალუცინაციის მკურნალობა, ჰეპატიტები (C ჰეპატიტის). მკურნალობა შესაძლოა პაციენტისგან ფარულადაც. ტელ: 899 22-63-90. ნინო

ანტიალკოჰოლი და მისგან გამოწვეული გართულებები – ნაბახუსევის სინდრომის მოხსნა, ჰალუცინაციები, ჰეპატიტები, შიშები, დეპრესია, უძილობა, კოლიტი, შებერილობა, ბუასილი. ალკოჰოლიზმის მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულად. პრეპარატები მცენარეულია, უსაფრთხო და მაღალეფექტური, გაჯერებულია ვიტამინებით. ტელ: 99-75-90 (სამს.); 53-08-02; 893 62-05-24. თამრიკო

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულადაც) და ანტითამბაქო; ნევროზი: შიშები, უძილობა, აკვიატება; ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, ალერგია, თვალის დაავადებები – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნია. დამზადებულია მოსკოვში, აკად. ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

ალკოჰოლიზმისაგან განკურნება კრემლის ლაბორატორიის მცენარეული, ლიცენზირებული, მაღალხარისხოვანი პრეპარატებით (შესაძლებელია პაციენტისგან ფარულად). ვმკურნალობ: ნევროზებსაც, აგრესიულობას, ენურეზს (შარდის შეუკავებლობას), ფსორიაზს, ასთმას, ბრონქიტებს. მკურნალობა შედეგიანია კიბოს დასაწყის სტადიებში. შესაძლებელია ბავშვების სიმაღლეში გაზრდაც. ტელ: 893 35-45-35 (ნებისმიერ დროს); 99-75-90 (11-16 სთ, კვირის გარდა). მაკა

ძვირფასო მშობლებო, შვილებო, მეუღლეებო! თუ ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და ნიკოტინი იქცა თქვენი ოჯახისა და მომავლის დამანგრეველ მიზეზად, თუ ვეღარ უმკლავდებით ამ მავნე ჩვევებისაგან გამოწვეულ პრობლემებს, დაგვიკავშირდით და დარწმუნდებით, რომ უკურნებელი არაფერია. მკურნალობა მიმდინარეობს მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით, დაავადების სრული განკურნებით. მკურნალობის შედეგი გარანტირებულია. მკურნალი ექიმი ქ-ნი ნინო გურგენიძე. ტელ: 98-86-19; 893 12-71-43

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება. ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლოესი მეთოდით, $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის. ბახტრიონის ქ. 18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 36-14-18; 877 41-50-30

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი-კომპიუტერი" გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

შეგასწავლით საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად. ტელ: 34-32-79; 899 91-86-81

სიახლე! ერუდირებული და მონდომებული მოზარდებისათვის კომპიუტერის და ინგლისურის შესწავლა სპეციალური პროგრამით – „დამწყებიდან პროფესიონალამდე". ჩაწერა ყოველდღე, 12.00-15.00 სთ. I კურსი – საოფისე საქმიანობა + კომპიუტერული გრაფიკა; II კურსი – Web-დიზაინი, ანიმაცია; III კურსი – პროგრამირება პრაქტიკული გამოყენებით. მის: ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკი) ქ. №12. ამოსასვლელი – კოსტავას №14-დან, მ. „რუსთაველსა" და ფილარმონიას შორის. ტელ: 98-80-23

შპს „ქართი" აცხადებს მიღებას კურსებზე: 1. კოსმეტოლოგ-ვიზაჟისტი; 2. მასაჟისტი; 3. საპარიკმახერო (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: დ. აღმაშენებლის 115 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომობილით. მის. ლ. ასათიანის ქ. №28; მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

## იყიდება

იყიდება დიღმის მასივში, ხალხმრავალ, კარგ ადგილას, ცალკე მდგომი, კაპიტალურად ნაგები შენობა მოქმედი სასადილოთი (ფურნე, თონე), 300 კვმ ფართის მოშენების და დაშენების კარგი პერსპექტივით. ტელ: 52-68-51 (საღამოს); 899 55-67-67

ახალი კორეული ციფრული სატელიტური ანტენა. აჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 40-დან 600-მდე ევროპული; 1-დან 4-მდე ქართული; 5-დან 18-მდე რუსული. ფასი $130-დან $$230-მდე. მხოლოდ 25 რუსული არხი. კომპლექტის ფასი – $200, მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

იყიდება ა) დიაბეტური შაქარი (სორბიტი); ბ) სორბინის მჟავა. ტ. 877 45-22-52 ვახტანგი

გვაქვს ხეხილის ყველა ჯიშის ნამყენი ნერგი: უწამლი ვაზები, ნამყენი ვარდები, კვიპაროსები, კედარი, ფიჭვი, ტუია, ლუგუგსტრუმი და სხვა მცენარეები. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. მის: სანერგე მეურნეობა, თბილისის ზღვასთან. ტელ: 899 16-93-15; 69-97-05. ამირანი, გივი

96 ატეესის ტელეფონი, პლეხანოვზე. ტელ: 32-82-69

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 899 27-38-99; 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

გთავაზობთ 1. Φ3,5 მმ დიამეტრის მოთუთიებულ და 4 მმ დიამეტრის ჩვეულებრივი მავთულით დამზადებულ ნაპირსამაგრ სხვადასხვა ზომის „გაბიონის" ბადეებს; 2. Φ3 მმ-იანი მოთუთიებული მავთულით დამზადებულ შემოსაღობ მავთულბადეს; 3. Φ3,5 მმ-იან მოთუთიებულ მავთულს. ტელ: 899 14-28-16

## სხვადასხვა

ძვირფასო მეგობრებო! თუ გაქვთ სურვილი, გქონდეთ საკუთარი ბიზნესი და სტაბილური შემოსავალი, „გაცნობის და დაოჯახების ცენტრი" და გაზეთ „პაემნის" რედაქცია გიწვევთ სათანამშრომლოდ ფილიალების გასახსნელად, როგორც თბილისში, ასევე რაიონებში. საქმის დასაწყებად საჭიროა $350. მის: თბილისი, კოსტავას ქ. 14, II სარ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. №2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59. დათო






## ზვიად ჭანიშვილის მონატრება



ჩემო ერთადერთო შვილო! რა მალე გავიდა შენი გარდაცვალებიდან თვალზე ცრემლშეუშრობელი ერთი წელი. გაუსაძლისია უშენობით გამოწვეული სიცარიელე. უსაზღვროა, რასაც უშენობა ქვია. ენატრები ყველას, ნათესავებს, მეგობრებს. ბევრი ოცნება დაგრჩა განუხორციელებელი, მაგრამ რა ვქნათ, ღმერთმა ასე ინება.

ახლა მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, ღმერთს ვევედროთ, ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი გულმოკლული დედა თინა მელიმონაძე*

## გელა ყორჩიშვილის გახსენება



ეს პირველი დაბადების დღეა უშენოდ... 20 ნოემბერი ამიერიდან ჩვენთვის კიდევ ერთი ტკივილით და შენი მონატრებით სავსე დღე იქნება. 26-ში ჩვენი პატარა შვილის პირველი დაბადების დღე უნდა აღგვენიშნა, ის ხომ 2 წლის ხდება... ძალიან გაგვიჭირდა უშენობა, უზომოდ გვენატრები ყველას. დედამ მიამბო, რომ სიზმრად გხედავს და ისე ეალერსები შენს პატარა შვილს.

მარად შენთვის ვილოცებთ, ჩვენო გელა. ღმერთმა დაგიმკვიდროს იმ ქვეყნად მარადიული სასუფეველი.

*შენი მეუღლე ნათია და პატარა შვილი დეა*

## დომენტი აბრამიშვილის ხსოვნას!



15 ნოემბერი შენი გარდაცვალების დღეა. სამი ცრემლიანი წელი გვაშორებს ერთმანეთს. დრომ ვერ მოგვიშუშა იარები. სულიდან გამოქონილი წამლეკავი ტკივილი დაუამებელი რჩება. გვენატრები შვილებზე უზომოდ შეყვარებული მამა, ოჯახის დიდი იმედი, მზრუნველი მეუღლე. შენ ხომ ამქვეყნიური ცხოვრება კაცურკაცობით განვლე. შენი დიდი ცოდნა და გამოცდილება შენს საყვარელ საქმეს, ახალგაზრდობის აღზრდას შეალიე, ასპირანტურის წლები, სიგელები, დიპლომები და სამკერდე ნიშნები კი შენი დაუღალავი შრომის ნაყოფი იყო.

ჩემო დომენტი, მწუხარება, რომელიც შენმა გარდაცვალებამ გვარგუნა, მარადიული ტკივილია სულისა, მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე; ხოლო ტვირთი, რომელიც მე დამიტოვე სატარებლად მარტოს – ძლიერ მძიმე.

გულსატკენია ჩვენთვის, რომ შენ საფლავში გახდი მამათილი, სიმამრი და პაპა. პირველი სიტყვა „პაპა" წარმოთქვა შენმა შვილიშვილმა, რომელიც მალე ფეხზე გაივლის, თავისი პატარა ხელებით მოგიტანს ყვავილებს საფლავზე, აგინთებს სანთელს.

ცხოვრება თავისი გზით მიდის, შენი ოჯახი მრავლდება. უფალი იყოს მუდამ მათი მფარველი. შვილიშვილები იამაყებენ პაპით, რომლის განვლილი ცხოვრების გზა ყოველთვის სამაგალითო იქნება. ძალზე ძნელია შენზე წარსულში ლაპარაკი. ჩემი ცხოვრება შენს არსებას, შენს მოგონებებს ჩაეხლართა. ყოველი წუთი შენითაა გაჯერებული. სასაფლაოდან მოსული მაინც შენს გზას გავცქერი. უშენოდ ცხოვრება სასჯელია ჩემთვის.

შენს ამ ქვეყნიდან წასვლას რა დავარქვათ, მამა, გარდაცვალება თუ სიკვდილი? ალბათ გარდაცვალება. სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ, არასოდეს მოკვდები. ცხოვრების გზა შენ გაგვიკვალე, მამა, შრომის ფერხულში ჩაგვაბი. ყოველთვის იმ სიკეთისა და სიმართლის გზით ვივლით, რომელიც შენ დაგვანახვე სიცოცხლეში.

ყველანი ერთად მოვალთ შენს საფლავთან. ჩვენი სიყვარულის უკვდავსაყოფად ყოველთვის მოგიტანთ ცრემლით დანამულ ლამაზ ყვავილებს, აგინთებთ წმინდა სანთლებს, სევდანარევი ჩურჩულით გიამბობთ ტკივილიანი მონატრების შესახებ, ვილოცებთ შენი სულისთვის.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო. მსუბუქი იყოს შენთვის შენი მშობლიური რუისპირის მიწა.

*მეუღლე მერი, შენი ოჯახი.*

## დიმიტრი (დიმო) ნაცვლიშვილის გახსენება



გავიდა გაუსაძლისი ორი წელი უშენოდ.

ძალიან უჭირთ შენ გარეშე ცხოვრება შენს ოჯახს, მშობლებს, ძმას და ახლობლებს. შენ ყოველთვის ჩვენთან ცოცხლად მოიხსენები.

ნათელში ამყოფოს შენი სული ღმერთმა.

*მშობლები, ძმა, დეიდა, დეიდაშვილები – ლევან და ლელა ამაშუკელები*

## მიშა (დემური) ფოფხაძის ხსოვნას!



ჩვენო დემურ! ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. როგორი ძნელია ჩვენთვის შენი წარსულში გახსენება – ისე მოულოდნელად, ჩუმად წახვედი. სიცოცხლით და იმედებით სავსეს უკურნებელმა სენმა მოგისწრაფა სიცოცხლე. ძნელია უშენობა, დავრჩით ყველანი უნუგეშოდ – შენი ცხოვრება კაცურად განვლე, კაცის სახელი დატოვე, კარგო, იმ პატრიოტი კაცისა, რომლისთვისაც არ არსებობდა შური, ბოროტება, გაუტანლობა. იმ კაცისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ალალად და დაუყვედრებლად მიუძღვნა სხვების სამსახურს.

შუბლნათელი მშვიდად იწექი. ჩვენმა ცრემლებმა ვერ შეგაკრთო, ვერ დაგიფრთხო ძილი. შენ ისევ გძინავს უსასრულოდ. გძინავს და სიზმარში ჩვენთან ხარ – ხან მოღიმარი, ხანაც ჩაფიქრებული. ჩემს წარმოსახვაში გესაუბრები, გიყვები ახალ ამბებს, ვიზიარებ შენს შეხედულებებს და რჩევადარიგებებს.

და მაინც მჯერა, რომ სიკვდილს არ გაუმარჯვია ჩვენზე, რომ გულითა და სიყვარულით მაინც ერთად ვართ და ერთად ვიქნებით, სანამ რწმენა და სიყვარული იქნება.

*ასე მგონია, დრო გავა და შენ დაბრუნდები*
*ოღონდ, ისევ ახალგაზრდა, სახეშცინარი*
*გავუფრთხილდებით ძველებურად მაშინ ერთმანეთს,*
*გაშლილ სუფრასთან, სიმღერებში გავათევთ ღამეს*
*და ვერაფერი ჩვენ ერთმანეთს ვერ დაგვაშორებს,*
*და სამუდამოდ სიკვდილსაც დავუხშობთ კარებს!*

დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გზა გაგინათოს მარადიული სასუფევლისკენ, ჩვენო უსაყვარლესო დემურ!

*ელენე თავდიშვილი*

## რეზო ბიჩელაშვილს!



მშვიდობით...

გუშინ საბოლოოდ გაგაცილეთ მარადიულ სამყოფელში და უკვე იგრძნობა სიცარიელე ჩვენს ოჯახში. მოურჩენელი ტკივილი დაგვიტოვე ყველას, ვისაც მუდამ სითბოსა და სიყვარულს უნაწილებდი. ის სითბო შენს ხსოვნას უკვდავყოფს ჩვენს სულებში. არასოდეს დაგივიწყებთ და მუდამ შენგან გაკვალული გზით ვივლით, რომ უფლის რჩეულად დარჩე სამარადჟამოდ.

*მეუღლე ნათელა; შვილები: შორენა, ანრი, პაატა ბიჩელაშვილები*

## ირაკლი ჩიტორელიძის მონატრება



ჩვენო საყვარელო, ულამაზესო და უსაყვარლესო ვაჟკაცო ირაკლი, მიილია უშენობით დაცარიელებული, სიხარულწართმეული სამი წელი. ამ ხნის მანძილზე შენი ოჯახისთვის ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცა. 2000 წლის 21 ნოემბერს უზომოდ ბედნიერი იყავი, 2001 წლის 21 ნოემბერს კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულე, გაიმეტე საკუთარი თავი, ხოლო ქალი, რომელიც უზომოდ გიყვარდა, დატოვე. დატოვე და დაუტოვე უკანასკნელი წერილი, რომელიც უგულომ შენს მშობლებს არ ანახვა. თვითმკვლელობის წინ არც მშობლები დაგვიწყებია. ჩვენც დაგვიტოვე წერილი, რომელშიც გვიბოდიშებდი, თან გვწერდი: „რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია, მე მიყვარს, მას – არა". ასეთი წერილით, ასეთი სიტყვებით დაგვემშვიდობე და საყვარელი თოფით გაეშურე იმიერში.

ყველას გულში სამუდამოდ დატოვე უზომო სიყვარული. შენს სახელს დავიწყება არ უწერია, ოჯახში ყოველი დილა შენით იწყება.

უფალს ვევედრებით, ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული და ბუმბულივით რბილი ყოფილიყოს საყვარელი სოფ. გორას მიწა.

*მშობლები, ძმა*

## გუგუშა ვეკუას გახსენება



21 ნოემბერს 75 წელი შეგისრულდებოდა, მამა, შენ კი 2003 წლის 28 იანვარს წახვედი ჩვენგან – გულიანი, ძარღვიანი, მარილიანი, შნოსა და ელფერის, ლაზათის მიმცემი – აი, როგორი დააკლდი შენს სისხლსა და ხორცს, შენ ირგვლივ მყოფებს.

გვიყვარხარ და გვენატრები. გვჯერა, იქაც თამამად წარუძღვები შენსავე სუფრას, გვერდს კი რვა თვის წინ წასული და დაგიმშვენებს.

*შვილები: გული, ნუგზარი, ჯემალი, რაული ოჯახებით*

## ჯუბერ სხირტლაძის მოგონება



უნუგეშო, ტკივილიანი 1 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში დაიმკვიდრა ადგილი. უზომო მწუხარება დაგვიტოვე. არა აქვს ცრემლს დასასრული. შენს ცოლ-შვილს და შვილიშვილებს დღითი დღე ემატებათ უშენობით გამოწვეული მწუხარება, ტკივილი მოურჩენელი.

ყველგან შენ მელანდები, შენ მაგონდები, მენატრები, მენაღვლები, მედარდები. მომზადებული ვარ შენთან შესახვედრად. ასე რატომ დაადარდიანე ყველა – შვილები, შვილიშვილები?! პატარა ელენიკო იჩემებს ბაბუას.

ჩვენი ერთადერთი ნუგეში სურათიდან მომზირალი სევდიანი თვალებია. ცრემლი, ლოცვა და წმინდა სანთელი არ მოაკლდება შენს საფლავს, სანამ ცოცხალი ვარ.

20 ნოემბერს შუაღამისას უფალს მიაბარე სული მზენათელი. უფალი გფარავდეს.

გმადლობ, რომ ასეთი კარგი იყავი.

*მეუღლე მაგული ქარსელაძე; შვილები: ნინო, ნონა, ნათია, სალომე სხირტლაძეები*

## შოთიკო ბეროძეს!



ერთი ტკივილიანი წელია, რაც ჩვენ შორის აღარ ხარ, შვილო.

16 ნოემბერი საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის. წამიერმა ტრაგიკულმა შემთხვევამ შეწყვიტა შენი ლამაზი სიცოცხლე, შვილო.

ეს რა ბედი გვარგუნა ღმერთმა, შვილო! ჯერ მამაშენის დაღუპვით გამოწვეული ელდისაგან არ ვიყავი გონზე მოსული, რომ შენი თავი გამომაცალა ღმერთმა ხელიდან.

რა ვქნა, დედიკო, უთქვენოდ? რაც დრო გადის, ვრწმუნდები, შვილო, რომ ჩემთვის სიცოცხლე სასჯელია.

ჩემო ტკბილო და საყვარელო შოთიკო, ძალიან მიყვარხარ და მენატრები, შვილო. რა ვქნა, დედიკო მე უბედურმა, სამწუხაროდ არაფრის შეცვლა არ შემიძლია, გარდა იმისა, რომ ვილოცო თქვენი ლამაზი სულებისთვის.

ნათელში გამყოფოთ ღმერთმა.

*თქვენი ოჯახი*

## ნათელა ტეტელოშვილის ნათელ ხსოვნას!



17 ნოემბერს შენი დაბადების დღეა, ჩვენო უსაყვარლესო, შვილების უსაზღვროდ მოყვარულო დედა. შენ ხომ ყველასთვის ძვირფასი იყავი. ცხრა თვე გავიდა იმ საბედისწერო დღიდან, რაც სამუდამოდ დაგვტოვე. უცრემლოდ ვერავინ გიხსენებს, ვერაფერს ვუხერხებთ მონატრების აუტანელ გრძნობას. საკუთარ თავზე მეტად სხვებზე ფიქრობდი, ყველას სატკივარი გულთან მიგქონდა და ამიტომაც ვერ გაუძლო მეტს შენმა დაღლილმა გულმა.

შენი ქმარ-შვილი ვცდილობთ, კიდევ უფრო კარგები ვიყოთ, რათა შენს უკვდავ სახელს ჩრდილი არ მივაყენოთ.

ღმერთს ყოველთვის ვავედრებთ შენს უსათნოეს სულს.

*დედები არ კვდებიან!!!*

## თემურ იორდანაშვილის ტკივილიანი მონატრება



15 ნოემბერს სრულდება უშენოდ ყოფნის 40 დღე. ვერაფრით წარმოვიდგენდით, თუ ამ სიტყვების დაწერა მოგვიწევდა შენზე. შენ მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა ბედისწერამ. 23 წლისამ დატოვე შენი ოჯახი. შენით გულმოკლულ მშობლებს და ძმას, შენგან დატოვებულ სიცარიელეს ვერავინ შეუვსებს.

ძალიან გვენატრები, გვიყვარხარ და გვაკლიხარ ყველას. დაე ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა მარადიული სასუფევლისაკენ.

*ნათია და ქეთი*

## მერი ხუციშვილი-ყოჩიაშვილის მონატრება



დედა, საყვარელო, დრომ ვერ მოამუშა ჩემი გულის იარა. ტკივილი უფრო მტანჯველი ხდება.

დედაშვილობა ხომ დიდი მადლია,
ღვთისშვილობა უფრო დიდი,
მაგრამ უდედობა?!...

ამ განცდამ მიმიყვანა ეკლესიაში. დედასთან მიახლოება და მოფერება ამ გზითაა მხოლოდ შესაძლებელი.

528 დღეა, ღმერთს შევღაღადებ წმინდა სანთლებით, ნათელში გამყოფოს.

ილოცე ყველასათვის, დედა. სანამ ცოცხლები ვართ, იცოცხლებ, ძვირფასო.

*დალი*

## ნუკრი გოგაშვილის მონატრება

მწარე, ტკივილიანმა სამმა წელმა გაიარა, რაც მიგვატოვე 17 ნოემბერს, ჩვენო ლამაზო და ჭკვიანო შვილო ნუკრი.



შემოდგომის ფოთოლივით გადაინაცვლე მარადისობაში. 38 წლის ასაკში გამოგაცალა ღმერთმა შენი ლამაზი სიცოცხლე.

რატომ მოაკლდი შენს და-ძმას, შენს საყვარელ ცოლ-შვილს, უზომოდ რომ იყავი შეყვარებული? შენს გიოს ახლა სჭირდება მზრუნველი მამა.

ყველას გული დასწყვიტე – დისშვილებს, ძმისშვილებს, ნათესავებს, ტკბილად რომ გიგონებენ. უშენოდ ირგვლივ სიცარიელეა. ცრემლიანი თვალებით ყველგან დაგეძებთ. როგორ გვენატრება შენი თბილი გამოხედვა, შენი ხმის გაგონება და ტკბილი მოფერება. უზომოა ჩვენი სევდა. უშენობამ ერთიანად გაგვანადგურა, მაგრამ ვაი, რომ ვაგრძელებთ მწარე, ტკივილიან სიცოცხლეს. შენზე ფიქრით ვათენებთ და ვაღამებთ. ულმობელი ყოფილა სიკვდილი.

ღმერთო მაღალო, გევედრები, ნუ მოაკლებ ღვთიურ ნათელს ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული ჩვენი ნუკრის სულს!

მუდამ ვილოცებთ შენთვის, რათა უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*განვლე ბავშვობა, განვლე ბიჭობა,*
*გული იქითკენ არ გეწეოდა,*
*მაგრამ მუხთალი ბედი ასეა.*
*შენგან გულმკვდარი დედ-მამა*

## ზაზა თამაზის ძე კენჭაძის მონატრება



დედის გულო, მამის სიცოცხლევ, ჩვენო მოურჩენელო იარავ და სამუდამო სევდავ, ჩვენო ერთადერთო შვილო ზაზა!

ისევ მოვიდა 14 ნოემბერი, რომელმაც 25 წლის წინათ შენი თავი მოგვივლინა და უდიდესი ბედნიერება მოგვიტანა, რომელიც არ დაგვლევია მანამ, სანამ იმ ავბედითი 15 ივნისის ღამეს გარეწრის დანამ არ მოგისწრაფა სიცოცხლე.

აღარ ვიცით, შენს ამ ქვეყნიდან წასვლას რა ვუწოდოთ შვილო, სიკვდილი თუ გარდაცვალება. ალბათ გარდაცვალება, რადგან შენ დაუსრულებელი სიხარულის საუფლოში გადასახლდი. აბა სიკვდილს შენთან რა ხელი აქვს, სიკვდილით ლაჩრები და გარეწრები კვდებიან.

15 ივნისიდან ჩვენთვის მზე დაბნელდა. გაუსაძლისმა ტკივილმა და სევდამ შეგვიპყრო. ხუთი თვეა, თვალზე ცრემლი არ შეშრალა, ვდნებით დარდისგან შენი „გიჟი" დედ-მამა. მამაშენს საფლავს ვერ ვაცილებ, შვილო, სულ შენთან უნდა, ფუსფუსებს, საქმიანობს. ჰგონია თავს წაადგები და შენეული იუმორით შემოსძახებ: „რა იყო, ზოსიმიჩ, რამ წაგახდინა, ბიჭო, რა სიგლახისთვის მიგიცია თავი?!". ლამისაა გავიჟდეს კაცი.

აღარ გვესმის შენი ჭახჭახა სიცილი, შენი იუმორი, საყვარელი სიმღერები, ღიღინით რომ შემოაბიჯებდი ეზოში. უტყვი საგნებიც ელიან შენს მოსვლას. ჯერ კიდევ ვერ დაგვიჯერებია შენი სიკვდილი. სურათებს და შენეულ ნივთებსა თუ ტანსაცმელს ვეფერებით. მათ ისევ შენი სუნი ასდის. ჭიშკრის ყოველი გაღებისას ზარი გვცემს, გვგონია, შენ შემოხვედი.

როგორ მენატრები, შვილო. გაუსაძლისი გახდა ყოფნა უშენოდ, ჩემო ტკბილო და უპრეტენზიო ადამიანო. ისევ მელანდება შენი დაძახება – „დე, სად ხარ?"; მენატრება შენს ლამაზ ყელში კოცნა და ხელის მოხვევა ფართო ბეჭებზე, ცოცხალივით გესაუბრები, ჭკუას გარიგებ, სულ შენთან ვარ, დედი.

როგორ დააკლდი შენს თანშეზრდილ მეგობარს ბექანს – რომელიც შენმა სიკვდილმა კინაღამ იმსხვერპლა; შენს უახლოეს ადამიანებს: დათოს, მალხაზს, ალუდას, რომლებიც იქ, ჩვენგან შორს, შენზე ლოცულობენ, აქ კი შენს უპატრონოდ, უიმედოდ დარჩენილ მშობლებზე ზრუნავენ.

ბედს ვერ შეეურიგდი, შვილო, შენი მკვლელი „ვაი ძმაკაცები" ჩემ თვალწინ ტრიალებენ, დროს ატარებენ ბედნიერი სახეებით, ალბათ იმიტომ, რომ ადვილად შეძლეს შენი მოშორება. შენ ხომ უნიჭიერესი და ულამაზესი, უსათნოესი იყავი. შენი უშუალო მკვლელიც თბილისში დაბრძანდება. პასუხს არავინ თხოვს. დღემდე სამართალი ვერ ვიპოვეთ ამ მძლავრ კორუმპირებულ ქვეყანაში, მაგრამ გწამდეს, დედი, რომ ისინი საკადრისად დაისჯებიან. შენს სიკვდილს ასე ადვილად არავის შევარჩენთ.

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ერთავ, ჩვენო ლამაზო, 25 წლის ვაჟკაცო. იყავი მშვიდად და ლამაზად ისე, როგორც ამქვეყნიურ ცხოვრებაში იყავი.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, შენზე ვილოცოთ. დაე ჩვენმა სანთელმა და გაცემულმა სიკეთემ გზა გაგინათოს სასუფეველში. ჩვენ ისევ ძველებურად მოგეფერებით. ერთს კი გთხოვთ, დედი, გვიშუამდგომლე უფალთან, მალე მიიბაროს უშვილძიროდ, უიმედოდ დარჩენილი შენი დედ-მამის სული.

ნახვამდის, იძინე ტკბილად, ჩვენო სიცოცხლევ და სევდავ.

*შენი უბედური დედ-მამა, ახლობლები*

## იურა შახოვის ხსოვნას!



უკვე წელიწადია, რაც ჩვენთან აღარ ხარ, ძვირფასო მეგობარო. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ.

ახლა ჩვენ წასული მეგობრების მოგონებებით ვცხოვრობთ. ცრემლნარევი სიცილით გიხსენებთ, ჩვენო იურა. ვიხსენებთ შენს შეუდარებელ იუმორს, შენს სახუმარო ფრაზებს და ნაღვლიანად ვიცინით. შენ გარშემო ხომ მუდამ მხიარული ჟრიამული იდგა. მეგობრის სიხარულის გაზიარებაც და ნუგეშისცემაც იუმორით იცოდი.

დღეს შენი დაბადების დღეა. შენ რომ ცოცხალი ყოფილიყავი, ეს შენი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დაბადების დღე იქნებოდა. შენ ხომ შვილიშვილი შეგეძინა, პატარა ნიკუშა. გილოცავთ მის დაბადებას, სიხარულით და მწარე სინანულით. ბედნიერი, შენებრ კეთილი, ღირსეული და კაცური კაცი გაზარდოს ღმერთმა. კიდევ მრავალ შვილიშვილსა და შვილთაშვილს გისურვებთ შენ და შენს ლამაზ ოჯახს. სანამ ივლიან დედამიწაზე, ამქვეყნად შენი სახელიც არ ჩაქრება.

შენ კი ნათელში გამყოფოს უფალმა, ჩვენო საყვარელო, დაუვიწყარო მეგობარო.

სანამ ჩვენ ვცოცხლობთ, შენ მუდამ ჩვენთან იქნები.

*შენი მეგობრები (გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტიდან)*

## ლამარა ბიჩინაშვილს!



ჩვენო ლამაზო დაიკო! ენით აუწერელია ის მწუხარება, რომელიც შენმა გარდაცვალებამ მოგვიტანა.

უკვე ორი წელია, რაც დაგვიტოვე გაუსაძლისი ტკივილი, რომელიც უშენობამ მოგვაყენა. შენს სითბოს თითქმის ყველგან ვგრძნობთ. ყოველი დღე შენი მოგონებით იწყება და მთავრდება. რაც დრო გადის, უფრო ძლიერდება მონატრება. ვინ შეგვივსებს შენგან დატოვებულ სიცარიელეს?! ნუგეშად მხოლოდ შენი ფოტოებიღა გვრჩება.

ჩვენი ანთებული სანთლები გაგინათებს სამუდამო სასუფეველს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი გამწარებული და ლუიზა ბიჩინაშვილი*

## ლუდმილა ქრთბაიას ხსოვნას!



დრო სწრაფად გარბის. ეს ცრემლით, გლოვით, წუხილით სავსე წელიწადიც მიიწურა, მაგრამ ოდნავი შვებაც ვერ მომგვარა – ისევ მწარედ მტკივა ჩემი ერთადერთი დის დაკარგვით დასერილი გული.

არც არასდროს დამიამდება, ის მხოლოდ ჩემთან ერთად მოკვდება.

*„იმას, რაც თავიდან არ დაიწყება,*
*ცრემლიან სანთელს უქრევს არდავიწყება,*
*რადგან ეშვება მწუხრი, წყვდიადის ფარდა,*
*რას მოვუყარო მუხლი იმ ხსოვნის გარდა".*

*ლეილა*

## რობერტ ლურწკაიას!



*ერთი წლის წინ ჩაქრა შენი სიცოცხლე.*
*ჩუმჩუმად ელავს შენი სანთელი.*
*შენი სულის სადიდებლად ვილოცებთ,*
*იმ ქვეყანას დაგაყენოს ნათელი.*
*დაგვეკარგე მხოლოდ თვალთა არიდან,*
*გვენატრები, გეფერებით ზეცაში,*
*შენი სული ისე მაღლა აფრინდა,*
*მინდა მოგწვდეთ, ვერ გეწევით ვერაფრით.*
*დღეები მიდის, მივუყვებით წვალებით,*
*გვინდა ისევ შენთან ჭიქა დავლიოთ,*
*ჩვენც მანდ მოვალთ, ასე არის განგებით,*
*ერთხელ კიდევ შევხვდეთ ერთად ალიონს.*

დრომ ვერ განელა შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, რობე. მუდამ ვგრძნობთ შენ გვერდით ყოფნას, წამითაც არ გვტოვებს შენი მოღიმარი სახე, რადგან უსაზღვრო სიყვარული დაგვიტოვე. გვაკლიხარ ყველას, შენ ხარ ჩვენი ყველაზე დიდი ტკივილი, რომელიც სამწუხაროდ არაფრით განიკურნება.

რობე, ისღა დაგვრჩენია, ღმერთს შევავედროთ შენი სული ზეციურ სასუფეველში და აგინთოთ წმინდა სანთლები.

ღმერთმა დაგიმკვიდროს სული მარადიულ სასუფეველში.

*შენი გაუბედურებული ოჯახი*

## გოჩა და ტარიელ ლურსმანაშვილების მონატრება





გოჩა, ძმიკო! უშენობის მეოთხე წელი მოვიდა. უკვე 40 წელი გისრულდება.

უეცრად შეწყდა შენი სიცოცხლეც, მამა! შენ შენს შვილს შეეწირე.

დამტოვეთ მარადიულ ცრემლსა და მოგონებაში. სიტყვაც ვერ მიპოვია, რომელიც ჩემს ტკივილს გამოხატავს. იძინეთ ერთად. ვილოცებ თქვენთვის და უფალს შევთხოვ, ის მიწა, რომელიც თქვენს გულებს მძიმედ ადევს, ბუმბულივით მსუბუქი ყოფილიყოს.

*ინეზა*

## მაია ბურჯანაძის მონატრება



ჩვენო გოგო! შენი დაბადებაც უჩვეულო იყო (ქვეყანას ხომ სამი ტყუპი ერთად მოევლინეთ). სულეთის გზას კი სწორედ შენი გაბედნიერების დღეს გაუდექი.

ახლაღა ვიხსენებთ, რომ სახეზე უცნაური ნათელი გეფინა. წინასწარ ვერავინ ხვდება ასეთ მინიშნებებს, თორემ იქნებ, როგორმე დაგვეფარე... ვინ იცის.

ერთი რამ-ღა ვიცით მხოლოდ, რომ შენს საფლავზე დავიწყების ბალახი არასოდეს ამოვა და ცალად დარჩენილი შენი გულის სწორის თაიგულიც ყოველთვის დაგესვენება გულზე.

შენი დაბადების დღეს გეხმიანებით

*14 წლის მონატრებული მშობლები, დები, სიძეები*

---

დედა ნორა ანდღულაძე; და ლილი, ძმა ავთო დუმბაძეები ოჯახებით; დისშვილები, ძმისშვილები, ახლო ნათესავები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იზო (ირა) დუმბაძე**

*პანაშვიდი:* 16, 17 ნოემბერს, 16 საათზე;
*დაკრძალვა:* ხუთშაბათს, 18 ნოემბერს, 14 საათზე.
*მისამართი:* ბორჯომის ქ. №6

---

მეუღლე თინა მაღრაძე; შვილი კახა; რძლები: ნათელა დევდარიანი, ლეილა აბაშიძე; ძმისშვილები: თამარი, თამაზი; ცოლისძმა პავლე მაღრაძე; ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ოთარ ლავრენტის ძე ბარბაქაძე**

*პანაშვიდი:* 15 ნოემბერს, 16 საათზე;
*დაკრძალვა:* სამშაბათს, 16 ნოემბერს, 14 საათზე.
*მისამართი:* დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, მე-6ª კორპუსი, II სადარბაზო.

---

კინოსტუდია „მემატიანის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ *მაყვალა წივწივაძეს*, დის

**ვერა (ჩიტო) წივწივაძის**

გარდაცვალების გამო.

# ნეტავ, რა ძალამ გადაარჩინა



— სკოლა შარშანწინ დავამთავრე. ჩემს კლასში ერთი ბიჭი იყო, ბერდია, ხმას არ იღებდა, სამიანებს სამადლოდ მხოლოდ იმიტომ ჩუქნიდნენ, რომ უწყინარი იყო. თავის სიცოცხლეში არც თანატოლი და არც მასწავლებელი არ გაუბრაზებია.

ერთხელ, ფიზიკის გაკვეთილზე, მასწავლებელმა გვითხრა, სამყარო შეუცნობელია, ხშირად მეცნიერებისათვის აუხსნელი მოვლენები ხდებაო და ამას ერთი ამბავიც მოაყოლა: ფიჯის კუნძულის მკვიდრნი ცეცხლში ისე გადი-გამოდიან შიშველი ფეხებით, სხეული არ ეწვებათო. ჩვენ კითხვები დავაყარეთ: ეს როგორ, იქნებ იტყუებიან, იქნებ ჰიპნოზს უკეთებენ მაყურებელს და ცეცხლი საერთოდ არ ანთიაო... მასწავლებელი დინჯად გვპასუხობდა, რომ ცეცხლი ნამდვილად ანთია. ყოფილა შემთხვევა, იქ ევროპელს ფულის კუპიურაც ჩაუგდია და დამწვარაო...

იმ საღამოს დიდხანს ვსაუბრობდით კლასელები ამ ამბავზე და გადავწყვიტეთ ცდის ჩატარება. მოვიტანეთ ფიჩხი, ქვები და ცეცხლი ავანთეთ. ფეხზეც კი გავიხადეთ, თავზე მარილი დავიყარეთ (ეს რიტუალიც მასწავლებელმა აღწერა), მაგრამ მივუახლოვდით თუ არა კოცონს, ისეთი სიმხურვალე ვიგრძენით, უკან დავიხიეთ. ამას ღიმილით უყურებდა ბერდია, მაშინღა გაგვახსენა თავი, როცა წამოდგა და ფეხსაცმელები გაიხადა. ერთი კი გაგვეცინა, მაგრამ მერე შიშმა აგვიტანა. ბერდიას გონიერება ჩვენ კი არა, მთელ სკოლას ეეჭვებოდა და ეს ჭკუასუსტი და კუნთმაგარი ბიჭი ცეცხლში რომ ჩავარდნილიყო, ხომ ჩვენ დაგვბრალდებოდა. ხელებზე დავეპორწიალეთ. ბერდიამ მოგვიშორა, შარვალი აიკაპიწა და ცეცხლისკენ დაიძრა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მგონი, ჩიტებმაც კი შეწყვიტეს ჭიკჭიკი. ცეცხლის ალი ბერდიას მუხლამდე სწვდებოდა. ის კი ღიმილით დააბიჯებდა გავარვარებულ ქვებზე. ისე დავიბენით, ენა ჩაგვივარდა. რომდემდე ივლიდა ბერდია ცეცხლში, არ ვიცი, რომ არა ჩვენი შეძახილები, მის ამოკვნესას რომ მოჰყვა. როგორც კი ბერდიამ ამოიკვნესა, კივილი მოვრთეთ — იწვისო და ხელების ქნევა დავიწყეთ. ერთი ჩვენი კლასელი ფეხსაცმლიანი შევარდა ცეცხლში და თავგანწირულ „ექსპერიმენტატორს“ ხელი ჰკრა, რომ ცეცხლიდან გამოეყვანა. ბერდიამ გაოცებით შემოგვხედა. აქაოდა, რა გიკვირთ, მასწავლებელმა ხომ გვითხრა, ცეცხლში სიარული შესაძლებელიაო. თქმით არაფერი უთქვამს. ბიჭებმა ჩავიცუცქეთ და ფეხები დავუთვალიერეთ. თმა ოდნავ შეტრუსვოდა, მაგრამ თეთრი კანი შეწითლებულიც კი არ ჰქონდა. მარცხენა ფეხის ტერფი რაღაცას გაეჭრა, ეს იყო და ეს. როგორც ჩანს, ამიტომ ამოიკვნესა.

ჩვენ შორის ყველაზე გაბედულმა — სოსომ, ისევ გაიხადა ფეხზე და ნელა მიუახლოვდა კოცონს. ჩაყო თუ არა ფეხი ცეცხლში, ვაი დედაო, დაიძახა. ერთი კვირა უსვამდნენ თურმანიძის მალამოს დამწვარ კანზე.

დღემდე ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, რა ძალამ გადაარჩინა ბერდია.

***ლევან ჯ.***

# ნაწყენი მიცვალებული

„გაზეთში წავიკითხე, როგორ სთხოვდა გარდაცვლილი ბებია თავის საყვარელ და დავიწყებულ ნივთებს ახლობლებს და სანამ არ „გაუგზავნეს“, არც მოისვენა, — გვწერს 42 წლის მანანა ზამბახიძე, — მსგავსი რამ მეც შემემთხვა, მაგრამ გამხელასაც ვერ ვბედავდი, რადგან ძნელი დასაჯერებელია გარდაცვლილთა და ცოცხალთა ამგვარი კონტაქტი...

დედისერთა ვარ. მამა ადრე გარდამეცვალა და 13 წლისას გამითხოვდა დედა. მე და მამინაცვალმა ვერ შევიყვარეთ ერთმანეთი, ამიტომ სოფელში, ბებიასთან ცხოვრება ვარჩიე. ბევრი რამ გვაკლდა, მაგრამ ერთმანეთის სიყვარული გასაჭირს გვატანინებდა...



24 წლისა გავთხოვდი. ბებიის თან წაყვანა მინდოდა, მაგრამ უარი მითხრა, — ჩემს სახლში მირჩევნია, ნურაფერზე იდარდებ, შენი კარგად ყოფნა მეც გამამხნევებსო!..

დღე-დღეზე ველოდი მშობიარობას, რომ შემატყობინეს, ბებია გიბარებს — სიკვდილის წინ იქნებ მნახოსო!.. ძალიან მიჭირდა მგზავრობა, მაგრამ რა დამაკავებდა. ბებომ ძლივს გამაგებინა სათხოვარი: — ჩემი დანატოვარი ღმერთმა ყველაფერი მშვიდობაში მოგახმაროს, ოღონდ ბაბუაშენის ნაჩუქარი მედალიონი, თეთრი მანდილი და მისგან ფრონტიდან გამოგზავნილი წერილებიანი ზარდახშა გამატანეო. ბაბუა ომში დაიღუპა და ბებია დედაჩემზე ფეხმძიმედ დარჩა.

მომაკვდავს უკანასკნელი სურვილის შესრულებაზე როგორ ვეტყოდი უარს. ჩამოთვლილი ნივთები გულდაგულ გადავაწყვე, მაგრამ ბებია სწორედ მაშინ გარდაიცვალა, როცა საკეისრო ოპერაციაზე გამიყვანეს...

ოპერაციის დროს ნარკოზში მყოფს ბებია თავს დამადგა და მეფერებოდა — ჩემი ლოცვა ტკივილებს შეგიმსუბუქებსო. მერე კი გვერდით ახალგაზრდა მამაკაცი დაუდგა და გახარებულმა მითხრა: — ეს ბაბუაშენია, რადგან ისევ შევხვდით, ბედნიერი ვარო.

იმდენად სუსტად ვიყავი, დაკრძალვაზეც არ გამიშვეს ექიმებმა და, სამწუხაროდ, გადანახული ნივთები ველარ გავატანე.

ორმოცის წინა დღეებში ბებია მესიზმრა. მისაყვედურა: — რაც გთხოვე, რატომ არ გამაყოლეო.

შევწუხდი. მეორე დღესვე ვთხოვე მეუღლეს, ბებიის სახლში წავეყვანე, სადაც დროებით დედაჩემი დაბინავდა, რადგან ნათქვამია, გარდაცვლილის ორმოცამდე არ უნდა დაიკეტოს სახლის კარიო...

სანამ რამეს ვეტყოდი, დედაჩემმა დამასწრო: — მგონი, გავგიჟდი. ყოველღამე ვხედავ ბებიაშენს, ოთახიდან ოთახში დადის და რაღაცას დაეძებს... სიბნელეში ჩანს, სინათლეს თუ ავანთებ, ქრებაო...

ვუამბე დედას ყველაფერი, ის პატარა ფუთა გამოვიტანე და ბებიის საწოლზე დავდე.

იმ ღამეს კი დედასთან ერთად მეც ვნახე ბებიის აჩრდილი, რომელსაც გაუხარდა ფუთის დანახვა და კმაყოფილმა შემომხედა. როგორ მოგაწოდო-მეთქი, — ვკითხე შეშინებულმა. არაფერი მიპასუხა, სევდიანად გამიღიმა და გაქრა...

ორი დღის შემდეგ კი სიზმარში გამომეცხადა და მითხრა: — იმ კვირაში ჩემი ბიძაშვილი შოთა მოდის და ეგ ფუთა იმას გამოატანეთო...

სიზმარი დედას ვუთხარი, გაუკვირდა — შოთას სასიკვდილო რა სჭირსო. მალე ამბავი მოგვივიდა, — კაცი ძილში გაპარულიყო.

მოკლედ, ბებიის საყვარელი ნივთები შოთა ბაბუას კუბოში ჩავულაგეთ და „გავატანეთ“ — ამის შემდეგ მოისვენა ბებიის სულმა“...

***ინგა ჯაყელი***

**ტესტი**

# შეგიძლიათ შინაგანი წონასწორობის შენარჩუნება?

**მზად ხართ ნებისმიერი უსიამოვნებისას იფეთქოთ, თუ მათ რიცხვს მიეკუთვნებით, ძნელად რომ ბრაზდება? ტესტი გიჩვენებთ, რამდენად ფლობთ საკუთარ თავს.**

**1. საღამოს დაბადების დღეზე დაგპატიჟეს, საჩუქრის ყიდვა კი დაგავიწყდათ...**

**ა.** სასწრაფოდ ვიყიდი რაიმეს.
**ბ.** ვეტყვი, რომ საჩუქარი ჩემზეა.
**გ.** ჩავუდებ კონვერტში ფულს.

**2. ქუჩაში უცნობი თავხედურად აგეკიდათ...**

**ა.** მთელი დღე ამაზე ვიფიქრებ.
**ბ.** თავიდან ალბათ შემეშინდება, მერე კი გამეცინება ამ სიტუაციაზე.
**გ.** სწრაფად დავივიწყებ ინციდენტს.

**3. სტრესული სიტუაციების გამო უძილობა გაქვთ?**

**ა.** არა, ყოველთვის კარგად მძინავს.
**ბ.** მხოლოდ მაშინ, თუ სერიოზულად მაწუხებს რაღაც.
**გ.** დიახ, საკმაოდ ხშირად.

**4. თქვენი პარტნიორი უგუნებოდაა და ცდილობს, გაგაბრაზოს...**

**ა.** ვცდილობ, დროებით არ შევხვდე, რათა სერიოზული უსიამოვნება ავიცილო თავიდან.
**ბ.** უსიტყვოდ განვიცდი ამ არაკორექტულ საქციელს.
**გ.** პირდაპირ ვეუბნები — თავის სიბრაზეს მე ნუ დამატეხს თავს.

**5. ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრა გაქვთ, მაგრამ ამჩნევთ, რომ გზა აგებნათ და დაგვიანება არ აგცდებათ...**

**ა.** საშინლად ვნერვიულობ და არ ვიცი, როგორ მოვიქცე.
**ბ.** გამვლელს ვთხოვ გზის სწავლებას და ვცდილობ, სწრაფად ვიარო.
**გ.** ტელეფონით ვაფრთხილებ, რომ მაგვიანდება.

**6. ამ დღეს ყველაფერი უკუღმა მიდიოდა. საბოლოოდ კი დღე იმით დამთავრდა, რომ შინ მისულმა აღმოაჩინეთ, ონკანი მოშვებული დაგრჩენიათ...**

**ა.** ისტერიკა დამემართება.
**ბ.** გონებას მოვიკრებ და მეზობელთან ჩავალ, რათა გავარკვიო, რა დავუზიანე.
**გ.** ფარდებს ჩამოვუშვებ, ტელეფონს გავთიშავ და სავარძელში მოვკალათდები. შევეცდები, დროებით მაინც განვიტვირთო.

**ცხრილის გამოყენებით დაითვალეთ ქულები**

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 3 | 3 | 1 | 2 | 3 | 1 |
| ბ | 1 | 2 | 3 | 1 | 2 | 3 |
| გ | 2 | 1 | 2 | 3 | 1 | 2 |

**6-9 ქულა: — თქვენი დევიზია — ძალა სიმშვიდეშია! თუ რაიმე სიტუაცია გაწუხებთ, უბრალოდ ჩერდებით გონების მოსაკრებად.**

**10-14 ქულა: — უმეტესად შეგიძლიათ სიმშვიდის შენარჩუნება; მაშინაც კი, როცა შინაგანად აღელვებული ხართ, გარეგნულად არაფერი გეტყობათ. თავს კარგად ფლობთ, რაც გეხმარებათ წონასწორობა სწრაფად აღიდგინოთ.**

**15-18 ქულა: — ძალიან სწრაფად კარგავთ წონასწორობას და შემდეგ ამაზე თვითონვე ბრაზობთ. ეს უფრო ამძაფრებს სტრესს! უკეთესი იქნება, მეტი მოდუნების უფლებას თუ მისცემთ თავს და ტყუილად არ დაიტანჯებით.**

**„საზალღო–სალაღო“ გვერდის პასუხები**

**I.** ვეფხვი

**II.** 1-16, 2-5, 4-17, 6-19, 7-20, 8-14, 9-11, 12-18, 10-13;
ზედმეტებია: — -3, 15,21.

**III. აბა, გამოიცანი**

1) — ბ); 2) — გ); 3) — გ); 4) — ბ); 5) — ა).

# უცნაური საჩუქარი

ამას წინათ დაბადების დღეზე მეგობრებმა ანტიკვარული სარკე მაჩუქეს და მირჩიეს, შემოსასვლელი კარის პირდაპირ დამეკიდა. რაკილა შენს სახლში ბევრი მომსვლელ-წამსვლელია, ამ გზით ავ თვალს თავიდან აიცილებო. მათი ნათქვამისთვის ყურადღება დიდად არ მიმიქცევია, მაგრამ რომ არ გამენაწყენებინა, თხოვნა შევასრულე. საერთოდ, სარკის წინ ტრიალი ძალიან მიყვარს, თანაც საჩუქარი მომეწონა და ყოველ დილით, შინიდან გასვლამდე, სწორედ ამ სარკის წინ ვკეკლუცობდი. მალე შევნიშნე, რომ მისი გლუვი ზედაპირი დროდადრო რუხდებოდა და ანარეკლიც ბუნდოვანი ხდებოდა. ვიფიქრე, ასე სიძველის გამო ემართება-მეთქი. მის წინ ტრიალი მაინც ვერ მოვიშალე, თუმცა საკუთარ გამოსახულებას სარკეში ხეირიანად ველარ ვხედავდი.

სწორედ იმხანად ერთ-ერთმა მეგობარმა შემომჩივლა, — დიდი გასაჭირი მადგას და იქნებ ხელი გამიმართოო. ძუნწი არა ვარ, მაგრამ შემეშინ-



და, ვალს დროულად ვერ დამიბრუნებს და მასზე უარეს დღეში ჩავვარდები-მეთქი. ამიტომ უტიფრად ვიცრუე, გასესხებული მაქვს-მეთქი. თვალზე ცრემლმორეულმა მითხრა, — ავადმყოფი დედისთვის წამლების ყიდვა მინდოდაო... მეგობარი გავისტუმრე თუ არა, მორთვა-მოკაზმვას შევუდექი, იმ დღეს პაემანი მქონდა დანიშნული ერთობ მიმზიდველ ყმაწვილთან. შინიდან გასვლის წინ სარკის წინ დავბზრიალდი, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ თვალწარმტაცად გამოვიყურებოდი. როგორც კი პირი სარკისკენ ვქენი, რომ საკუთარი გამოსახულება ღიმილით დამეჯილდოებინა, თავზარი დამეცა — მის რუხ ზედაპირზე ჩემი ანარეკლი საერთოდ არ ჩანდა, სამაგიეროდ, მოწითალო ლაქებით დაფარულიყო!

დაზაფრულმა სხვა ოთახს მივაშურე — სარკე იქაც მქონდა და მასში მთლიანად გამოჩნდა ჩემი გამოსახულება. ცოტა დავმშვიდდი და კვლავ შემოსასვლელში გავედი. ანტიკვარულ სარკეში ჩემი ორეული ისევ არ გამოჩნდა. სისხლი გამეყინა... რამდენიმე წუთი ასე დავრბოდი წინ და უკან იმაში დასარწმუნებლად, რომ ჭკუიდან არ შევშლილვარ, მაგრამ არაფერი შეცვლილა — ნაჩუქარი სარკე ჩემს გამოსახულებას ჯიუტად არ ირეკლავდა! ეს შეუძლებელია, მაშინ გამოდის, რომ არ ვარსებობ-მეთქი... პაემანზე, რაღა თქმა უნდა, დამაგვიანდა და, საერთოდ, ის საღამო ჩამშხამდა. თაყვანისმცემელს ჩემი უგუნებობა შეუნიშნავი არ დარჩენია — რა გჭირს, შეუძლოდ ხომ არა ხარ, ან ვინმემ ხომ არ გაწყენინაო... სიმართლეს როგორ ვეტყოდი, ანდა რომ მეთქვა, ხომ იფიქრებდა, ნორმალური არ არისო?

ჩემი ტანჯვა-წამება რამდენიმე დღეს გაგრძელდა. სარკესთან მიკარებაც მეშინოდა. თანაც მისი ზედაპირი ერთ უშველებელ წითელ ლაქას დაემსგავსა. მისი ჩამოხსნა და გადაგდებაც ვერ გავბედე. ბოლოს, ნერვებმა მიმტყუნა, იმ მეგობარს დავურეკე, რომელიც უარით გავისტუმრე, ყველაფერი მოვუყევი და ფულიც დიდი მობოდიშებით გადავეცი. გახარებული გადამეხვია და მივხვდი, რომ ტყუილის თქმაც მაპატია.

შინ დაბრუნებულს შემოსასვლელში დაკიდებული სარკის ზედაპირი გაკრიალებული და უწინდებურად მბზინავი დამხვდა. გავბედე და ჩავიხედე — იქიდან ჩემმა ორეულმა შემომღიმა...

***ლ. მეტრეველი, თბილისი***

# თოჯინები ტერორიზმის წინააღმდეგ



ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკელმა რეჟისორებმა — პარკერმა და სთოუნმა „გამანადგურებელი იარაღი“ გამოიყენეს. ეკრანებზე გამოუშვეს თოჯინური ფილმი „ამერიკული გუნდი: მსოფლიო პოლიცია“. მისი გადაღება 32 მლნ დაჯდა. ამერიკული გუნდი, ანუ 5 სპეცაგენტის ერთობა მთელ მსოფლიოში ეძებს ტერორისტებს და სასტიკად უსწორდება მათ. ამასთან, ფილმში პერსონაჟების პირადი ცხოვრებაცაა ჩართული — სასიყვარულო კადრებს ენაცვლება ბარებში ქეიფი, ჩხუბი. ხშირად გუნდის ქცევა კომიკურ და სინამდვილიდან ძალზე დაშორებულ ელემენტებს შეიცავს: პარიზში, ტერორისტებთან ორთაბრძოლისას, მათ „შემთხვევით წაექცევათ“ ეიფელის კოშკი, ეგვიპტეში კი, ასევე შეცდომით, პირამიდებს მტვრის კორიანტელად აქცევენ. ფილმში რეალური პერსონაჟიც არის — ჩრდილოკორეელთა ლიდერი კიმ ჯონგ ილი. ის მთელ დედამიწაზე ტერაქტებს გეგმავს, რომლის ჩანაფიქრის გამოსააშკარავებლად მის გარემოცვაში „გუნდი“ თავის აგენტს ჩანერგავს.

მულტფილმის პირველი სერია ამერიკული ფილმების ტრადიციული ჰეფი ენდით მთავრდება. ამბობენ, ფილმი უკვე ნახა ჩრდილოკორეელთა ლიდერმა და ძალიანაც აღშფოთდაო. რეჟისორები კი ახალი სერიების გამოშვებით „იმუქრებიან“, სადაც ბევრ ცნობილ ტერორისტს თუ ტერორისტთა მხარდამჭერ ლიდერს გუნდის წევრები არაერთ უსიამოვნო დარტყმას მიაყენებენ.

***ნიუზუიქი***

# ჯონ კენედი მონა ლიზას ნათესავია?

არც ერთ ტილოს არ მოჰყოლია ამდენი აჟიოტაჟი და აზრთა სხვადასხვაობა, როგორც ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“. ფლორენციის არქივებში აღმოჩენილია დოკუმენტები, რომელშიც მოთხრობილია ჯოკონდას თავგადასავალი. მონა ლიზას შვილიშვილის შვილიშვილი, 51 წლის არდელია, პროფესიით არქიტექტორი, ფლორენციის მახლობელ დაბაში ცხოვრობს. საგულისხმოა, რომ მონა ლიზას და მისი ქმრის, ფრანჩესკოს ყველა შთამომავლის გატაცებაა აბრეშუმის ტანსაცმლის კერვა. „1885 წელს პაპაჩემმა, — ამბობს არდელია, — მოდელების სახლი დააარსა, მამა იქ დიზაინერად მუშაობდა. ფირმა დღესაც მუშაობს, მაგრამ ჩვენ აღარ გვეკუთვნის. გასული საუკუნის 50-იან წლებში ბიძაჩემმა ჩვენი წარმომავლობა გაარკვია. მონა ლიზას შვილიშვილი — გერარდო ირლანდიაში გადასულა საცხოვრებლად, სადაც მას ჯერალდს ეძახდნენ, ხოლო შემდეგ მის სახელს წინ დაურთეს „ფერსტ“, რაც ნიშნავს „პირველს“. ასე გაჩნდა გვარი ფიცჯერალდი. არ არის გამორიცხული, რომ ჩვენ კენედის ოჯახის ნათესავები ვიყოთ. მათი გვარი ხომ ფიცჯერალდია, თანაც წარმოშობით ირლანდიიდან არიან“.

***მეგაპოლის-ექსპრესი***

# გოგრის ბუმი

აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის დიდი ხანია ფარული შეჯიბრი მიმდინარეობს — ვისი გოგრაა უფრო დიდი? ბრიტანეთში 13 წლის ბიჭმა ჯო ჰელამმა 320 კგ-იანი გოგრა მოიყვანა. ამ გიგანტს თურმე ბიჭი ლუდით რწყავდა. ბრიტანელი ტყუპის — იენ და სტიუარტ პატონების გოგრა 360 კგ-მდე გაიზარდა, თუმცა ძმებს ლუდი არ უხმარიათ, ჩვეულებრივად, ნაკელით ანოყიერებდნენ მიწას. საფესტივალო ქალაქ საუთჰემპტონში ეს გიგანტი ამწეთი ჩაიტანეს. თუმცა ბრიტანელი მებაღეების ყველანაირი მცდელობა დაჩრდილა ამერიკელი ფერმერის ჯოელ ჰოლანდის ფენომენალურმა წარმატებამ — მან 558 კგ-იანი გოგრა წარმოადგინა ფესტივალზე. ეს იყო ახალი მსოფლიო რეკორდი. ჰოლანდის მონდომებას ამაოდ არ ჩაუვლია; გოგრა-მონსტრი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 6145 დოლარად გაიყიდა.



***იტოგი №42***

# ზეკის განდევნა



ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა მელ გიბსონმა სასამართლოს ძალით აუკრძალა 34 წლის უსახლკარო ზეკ სინკლერს თავის სახლთან მიახლოება. სინკლერმა არაერთხელ სთხოვა გიბსონს, ნება დაერთო მასთან ერთად ელოცა გიბსონის პირად სამლოცველოში, მაგრამ უარი მიიღო. 20 სექტემბერს მსახიობის ეზოში შეპარვისას პილიგრიმი დააპატიმრეს. როგორც სასამართლოზე გაირკვა, გიბსონის დაცვის წევრებს არაერთხელ გაუძევებიათ სინკლერი ტერიტორიიდან. გარდა ამისა, მსახიობმა სასამართლოს წარუდგინა სინკლერის წერილები, რომელიც სასამართლომ „პირად ცხოვრებაში შეჭრის“ მცდელობად მიიჩნია. „ჩემი ოჯახის სიმშვიდე და უსაფრთხოება ჩემთვის უმნიშვნელოვანესია“, — განაცხადა გიბსონმა.

***დენგი №40***

# ქვეყნის დასასრული კუნძულ ლას-პალმასიდან დაიწყება?

ახლო მომავალში მსოფლიოს გადატრიალება ემუქრება. მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ კანარის ერთ-ერთ კუნძულზე, ვიეჟა ლას-პალმასზე, ამოიფრქვევა ვულკანი კუმბრე. კატასტროფების ლონდონის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ბილი მაკგვაიერმა სასწრაფოდ მოიწვია პრესკონფერენცია, სადაც კრიტიკულ მდგომარეობაზე ისაუბრა: „კატასტროფიდან ერთ საათში ტალღები მიაღწევენ კანარის სხვა კუნძულებს, ორ საათში — აფრიკის სანაპიროს. 4 საათის შემდეგ ტალღები, რომელთა სიმაღლე 40 ფუტი იქნება, დიდ ბრიტანეთს გაანადგურებენ. ტალღის სიმაღლემ შეიძლება 300 ფუტს მიაღწიოს და იმოძრავებს რეაქტიული თვითმფრინავის სიჩქარით — 500 მილი საათში.“ მეცნიერები ამოფრქვევის ზუსტ თარიღს ჯერ ვერ ასახელებენ. ლას-პალმასზე ვულკანი 20 წელიწადში ერთხელ ამოიფრქვევა. მიუხედავად იმისა, რომ ცუნამი ძირითადად აშშ-ის დასავლეთ სანაპიროს დაარტყამს, სტიქია დააზარალებს კონტინენტურ ევროპასაც. დაინგრევა საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები... ამიტომ სპეციალისტები მოუწოდებენ ევროპასა და ამერიკას, მოემზადონ კატასტროფისათვის, თუმცა არავინ იცის, რისი გაკეთება შეიძლება.

***ოჯი***

# თმა – ტახების წინააღმდეგ



აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქ ბად-ზაარის ეკოლოგიური ორგანიზაცია უჩვეულო აქციას ატარებს: მოხალისე ეკოლოგები აგროვებენ ქალაქის სადალაქოებში შეკრეჭილ თმას. უკვე 60 კგ-მდე თმას მოუყარეს თავი. საქმე ის არის, რომ ბოლო ხანს პატარა ქალაქი შეაწუხა გარეული ტახების შემოსევამ. მახლობელ ტყეებში ერთობ გამრავლებულმა ნადირმა გადაქელა პარკი და ცენტრალური სპორტული მოედანი. რახან ადგილობრივი კანონმდებლობა კრძალავს ცხოველების დახოცვას, ტახებთან მებრძოლმა აქტივისტებმა გადაწყვიტეს, მიმართონ ძველ მონადირულ ხერხს: ტყეში ხეებზე დაკიდონ და ქალაქის მისასვლელებთან მოაბნიონ ადამიანის თმა. „ტახები ვერ იტანენ თმის სუნს და როგორც კი გადააწყდებიან, მაშინვე გარბიან“, — განმარტავს ოპერაციის არსს ეკოლოგთა ლიდერი იურგენ კნუტი. მან ისიც აღნიშნა, რომ ქალაქის საპარიკმახეროების პატრონებს კარგად ესმით ეკოლოგთა სოციალური ამოცანის მნიშვნელობა და სიამოვნებით ეხმარებიან ტყეში თმის ხეებზე დაკიდებაში.

***მირ ნოვოსტეი***

# იაპონელთა რწმენის პარადოქსები

იაპონიაში 200 მილიონი მორწმუნეა, თუმცა ქვეყნის მოსახლეობა სულ 120 მილიონია. ამის მიზეზი ის არის, რომ ბევრი იაპონელი ერთდროულად ორ რელიგიას — სინტოიზმს და ბუდიზმს მისდევს. აქაური სოფლების ბევრ ოჯახში შეხვდებით ერთდროულად ორ საკურთხეველს — სინტოისტურ ქამიდანს და ბუდისტურ ბუცუდანს. იაპონიას ზოგჯერ რელიგიათა მუზეუმსაც უწოდებენ, რადგან აქაურები არ ერიდებიან თავიანთ კულტურაში შეიტანონ სხვა ქვეყნების რელიგიათა ნიუანსები. იაპონიაში ადგილი იპოვა დაოიზმის დოგმატებმა, კონფუციანელობამ და ქრისტიანობამ. თუმცა ამ სწავლებათა წილი იაპონელთა ცნობიერებაში მიზერულია — წამყვანი მაინც ბუდიზმი და სინტოიზმია.

***ოგონიოკი***

# რომანი რივიერაზე

რომან აბრამოვიჩმა ფრანგულ რივიერაზე შეიძინა ვილა „ჩატეაუ დე ლა ჩროე“. ეს ციხესიმაგრე, ნაწილობრივ, იმითაა ცნობილი, რომ ოდესღაც აქ ცხოვრობდნენ უინძორელი ჰერცოგები. ოფიციალური მონაცემებით, ბ-ნმა აბრამოვიჩმა ვილა 27 მლნ დოლარად შეიძინა. ის ყველაზე პრესტიჟულ ადგილზე მდებარეობს, ნიცასა და კანს შორის. შენობამ სერიოზული ცვლილებები განიცადა — ყველა ახალი მფლობელი თავისი გემოვნების შესაბამისად ცვლიდა ინტერიერს. არც რომან აბრამოვიჩმა დაარღვია ტრადიცია და ამჟამად იქ გრანდიოზული სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც ჩანს, რემონტი მეტი თუ არა, იმდენივე დაჯდება, რაც შესყიდვაში გადაიხადა. რომან აბრამოვიჩის პრესმდივანმა ჯონ მანმა დაადასტურა ვილის შესყიდვის ფაქტი: „დიახ, მან მართლაც შეიძინა ეს ვილა. მაგრამ არ უყვარს ყურადღების მიპყრობა და არ სურს საჯაროდ ილაპარაკოს თავისი უძრავი ქონების შესახებ“.



მიუხედავად ბუნებით მიმადლებული მოკრძალებისა, აბრამოვიჩი ბრიტანული ზეპური ქრონიკის ფურცლებიდან არ ჩამოდის. მაგალითად, ამას წინათ კლუბ ჩელსის პატივსაცემად გამართულ მიღებაზე, ჩარტერული რეისით ჩაფრინდნენ ლონდონში აბრამოვიჩის სტუმრები: ვერკა სერდიუჩკა, მაქსიმ გალკინი, კრისტინა ორბაკაიტე, „ვია-გრა“ და სხვა ვარსკვლავები, რომლებიც მაგნატის მეგობრების წინაშე ისეთი ჰონორარების სანაცვლოდ გამოვიდნენ, რუსულს რომ ბევრად აღემატება. თუმცა აბრამოვიჩი უკიდურესად შარიანი გამოდგა: თუკი რომელიმე შემსრულებელი თვალში არ მოუვიდოდა, მაშინვე აწყვეტინებდა გამოსვლას. მაგალითად, „ვია-გრამ“ დაგეგმილი ხუთის ნაცვლად, 3 სიმღერა შეასრულა, რის შემდეგაც გოგონებს სცენის დატოვება სთხოვეს.

***ოკნა***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ჟან ჟაკ რუსოს სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | კ | ა | ლ | ი | ტ | რ | ი | ს | ფ | ე | რ | ე | ბ | შ | ი |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| შ | ი | | ი | ლ | ე | ლ | ო | ა | ზ | ო | ნ | | ი | ს | ა | ს | ი | ნ | ლ | უ | რ | დ |

**დ.** მსახიობის პირველი გამოსვლა სცენაზე; **ა.** ლუკმა, რომელიც ადამიანს არ უნდა შეერგოს; **ი.** კუნძული, რომელზეც მდებარეობს ინდონეზიის დედაქალაქი ჯაკარტა; **ს.** საბუთი, რომელიც სადმე შესვლის უფლებას ადასტურებს; **ვ.** იტალიელი კომპოზიტორი; **ე.** ძველი ბერძენი მეიგავე; **ნ.** დინამიტის გამომგონებლის გვარი; **ე.** რაიმე საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **პ.** ჩეხეთის დედაქალაქი; **ა.** ნაპირის ნგრევა-ჩარეცხვა ზღვის ტალღების ზემოქმედებით; **ლ.** ძველი ფრანგული ფულის ერთეული; **ი.** დოდო აბაშიძის პერსონაჟის სახელი ფილმში „პირველი მერცხალი“; **ტ.** ძველ ბერძენთა და რომაელთა ტრადიციული სამოსელი; **რ.** მდინარე დასავლეთ საქართველოში; **ი.** ჟამთასვლის ორსახიანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; **ს.** ჩეხი კომპოზიტორი; **ფ.** შიშის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ე.** სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **რ.** იტალიელი კომპოზიტორი; **ე.** გაზაფხულის პირველი ყვავილი; **ბ.** ლიბანის დედაქალაქი; **შ.** გერმანელი მწერალი; **ი.** ჰომეროსის ნაწარმოები.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დუმბაძე; **ა.** ამერიკა; **ი.** ისინდი; **ს.** სიღნაღი; **ვ.** ვაბანკი; **ე.** ეკლერი; **ნ.** ნეილონი; **ე.** ეპარქია; **თ.** თუნგი; **ჩ.** ჩხიკვი; **ვ.** ვიმპელი; **ე.** ეუსებიო; **ნ.** ნიაგარა; **თ.** თოხი; **ა.** ალიონი; **ნ.** ნიორი; **ე.** ერბო; **რ.** რაინი; **თ.** თავადი; **ა.** ალაფი; **დ.** დერგი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: მე იღბლიანი მსახიობი ვარ.**

# ᲛᲝᲜᲠᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲡ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲡ ᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲡ

**— „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში ამოვიკითხე, რომ აწ გარდაცვლილი ვარსკვლავები: ელვის პრესლი, ჯონ ლენონი და სხვები სიკვდილის შემდეგაც „შოულობენ“ მილიონებს. გამიგია, რომ მერილინ მონრომ საკუთარი მასწავლებელი გაამდიდრა. იქნებ ამის შესახებაც დაწეროთ...**

***ზაზა ნიკოლეიშვილი***



— მოგახსენებთ, რომ მართალია, გარდაცვლილ ვარსკვლავებს შორის შემოსავლების დიდი სხვაობით ელვის პრესლი ლიდერობს (40 მილიონი აშშ დოლარი წელიწადში), მაგრამ მას არც ამერიკის სექსსიმბოლო მერილინ მონრო ჩამორჩება. იმის მიუხედავად, რომ ქალბატონის მონაგარი წელიწადში ათ მილიონს არ სცილდება, მის მემკვიდრეებს საყვედური ნამდვილად არ ეთქმით. მერილინს პირდაპირი ხაზის მემკვიდრე არ ჰყოლია და მთელი თავისი ქონება დრამატურგ ლი სტრასბერგს უანდერძა — სტრასბერგი მონროს პედაგოგი იყო, სწორედ მან აქცია იგი უკვდავ მსახიობად. ახლა უკვე სტრასბერგიც აღარ არის ამქვეყნად და მონროს მილიონებით მისი ოჯახის წევრები სარგებლობენ. ასე რომ, მონრო სტრასბერგის შთამომავლებს ყოველწლიურად „ნაშოვნი“ თანხის დიდ ნაწილს „აძლევს“. ამავე ოდენობის თანხას იღებენ ყოველწლიურად ჯგუფ „ქუინის“ სოლისტის, ფრედი მერკურის მემკვიდრეებიც. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ შიდსით გარდაცვლილმა მერკურიმ ქონების უდიდესი ნაწილი საკუთარ კატებს უანდერძა და მის ნათესავებს მხოლოდ ნარჩენები, წელიწადში 5-6 მილიონი დოლარიღა ერგოთ.

# ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ ᲙᲝᲜᲐ

**კუტიკარი** — პატარა ქიშკარი.
**კუტკუტი** — ზოგი ფრინველის ხმიანობა (მწყრის კუტკუტი).
**კუტმატი** — კუტი პური და მისი ნატეხები.
**კუფხალი** — მტევნის რტო, რომელზეც ორი-სამი კიმპალია.
**კუშტი** — მოღუშული, პირქუში, მკაცრი, უკმეხი.
**კუშტულა** (კუთხ.) — გიდელის ვიწრო ბოლო.
**კუწუბო** — თითოეული ნაკვთი, წვერი რაიმე დაკბილული ნივთისა, ქსოვილისა და სხვა.
**კუწუნი** — 1. უმწიფარი, შემოუსვლელი თავთავის (ოდოშის) ღერო; 2. იგივეა, რაც ნაქუჩი (მარცვალგაცლილი სიმინდის ტარო).
**კუჭვა** — შემოუსვლელი კაკლის დანით ჭრა და გულის ამოღება.
**კუჭკუჭი** — ხმადაბალი, გულიანი სიცილი.
**კუჭმაჭი** — შიგნეული (ქათმისა, საკლავისა).
**კუჭურა** — თუში ქალის თავსაბურავის ნაწილი, ჩიხტისნაირი (იკეთებენ მანდილის ქვეშ).
**კუხი** — იგივეა, რაც ისრიმი (უმწიფარი ყურძენი).
**კუხუნი** — ქუხილის მსგავსი ხმა ზღვის ღელვისა.
**ლაბი** — მოხარშული საჭმლის (ლობიოს, კორკოტის) სქელი წვენი.
**ლაბა** — საჭმელი — გაციებით შესქელებული ნახარში ხორცისა (თევზისა), რომელშიც არის ხორცის (თევზის) ნაჭრები.
**ლაბა** — მთის მოცხარი.
**ლაბა** — 1. რქებდაგრეხილი ხარი — ბელეშა; 2. საყევრის უღელი, დახრილბოლოებიანი.

# ᲙᲕᲘᲠᲘᲡ «ᲛᲘᲜᲘᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ»

**„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების მინიკალენდარი კი ასეთია:**



**15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ:**
**გერჰარდ ჰაუპტმანი,** მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; **ანი-ფრიდა ლინგსტადი,** ჯგუფ „აბბას“ წევრი.
**16 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ:**
**რუდოლფ კრეიცერი,** მევიოლინე, კომპოზიტორი, დირიჟორი; **ალექსანდრ კოლჩაკი,** მთავარსარდალი, მკვლევარი, რუსეთში სამოქალაქო ომის დროს თეთრგვარდიელთა ერთი ხელმძღვანელთაგანი, ადმირალი.
**17 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ:**
**გალაკტიონ ტაბიძე,** პოეტი; **კოტე მახარაძე,** მსახიობი; **სოფი მარსო,** მსახიობი; **მარტინ სკორსეზე,** რეჟისორი, სცენარისტი, პროდიუსერი; **დენი დე ვიტო,** მსახიობი.
**18 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ:**
**ჭაბუა ამირეჯიბი,** მწერალი; **თემურ ჩხეიძე,** რეჟისორი; **რეზო ესაძე,** კინორეჟისორი; **კარლ ვებერი,** კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი; **კონსტანტინ ბესკოვი,** ფეხბურთელი, მწვრთნელი; **ელდარ რიაზანოვი,** რეჟისორი, სცენარისტი; **ალან შეპარდი,** პირველი ამერიკელი კოსმონავტი.
**19 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ:**
**დავით ყიფიანი,** ფეხბურთელი; **გიორგი შავგულიძე,** მსახიობი; **ინდირა განდი,** ინდოეთის პრემიერ-მინისტრი; **მეგ რაიანი,** მსახიობი; **ხოსე კაპაბლანკა,** მოჭადრაკე, დიპლომატი; **კელვინ კლაინი,** მოდელიერი; **მიხეილ ლომონოსოვი,** მეცნიერი, პოეტი, ისტორიკოსი, მხატვარი; **ჯოდი ფოსტერი,** მსახიობი; **ტედ ტერნერი,** სატელევიზიო მაგნატი, სატელევიზიო არხების CNN-ის, THT-ს დამაარსებელი.
**20 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ:**
**მიხეილ ჯავახიშვილი,** მწერალი; **ფერნანდო მაგელანი,** მეზღვაური, მოგზაური; **მაია პლისეცკაია,** ბალერინა.
**21 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ:**
**ოთარ ჩხეიძე,** მწერალი; **ვოლტერი,** მოაზროვნე, მწერალი და პუბლიცისტი.
**ბიორკი,** მომღერალი, კომპოზიტორი.

# ᲡᲝᲭᲘ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲗᲣ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ?

**— გამიგია, რომ ერთ დროს სოჭი საქართველოს ეკუთვნოდა. როგორც ვიცი, გასაბჭოების შემდეგ ეს ტერიტორია რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა. გთხოვთ, განგვიმარტოთ, რომელი საუკუნიდან ითვლება სოჭი საქართველოს ტერიტორიად და როდის გადაეცა იგი რუსეთს?**

***მიხეილ ხუბუა***

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ **ᲯᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲘᲐ**, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ:

— რთულია კონკრეტულად იმ წლების დასახელება, თუ როდიდან ითვლებოდა სოჭი საქართველოს ტერიტორიად, მით უფრო მაშინ, როცა ისტორიული წყაროები ამის შესახებ არაფერს იუწყებიან. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ერთიანი საქართველოს ოქროს ხანაში სოჭი ჩვენს ტერიტორიულ ერთეულში შედიოდა. ყველასთვის ნაცნობია ფრაზა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ სწორედ ნიკოფსია მდებარეობდა სოჭიდან რამდენიმე კილომეტრში. იგი ჩვენი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთის საზღვარს წარმოადგენდა. ძველ დროში აქ იყო ჯიქეთი, სადაც ცხოვრობდა ჯიქთა ტომი. საქართველოს სამეფოს სამთავროებად დაშლის შემდეგ, გარკვეული პერიოდი, სოჭის რეგიონი აფხაზთა სამთავროში შედიოდა. მე-18-19 საუკუნეების მიჯნაზე ეს რეგიონი რუსეთის შემადგენლობაში მოექცა. თანამედროვე სოჭის ტერიტორიაზე სწორედ 1838 წელს გაჩნდა პირველი დასახლება ალექსანდრია. 1896 წლიდან ამ ქალაქს ეწოდა სოჭი. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, სოჭის რეგიონში, იქაური მოსახლეობის მოთხოვნით, ქართული არმია შევიდა. სოჭის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, ადგილობრივმა საბჭოებმა მოითხოვეს სოჭის რეგიონის საქართველოს შემადგენლობაში შესვლა, რის გამოც გაიმართა მოლაპარაკება დამოუკიდებელი საქართველოსა და დენიკინის მთავრობებს შორის. მოლაპარაკებაზე საქართველოს მთავრობამ დააფიქსირა, რომ სოჭის რეგიონი რუსეთის ტერიტორიად ითვლება, მაგრამ დროებით, სანამ რუსეთში არ აღდგებოდა კანონიერი ხელისუფლება, ამ რეგიონზე კონტროლს განახორციელებდა საქართველოს მთავრობა. მოგვიანებით, 1920 წელს სოჭში უკვე მყარდება საბჭოთა ხელისუფლება და რუსეთ საქართველოს საზღვარმა უფრო სამხრეთ აღმოსავლეთით გადმოიწია. საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ, სოჭი საბოლოოდ შევიდა რუსეთის შემადგენლობაში.

# ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲠᲓᲨᲘ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ

**— გთხოვთ, გვიპასუხოთ, თუ ნარდში მოწინააღმდეგეს ამარცხებენ „დავის“, „დავბასეს“, „დავბაჩარის“ და ა.შ. შეთანხმების დროს „მარსით“ ან „კოქსით“, ორმაგდება თუ არა მონაგები?**

***ლაშა კონიაშვილი***

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ **ᲐᲙᲐᲙᲘ ᲙᲘᲙᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ**, ᲜᲐᲠᲓᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲜᲐᲠᲓᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ:

— თავდაპირველად გაცნობებთ, რომ საერთაშორისო სტანდარტებით ნარდის თამაშის წესები შეიცვალა. მაგალითად, ამ სტანდარტების მიხედვით, ტერმინი „დავბასე“ და მისი განმარტება სრულიად არ არსებობს. რაც შეეხება თავად შეკითხვას: თუ მოთამაშემ უპირატესობის შემთხვევაში მოწინააღმდეგეს „დავი“ უთხრა, მეორე მოთამაშე კი დაჰყვა, ხოლო თამაში დასრულდა „მარსით“, მონაგები „დავის“ 2 ქულა ორმაგდება, „კოქსის“ შემთხვევაში კი სამმაგდება.

ახალი სტანდარტების მიხედვით:

| | |
|---|---|
| დავი — 2 ქულაა | დავბათექვსმეტი — 16 ქულა |
| დავბაჩარი — 4 ქულა | დავბაოცდათორმეტი — 32 ქულა |
| დავბარვა — 8 ქულა | დავბასამოცდაოთხი — 64 ქულა. |

მაგალითად, დავბაჩარის თქმისა და „კოქსით“ მოგების შემთხვევაში, 4 ქულა მრავლდება სამზე, „მარსის“ შემთხვევაში — ორზე. თუმცა, საერთაშორისო ტურნირებზე ასეთ რისკიან წინადადებებზე მოწინააღმდეგეებს იშვიათად თუ დაჰყვებიან ხოლმე, რადგანაც გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიო პირველობისთვის თამაში იმართება მხოლოდ 23 ქულამდე. რაც შეეხება საერთაშორისო შესარჩევ ტურნირებს, აქ შეიძლება თამაში 11, 13 15, 17, 19, 21 ქულამდე გაიმართოს. ეს უკვე მოთამაშეთა და ქვეყნის ნარდის ფედერაციის სურვილზეა დამოკიდებული.

საქართველოს ნარდის ფედერაცია მსოფლიოს ნარდის ფედერაციის წევრი 1989 წელს გახდა. მონტე-კარლოში, სადაც ნარდში მსოფლიო პირველობა იმართება, საქართველოს დელეგაციისთვის თორმეტადგილიანი მაგიდაა მუდმივად გამოყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში თითქმის ყველა ოჯახში თამაშობენ ნარდს, დღეისთვის ფედერაცია მხოლოდ 150 წევრს ითვლის. რადგან მსოფლიო პირველობასა და საერთაშორისო ტურნირებზე გამგზავრება ჩვენთვის ხშირად ძვირი სიამოვნებაა (როგორც წესი, მსოფლიო პირველობისთვის შესატანი თანხა ერთ მოთამაშეზე 1000 ევროა, ხოლო საერთაშორისო ტურნირებზე 800, 500 ევრო), ყოველწლიურად აქ, საქართველოში, ვატარებთ ტურნირს. ახლაც, ნოემბრის თვეშიც გაიმართება შეჯიბრი თბილისის პირველობაზე. თამაშის მსურველები თავად დაადგენენ საპრიზო ფონდს, ანუ შესატან თანხას (მოგეხსენებათ, ნარდს ფულზე თამაშობენ). 1, 2, 3, 4, ადგილების პრიზიორები ფულად ჯილდოს მიიღებენ. ტურნირში მონაწილეობენ როგორც მოყვარულები, ასევე პროფესიონალებიც. ტარდება წყვილთა შორის შეჯიბრებაც.

# «ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ»

**— სულ რამდენიმე დღის წინ ახალი ტელეკომპანია გაიხსნა. როგორც ამბობენ, მას დირექტორი თემურ ხვიბლიანი აფინანსებს. ჩვენთან მომღერალს ტელეკომპანიის დასაფინანსებელი სახსრები ალბათ ვერ ექნება. როგორც ჩანს, იგი მდიდარი მამიკოს შვილია. იმასაც ამბობდნენ, თითქოს იგი რამდენიმე წლის წინ ყაჩაღებს გატაცებული ჰყოლიათ და მხოლოდ დიდი გამოსასყიდის საფასურად გაუთავისუფლებიათ.**

***თეა კუტალაძე***



ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ **ᲗᲔᲛᲣᲠ ᲮᲕᲘᲑᲚᲘᲐᲜᲘ**, ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ:

— შეკითხვის ავტორი მართალია — საქართველოში მომღერალი სიმღერით ნაშოვნი ფულით ნამდვილად ვერ გახსნის ტელეკომპანიას. შესაბამისად, ეს ჭორი გახლავთ, თუმცა რეალობასთან ახლოს დგას. „მეხუთე არხის“ შექმნის და დაარსების იდეა მე მეკუთვნის და ნაწილობრივ ჩემი ჩამოყალიბებულიცაა. ეს იქნება მუსიკალურ-შემეცნებითი არხი, რომელიც დიდ კონკურენციას გაუწევს სხვა მუსიკალურ ტელეკომპანიებს. ამაში დარწმუნებულიც კი ვარ. რაც შეეხება დამფინანსებლებს, მე მათ შორის არ მოვიაზრები, ისევე როგორც მამაჩემი, რომელიც არხის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი გახლავთ. პირადად მე ტელევიზიაში აღმასრულებელი დირექტორის პოსტი მიჭირავს. რეალური დამფინანსებლების ვინაობას ამჟამად არ გავახმაურებ, რადგან ვფიქრობ, ეს ნაადრევია. რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს, ეს სრული აბსურდია. არავის არასოდეს გავუტაცებივარ, და მით უფრო, გამოსასყიდი ჩემი სიცოცხლის სანაცვლოდ არავის გადაუხდია. ჩემი ოჯახი არასოდეს გამოირჩეოდა სხვათაგან სიმდიდრით. შესაბამისად, გატაცების საბაბიც კი არ ყოფილა. გამტაცებლებს ჩემი ოჯახი შემოსავლის თვალსაზრისით ნამდვილად არ დააინტერესებდა.



***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

ძვირფასო მკითხველო, „ანიდან პოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

C M Y K

# ნაკრები ჟირესის არ არის – ის საქართველოს ეკუთვნის

*...სტაჟიან გულშემატკივარს კარგად ემახსოვრება გასული საუკუნის 80-იანი წლების საფრანგეთის ნაკრები, რომელიც, მართლაცდა გამორჩეულად ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა. მიშელ პლატინი, ჟან ტიგანა, ალენ ჟირესი, მანუელ ამორო — ყველა მსოფლიო დონის ვარსკვლავი იყო და მათ საფეხბურთო ნიჭს საქართველოშიც ჰყავდა დამფასებელი. დღეს საფრანგეთის იმ „დიდი“ გუნდის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ალენ ჟირესი საქართველოშია. თანაც, მუსიე ალენს უაღრესად საპასუხისმგებლო მისია დაეკისრა — საქართველოს ნაკრების გაძღოლა! ჟირესის მოწვევამ იმედიც დაგვიბრუნა — ბოლო წლებმა ხომ ქართული ფეხბურთის წარუმატებლობის ფონზე ჩაიარა. რა თქმა უნდა, ჯერ ნადრევია იმის მტკიცება, რომ საქართველოს ნაკრებმა უკვე გაინაღდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური. თუმცა, ზემოთ იმედი ტყუილუბრალოდ არ გვიხსენებია — ჩვენი ნაკრების ოფიციალურმა მატჩებმა და არცთუ ურიგო შედეგმა (სამ შეხვედრაში — ოთხი ქულა) ოპტიმიზმის საფუძველი მოგვცა. ამჟამად* ***ალენ ჟირესი*** *და საქართველოს ნაკრები დანიასთან უმნიშვნელოვანესი მატჩისათვის ემზადება. თუმცა „კვირის პალიტრასთან“ სასაუბროდ დრო მაინც გამონახა. ჩვენი საუბარი ჟირესის საფეხბურთო კარიერით დაიწყო...*

— ბორდოდან 15 კილომეტრით დაშორებულ დაბაში 8 წლის ასაკში დავიწყე ფეხბურთის თამაში. ერთ მშვენიერ დღესაც მამაჩემმა ბორდოში წამიყვანა, სადაც პერსპექტიული ბავშვების შერჩევა მიმდინარეობდა. სხვათა შორის, 150 ბავშვი ვიყავით და ვინც დატოვეს, იმ ბედნიერ ერთეულებში მეც მოვხვდი.

**— 22 წელიწადი „ბორდოში“ გაატარეთ, სადაც გუნდის კაპიტანიც იყავით და მწვრთნელადაც ემე ჟაკე გყავდათ.**

— რა თქმა უნდა, — ჟაკემ ჯერ კიდევ „ბორდოში“ მუშაობისას დაამტკიცა, რომ უდიდესი მწვრთნელი გახლდათ. თანაც, „ბორდო“ იმ პერიოდში საფრანგეთში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

**— თქვენ საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყავით. რატომ მოხდა, რომ საფრანგეთის ნაკრებში დებიუტი საკმაოდ გვიან — 29 წლის ასაკში გქონდათ?**

— შეგისწორებთ — დებიუტი უფრო ადრე, 22 წლის ასაკში მქონდა, მაგრამ შემდეგ აღარ მიძახებდნენ. არ დავმალავ, გარკვეულწილად, ჩემი ბრალიც იყო. რატომღაც მეგონა, რომ არ ვიყავი მზად სანაკრებოდ. საერთოდ, მომთმენი ხასიათი მაქვს და აქედან გამომდინარე, ვფიქრობდი, რომ ჩემი დრო ჯერ არ იყო დამდგარი.

**— მსოფლიომ ალენ ჟირესი 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გაიცნო, როცა საფრანგეთის ნაკრებში თქვენი ხელმეორე დებიუტი შედგა.**

— მართლაც ფანტასტიკური გუნდი გვყავდა, ახლა მწვრთნელს აღარ იკითხავთ? მიშელ იდალგომ არა მარტო ფრანგულ, არამედ მსოფლიო ფეხბურთშიც უდიდესი კვალი დატოვა. თუმცა, ამდენი ხანი გავიდა და დღესაც მრჩება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა...

**— და მაინც, რა მოხდა იმ ჩემპიონატის ნახევარფინალში გერმანიასთან, როცა დროის უმცირეს მონაკვეთში ორბურთიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნეთ?**

— გვეგონა, უკვე ფინალში ვიყავით და ამ თავდაჯერებულობამაც დაგვღუპა. თუმცა, იყო სხვა მიზეზებიც — ცალკე მსაჯის შეცდომები, ცოტა უიღბლობაც, მაგრამ ფაქტია, რომ თითქმის მოგებული შეხვედრა წავაგეთ..

**— გერმანიის ნაკრებმა ოთხი წლის შემდეგაც გადაგიღობათ გზა ფინალისაკენ.**

— გულახდილად გეტყვით, რომ ეს სულ სხვა შემთხვევა გახლდათ. თითქოსდა ტერიტორიული უპირატესობა ჩვენი იყო, ბურთსაც ჩვენ ვაკონტროლებდით, მაგრამ მაინც დავმარცხდით. სხვათა შორის, ეს მატჩი ძალიან წააგავდა უკრაინა-საქართველოს ამასწინანდელ შეხვედრას — დღესაც იმ აზრზე ვარ, რომ ის მატჩი არ უნდა წაგვეგო...

**— საქართველოს ნაკრებს კიდევ დავუბრუნდებით. იქამდე კი გვინდა, რომ 1984 წლის ევროპის ჩემპიონატი გაიხსენოთ, რომელიც საფრანგეთის ნაკრების ტრიუმფალური გამარჯვებით დასრულდა.**

— ეს ის შემთხვევა გახლდათ, მოსახდენი რომ უნდა მომხდარიყო. ჯერ ერთი, მშვენიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი გვყავდა, თანაც, ჩემპიონატი საფრანგეთში ტარდებოდა და ჩვენგან ყველა მხოლოდ გამარჯვებას მოელოდა. მით უმეტეს, გამოკვეთილი ფავორიტები ვიყავით და ჩემპიონობის გარდა, სხვა არაფერზე ვფიქრობდით.



**— შესაძლოა ცოტა არაკორექტული შეკითხვა იყოს, მაგრამ მაინც, როგორ ფიქრობთ, 80-იანი წლების საფრანგეთის ნაკრები უფრო ძლიერი იყო თუ ზიდანის დროინდელი?**

— მოკლედ გიპასუხებთ, — ზიდანმა და მისმა თაობამ მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, ჩვენ კი — ვერა...

**— ფრანგული სამწვრთნელო სკოლა მსოფლიოში აღიარებულია, თუმცა ემე ჟაკეს წასვლის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთში სამწვრთნელო კრიზისია?**

— ვერ დაგეთანხმებით, რადგან ვერც როჟე ლემერი და ვერც ჟაკ სანტინი წინ ვერ აღუდგებოდა იმ პროცესს, რასაც თაობათა ცვლა ჰქვია. ანუ იგივე ზიდანი თუ ტურამი 20 წელიწადი ხომ ვერ ითამაშებდნენ დიდ დონეზე? აი, ახლაც რაიმონ დომენეკს, ფაქტობრივად, ნულიდან უხდება ახალი გუნდის „შენება“.

**— დომენეკზეც გვინდა გკითხოთ, — ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ ბევრისთვის უცნობ სპეციალისტს საფრანგეთის ნაკრების გაძღოლა ანდეს.**

— აქ უცნაური სხვა რამ გახლდათ — საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების თავკაცის პოსტზე... კონკურსივით გამოაცხადა, ანუ, ვისაც სურვილი ჰქონდა, საკუთარი კანდიდატურები უნდა შეეთავაზებინა! ვიცი ბევრი მწვრთნელი, თავმოყვარეობამ რომ არ გადადგმევინა ეს ნაბიჯი. საბოლოო სიტყვა ემე ჟაკეს ეკუთვნოდა, რომელიც ფეხბურთის ფედერაციაში ტექნიკურ დირექტორად მუშაობს. სწორედ მისი რეკომენდაციით დაინიშნა დომენეკი მთავარ მწვრთნელად, რომელიც იქამდე საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობდა. ისე, სხვათა შორის, დომენეკსაც არ შეუთავაზებია საკუთარი კანდიდატურა.

**— მოდით ახლა თქვენს სამწვრთნელო კარიერაზე ვისაუბროთ.**

— საქართველოში ჩამოსვლამდე მხოლოდ ორ გუნდთან მქონდა ურთიერთობა — „ტულუზასთან“ და „პარი სენ-ჟერმენთან“. ჯერ იყო, „ტულუზა“ გადმოვიყვანე უმაღლეს დივიზიონში, საიდანაც პარიზში გამიწვიეს. ამასობაში „ტულუზა“ ისევ დაქვეითდა და კვლავაც საშველად მიხმეს. ბედნიერი ვარ, რომ მეორედაც შევძელი ამ გუნდის აღზევება საფრანგეთის უძლიერეს ლიგაში.

## ქართული სუფრა ძალიან სახიფათოა



**— და ამ დროს მართლაცდა მოულოდნელი შემოთავაზება საქართველოდან. გვაინტერესებს რა რეაქცია გქონდათ, ანდა, საერთოდ, იცოდით რაიმე ჩვენს ქვეყანაზე?**

— არ დაგიმალავთ, რაღაც გაგებული მქონდა, თუმცა, პირველ ყოვლისა, რუკაზე დავიწყე საქართველოს მოძებნა. შემდეგ კი უკვე ინფორმაციების შეგროვებაც დავიწყე თქვენს ქვეყანაზე...

**— საქართველოს ნაკრების თავკაცობა იყო თუ არა თქვენთვის ერთგვარი გამოწვევა?**

— ამბიციურობაში არავინ ჩამომართვას, მაგრამ არაფრის დამტკიცება არ მჭირდება. ვემსახურები საქმეს, რომელიც მიყვარს და მინდა, რომ შედეგსაც მივაღწიო. თანაც, ეს ნაკრები ჟირესის არ არის — ის საქართველოს ეკუთვნის, მე კი აქ ჩამოვედი და აქაურ წეს-ჩვეულებებს უნდა დავემორჩილო. საქართველოს ნაკრები ჩემამდეც არსებობდა და ჩემ შემდეგაც იარსებებს...

**— გარედანაც ჩანს, რომ აქაურობას კარგად შეეგუეთ. რასაც ვერ ვიტყვით ერთ-ერთ თქვენს წინამორბედ, ჰოლანდიელ ბოსკამპზე, რომელიც ქართველებს მენტალიტეტს უწუნებდა.**

— ვერ შევეგუები და ვერც იმუშავებ! რა თქმა უნდა, ქართველს სხვა მენტალიტეტი აქვს, ფრანგს — სხვა და ასე შემდეგ. მაგრამ ეს მეორეხარისხოვანია, რადგანაც თუ სერიოზული მიზანი გაქვს დასახული, შენ უნდა მოერგო იმ კანონებს, სადაც მოღვაწეობ. ასეა ფეხბურთშიც, რომელსაც თავისი კანონები აქვს და აქ უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს, ქართველი ხარ თუ ფრანგი...

**— ქართულ ყოფას შეეგუეთ, ბრძანეთ და აქაურ სუფრის „წესებზე“ რას იტყოდით? უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ბევრი უცხოელი ამტკიცებს, ქართული სუფრა დამღლელიაო...**

— დამღლელი არა, მაგრამ აი, სახიფათო ნამდვილად არის!..

**— რა შთაბეჭდილება დაგრჩათ, როცა თქვენი ხელმძღვანელობით ჩვენმა ნაკრებმა პირველი მატჩი ჩაატარა?**

— ყველაფერს დრო სჭირდება. საქართველოს ნაკრების მიმართებაში დავინახე, რომ ბევრი სამუშაო გველოდა წინ, თუმცა ისიც გამოჩნდა, რომ საქმისადმი სწორი მიდგომით შესაძლებელი იყო მიზნის მიღწევა.

**— თქვენი ხელმძღვანელობით ნაკრებმა უკვე რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში?**

— თქვენი ნებართვით, ცოტას „წავიფილოსოფოსებ“ (იცინის), თავიდან მიუვალი მწვერვალის ქვეშ ვიდექით, თანაც ამ მწვერვალამდე ისეთი ციცაბო აღმართი მოჩანდა, კაცი ვერ ავიდოდა. აი, ახლა კი შემიძლია ვთქვა, რომ მწვერვალამდე მისასვლელი გზაც შემოკლდა და აღმართიც ისეთი ძნელად სავალიც აღარ ჩანს...

**— ქართველი გულშემატკივრისთვის სასიამოვნოა ნაკრების თავკაცის ასეთი ოპტიმიზმის მოსმენა და მაინც, როგორ ფიქრობთ, სამ მატჩში მოპოვებული ოთხი ქულა რეალურად ასახავს ჩვენი ნაკრების შესაძლებლობებს?**

— გულწრფელად გეტყვით — სასურველი იქნებოდა ხუთი ქულა გვქონოდა, უკრაინასთან დაკარგულ ქულებს ვგულისხმობ. იმ შეხვედრაში წაგებას არ ვიმსახურებდით, თუმცა ფეხბურთს დაუწერელი კანონები აქვს და სხვა რა გზა გვაქვს, ყველა უნდა დავემორჩილოთ.

**— საქართველოს ნაკრებში ბევრი რამე შეიცვალა — იგივე ტაქტიკური განლაგება, სათამაშო დისციპლინა და ასე შემდეგ. მოკლედ, სიახლეებს კიდევ უნდა ველოდოთ?**

— რაც შეეხება ტაქტიკას, ვთვლი, რომ ყველა მწვრთნელს საკუთარი მოსაზრება უნდა გააჩნდეს ამ კომპონენტზე. თანაც, ტაქტიკა მეტოქიდან გამომდინარე კი არ უნდა აირჩიო, არამედ იმის გათვალისწინებით უნდა იმოქმედო, თუ რა კონტინგენტი გყავს. მოკლედ, მირჩევნია ჩემმა ფეხბურთელებმა თავიანთი დავალება შეასრულონ და მეტოქემ იმტვრიოს თავი ჩვენს განეიტრალებაზე.

**— რამდენიმე დღეში საქართველოს ნაკრებს უპრინციპულესი მატჩი ელის ჯგუფის უდავო ფავორიტთან — დანიის ნაკრებთან. მეტოქე კარგად გყავთ შესწავლილი?**

— დანიის ნაკრების კლასსა და სიძლიერეზე ახალს ვერაფერს ვიტყვი. თუმცა, ჩვენ ვემზადებით, რომ ჩვენი თამაში მოვახვიოთ დანიელებს. ანუ, მეტოქისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვფიქრობ, რეალურად შეგვწევს ძალა დადებით შედეგს მივაღწიოთ.

**— სასიამოვნოა, რომ ასე ოპტიმისტურად ხართ განწყობილი ძლიერ მეტოქესთან მატჩის წინ. საუბრის ბოლოს კი გვინდა თქვენი ვაჟის ბოლოდროინდელი წარმატებული თამაში მოგილოცოთ.**

— დიდი მადლობა. ტიბო 23 წლის არის და „ტულუზაში“ ასპარეზობს, ბოლო შეხვედრაში გოლიც გაიტანა „მეცთან“. რაღა თქმა უნდა, აქედან ვქომაგობ, თუმცა დღესდღეობით ჩემი უპირველესი საფიქრალი საქართველოს ნაკრები და დანიასთან მოახლოებული უპრინციპულესი მატჩი გახლავთ...

***ესაუბრა გია ტუხაშვილი***

# „თბილავიამშენი“ ფინალში თამაშს აპირებს?!

გასული ჩემპიონატის შემდეგ, ქართულ საკლუბო კალათბურთს ფინანსური პრობლემები მოეძალა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთმა მოთამაშემ „უშველა თავს“ და მეზობელი ქვეყნების საკალათბურთო ლიგებში სცადა ბედი, ბევრი კალათბურთელი მაინც უსაქმოდ დარჩა. ასე რომ, ახალი კლუბის დაფუძნებამ „სულზე მიუსწრო“ მათ და მხოლოდ თამაშის კი არა, ტიტულის მოპოვების შანსიც მისცა. საკალათბურთო კლუბ „თბილავიამშენს“ შექმნისთანავე „მიეწება“ ოქროსათვის მებრძოლი ერთ-ერთი ყველაზე რეალური პრეტენდენტის იარლიყი და ამაში გასაკვირიც არაფერია — ლევან მოსეშვილის გუნდში ჩარიცხულ კალათბურთელთა უმრავლესობას უდიდესი გამოცდილება უმაგრებს ზურგს და როცა ოპტიმალურ ფორმას მიაღწევენ, მათი მწვრთნელის მიერ „მიცემული“ სიტყვის ასრულების დროც უნდა დადგეს. „თბილავიამშენის“ მთავარი მწვრთნელი — **ლევან მოსეშვილი** ახალშექმნილ კლუბზე გვესაუბრა.

— უკანასკნელ ხანს ქართულ კალათბურთში შექმნილმა ვითარებამ გადამაწყვეტინა ისეთი ადამიანის მოძებნა, რომელიც ახალ საკალათბურთო კლუბს შექმნიდა. „ბასკო“ დაიშალა, სხვა კლუბების მოთამაშეებმაც ირანსა და აზერბაიჯანს მიაშურეს, დარჩენილები კი უსაქმოდ იყვნენ. თავდაპირველად, „თბილავიამშენის“ გენერალურ დირექტორს — ბატონ პანტიკო თორდიას მივაკითხე, რადგან ვიცი, რომ ამ ადამიანს კალათბურთი ძალიან უყვარს. შევადგინეთ ხარჯთაღრიცხვა, თავი მოვუყარეთ ჩვენთვის სასურველ მოთამაშეებს და კლუბი დაფუძნდა. ჩემი მხრივ „ვალდებულება“ ავიღე, რომ აუცილებლად ფინალში უნდა ვითამაშოთ...

**— ყველა სასურველი მოთამაშის დათანხმება შეძელით?**

— თითქმის ყველა ის მოთამაშე, ვინც საქართველოში დარჩენა გადაწყვიტა და ჩვენს მოთხოვნას აკმაყოფილებდა, „თბილავიამშენშია“. უმრავლესობა ყოფილი „დინამოელია“, კარგად ვიცნობ მათ შესაძლებლობებს, „ტონუსის ასამაღლებლად“ კი ვუთხარი, მართალია, მაისის შემდეგ, თქვენი უმეტესობა უვარგისებელია, მაგრამ ფორმას აღიდგენთ და ეროვნული გუნდიდან ერთი-ორი მოთამაშე რომ დავიმატოთ, საქართველოს პირველი ნაკრების დამარცხებაც შეგვიძლია-მეთქი. ამან საკუთარი თავის რწმენაც შემატათ და იმის იმედიც, რომ ნაკრებში მოხვედრაც ძალუძთ.

**— საქართველოს ჩემპიონატზე უკვე სამი ტური მიილია. კმაყოფილი ხართ ბიჭების თამაშით?**

— აშკარად ეტყობათ, რომ სათამაშო პრაქტიკა აკლიათ. ამისათვის „დადიანის“ ტურნირის გამოყენება შეიძლებოდა, მაგრამ, მაშინ სულ ახალი ჩამოყალიბებული იყო კლუბი და სულ 5-6 მოთამაშე გვყავდა, თორემ სხვა რომ არაფერი, დუდუს ხსოვნის პატივსაცემად მაინც გვინდოდა ასპარეზობა.

ამის მიუხედავად, პირველ ტურებში, ბიჭების თამაშმა სასიამოვნოდ გამაკვირვა. მათ იმდენი ოსტატობა აქვთ, რომ თუნდაც უვარჯიშებლებმა შეტევაში თავი არ შეირცხვინონ. აი, დაცვაში კი უამრავი ხარვეზი გვაქვს გამოსასწორებელი.

**— ცენტრთან დაკავშირებით პრობლემები ნამდვილად არ შეგაწუხებთ. არა მგონია, შენგელია-ბერძენიშვილის ტანდემს რომელიმე კლუბმა „ფარი მოუგოს“.**

— ჯერჯერობით მართლაც უძლიერესი ცენტრი გვყავს, მაგრამ არც დაცვით ხაზშია ნაკლებად საქმე. გახსნითი მატჩის პირველ პერიოდში 31 ქულა მივიღეთ საკუთარ კალათში, რაც ძალიან ბევრია.

**— ფინალში გასვლის პირობა დაგიდიათ. მერე კი, ალბათ, „მადაც მოიმატებს“ და ჩემპიონობას შეეცდებით...**

— მართალი ხართ, „მადა ჭამაში მოდის“, მაგრამ არც ის დავივიწყოთ, რომ არც ისეთი ჯარისკაცი ვარგა, გენერლობაზე არ ოცნებობდეს. ჩვენც და კალათბურთელებიც მხოლოდ მაღალი მიზნებისათვის ვიბრძოლებთ.

გარდა ამისა, ვცდილობთ, გარკვეული „ბაზისი“ შევქმნათ კლუბისათვის და ყველა რაიონში, ერთ სკოლაზე მაინც ვიკისროთ შეფობა. პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგით — მეექვსე, გერმანულ სკოლაში, რომლის დირექტორიც ქალბატონი ლალი გულისაშვილი გახლავთ, უახლოეს მომავალში, ქარხნის დახმარებით, ალბათ, ახალ ფარებსაც დავამონტაჟებთ და გათბობის საკითხიც მოგვარდება. ამგვარად, თანდათანობით შევსებას მივიღებთ. მხოლოდ ასეთი მიდგომით განვითარდება საქართველოში კალათბურთი...

**— საუბრის ბოლოს, ორიოდ სიტყვით დღესდღეობით უაღრესად აქტუალურ თემასაც უნდა შევეხოთ. საქართველოს ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა...**

—შეიძლება ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ აქამდეც რამდენიმეჯერ აღვნიშნე — მე იმ მატჩებს არ წავაგებდი. ფედერაციას ახლა არჩევანის გაკეთება მოუწევს და ეს ბეწვის ხიდზე გავლას ჰგავს, გაამართლებს კი მორიგი არჩევანი? უცხოელს ჩამოიყვანს თუ ადგილობრივ სპეციალისტებს ენდობა, ფედერაციას შეცდომის უფლება არ აქვს. რაც შემეხება მე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ, მაგრამ დღევანდელი ნაკრებიდან, 5-6 კაცს შევცვლიდი. როცა 40 წუთის განმავლობაში, 3 კაცს შეუცვლელად უწევს თამაში, დანარჩენები კი სკამს „ხეხენ“, ეს იმას ნიშნავს, რომ არ ენდობი მათ. მაშინ, რატომ შეგყავს ნაკრებში?



***რატი შელეგია***

## №45 (423) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

**„ვინ არის მსოფლიო კინოს ისტორიაში ყველაზე სიმპათიური მამაკაცი?“** — ასეთი იყო №45 რეიტინგის კითხვა. 487 ბარათიდან 7 არასწორად შევსებულად ჩაითვალა. კონკურსში 224 ქალისა და 256 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი მონაწილეობდა.

რესპონდენტთა 60%-ის აზრით, მსოფლიოში ყველა დროის მსახიობთა შორის ყველაზე სიმპათიური ალენ დელონია. მხოლოდ ორმა მკითხველმა (0,4%) დაუწერა მას მინიმალური ქულა. **8,15** საშუალო ქულით არა მხოლოდ მომხიბვლელობით, არამედ უდიდესი სამსახიობო ნიჭით გამორჩეული ალენ დელონი პირველ ადგილზეა.

გრეგორი პეკი რესპონდენტთა 21%-მა შეაფასა მაქსიმალური ქულით, საშუალო ქულაა 6,52.

მიუხედავად იმისა, რომ მარჩელო მასტროიანი საერთო ქულათა რაოდენობის მიხედვით მესამე ადგილზეა, მისთვის მიკუთვნებულ მაქსიმალურ ქულებს (3,4%) მინიმალური ქულები (8,4%) სჭარბობს, თუმცა, როგორც ვხედავთ, მან დაწინაურებული სამეული შეავსო.

აქ ჩამოთვლილ კინოს ლეგენდებთან შედარებით დაბალი შეფასებები დაიმსახურეს ახალგაზრდა მსახიობებმა — ლეონარდო დი კაპრიომ და ბენ აფლეკმა. ყველაზე მეტი რაოდენობის მინიმალური ქულა ბენ აფლეკს (31%) ხვდა წილად, ყველაზე მცირე რაოდენობის მაქსიმალური ქულა კი დი კაპრიომ დაიმსახურა (1,7%).

საინტერესოა სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პასუხებს შორის განსხვავება: მანდილოსნები თვლიან, რომ ბრედ პიტი უფრო სიმპათიურია, ვიდრე შონ კონერი; მამაკაცებთან კი დი კაპრიო წინ უსწრებს მარლონ ბრანდოს.

30 წლამდე ასაკის მკითხველებთან ბრედ პიტი მესამეზე ადგილზეა, ხოლო მარჩელო მასტროიანი — მეექვსეზე. აქ დი კაპრიოსაც და ბრანდოსაც ბენ აფლეკი „უსწრებს“.

30-50 წლამდე ასაკის ადამიანებს კი მიაჩნიათ, რომ მასტროიანზე სიმპათიურები დე ნირო, ბრედ პიტი და შონ კონერი არიან.

რაც შეეხება 50 წელს გადაცილებულ რესპონდენტებს, აქ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მარლონ ბრანდო ბრედ პიტზეც და შონ კონერზეც სიმპათიური ჰგონიათ.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი 63 წლის საგარეჯოელი **ომარ კავთუაშვილია.** მან, საპრიზო ვარიანტისგან განსხვავებით, ბენ აფლეკს ერთის ნაცვლად ორი ქულა — მერვე ადგილი მიაკუთვნა, ხოლო ლეონარდო დი კაპრიოს — პირიქით — ორის ნაცვლად — ერთი (მეცხრე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 17 ნოემბერს, 17 საათზე.

**როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა.**

**პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (IX–VIII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VIII–VII ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VII–VI ადგილებს), და ა. შ. 8-9-მდე (II–I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად 1 და 3 (IX და VII ადგილები), 2 და 4 (VIII და VI ადგილები) და ა.შ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №46 (424) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგსა და **«მკითხველის პრემიაში»**.

**№46 (424) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 17 ნოემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 18 ნოემბრის 13 საათამდე.**

©თბილისი

თემა №46(424) — სიმპათიური მსახიობი

**თქვენი აზრით, ვინ არის მსოფლიო კინოს ისტორიაში ყველაზე სიმპათიური ქალი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№46(424) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | სოფი ლორენი | |
| 2 | ბრიჟიტ ბარდო | |
| 3 | ლიზ ტეილორი | |
| 4 | რომი შნაიდერი | |
| 5 | მერილინ მონრო | |
| 6 | შერონ სტოუნი | |
| 7 | ოდრი ჰეპბერნი | |
| 8 | ორნელა მუტი | |
| 9 | ჯულია რობერტსი | |

### მკითხველის შეფასება

**თქვენი აზრით, რომელ სფეროში მიაღწია ხელისუფლებამ ყველაზე დიდ წარმატებას?**

✓ ________________

**რომელია ხელისუფლებისათვის ყველაზე წარუმატებელი სფერო?**

✓ ________________

### მკითხველის პრემია

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

### მკითხველის შეფასების შედეგები

## ყველაზე ჭკვიანი, გამჭრიახი და მოხერხებული პოლიტიკოსები

| | | ქულა |
|---|---|---|
| 1. | ზურაბ ჟვანია | 656 |
| 2. | მიხეილ სააკაშვილი | 549 |
| 3. | ნინო ბურჯანაძე | 392 |
| 4. | ედუარდ შევარდნაძე | 82 |
| 5. | კობა დავითაშვილი | 81 |
| 6. | ირაკლი ოქრუაშვილი | 46 |
| 7. | შალვა ნათელაშვილი | 45 |
| 8. | გიორგი ბარამიძე | 34 |
| 9. | მაია ნადირაძე | 29 |
| 10. | ლევან ბერძენიშვილი | 22 |

**თქვენ უნდა დაგესახელებინათ მაქსიმუმ სამი ადამიანი. პირველ ადგილზე დასახელებულ პიროვნებას მიეკუთვნება სამი ქულა, მეორე ადგილზე — ორი, ხოლო მესამეზე — ერთი ქულა. ქულები შეიკრიბა და მათი ჯამის მიხედვით შედგა რეიტინგი.**

როგორც ვხედავთ, მკითხველმა ჭკვიანის, გამჭრიახის და მოხერხებულის ტიტული „ვარდების რევოლუციის“ ავტორებს უბოძა, მათ კი ფეხდაფეხ მოსდევს ამ „რევოლუციის ადრესატი“. დანარჩენი „შემადგენლობა“ ასევე ნოემბრის ქარტეხილების აქტიური სახეებია, გამონაკლისი მხოლოდ ლეიბორისტთა ლიდერია. პოსტრევოლუციურ საქართველოში, როგორც გვახსოვს, მისი რეიტინგი საგრძნობლად დაეცა (საგულისხმოა, რომ ათეულში ვერ მოხვდნენ ცნობილი რევოლუციური სახეები: დავით ბერძენიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, ელენე თევდორაძე, გოგა ხაინდრავა, გიგა ბოკერია, გიგი წერეთელი...). ნათელაშვილი საჭირო დროსა და სივრცეში იქ არ იდგა, სადაც ამის აუცილებლობა იყო — ასეთი გახლდათ მაშინ ბრალდება მის წინააღმდეგ. დღეს კი, სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ ამ „ბრალდების“ გამო მოიპოვა მან ჭკვიანთა, გამჭრიახთა და მოხერხებულთა შორის ადგილი.

მკითხველთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა ჩინოვნიკები დაასახელა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ისინი სწორედ პოლიტიკიდან მოსული ადამიანები არიან.

მკითხველთა 1,6%-ს გაუჭირდა ისეთი პოლიტიკოსის დასახელება, ვინც თანაბრად აკმაყოფილებს სამივე პარამეტრს.

რამდენიმე რესპონდენტი კი წარსულში „გადაიჭრა“ და დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეორე, სტალინი და ბერია დაასახელა.

***მკითხველის რეიტინგს 391 რესპონდენტი გამოეხმაურა***

## ფოტოანტიკვარი © ფოტოანტიკვარი



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

— სიყვარული მოვა, ჩემო თომა...

ფოტოანტიკვარის წინა ნომრის მინიშნებამ „ბავშვობაში მეც დათა თუთაშხიასავით ვიჯექი ცხენზე!..“ ცოტა არ იყოს, „დააბნია“ მკითხველი. მათმა ერთმა ნაწილმა რუბრიკის გმირი ეკრანისეულ დათა თუთაშხიას მიამსგავსა და სათამაშო ცხენზე შემომჯდარ პატარა ბიჭუნაში მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი „ამოიცნო“ (35%). შედარებით მცირე ნაწილმა (25%) მწერალ ჭაბუა ამირეჯიბს მიანიჭა უპირატესობა, ამდენივე მკითხველმა პოლიტიკური არენიდან კულისებში გადანაცვლებული ვახტანგ რჩეულიშვილი გაიხსენა... დასახელებულთა შორის საკმაოდ მრავალფეროვანი „არჩევანია“ — ვინ გინდა, რომ აქ არ იყოს: მსახიობი ნიკო გომელაური, პოლიტიკოსი დავით გამყრელიძე, ექსგუბერნატორი ლევან მამალაძე (ცხენზე შემომჯდარი და გაქცეული), გუბერნატორი გიგი უგულავა, რეჟისორი ელდარ შენგელაია, ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და თვით სამოქალაქო ომის გმირი ჩაპაევი(!).

მხოლოდ ერთადერთმა მკითხველმა „მიაგნო“ ნამდვილ გმირს. იგი ბატონი **გიგა ლორთქიფანიძე** გახლავთ, ფილმ „დათა თუთაშხიას“ რეჟისორი.



ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



გიგა ლორთქიფანიძე, 3 წლის



ბილისგუდეში...

SAKAVIASERVICE
GEORGIAN AIRLINES
საქავიასერვისი
პირდაპირი ავიარეისები
თბილისი-სალონიკი-თბილისი
TBILISI-SALONIKI-TBILISI

თბილისი
SAKAVIASERVICE
GEORGIAN AIRLINES
TEL: (995 32) 99 02 37; 98 30 59
FAX: (995 32) 921 831
4 MACHABELI STR.

სალონიკი
NORBIS
ტელ: (2310) 287 721
(6978) 990 130
ფაქსი: (2310) 287 764
MAKEDONIKIS AMINIS 7



**თარაზულად:** 1. სატყორცნი იარაღი, რომელსაც იყენებენ ვეშაპებზე სანადიროდ; 4. ზღვის დიდი ტროპიკული ფრინველი; 6. ინერტული გაზი; 7. მატყლით ან ბამბით გავსებული რბილი საგები; 8. იგივეა, რაც სანთელი; 9. მაღალი თანამდებობის პირის მხლებლები; **10.** დიდი ხვლიკი; 13. წინასწარი მონახაზი; 16. ფანდი, ოინი; 18. კაზაკთა სოფელი; 19. ანტონიო ბანდერასის მეუღლის გვარი; 20. ძვირფასი ქვა; 22. ბუნების მძლავრი მოვლენა; **23.** ავტომობილის ძარას ტიპი; 25. ბოსტნეული; **27.** ძვირფასბეწვიანი პატარა მტაცებელი ცხოველი; 28. სასწავლო დაწესებულება; 29. უეცარი რევიზია; 30. უნგრული წარმოების ავტობუსი; 31. რომელიმე ორგანოს დაპატარავება, დასუსტება.

**შვეულად:** 1. საავადმყოფო სამხედრო მოსამსახურეთათვის; 2. ქაღალდის ფულის გაუფასურება; 3. უპრინციპო პოლიტიკოსი; 4. მკაცრი, მამხილებელი გამოსვლა ვინმეს წინააღმდეგ; 5. იდეოგრაფიული დამწერლობის ფიგურული ნიშანი, გავრცელებულია იაპონიასა და ჩინეთში; 11. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 12. მონღოლების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების მმართველი; **14.** ცეცხლგამძლე კარადა; 15. ცისარტყელას ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 16. ბუსუსები ქსოვილზე; 17. მესამე პირის ნაცვალსახელი; 21. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცის სხეულებს; 22. ქვის კუბო, პატარა აკლდამა; 24. იუმორით გამსჭვალული მცირე მხატვრული ნაწარმოები; 25. დიდი სწრაფმავალი სამხედრო გემი; 26. ზუსტი მიბაძვა.

შეადგინა ვანო კაკაჩიძემ

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. [illegible]

**შვეულად:** 1. [illegible]

19/XI
პირველი მეოთხედი




# სლაი სახელით ვაჭრობს



სილვესტერ სტალონემ ახალ სფეროში თავისი შესაძლებლობების მოსინჯვა გადაწყვიტა. იანვრიდან მსახიობი გამოუშვებს ყოველთვიურ ჟურნალს „სლაი" — 35-დან 54 წლამდე მამაკაცებისთვის. მასში მოთხრობილი იქნება ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ. „სილვესტერი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ჟურნალის რედაქტირებაში, — განაცხადეს საგამომცემლო სახლის „American media"-ს წარმომადგენლებმა, — მაგრამ ჯერ ვერ გადაგვიწყვეტია, იქნება თუ არა სტალონეს ფოტო ყოველი ახალი ჟურნალის გარეკანზე".

58 წლის სტალონემ ჟურნალის გამოცემა გადაწყვიტა ოფრა უინფრის, როზი ო'დონელის და დონალდ ტრამპის მიბაძვით.

ამბობენ, რომ სლაი დაასაქმებს თავის მეგობრებს — ცნობილ ადამიანებს. მან უკვე შესთავაზა ელტონ ჯონს გაუძღვეს რუბრიკას „სტილი".

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

(46) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)
გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№46 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 18 ნოემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
news@kvirispalitra.com
www.kvirispalitra.ge
სარეგისტრაციო ნომერი © 1518
„კვირის პალიტრა"
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".